

მნათობი

გაერთიანებული
ბიბლიოთეკა

1 აქტიური მისიონერული

9

ზინაარსი

კოეზია

- ა. მუთათელი
- ბ. ლორნიძე
- ა. გომიაშვილი
- გ. რუხაძე
- გრ. აბაშიძე

პროზა

- კ. ჩხიკვაძე
- ქ. გამსახურდია
- რ. გვიტაძე
- ი. ტატიშვილი

უცხოეთის ლიტერატურა

აგნეს სმილნი

რევოლუციური მოძრაობა

დ. სულიაშვილი

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

- ა. ჭიჭიანი
- ბ. დანელია

ბიბლიოგრაფია

- გ. გ.
- ქ. ჯავახიშვილი

პროლეტარებო ქველა ძვენიცა, უპირატესო!



გეორგიული
წიგნების კავშირი

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირის შრომელთა შორის
სალიტერატურო, სახელოვნო და საზო-
გადოებრივ-საკოლიტიკო ჟურნალი

9

წელიწადი მეთორმეტე

სახელგამი 1935 ბზილისი

პ.გ. რედაქტორი გიორგი ურულაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე
ნოე ზომლეთელი
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
ბრ. მუშიშვილი
ზალმა რაფიანი
ბალატიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლევო ქიაჩელი
პანტელეიმონ ჩხიკვაძე
დემნა შინგელაია



რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 3 — 55 — 25.
გენ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

კანტორის მისამართი: ტფილისი, კობოვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

სახელგამის პირველი სტამბა, პლუტონოვის პროსპექტი № 91
შთაფლიტ. რწმ. № 7045. შეკვ. 537. ტირაჟი 6000.

გეორგუსია

I

მდინარე სოჟთან

აჯამეთივით დაჯდა, მეახლა
მდინარე სოჟთან ეს ტყე ღიადი.
ძვირფასო ილო, ნეტავ გენახა
აჯანყებული მზის განთიადი!

ცაზე გაჩერდა იისფერ თრთოლვით
ღრუბელთ ფიორი ნაზი, იოლი,
თითქოს აწვდილა უდნობი თოვლით
ჩამოთოვილი კავკასიონი.

და როს ღრუბლების ცქერით გავძეხი,—
მამლის ყივილზე აყეფდა ძალი,
თითქოს მყინვარზე თელემდა ყაზბეგი—
ღაბა შექრილი კლდეში ვით ძარღვი.

რა ახლოს არის მცხეთა, ტფილისი
მტკვარზე დაყურსულ ატმით, ქლიავით.
თავს დაღაღღადებს ღამე ივლისის
სავსე კოჯორის გრილი ნიავეთ.

მდინარე სოჟის სანაპიროდან
მეტყვეების მესმის სიმღერა.
რა ნაღვლიანი ხმით გაპყიოდენ —
ეთქვი: ეს „ლილეო“ თუა კლდის ხელი!

ეთქვი და გაიხსნა ცაზე რიყრაყი
ვით ფარშავანგის კუდი ვეება
და მან წარშალა როგორც შირაყი
ციურ ღრუბელთა ცრუ მოჩვენება.

II

გრავ პასკევიჩი



ვნახე ვომელი. დიდ სპასალარის
გრავ პასკევიჩის პარკი და ბაღი,
სად ვოლიათი ხეები არის
და ხეთა შორის სასახლის თაღი.

სარდალს პასკევიჩს, თავადს ვარშაველს
სწყუროდა ვქეყნად ჩანს მარადისი
და შეებრძოლა ის თითონ შავბედს,
რომ უკვდავეყო სახელი თვისი.

გრავს ნებდებოდა ციხე არზროუმის,
ახალქალაქი და ახალციხე.
ათას ზარბაზნის დასცა ლალუმი
და მტერს აგემნა ჯართა სიფიცხე.

მეფის არწივი მალლა ასწია,
რუსული ხიშტი და იარაღი,
ვადაიარა ომით აზია,
ევროპის მიჯნა, მერე ირანი.

თან წამოიღო სახელწოდება
ერევნელ გრავის და საჩუქრები.
დადგა ნიეთები ოქროს ზოდებათ
სპილოს თეთრ ძვალზე ნაჩუქრთიმები.

შახ-აბას-შირზას ძღვენი, უსტარი
დეიხარგარით ოქრო დასწურა.
პატარა ყუთი, ჩიბუხის ტარი,
ტახტი, შანდლები, ჩინური სურა.

დიდ ხელოვანის წარმტაცი ხელით
უძღვნა რაუხმა ძეგლი მარმარის
და „იერიში ახალციხეზე“ —
ეს სუხადოლსკის ნახატი არის.

ს. ქ. 3

გომელის ოლქის დიდ მემამულეს
შსახურად ჰყავდა თითონ კანოვა.
ყველა ორდენით შეიმკო გული
და ფელდმარშალის სახელი ჰოვა:



მე მივადექი როგორც მოწაფე
სასახლეს მორთულს მწევანე ხალეზით,
სადაც ცაცხვიც კი არის მოწამე
გრაფთა ზეიმის და მაშხალეზის.

„კუპალას ცეცხლით“ წითლად განბანილ
ხის კენწეროებს სანაპიროთა
ყმა დაჩაგრული, ღარიბ ჭლამნით,
ბელორუსელი გლეხი ჰკვირობდა.

სიმშლით ოჯახს რა გააღალღებს
თუმც ჯახირობდე ტბაზე და სოფზე!
არხევედა ქარი ჯაგებს, ბალახებს
და ქაობებში ჩამპალსა სოქებს.

III

ბრძოლა

წყლის კირადების უღელი
გლეხის ვოგონას აწვება.
ბატონის შვილმა უყველა
არყის ხეებთან, ნაძვებთან.

ჰქონდა თეთრი ნაწნავი და
მოქარგული ხალათი,
ბატონი კი თვის ნაეიდან
იციხოდა ჯალათი.

ირხეოდა ტყეში ნაძვი,
შთაზე დიდი ყაყაჩო,
სოფზე გემის სწორი ანძა,
და გომელში ხარაჩო.

არ დამცხრალო ნაკვერცხალი
ხალხის გულში არასდროს

და მოფრინდენ ვით მერცხალი
ფრონტიდან. ვერ ლალატობს
ანდრე მუშა-ჯარისკაცი
ჭობს დახურულს ჩალითა.
მეზობლები გაიტაცა
ანდამატურ ძალითა.



შეგროვილან შაშხანებით
სასახლის წინ გლეხები.
კაკანებდა ვაჭანებით
ტყვია და ხეს ეხევა.

მხნედ იბრძოდენ ძმა-ტოლები,
ცხენოსნებმა ნაეარდით
გააძევეს ბატონები,
პოლონელი თავადი.

მოსკოვიდან ჩამოსულა
პროლეტართა კედელი.
ფეხზე იდგა ბელორუსთა
ჭარხნის მუშა, მჭედელი.

ტანს აესხათ იარაღი
საბჭოეთის ბიჭებს და
ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხმა ქუხდა ლალი,
ქვემეხებმა იჭექა.

ცაში ალი დაიკვანდა
ვით წითელი ყაყაჩო.
სასახლეთა ცეცხლის ანძა
ანათებდა როგაჩოვს.

IV

საბჭოთა გზა

გადავიდა ის გრივალი,
თეთრი საშინელება.
გოლოდები და ვიკალო
აჯანყებულ ველებით —
ჩამოვიდნენ ამხანაგნი



ჯარისკაცის ხალათით,
 შრომა, გარჯა და ამაგი
 რომ გაიღონ ხალვათად,
 რომ სამშობლო საყვარელი
 დაჩაგრული ყოველად
 ააყვავონ, სახვალით
 დაახვავონ დოვლათი:
 ეგ ფოლადის მანქანები,
 სახნავი თუ სათესი.
 ალაშენონ გაქანებით
 ქარხანები ასეთი,
 რომ მსოფლიომ არ იცოდეს
 იმის მსგავსი; მაგვარი,
 შიგ ლითონები იწოდეს
 ლუმელიდან ნალვარი,
 იარაღი და დაზგები
 დაუმზადონ ქვეყანას,
 რკინისა და შარავზებით
 ქალაქებში ეყაროს:
 მაგილოვის აბრეშუში,
 ან დობრუშის ქალაღდი,
 კასტუკოვის მინა შუმი,
 მინსკი ისე გახადონ,
 რომ შავ ტორფის აგურები
 ობიანი ქაობის, —
 ენთოს ელვის სადგურებად,
 შიგ სპირტს ზდიდენ ვალბობილს
 რომ მშვენიერ ამ ქვეყანას,
 სოფელს, ქალაქს, მიწა-ტყეს
 უძღვეველი ნამეტნაეად
 ჩვენი ჯარი იცავდეს,
 რომ დროშები ალისფერი
 ყაყაჩოზე წითელი
 წაიღონ შორს და მის მერე
 ხალხთა შვეების მტვირთველი
 ყველა მშრომელთ მიუტანონ
 სიყვარული, ს ტ ა ლ ი ნ ი ს
 დიდი საქმე ტიტანური —
 გზა საბჭოთა განვლილო.

V

ალტაცების დღენი

მდორედ მავალ სოფის ტალღას
ხევს გემების კბილი
და გომელი მწვანე, მალლა
დგას ქარხნების მილით.

უჭმი დღეა და ნაძენარი
მუშა ხალხით სავსე.
იმღერაიან შორს და-ძმანი
ნიჩაფებით ნავზე.

სოფზე მღერის ყრმა მეტივე
სოფზე ვაფი მღერის
და ირხევა ცამეტივე
ფიჭვის, სწორი ღერი.

ღელავს ტბა და შამბნარები,
ყრმა მენავე მღერის.
ირხევიან ბაღნარები,
ყაყაჩონი, ქერი.

შიგ დგას გოგო რიერაეივით
ანთებული სახით.
სოფის სილა ნიქარებით
ისმენს ვაფის ძახილს.

გოგოს ოჭროს თმა-ნაწნაფი
წვდება ვიწრო წელით.
ცხელა, წვება ვით თავთაფი
მოთიბული ცელით.

ანდრომ შესვა ქალის მზერით
ალტაცების დღენი.
არ თავდება შარა, გზები
არყის თეთრი ტყენი.

მდორეთმავალ სოფის ტალღას
ხევს გემების კბილი



და გომელი მწვანე მარლა
დგას ქარხნების მილით.

ხვალე ისევ დაიძახებს
საყვირები ქარხნის.
ვაჟი, გოგო დაამზადებს
თვის დაზგაზე ხრახნილს.

მათი ხელით გაშენდება
ქალაქი და დაბა.
მათი გვართ დამშვენდება
ეს წითელი დაფა.

მაგრამ ისევ მალულ შხერით
აგონდებათ ქველი
გომელის ცა, მზე და ვხები,
არყის თეთრი ტყენი.

მწიფე ქერი, შამბნარებით
სოფი ანამლერი,
როცა შესვეს გამალებით
აღტაცების დღენი.

ბელორუსია.
პ. გომელი.
1935 წ.



გეორგიანული
წიგლმწიფის კავშირი



პანბელშიგონ ჩიჩკვაძე

მურზაყან დადეშქელიანი

რომანი

თავი პირველი

1. კაცს მოვკლავ, უენი რისხვა არა მამხს

გზები არ მოსდევს სევანეთის მიწა-წყალს. სევანი გზას უფროთხის, როგორც ნადირი კაცის ნაკვალევს. პირქუში უშბა მარადემას რისხვით დაპყურებდა სევანეთის წელგატეხილ მოსახლეობას, ახლაც დაპყურებს და დასტინის კიდევც.

ყინულებით შევერცხლილ მწვერვალებს ნისლის სალტე შემოხვევია. ნისლი გულს ადარდიანებს.

რახანია გაზაფხულმა მოატანა, მაგრამ ბედშავი სევანის გული როდი იცინის.

სისხლი... უთვალავი გადასახადი... ბატონყმობის მძიმე უღელი... მწარე ფიჭრები აწეება სულს და... ყასბულათ მარგიანი შამფურივით ტრიალებს რწყილებით სავსე ლოგინში. ჯიშიანი რწყილი იცის სევანეთში. დათვის რწყილს ამსგავსებენ.

თენდება. სათოფურში სინათლე შეიპარა. ყასბულათს რახანია ღვიძავს. მოიტანცა კიდევც, მოუსვენარი, მაგრამ უკვე დაჩვეული ფიჭრებით.

— ღვრბეთ, დაილოცა შენი სამართალი!

გამოისახა პირჯვარი ყასბულათმა და ქურქიდან გამოძვრა.

ჯალაბს ჯერ კიდევ ეძინა. მწუხრი გადაკვროდა პირსახეზე თვრამეტ-ცხრამეტი წლის ნოშრევანს. მომდევნო სოზარსაც მოუსვენრობა ეტყობოდა. მხოლოდ უწლოვანები ხრუტუნებდენ ტკბილად.

— სძინავთ!

ასმათსაც ჩასძინებოდა გათენებისას. წუხელ მოათავა მან ბოსელში ვდების ყოველთვიური განაწესი და ძვალი დაასვენა. მისი პირსახე ცხოვრების გაუტანლობას ჩიოდა.

— დრო არის!

ყასბულათ კატის სიფრთხელით დაწედა სანადირო საგზალს, თოფს ხელი ჩამოუსვა და ფეხაკრეფით გარეთ გაიძურწა.

თვალს ვინ შეასწრებს სანადიროდ პირგათქმულ სენას, მსვეტულდრის შეხვედრა დანავსევას უღრის და მონადირო უკან ბრუნდებდა.

ამიტომ მიიჩქარის ყასბულათ მარგიანი. უნდა სოფელს გაცდეს და მზის ამოსვლას ტიუხზე შეხედეს.

ხანშესულია ყასბულათ მარგიანი, თმაშევერცხლილი. უკულმართობამ კბილი ჩაასო, მაგრამ მოტეხით მაინც ვერ მოტეხა ჯანმაგარი სვანი. მუხლი ჯერ კიდევ მგლისა მოსდევს მარგიანს, თვალი არწივის, და გატყეულ ჯიხვს ნასროლს არ დააცდენს. „თვეფ“ არ უმტყუნებს განთქმულ მონადირეს, სამაგიეროდ არც ყასბულათ გაიმეტებს ვაგლახად ალაბნახევიან ყირიმს. ესერის თუ არა, ნადავლით წახალისებული, თოფს ჩერებით ვალერსება, განადნობი ქონით აპოხიერებს. დღესაც საჯიხვედ მიიჩქარის ყასბულათ მარგიანი. იქნებ ხარ-ირეშააც წაპკრას თვალი და დაღეშქელიანს გული მოუგოს.

კვირიკობას სამი წელი ვახდება — ძროხა არ მიურთმევეია სვანეთის მთავრისათვის. წლიური საბატონო გადასახადიც არ შეუტანია. საახალწლო ბეგარის დასაფარავად ბაპისაგან ისესხა ხუთი მანეთი და საცაა სარგებელი თავნის პირისპირი ვახდება.

ვალე ბევერი აქვს ყასბულათ მარგიანს.

შარშან ბეჩოელ მონადირეს ნასროლზე წაედავა, უტიფრობა და სიცრუე არ აპატივა. ესროლა და ბეჭი მოამტკრია.

ბეჩოელი მონადირე სიკვდილს გადარჩა, მაგრამ ყასბულათს მისი შერიგება ას მანეთად დაუჯდა. ცალკე თათარყან დაღეშქელიანის რისხვაც დაიმსახურა.

ამეამად უმარილობით იტანჯება ყასბულათის ოჯახი. ბარში ჩასვლის დროც დადგა, მაგრამ ხელცარიელი რომ წავიდეს, რას ვახდება? ერთი ძროხა ჰყავს ყასბულათს. გაპყიდოს? დაღეშქელიანს რა მიართვას? თავმონაწიერ ბავშვებს ლუკმა როგორ გამოაცალოს? რა ჰქნას ყასბულათმა? ვალს ვადახდა უნდა. დაღეშქელიანს სამსახური. ოჯახს მოვლა და პატრონობა. ხელმოკლე კაცია ყასბულათ მარგიანი. შეილები წამოესწრო, მაგრამ ახლა სტამბოლის შიში არ ასვენებს შეილების მოსიყვარულე მამა. მოსწრებული შეილები რომ ვალში გაუყიდონ, მაშინ რალა ჰქნას ყასბულათ მარგიანმა?!

— ღერბეთ!

ამოიგმინა ჭალარა მონადირემ და საოცარ უშბას მოწყალე თვალით შეხედა.

— კაცს მოვკლავ, შენი რისხვა არა მაქვს!

სვანი შედგა და ამომავალ მზის სხივთა არიღს ღიმილი შეახვედრა. ყირიმი თოფლში ჩაასო, ჩაიჩოქა და ხელაპყრობილმა მზეს შეჰლაღაღი:

შვილები მანუქე ყოვლად ძლიერო! იმათ სიავეს ნუ შემსწრებ. ამას გთხოვ უილაჯო სვანი. დადესქელიანის შინაყმა და მალაღი ღერბეთის მონა ყურმოკრილი. არ მისმენ? არ შემებრალე? სამაჯრეფუნე მანუქებ? მაშინ... მაშინ მე სვანი ვარ, დიდებულო მზეო, მზის სწორი მანუქა! სვანის გული ფიცხია და უღმობელი. სვანი წელგატეხილია, მაგრამ გულ-შეუპოვარი. სვანს სისხლი არ უყვარს, დიან, არ უყვარს, მაგრამ არც რიდი აქვს სისხლის. შვილებს გთხოვ; დიდებულო ღერბეთ. მანუქე შვილები!

მზის შუქზე გლეტჩერები აბრწყვეილდენ.

ყასბულათ წამოდგა და დათოვლილ თხემებისკენ მოუჩქარა. უხვი სინათლე თვალს ეურჩება, მაგრამ სვანის თვალს თავის ნაკვალევაც არ გამოეპარება.

— ჯიხვის ფლოჭვები! დალ იყოს შენი შემწე, ბედშავო ყასბულათ! ხელაპყრობით შეპლალადა მარგიანმა ნადირობის ღმერთს და ჯიხვის კვალს ფეხდაფეხ აედევნა.

კვალმა შორს წაიტყუა მონადირე. ნადირობამ იცის თავკვალის აბნევა:

ნაკრას ხეობა უკან დასტოვა მარგიანმა. არც კვალი დაიკარგა და არც სვანი შეაწბილდა ჯიხვის ცოცხალ განაჯირობებს.

გერგელდაშის მთა გადაყელა ფარელმა მონადირემ და კვიბრეულასკენ დაექანა. ნაკვალევმა წაიტყუა, მაგრამ ნადირს შინც ვერ წამოეწია.

გაფიცდა ყასბულათ. დალს ხელმეორედ შეევედრა. ჩქარა ნაკვალევაც დაჰკარგა თვალთავან და „ღერბეთ!“ ყვედრებით დაიბღუვლა მოთმინებადაკარგულმა მონადირემ.

შედგა ყასბულათ. გაოფლიანებულმა პირში თოფლი გამოივლო და სივრცეს შიაშტერდა.

— დავიქანცი! — ამოხდა უნებლიეთ. ტაფობზე ჩამოისვენა.

— რა ნავსი დღეა, — ფიქრობს ყასბულათ და მზეს ეფიცება. კარგა რომ შეცხუნდა, ქალამნების თასმები შეისწორა, შალის საცვეთები მუხლის თავამდე ამოიწია, და შეხობინებული ისევ გზას გაუდგა.

კვალს ისევ გადაეყარა თვალმარჩხი მონადირე და კვლავ მზიარულ გუნებაზე დადგა. ყასბულათ ფეხდაფეხ მისდევს ჯიხვის ნაკვალევს. ცინცხალ ნახტომებს რომ შეხედავს, გული ჩიტივით უფართქალებს.

— შორს არ უნდა იყოს, — ფიქრობს მარგიანი და ციკაბო კლდეებს თვალს არ აშორებს. დაიმედებული, რომ საცაა ნადირს შეეფეთება, თოფს ფალიას უსინჯავს და გულშემზარავ კლდეებზე ფოცხვერივით მიხტუნავს.

— აგე! ის არის! — შენიშნა მან ბოლოს მზის გულზე მიფიცებული ჯიხვი და თოფზე დაესნატა.

არასოდეს ასე არ აფართოლებულა მარგიანის გული. არასოდეს არ უგრძენია მას ასეთი მოძალებული წყურვილი თოფის სასხლეტის გამო-საკრავად.

აქუხდა საგულდაგულოდ დამიზნებული ყირიმი, მგჯამამამესტრეს ხე-დავს ნადირობაში ხელგაუმცდარი მონადირე: დაჭრილი ჯიხვი ორწოხებს გადაახტა. თოვლზე ალისფერი კვალი დატოვა და დაელევებაში აჩრდილი-ვით გააქრა.

— დალ გამიწყრა თუ უწმინდურმა შემავლო თვალი... — მარგიანმა მძანდაფიცს ყირიმს ზიზლით დახედა და გაცოფებულმა კინალამ სიპზე გა-დანარცხა.

— გამჩენ გაგიწყრეს!

შეუუხდა ყასბულათ. ცრუმორწმუნე მონადირემ რა არ გაიფიქრა. ასე-თი შემთხვევა არ ახსოვს მარგიანს. ჭალარა მოიხარა და მსხვილფეხისთვის ჯერ არ დაუცდენია. დღეს რა ღმერთი გაუწყრა? ნუთუ თვალმა უღა-ლატა?

— იეარ ყასბულათ! ყირიმი ჯიხვს დააცდინე! — მწარედ ამოიგმინა და საწამლე გახსნა.

ხელგაწმინდებულმა თოფი სამმაგით გამორწყო და თავგადასერულ ყურბუმს კურდღლის ბეწვი დაატენა.

ყასბულათ კვლავ სისხლიან ნაკვალევს აედევნა. მისდევს ყასბულათ სისხლიან ნაკვალევს, მაგრამ მწარე ფიქრები მაინც არ ასვენებენ ნადი-რობაში ხელგაწმინდებულ გულზედად სევანს.

„ცული ნიშანია“ — წამდაუწუმ გაუელევებს მას და გაურკვეველი ში-შის ვრძნობა ისადგურებს კლდეშეუპოვარ სევანის გულში.

ყასბულათ ჭვიბრეულას ნაპირს მიადგა.

გულვახტურებულმა წყალი პეშვით დალია და უდაბურ ადგილს რომ გადახედა, უნებურ პირჯვარი გამოისახა.

დიდი ხანია ნადირობას მისდევს მარგიანი, მაგრამ ამ ორწოხებში ჯერ ფეხი არ დაუდგამს. შიში არ იცის სევანეთის ნაშიერმა, მაგრამ აქ გული გამალებით უცემს და აჭაფებული მდინარის ჩხრიალი ერთიორად ეჩვე-ნება.

შეკრთა ყასბულათ.

მან დღეს პირველად იგრძნო მარტოობით მოზღვავებული შიში და ყირიმს მეტის გულმოდგინებით ჩააფრინდა.

ჯიხვის ნაკვალევი კი თვალს იტაცებს, მონადირე ეშხზე მოპყავს და სევანს თავი რალად უნდა ცოცხალი, თუ ავარდნილ ნადირს შეაწმილდება.

ყასბულათ გზას განაგრძობს და დაკოდილ ჯიხვთან შეხვედრას ისე მოელის, როგორც მოსისხლე მტერთან უეცარ შეფეთებას.

სისხლი აღელევებს ყასბულათ მარგიანს, გაათავებებული ნადირის სის-ხლი. და ამაო ხეტიალში შუადღეც წამოიხარა.

უგზოუკვლოდ დაეხეტება მარგიანი მიუვალ ორწოხებში. რახანია სა-
მზრობას გადაცდა, მაგრამ არ იქნა, დაკოდილ ჯიხეს ვერ წამოეწია.

შიშმა შეიპყრო გულკაეი მონადირე. მთის სიღრმეში მუხლებმა გეზიც
დაკარგა და უკან დაბრუნება გადაწყვიტა. თავი მიანება სისხლბანანაკვა-
ლევს, მაგრამ ზელგაწილების თაქრა გრძნობა ვერ ჩააქრო, გული ვერ
დაიმორჩილა. დაწანწალობს გზადაბნეული ყასბულათ ვიწრო ხეობაში.
გასაეაღს ველარ პოულობს. ნაკვალევს გაპყვება, მაგრამ აღმართით სია-
ული აღარ შეუძლია. იქითობისას ნადირზე წაპარება ახალისებდა მო-
ნადირეს, შესვენებული მუხლები სიმძიმეს არ გრძნობდენ... დაღმართიც
ხელს უწყობდა ფეხის სისწრაფეს. უკან დაბრუნება კი... გაუძნელდა ყას-
ბულათს მოკვეთილი მუხლებით აღმართზე შებრძოლება.

დაიბნა მარგიანი.

სალამოს მოახლოებამ კიდევ უფრო შეაწუხა გულშეღონებული მონა-
დირე. გადასწყვიტა: დაპყვეს ქვიბრეულას ნაპირებს. დაბალი თოვლი შე-
ეხიდება დაქანცულ მუხლებს და იქნებ დღის სინათლით მიუახლოვდეს
გერგილდაშის შთას. თუ გერგილდაში გადალახა, ყოველგვარი ხიფათიც
გადალახული იქნება.

მარგიანმა სერი ჩაირბინა და უშველებელ გამოქცებულს თავს წაადგა.
ეუცხოვა, მაგრამ გულში რაღაც იმედი ჩაეწვეთა. ღამისგათევა თუ გაუ-
ელვა გზადაკარგულ მონადირეს.

ყასბულათ გამოქცებულს მიუახლოვდა, შორი-ახლო ჩაათვალიერა. თ-
თქო ძეხორციელს არ უნდა ევლოსო, მაგრამ ადამიანის ზეღოთ გათხრილი
გამოქცებული? სალოცავს წააგავს.

მიუახლოვდა.

შესავალშივე ირმის შტო შენიშნა და გული აუფანცკალდა. აგერ
დოქის ნატეხი, ეამგადასული სამუშაო იარაღი.

გაოცებული შეპყურებს ყასბულათ უხსოვარდროინდელ ხელსაწყობს
და მღვიმეში იჭვრიტება.

ბნელა.

სინესტისა და ნეხვის სუნი იგრძნობა შესავალშივე.

ყასბულათ ვერ ენდო ბნელ გამოქცებულს. ცეცხლი გააჩალა და მჟ-
გულალით სიღრმე შეათვალიერა. შევიდა მღვიმეში. ნესტიან კედლებს
ახედ-დახედა. კუთხეში თუნგს წაპკრა ფეხი და ლითონის ჩხრიალი მო-
ესმა. გაოცებული თუნგს დაწვდა და „ფული! ოქრო!“ რეტიანივით წა-
მოიძახა მარგიანმა. ოქროს ფულებით სავსე თუნგი სინათლეზე გამოიტანა.
მოახევა. უსერიდა ხელს, ერთბაშად გააეროლა: ყურს არავინ მიგდებ-
დესო.

სამნაირი ფული ეყარა თუნგში. სხედასხვა ზომისა და მოცულობის.
ზოგზე რაში ეხატა, კისერში ისარგავრილი. ზოგზე ალექსანდრე მაკედო-
ნელი — ბერძნული წარწერით: „ალექსანდროს“.

ოქრო ველარ დათვალა მარგიანმა. სიხარულით თვალი აუჭრიალდა... თავში სიციხე აუფარდა. ხელები კი მიხარწნილივით უკანყალღებს ბავჯაღლოს აკრეფას ლამობს, მაგრამ თითები აღარ ემორჩილება.

„შვილები... ვალები... ოჯახი“, ბავშვივით ლტყლტყენს ნანშიშესული მონადირე და ნაპოვნ ბავჯაღლოს სანადირო ჩანთაში ალაგებს.

ყასბულათ გამოქვაბულს აღარ შორდება. ანთებული მუგუზალით დატაატობს კუთხიდან კუთხეში და ნესტიანსა და აშშორებულ ნებეს ხელეებით ფოფრავს. განსაკუთრებით იმ ადგილს უფრო ეტანება, სადაც ოუნგი იპოვა პირველად.

დაიქანცა ყასბულათ მარგიანი. ნებეში ჩაიკეცა.

„ნუთუ სიზმარში ვარ? ნუთუ ყველაფერი ეს მოჩვენებაა?!“ — ყასბულათ თვალს აღარ უჯერის.

„ნუთუ ეს სინამდვილეა?“ — ბუტბუტებს თავისთვის.

— ამდენი ოქრო! ღერბეთ! — აბლუკუნდა ყასბულათ და თითზე იკბინა. თითი ეტკინა მონადირეს. მაშ, ყველაფერი სინამდვილეა! თუ კკუაზე შეცდა — ტკივილს როგორღა გრძნობს?

მარგიანს სული შეეხუთა და გამოქვაბულიდან გარეთ გამოვარდა. შესავალში ცეცხლი ანთია. დაბლა ჭვიბრეულა ჩვეულებრივ მიჩხრიალობს. ყასბულათ მარგიანი გაშეშებული დგას და შეხურხლულ ნაძვებს ათვალეირებს. მას უკვე სჯერა, რომ ყველაფერი ეს სინამდვილეა.

როცა ჭვიბრეულას ნაპირებიდან შუე აიკრიფა და სალამოს სუსხმა შემოპკრა, მარგიანმა ერთხელ კიდევ შეიხედა გამოქვაბულში, ცეცხლს ფიფქი წააყარა და თავრუდახვეული შინისაკენ დაიძრა.

მიდის ყასბულათ და მიწას ფებს არ აკარებს. სიხარულს საზღვარი არ უჩანს, მაგრამ მწუხარებაც რომ არ შორდება...

სევანეთში დარჩენილ ჩვეულებათა მიხედვით, ძეხორციელმა ვერ უნდა შეიტყოს სევანის სანადიროდ გასვლა. აბა განსის პოვნასა და ნაპოვნის შინწამოღებაზე ხმას ვინ დასძრავს?! ცოლშვილიც კი ვერაფერს გაიგებს ნაპოვნის შესახებ.

ასეთია სევანების ზნეჩვეულება და მამა-პაპის გზას ყასბულათ როგორ გადაუხვევს?

რაბანია დაღამდა.

ჭანცმიზილი ყასბულათ შინისკენ მიიჩქარის. თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებს.

„ვთუ რომ შემიტყონ ოქროს პოვნა და დადეშქელიანმა წილი მიმთხოვოს! წილს ვინღა სჩივის, იქნება სულ წამართვას და ჭურღობაც შემომწამოს. სისულელეა! აბა საიდან უნდა შეიტყონ? ვალებს გავისტუმრებ... შვილებს დავისნნი... რომ დაეკვდენ? უცხო ფული რომ გამოიძიონ?“

ფიქრები არ ასვენებს ყასბულათს.

შეუმჩნევლად მიუახლოვდა ფარის საზოგადოებას. აქაურიც ყასბულათ. ზოფელ ლახმუნდიდან.

ფარში ცხოვრობს სვანეთის მთავარი ციოყ და დეშქელიანიც. ყასბულათ ეზოს უახლოვდება. ფეხაკრეფით შეიბარა... თუ ვინღა თოფი კაჩხაზე ჩამოკიდა.

„სძინავთ“.

მარჯიანმა კვარი ანთო და ბოსელში შეძვრა. ტყაბუქებში შეხვეული ოქრო თივაში გადაშალა. გვიან ივანშმა და ჭურჭებში გაეხვია.

არ ეძინება დაქანცულ ყასბულათს. თვალებს ძალად ხუჭავს, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარება. სახლში შუაკეცხლი გიზგიზებს. ბავაზე ძროხა იცოხნის და შეწრიალებულ ყასბულათს მოსვენებას არ აძლევს.

გათენებისას ჩაეძინა ყასბულათს. ძილში მშვენიერი სიზმრები ნახა მეორე დღეს მზიარულ გუნებაზე რომ გაეღვიძა, ცოლმა ყვედრებით მიამახა: ისე მზიარულად ხარ, თითქო სადადეშქელიანო შენი იყოსო.

ზმორებითა და წოდინით წამოღდა ყასბულათ მარჯიანი. ახალახის აშარა ყირიშს დაწვდა, მიუალერსა და ასმათის დაცინევას ყურიც არ ათხოვა ბედნიერი შემთხვევით წახალისებულმა მონადირემ.

— აღარ გამოხვალ?! — ველარ მოითმინა გაკაპასებულმა ასმათმა.

— ნანე, პური შინდა!

ტირილით შეეგება ასმათს შეიდი წლის გივერგილა და კაბის კალთაზე შემოეხვია.

— გამჩენ გაგიწყრეს!

წაპკრა მუჯღუგუნე ასმათმა ჩიყვიან გივერგილას და ისედაც პოპორჩამოშვებული ბავშვი კედელს მიანარცხა. გივერგილამ ღრიალი მორთო. ყასბულათ აიღეწა.

დაელვებაში თოფი კაჩხაზე ჩამოკიდა და ბრაზმორეული ასმათისკენ შეტრიალდა.

— რა მოხდა, ადამიანო!

ძლიეს მოიბრუნა სული ყასბულათმა.

— მურზა ჩხეტიანის ოჯახში შავი ქირი გაჩენილა, — აღარ დააყოვნა ასმათმა და ატრებულ გივერგილას თავზე ხელი მოუსვა. — რა გვეშველება?

— შავი ქირი... შავი ქირი... — დაება ენა ყასბულათს საშიშარი სენის გაგონებაზე.

სახლში სოხარი შემოიჭრა.

— ნენე, ბიმურაზა აფრასიძე შავ ქირს მოუკლავს... გელა ჩარკვიანის ოჯახი ამოწყვეტილა.

— ლერბეთ! დაილოცა შენი სამართალი! — გამოისახა პირველარი ყასბულათმა და მუხლებმოკვეთილი ეზოში გავიდა.

სოფლებიდან ნელქარს მოჰქონდა გულშემზარავი წივილ-ჭივილი და შეწრიალებული მოსახლეობა თავშესაფარს ველარ პოფლოვში.

2. ყასბულათ მიხმეთ!

გაქონებული
ხეივანი

შავი ქირი მძვინვარებს სენანთში.

ჩუბუხე-ფარის მთავრის ოჯახი თავზარდაცემულია. ციოყ და დემეტრე-ლიანის უეცარი სიკვდილით სასახლე ძაძებში გახვეულა. მოთქვამენ და გოდებენ მთავრის უდროო გარდაცვალებას.

ციოყის დედა — მოხუცი დიგორხან სასომიხილი გამოიყურება. შვილი დაჰკარგა დიგორხანმა. შვილიშვილებსაც ეს დღე მოელის. რა ჰქნას უმწეო დიგორხანმა? ვის სთხოვოს შველა და შეწყალება, როცა ეცერ-ცხუმარის მთავარი თათარყან მოსისხლე მტერია ციოყ და დემეტრე ლიანის ოჯახისა და დიდი ხანია მის სამფლობელოზე შურის თვალი უჭირავს. შავი ქირით დაზაფრული შინაყმები ხიზნობაში ხედავენ გამოსაველს, მაგრამ საეჭვო ლტოლვილთ ვინ შეიფარებს?!

მოთქვამს დიგორხან თავის დღესა და მოსწრებას. განუწყვეტლივ ცრემლებში იხრება. აქეთ — თავხედი თათარყან, გულზეიადი და სისხლმოყვარე. ცალკე შავი ქირი და უბატრონოდ დარჩენილი მთავრის სასახლე.

რა ჰქნას დიგორხანმა, როცა მთელი სენანთი სამარის კარზეა მისული და ყოველი ოჯახი ძაძით იმოსება. ყოველ სისხამ გათენებას საზარელი ამბავი მოაქვს, ამაზრზენი და დამაფიქრებელი.

— ყასბულათ მიხმეთ — ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ბრძანა დიგორხანმა და გულშეუბოვარ მონადირესთან კარისკაცი აფრინა.

ლახვარივით მოხვდა ყასბულათს სასახლეში ხმობის ამბავი და ოდნავ შეუყოყმანდა. გეახლებითო, ვაატანა პასუხი მოგზავენილ კარისკაცს.

ჩაფიქრდა ყასბულათ მარგიანი.


„რაზე მიხმობენ? ნუთუ ყველაფერი გამოიმკლავნდა და შავქირთან ერთად სხვა რამ უბედურებაც უთვალთვალეებს წაბორძიკებულ ჩემს ოჯახს?! ნუთუ აქაც ბედმა მიმუხთლა და აშკარა სინამდვილე სიზმრად გადაამეტყვარ მივცემ... ცოცხალის თავით არავეის დაეუთმობ“... — იმტკრება ყასბულათ და ანთებულ თვალებიდან ჩინჩხლები სცვივა.

მიდის ყასბულათ სასახლისაკენ და ფეხი უკან რჩება.

„გადაეფიცავ... ვიუარებ... ძალას დამატანენ? არ ვიტყვი, არა... არ გამოვტყდები, მაინც არ გამოვტყდები“...

ყასბულათ სასახლის კარს უახლოვდება. ათასგვარი ფიქრი მეტყველებს დაქვემდებარულ მონადირის გულში. მას უკვე აღარაფერი ესმის. თვალები გახელილი აქვს, მაგრამ თითქმის არაფერს ხედავს. ალაყაფის კარს ისე გაუსწორდა, თოფიანი მცველები ვერ შენიშნა.

მცველები სასახლეს დარაჯობენ და უნიბარტვოდ არავეის უშვებენ. „რა ამბავია?“



შეჩქეფდა ყასბულათ და უკან გაბრუნება დააპირა.

„ღარაჯებს რა უნდა სასახლის კართან?.. შეიარაღებულ ღირაჯებს?! წინათ რომ ასე არ იყო?! ბახსანები ხომ არ შემოიპარენ? ნამდვილად ომის სამზადისია“.

ავტო შეინაყმები შეკრებილან და ხმამაღლა ჩოჩქოლობენ. ეჯობს შე-სასვლელ ნებართვას სთხოვენ, მაგრამ მათ თხოვნას ყურს არაღვინ უგდებს. ყასბულათ ნაცნობებს მიესალმა და ალაყაფის კარს ჯიჭურ მიაღგა.

ნეტა მასაც შეაჩერებდნენ მცველები. უსიტყვოდ უკან გაისტუმრებდნენ. ყასბულათის სიხარულს საზღვარი არ ექნება. საგონებელში ჩავარდნილი მონადირე იოლად აცდება მთავრინასთან შეხვედრასა და მასთან მოსა-ლოდნელ ცხარე საუბარს, შეიძლება სასტიკ სასჯელსაც. გაქცევა რომ მოინდომოს? კარის მცველები ჩიტსაც არ დააცდენენ კაყიან ყირიმს და რალა მარგიანს გაუღიმებს ბედი შემთხვევით გადარჩენის. მართალია, ჯიხვს დააცდინა მარგიანმა, დააცდინა და სრულიად უმიზეზოდ, მაგრამ რა ბედენაა ასეთ ულიმამო იმედებზე ბედის დამყარება.

ფიქრები არ ასვენებენ ყასბულათს. მას აღარ ესმის უკმაყოფილო სვა-ნების ყაყანი. ხალხს ხედავს მონადირე, მათ ნერვიულ მოძრაობას თვალს აღევნებს, მაგრამ მათი ჩოჩქოლი და ხმაურობა აღარ აფხიზლებს საკუ-თარი ჭირვარამით გონებაშეკრულსა და თავდავიწყებულს.

მარგიანმა უხმოდ ჩაუარა კარის მცველებს და ეზოში შევიდა. ათიოდ ნაბიჯი რომ გადადგა, უკან მიიხედა. არ შეაჩერეს ყასბულათ მარგიანი, არც არაფერი ჰკითხეს. კარის მცველებმა.

„დავიღუპე! ალბათ ყველაფერი იციან და მცველები გაფრთხილებუ-ლი ჰყავთ. ეზოში შესულს რალა მეშველება!“

ყასბულათ შეჩერდა. მალალ ყორეს თვალი შეავლო და სატევარს ტარ-ში ჩააფრინდა.

„გაბრუნდე უკან? რომ აღარ გამიშვან!“

მარგიანმა კვლავ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და შეყოყმანებული ფიქ-რებს აედევნა: „მოდო გავიქცევი და თავს დავალწეე მოსალოდნელ უბე-ღურებას, ან მომკლავენ და ყველაფერი გათავდება. შეილები?! ოჯახი?! არა, სჯობს მოვუსმინო მოხუც მთავრინას და თუ გაქცევაზე მიდგა საქმე-გაქცევას შემდეგაც მოვახერხებ“.

ყასბულათ სასახლის აივანზე აიმართა და შესაგებებლად გამოსულ სახლთუხუცესს მოწიწებით თავი დაუკრა.

შეიპატიყეს ყასბულათ ხანდაზმულ მთავრინასთან. ყურმოჭრილ შინა-ყმას ოქრომკედით ნაკერი სავარძელიც კი შესთავაზეს.

— დაჯექი, კეთილო ყასბულათ, ღმერთი იყოს შენი შემწე! — შეაგება დიგორხანმა და მარგიანს სავარძელზე ანიშნა.

— თქვენი წყალობა ნუ მოგვაკლოს; დიდო ქალბატონო! — მოწიწუ-ბით დაუკრა თავი ყასბულათმა და სავარძლის შორი-აბლო დადგა. წელზე

დონიჯი შემოიღვა და დადემეტელიანის საჭურველ სამკაულს ჯერდულად გადახედა.

სიათა მოეწონა ყასბულათს. ქართული ხმალის ელგებრებამ თვალი მოსკრა. არც დამბაჩებზე იტყვის უარს იარაღის შეძენაზე და გაცივებული მონადირე.

მარგიანმა დაბლა დაიხედა და, როცა შენიშნა, რომ ნოხზე იდგა, უკან დაიხია.

სახლთუცესს გაეცინა. მარგიანს მხარზე ხელი დაჰკრა და ხელმეორედ საეარძელი შესთავაზა.

— მისმინე, კეთილო ყასბულათ! — პირდაპირ დაიწყო დიგორხანმა, მძიმედ ამოიოხრა და ხანდაზმულობით ჩათუთქული თვალები ცრემლებით შეეტბორა.

მარგიანი წელში გასწორდა, ხელები დაუშვა და მორჩილების ნიშნად ქედი მოიხარა.

მძიმე იყო ეს წუთები დიგორხანისთვის. კიდევ უფრო მძიმე და ბუნდოვანი შეიქნა ის მონადირე სევანისთვის. ყასბულათს ერთხელ კიდევ მოაგონდა ჭვიბრეულას ნაპირზე გამოქცეაბულში ნაპოვნი ოქრო და ქირის ოფლმა დაასხა. მოღიმარ სახლთუხუცესს გადახედა, მაგრამ არ იქნა დაეჭვებას მაინც ვერ მოერია. არც დიგორხან გამოიყურება მტრულგანწყობილი თვალებით. „კეთილო ყასბულათ“, — პირველად ესმის ყურმოკრილ შინაყმას. პირველად იხმეს მარგიანი მთავრის სასახლეში და საეარძელიც შესთავაზეს, მაგრამ უფლებადაყრილ შინაყმას მაინც არ სჯერა სინამდვილე. მოღიმარ სახლთუხუცესის უკან თოფიანი დარაჯები ელანდება.

დიგორხან თითქო განგებ აჭიანურებდა მონადირე სევანის სასახლეში ხმობის მიზეზის გამოაშკარაებას და მოთმინებადაკარგული ყასბულათ მოლოდინში ჭკუას კარგავდა.

— ლეთის რისხვა დაგვატყდა სევანებს თავზე... — დაიწყო დიგორხანმა. — შავი ქირი განადგურებით გვემუჭრება. ჩვენი ქვეყნის ხელმოკლეობასა და საერთო გასაჭირს შავი სახადიც წამოემატა... და ღმერთმა იცის, თუ რა მოგველის.

დიგორხანმა მწარედ ამოიოხრა. ქედმოხრილ შინაყმას ლმობიერი თვალით შეხედა და აცახცახებული ხელებით კრიალოსანი გადათვალა.

ყასბულათს ცოტათი გულზე მოეშვა. მან თითქო წინასწარ იგრძნო, რომ ნაპოვნი ოქროს ჯერჯერობით საფრთხე არ მოელოდა და ახლა მეტის გამბედაობით შეხედა კედლის ნოხზე ჩამოკიდებულ სანადირო იარაღს და ფუთა დადემეტელიანის ნატარებ სატევარს.

ლარტყასავით ეკიდა კედელზე ალაბნახევრიანი სატევარი. ზოგიერთ ვაყვაცს დღეს მისი აწევაც გაუძნელდებოდა. მოქნევასა და თავისუფალ ხმარებას კი ციოყის უფროსი ვაჟის, მურზაყანის მეტი ვერვინ ბედავდა. მურზაყან გვარშიც კი გამოირჩეოდა ძვალმსხვილობითა და ახოვანობით.

ამიტომ ბებია დიგორხანს სხვა საზრუნავი აღარაფერი დარჩენიდა, რითიმე მიშველემოდა ობლად დარჩენილ უფლისწულებს და შვევ კირის ჩაცხრობამდე სადმე ჩაეკეტა.

ამიტომ ახსენა მთავრინამ შავი კირი და ამიტომ მარგიანს მოწყალე თვალით. სახლთხუცესს გაუკვირდა დიგორხანის თავმდაბლობა და თხოვნის კილო. სვანეთის მთავრის ოჯახი დაჩვეული არ არის შინაყმებთან მუსაიფსა და შესიტყვება-შელაპარაკებას, მაგრამ მთავრინა კარგად ხედავს სასახლის მდგომარეობას... მთავრის უდროო გარდაცვალებას, თათარყან დადგშქელიანის მოსიხსლეობას... შვე-კირსა და ქვეყნის საერთო უბედურებას... დღეს ბრძანებით რას გახდება დიგორხან?.. უადგილო მუჭარა. თათარყანს მომხრეებს გაუჩენს და მაშინ ხომ უფრო იოლად გაინაღლებს ეცერ-ცხუმარის მთავარი თათარყან თავის დიდი ხნის სურვილსა და მისწრაფებას: ჩუბეხევს ხელში ჩაიგდებს და დაეპატრონება.

— მისმინე, კეთილო ყასბულათ!

— მიმსახურე, დიდო ქალბატონო! ციოყ დადგშქელიანის ერთგული შინაყმა ბატონის ამგს ასე ადვილ არ დაივიწყებს, — იცრუა მარგიანმა.

— კეთილად დაგაბეროს შენმა გამჩენმა... რაღა შორს წავიდე... სწორედ რომ საშველად გიხმე, ჩემო ერთგულო! დაგვიხსენ განსაცდელისგან...

— გვიბრძანე, დიდო ქალბატონო!

— ჩემს თავს არ ვტირი, ღმერთმა იცოდეს... უფლისწულები მებრალეა და მათი შიში მოსვენებას აღარ მაძლევს. გაგვიმართე ხელი, ჩემო ერთგულო ყასბულათ. დაგვეხმარე დამწუხრებულ ოჯახს და სამაგიეროდ ჩვენც გვიმსახურე.

— აბა რას ბრძანებთ, დიდო ქალბატონო! — განგებ შეაწყვეტინა მარგიანმა და ხანდაზმულ მთავრინას შეტბორილ თვალებში შეხედა.

— რაც საბატონო გადასახალი ირიცხება შენზე, მიპატიებია. ამიერიდან, ათი წლით განმითავისუფლებიხარ სამთავრო გადასახადებისაგან... ოლონდ...

— თქვენი წყალობა ნუ მოგვეშალოს, დიდო ქალბატონო! — ჩაუროთო მარგიანმა და სმუნად გადაიქცა.

— ოლონდ დაგვიხსენ ამ განსაცდელისგან და უფლისწულები მაინც ამიციდინე შავი სახადის საშიშროებას.

— მზად ვარ, გემსახუროთ, დიდო ქალბატონო!

— გმადლობ, კეთილო ყასბულათ! ღმერთი იყოს შენი შემწე. გწყალობდეს დალი ნადირობისას და მაღალი თვეთნულდ მდარველობდეს შენს წმინდა ოჯახს. ჩემიანად გთვლიდი, შენი ერთგულება მჯეროდა, თორემ არც კი გიხმობდი.

— მიბრძანე, დიდო ქალბატონო! მზად ვარ თქვენი ოჯახის სამსახურისთვის! — წათამამდა ყასბულათ და გახარებული, რომ ასე ადვილად გადარჩა განსაცდელს, არავითარ სიძნელეს აღარ შეუშინდა.

— უფლისწულები აფხაზეთს უნდა გადამიხიზნო... ძნელი საქმეა... სახიფათო და თავგასაწირავი, მაგრამ ხომ მოგახსენე, ჩემიანად გთვლი, გული მომერჩის და გენდობი მეთქი... ვიცი ბევრი მოსესტევე ყველავე ეცერცხუმარის საზოგადოებაში, სადადიანო სვანეთშიაც... გზებში... მუხტეწროა... გაგიძნელდება, მაგრამ სხვა გამოსავალს არ ვხედავ უმწეო მოხუცი და ნუ შემასწრებ უფლისწულების უბედურებას...

— მზად ვარ სამსახურისთვის! — უყუყუანოდ დაეთანხმა მარჯიანი და დაღვრემილ სახლთუხუცესს მიაშტერდა.

— გწყალობდეს წმინდა გივარგი! — გამოსახა პირჯვარი სახლთუხუცესმა.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი! — დაუმატა დიგორხანმა და ჩაცვივნილი თვალები გაუბრწყინდა.

— ბებია დიგორხან! — შემოიბრინა სასტუმრო დარბაზში უფლისწულმა თენგიზმა და მონადირე სვანის დანახვაზე უკან დაიხია. ტყაბუქიანი მონადირე ეუცხოვა განუბივრებულ უფლისწულს და ბედურასავით აიფხორა. შორიდან მოუარა თენგიზმა ყასბულათს, კრუტი თვალები დაბლა დაუშვა და ბებიას გვერდით აიტრუნა.

მემკვიდრე მურზაყან აივანზე იჯდა და ფიჭვებში წასულს ნანასავით ესმოდა შფოთიანი ენგურის გულშემზარავი გრუხუნი.

თვალადი იყო ჩუბეხევის მთავრის მემკვიდრე. უზომოდ მაღალი და მხარბუჭიანიერი. ქერა ხუჭუქის ტევრი ნაწილობრივ ფარავდა ვანიერ შუბლს და ნისლში გადატეხილ მზის მკრთალ სხივებზე აბრეშუმივით ხამხამებდა...

თენგიზ მურზაყანისკენ გაეჭანა. თეთრი ჩოხის კალთაზე წაეპოტიანა და გათამაშება მოუნდომა, მაგრამ მურზაყან დინჯად წამოდგა სკამლოგინიდან, თენგიზს გვერდი აუქცია და ხმამაღულღებლივ მთავრინასთან შევიდა.

ბებია დიგორხანმა მხოლოდ ახლა გაუმედავნა უფლისწულებს თავისი გადაწყვეტილება მათი აფხაზეთს გადახიზვნის შესახებ. თითქო მდღლარე გადაასხესო, ყმაწვილები ერთბაშად უგუნებოდ შეიჭნენ. მეტად დამწუხრდა მემკვიდრე მურზაყან, რომელსაც სვანეთს განშორება სიზმარშიაც ვერ წარმოედგინა და — დახე ბედის უკულმა ტრიალს! — თუმცა დროებით, მაგრამ მაინც უნდა გამოთხოვებოდა საყვარელ სვანეთის ჯადოსნურ მიღამოებს.

3. ცეცხლი, ცეცხლი!

ჩუბეხევის მთავრის სასახლეს მცველები დარაჯობენ. ალაყაფის კარა გამოკეტილია. ეზოს ძაღლები გამუდმებით ფხიზლობენ და ბღეზიანი ყუფით იკლებენ ძაძაში გახვეულ სასახლის წიღამოებს. ბნელა.

მწუხრი ჩაწოლილა ენგურის ხეობაში. მთის კალთებს წასწარბია. წასწინებია გატანჯულ სოფლებს, მაგრამ ენგურის ცოფიანი ღრიალი, ძილშიაც აფრთხობს შავი ქირით დაზაფრულ მოსახლეობას.

ენგურის შფოთიანი კენესა და ქოთქოთი ქირისუცხლებს უფრო წააგავს, მაღლა სერებიდან გადმოტყორცნილ უეცარ შეცხადებას. სვანის ყურთასმენა ბავშვობიდანვე შეეზარდა ენგურის ხმიანობას, მაგრამ შავი ქირის გამოტირილი ვერ იქნა ვერ მოათავა... რაც დრო მიდის, სახადი ვრცელდება, ყოველ გათენებას ახალი რისხვა მოსდევს, ახალი გლოვა და გულისტკივილი.

ცალკე შავი ქამი იმუჭრება, ცალკე შიმშილი და ხელმოკლეობა. თათარყან დადემშქელიანის სასახლეში რაღაც წრილია. ფერმკრთალი სანათურები ციციანთელებივით გაიელვებენ უკუნ სივრცეში და ისევ ქრებიან.

ბნელა, მაგრამ სასახლის თეთრად შეფეთქილი კედლები თვალს ეკიდება და ასევე თეთრი მაღალი ციხე-კოშკები დარაჯებივით დარაზმულან მოტიტვლებული სოფლების სიღრმეში.

გოროზი თათარყან ბოხი ხმით უწყრება სახლთუხუცესს და თავშეყრის თადარიგს უწყუნებს. შესიტყვებას ვერეინ უბედავს, მაგრამ გაბოროტებული მთავარი რისხვას მაინც ვერ იშვარებს.

ეზოში თავშეყრილი შინაყმები ხმაგაკმენდილი უსმენენ მრისხანე მთავრის თავაწყვეტილ შფოთვას და დაუმსახურებელ ლანძღვა-მუქარას.

მთავრის სასახლე საომარ განწყობილებაშია. თვითონ თათარყანს მხრებს უმშვენებს რუს-ხელმწიფის ნაბიძგები გენერალ-მაიორის ჩინ-ებოლეტები. მეოთხე ხარისხის გიორგის ჯვარი... ქართული ხმალი და ფალია-გასინჯული დამბაჩა.

კარგა ხანია, თათარყანმა, ჩუბხევის მთავრის ციოყ დადემშქელიანის ჯიბრზე, სურვილი განაცხადა რუსეთის ქვეშევრდომობაზე და სამაგიეროდ იმპერატორმა მაიორის ჩინი და აჭაყლებანტებით შემკობილი რუხი მაზარა უწყალობა. თათარყანს მაზარა არაფრად ებიტნავა, მაგრამ სვანეთის მთავრად ვახლომის სურვილი მას დიდი ხანია აწვალებდა და რადგან აჭამდე ციოყ დადემშქელიანის ძღვევამოსილება ელობებოდა წინ... აღსრულდა. ციოყ გარდაიცვალა და მხოლოდ ახლა თუ შეიძლებოდა მოსაზღვრე სამთავროს ხელში ჩაგდება, საზღვრების გადალაბვა და სვანეთის სამთავროს დაბატონება.

დრო შესაფერი იყო, და თათარყანიც დაფაცურდა ძველთაძველ ნატურის გასანადღებლად.

ხმაურობა მინელდა.

სინათლე ჩააქრეს. თათარყანის სასახლის ამაღლა მსუბუქი ნაბიჯით დაიძრა ადგილიდან და ჩუბხევის მთავრის სასახლისკენ გაემართა.

სიწყნარე გამეფებულა წათელემილ მიდამოებში.

სადღაც შორს მიკიოტი ჭყვივის. ძაღლებიც აღარ ფხიზლობენ. სძინავთ ჩუბუბუების მთავრის სასახლის მცველებსაც.

მთავრინა დიგორხანმა ილოცა, უფლისწულები ღმერთს შეაფედრა და დაცარიელებული სასახლის ერთ ოთახში მოისვენა. *შეგლომისეა* დაწვა, მაგრამ ფიჭვებს თავი ველარ გაართვა. თვალი მიხუტა, მაგრამ საშიშარი სიზმრები ეზმანა ჯერ კიდევ ფხიზელსა და დაუძინებელს.

წამოდგა დიგორხან. კარისკაცები გააფრთხილა. უფლისწულების ოთახებში შეიხედა. საწოლებზე რომ ვერაეინ შენიშნა, გული გაუთანაღრდა. მუხლთ მოიყარა დიგორხანმა, ღმერთს შეევედრა.

— ღმერთო დიდებულო! — უკანასკნელად გამოისახა პირჯვარა დიგორხანმა და საბანში გაეხვია.

ეზოში ძაღლებმა წაითარეს. ალაყაფისკენ გაემართენ და ისევ დადუმდნენ.

ფეხაკრფით უახლოვდებიან ციოცის სასახლეს. მაღალ ყორეს მოფარებულნი დარაჯებს ათვალთვალბენ.

ბნელა.

არაფრის გარჩევა აღარ შეიძლება ამ უკუნეთ ღამეში.

ეპარებიან.

ხმას არაეინ იღებს. ფხიზელი ყური ფაჩუნსა და მაღალ სულისთქმას თუ გაიგონებს.

აგერ, რომელიღაც მიმხდურმა ჯალანგარს წამოჰკრა ფეხი და მოულოდნელი ხმაურობა გრგვინვად ჩაიძირა ხმაგაკმენდილ სივრცეში.

ხმაურობაზე კვლავ წამოიშალენ ეზოს ძაღლები და თავგამეტებით ეძგერენ ეზოს მაღალ ყორეს.

თვალეები გაახილეს მცველებმაც. ერთმანეთს სანიშნო გადასძახეს და ისევ წასთვლიმეს.

ძაღლები არ ცხრებიან. მათ რაღაც აისუნთქეს და ყბას აღარ აჩერებენ, ხან სად მიასხავებენ და ხან სად.

ბოროტგამზრახველნი ალაყაფის კარს მიუახლოვდნენ და წათვლემილ დარაჯებს თავს წაადგენ.

— ვინ ხარ? — ბურანში წამოიძახა მსუბუქი ხმაურობით შემფოთებულმა მცველმა და ფეხზე წამოიჭრა. პასუხად თოფმა იჭექა და განგმირული დარაჯი უხმოდ დაეცა ალაყაფის კართან.

— დაგვენბდით! — აჭუხდა მრისხანე თათარყან და თოფებმაც იგრი-ალეს.

სასახლის მცველნი გონს ველარ მოვიდნენ. ბურანში გახვეულებმა თავდაცვაც ველარ მოახერხეს.

თათარყანის ამალამ დაეღვებაში შეარღვია ალაყაფის კარი და სასახლეს ალყა შემოარტყა.

ღვთის რისხვას წააგავდა უმთავრო ღამეში მოულოდნელი თავდასხმა, დაუზოგავი ზოცვა-ელეტა და თავგამეტებით მოქნეული ცივი იარაღის ელერა-წკარუნი.

— აღსრულდა! — საცოდავად დაიკნავლა მოხუცმა მთავარმა და ლოგინიდან წამოვარდა.

— ცეცხლი! ცეცხლი სასახლეს! — ჩაეწვეთა ყურში თავზარდაცემულ დიგორხანს გააღმასებული თათარყანის შემზარავი ხმა.

— ის არის!.. აღსრულდა... ბეჭირბი! ბიმურზა! — აწრიალდა მოხუცი და შალწამოსხმული საცვლების ამარა შევარდა მეზობელ ოთახში.

ფერწასული სახლთხუცესი შემოეგება დიგორხანს. კარის-კაცებმაც შემოირბინეს, მაგრამ... სანუგეშო სიტყვა ვერც ერთს ვერ მოუხერხებია.

— ცეცხლი!

მეორედ დასტყვილა თათარყანმა და სასახლის მსახურებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ უღმობელი ცეცხლის ალი დაიკლაკნა შეკუპრულ სივრცეში.

ოთხე კუთხეში დაენტოთ ცეცხლი თავდამსხმელებს. უშველებელი ბოსელი და სხვა ნადგამობა უღმობელ ხანძარში გახვეულიყო. იწვოდა თივა, იწვოდა ხის მასალა და ოჯახის ალაფი. კარგამოკეტილი პირუტყვი გულშემზარავად ბლიოდა. უმოწყალოდ ნადგურდებოდა კაცის ხელის ნაამაგარი.

კოკონი ენთო ჩუბეხევის მთავარის ეზოში. ცეცხლის ალი მახლობელი მთის მწვერვალებს ეჯიბრებოდა სიმალღეში.

ხანძარი მიწვდა უზარმაზარ საგვარეულო ცაცხეს, რომლის ძირში ზაფხულობით განცხრომით ისხდნენ ხოლმე დაღეშქელიანები და შინაყმებს ასამართლებდნენ.

საერთო ღრიანცელსა და ხანძრის გუგუნში ისმოდა სასომიზდილთა წივილ-კივილი... „მიშველეო“, — ყვიროდნ ჩაკეტილი სასახლის შიგნიდან. მაგრამ მშველელი არსაით ჩანდა.

გააფთრებულ თათარყანს ვინ შეებრძოლებოდა. ვინ გაიმეტებდა თავს ფუძემერყეული მთავრის ოჯახის დასახმარებლად. შორიდან უცქერდნ ფარელი სვანები დიდი ბატონის ეზოში დატრიალებულ უბედურებას.

— რა სასახლე გადაიწვა!?

— რა დრო შეურჩია?

— რახანია თათარყან დაღეშქელიანი კბილებს იღვსავდა ციოყის სა-მთავროზე და... გაინაღდა კიდევ.

— არც მურზაყანი და მისი ძმები დააყრიან სიკეთეს.

— თუ ამოწყვიტა?

ხმაურობა მატულობს.

ახლა უფრო გარკვევით ისმის უმწეოთა წივილ-კვილი. მძინეარებს ცეცხლი და ყომრალ კვამლში ირუჯება თეთრად შეფეთქილი სასახლის ციხე-კოშკები.

მარტინული

— გაელიტეთ უფლისწულები! — ბრდღენინავს გაფხულებულმა თათარყან და გადაკაშკაშებულ ეზოს თვალს არ აშორებს. დარაჯები დგანან სასახლის ტყრუშულის ირგვლივ, მაგრამ უნდობლობაში შეჭლარავებული მთავარი საკუთარ თვალსაც აღარ ენდობა. ყველგან ლალატი ელანდება, თვითონ ცბიერსა და შოღალატეს.

— სინსილა! სინსილა! — ჭიხენებს თათარყან და აღმოდებულ ოთახებში დათარეშობს.

კვამლი აწუხებს და დედუქელიანს... ცეცხლი ჩანთქვას უპირებს, მაგრამ ის მაინც თავდავიწყებით დაეხეტება სასახლის დარბაზებსა და სამოახლო ოთახებში... დაეძებს უფლისწულებს... დაეძებს მემკვიდრე მურზაყანს. თათარყანის ძმისწულს, ციოყ და დედუქელიანს, თავის მკვიდრ ბიძასთან ბრძოლაში ამოხდა სული... თათარყან უკეთეს დროს როდისღა უხელთებს ძველი ანგარიშების გასანადგებლად, უფლისწულების გასაელეტად. სამთავროს ხელში ჩასაგდებად.

— სად ხართ, გველის წიწილებო, სად? — დაიღრიალა იმედგაცრუებულმა თათარყანმა და ელვარე ხმლით ეზოში გამოვარდა.

დარაჯნი თავიანთ ადგილას იდგნენ. გაღავენს ამაღა უთვალთვალებდა.

არწივის თვალი გადააელო თათარყანმა იჭაურობას. შეტრიალდა და: კოშკს, კოშკს დასცხეთო. დასქყიელა იმედმოცემულმა.

შიადგენ კოშკის კარებს.

ჩაკეტილია.

— დასცხეთ! — ატრიალებს ხმალს გამძვინვარებულა ჯალათი და კოშკის სათოფურებს აკვირდება.

ესმის დიგორხანს თათარყანის გულშემზარავი ყოჩინა. ესმის კოშკის კარებზე ნაჯახის ჩახა-ჩუხი, ხედავს ცეცხლს, რომელიც საცაა კოშკსაც ჩაყლაპავს და... „მადლობა უფალს... — ამოიგმინა გულწასულმა მოხუცმა. — რაკი უფლისწულებს საფრთხე აეცდინენ... აწ განმიტყვე ყოვლად ძლიერო“.

გული წამდაუწუმ უღონდება ხანდაზმულ მთავრინას. აკანკალებულ ნერვებს ვეღარ იმაგრებს. სად გაიქცეს მოხუცი დიგორხან, როცა იგი კვერნასავით შეამწყვდის კოშკის წვერზე და კვამლით უპირებენ გამოხრჩობას. არც შინაყმები, არც მსახურნი, აღარც სხვა ვინმე მოსარჩლე და იმედის მომცემი.

დიგორ ხან კოშკის მწვერვალზეა.

ბეცი თვალებით ზომავს მოხუცი კოშკის სიმაღლეს და გადახტომას ლამობს.

ცეცხლი აწვება კოშკის კედლებს, კვამლი სუნთქვას აძნელებს და მეტის ატანა შეუძლებელია.

დიგორხანმა უკანასკნელად აღაპყრო ზეცას ხელები, უფლისწულები ღმერთსა და თვეთნულდს შეავედრა. ლოცვა სთქვა და კოშკიდან გადასახტომად შეემზადა.

— მომეციო ბუმბულები! მომეციო ბალიშები, საბნები, ლეიბები! — ხრიალებს დიგორხან და ქვესაგებს დაბლა ჰყრის. გორაკად დადგა გადმოყრილი ქვესაგები, ბალიშები, ზესახურავი. დიგორხანმა ანთებული თვლებით ჩახედა კოშკის ძირს, სახლთხუცესს უანდერძა: უფლისწულებს და დარეჯანს გაბარებო, ისკუბა და გადახტა.

ბუმბულივით დაეშვა მოხუცი ცარიელ სივრცეში. ნაოჭიანი კაბა ჯერ ჭოლგასავით გაიშალა, მაგრამ ადამიანის სიმძიმეს ველარ გაუძლო, ზევით აიკეცა და ალაღბედზე გადამხტარი მოხუცი ბუმბულებს დაენარცხა.

— მურზაყან, ღმერთი იყოს შენი შემწე!.. — ამოახრიალა ძვალრბილ-გაშორებულმა მოხუცმა და თვალები გადაათეთრა.

შეანგრიეს კოშკის კარები. შიგ მომწყვედეული სასახლის მსახურნი კოშკის მწვერვალზე აიჭრენ.

მათ დაედევნენ თათარყანის მხლებელნი.

გადახტა სახლთხუცესი. მას მიჰყვა მოლარეთუხუცესი და რამდენიმე სეფე-ქალი.

გადასახტომად მოემზადა დიგორხანის დისწული დარეჯანიც, მაგრამ თათარყანმა თვალი შეავლო თავგანწირულ ქალს, რაღაც ადამიანურმა გაიღვიძა მის გულში... სტაცა ხელი და აწივლებული დარეჯანი ფეხებისა და ხელების საესავით ეზოსკენ გააქანა.

— არსად გაიქცეს, უთვალთვალეთ! — ბრძანა თათარყანმა და კოშკიდან გატრიალდა.

„ნუთუ გადამირჩენ?! ნუთუ მიიმალენ?!“ — ფიქრობს თათარყან და აკვესებული თვალებით დაიძებს უფლისწულებს.

გასწყვიტეს სასახლის მკველები. ამოვლიტეს მსახურნი და კარისკაცები. სასახლე ნაცარტუტად აქციეს, მაგრამ უფლისწულები?

შეწუხდა თათარყან.

— ამდენი სისხლი რისთვის დაიღვარა, თუ გველის წიწილები. ცოცხლები დარჩებოდნენ! მიხრწნილი დიგორხან ვის რა ჯანდაბათ უნდოდა! შალლაპ! — მაჰმადის რჯულზე დიგომინა გამხეცებულმა თათარყანმა და ცეცხლმოდებულ კოშკს შემოურბინა. — არ სჩანან... გაიქცენ? როდის? რანაირად?

ახლა ხელქვეითებს მიუბრუნდა თათარყან. უფლისწულები მოიკითხა.

— არ გახლავან, დიღო ბატონო! — გაბედა სარდლის თანაშემწემ.

— სალახანა!

— მართალს მოგახსენებთ, დიღო ბატონო!

— ეშმაკის ლუკმავ! სულ შენი ბრალია! — დაახრქიალა კბილები ცოფ-
მორეულმა მთავარმა.

ცეცხლი ნელ-ნელა გუზგუზებს. დანაკვერცხლებულ ქაქუჩებს ვაჩაღ-
ბულ ქურას მოგაგონებს. აქა-იქ ამოტივტივდება ცეცხლში მსდურჯო
ენები და ისევ ჩაქრება.

თათარყან ნერონივით გაპყურებს დაფერფლილ სასახლეს. რომის იმ-
პერატორმა პოეტურ შთაგონებას შესწირა დედა-ქალაქი. ლექსი მაინც
ვერ დასწერა.

არც სევანეთის ნერონს გაუმართლა მოლოდინი ბედისწერამ. უფლის-
წულები უვნებლად გადაჩნენ. ნელ-ნელა ჩაიფერფლა ჩუბეხევის მთავრის
სასახლე. დაინგრა კოშკი და ეზოს ნადგამობა.

გათენებისას ეზოში ეყარნენ ხმლითა და ტყვიით გულგანგმირული
ეზოს დარაჯები. ცეცხლში შეტრუსულ შინაყმების დასახიჩრებული გვა-
შები. დაჩქქელი დიგორხან და სასახლის უხუცესები.

გაცამტვერდა ჩუბეხე-ფარის მფლობელის სასახლე და ციოყის სა-
მთავროს თათარყან და დედშქელიანი დაეპატრონა.

4. საზიზღარი ვაპრშქანა!

თეკრაშის მთა გადაყელეს გახიზნულებმა. იალაღებს შიადგნენ. ცივა-
მზე აღმაცერად იყურება და სითბოს ფეხი ვერ მოუდგამს წართვილულ
საბალახობზე. თეკრაშის მწვერვალი შეფიფქულია. დაბლა თხემებზე ლი-
ლო იტაცებს მგზავრის ყურადღებას. ხელებს იორთქლებენ მგზავრები და
მგლის ბილიკს მისდევენ. შარავნები სევანეთშიაც არ უყვართ სევანებს.

ჩუმად არიან ხიზნები. წინ თეთრ ჩოხაში გამოწყობილი მურზაყან მი-
უძღვით. უწლოვანი მემკვიდრე მოწყენილია, წარბჩამოშვებული. ზურ-
მუხტოვან იალაღებს მაინც ხარბად შესცქერის და დროგამოშვებით ჩუმ-
ჩუმად ოხრავს. ცხენები ზანტობენ, მაგრამ არც მგზავრებს მიეჩქარებათ.

ყასბულათ მარგიანი უკან ჩამორჩა უფლისწულებს. ზანდახან ცხენს
დააჩქარებს, მურზაყანს წამოეწევა. ცდილობს მასთან საუბარი გააბას,
მაგრამ ამაოდ. მურზაყან სამთავროს საქმეებზეა ჩაფიქრებული. მიდის,
მაგრამ გული სევანეთში რჩება. ბებია დიგორხანის გახსენებაზე უგუნებობა
ეტყობა. შავი ჭირის მოგონება კი შიშის ზარს ჰგვრის ცხოვრების სილა-
ღზე დაბარბებულ და დედშქელიანს.

— დავისვენოთ! — გულნატკენ კილოზე სთქვა მურზაყანმა და ცხე-
ნიდან გადმოხტა.

მომდევნო უფლისწულებმა წყრომით გადახედეს უფროს ძმას: მინ-
დორზე გასულნი ცხენის გაქროლებას ლამობდნენ, მაგრამ მემკვიდრის სურ-
ვილს უხმოდ დაემორჩილნენ.

ბატონიშვილის პარტიისაცემად ყასბულათიკ უმაღლ გარდმოტრინდა ცხენიდან, მაგრამ დასვენება არ ურჩია უფლისწულს: კარავამდე მივიდეთო.

— შორს არის კარავი?

— აქვეა, ბატონიშვილო! ხელრას ნაპირად... ^{ვარკუნული} კალმეზიფიკაგემასპინძლებენ, თუ...

— კარგი! ქვეითად გავყვეთ!

მოუჭრა მურზაყანმა და აღვირი უნაგირზე ჩამოაცვა.

ბილიკიდან გადაუხვიეს. ცხენები სამეურას წაეპოტინენ.

— ჯოგი! — მოულოდნელად წამოიძახა შუათანა ისლამმა და უსგვირისკენ გაიშვირა ხელი.

— მეგრელები არიან? — წყენით იკითხა მურზაყანმა და ტყის პირად მოფარდაგებულ ჯოგს თვალმოჩრდილულმა ხელმეორედ გაპხედა.

— დიახ, ბატონიშვილო! მეჯოგე სხვა ვინ იქნება. სვანებს ღმერთმა საბალახო მოგვცა, მაგრამ საქონლის მოშენების შნო წაგვართვა. სულ თქვენი სამფლობელოა, რასაც ხედავთ... გადაღმა კიდევ რამდენია. ბალახს ხომ უყურებთ, რძით არის სავსე. მეჯოგეებიც იმიტომ ეტანებიან.

მურზაყანმა არაფერი არ უპასუხა მასლაათის გუნებაზე მოსულ მარგიანს. გულში კი ასე გაიფიქრა: ნუთუ ვერასდროს ვერ შევსძლებ მეგრელ მეჯოგეთა ალაგმვას და ხარკის დაღებას. დადიანს საბალახო მოსწონს, მაგრამ ბაჟის გადახდა ეხარება. ცხონებული მამაჩემი ბევრჯერ ეცადა, მაგრამ... ნუ თუ მეც ისე დამიბრძოლებენ?

მურზაყანმა ფიქრებში შეტოპა. წლოვანება მას ჯერ კიდევ არ ავალდებულებდა ასეთი გულისტკივილით ეფიქრა სამთავროს საქმეებზე, მაგრამ ობლად დარჩენილი მემკვიდრე სვანეთის სამთავროზე უფრო მეტს დარდობდა, ვიდრე ქეიფსა და დროსტარებაზე.

„შავი ჭირიკ რომ ახლა გამოტყვრა. ხიზნობა. აბა, რა დროს ხიზნობაა, როცა თათარყან დაღეშქელიანი“...

მურზაყანს გააეროლა. შავი ფიქრები წამოიშალა მემკვიდრის თვალწინ. გულმა გამაღებით დაუწყო ცემა. უნდა ვინმეს გაანდოს გულის ნადები, მაგრამ მონადირე შინაყმას აბა რა უთხრას? მომდევნო ძმები ჯერ ხომ ყმაწვილები არიან და სამთავროზე თავაუტკივარნი.

კარავს მიუახლოვდენ.

ხმამაღალი დავა ისმის კარავიდან. ჩხუბიაო, იფიქრებს უცხო გავლელი.

შეჩერდენ.

პირველად ყასბულათ მარგიანი შევიდა კარავში. მედუქნე გააფრთხილა, მობრუნდა და ახლა უფლისწულებს შეუძღვა.

კარავში ბნელოდა. მზის შუქზე შეჩვეული თვალებით მგზავრებმა ველარაფერი ვერ გაარჩიეს.

შუა ცეცხლს მიუახლოვდენ. ცეცხლის მახლობლად ტომბის*) შემოუსხდენ. ჩათვალიერეს დაბინდული სამიკიტნო ღუქანი. მურზაყან ვაოცებულია. ის პირველად მოხვდა სამიკიტნოში და უკვირს ენკვიფრებს აქაურობა.

შეხვედრის

აგერ შუა ცეცხლზე მოზრდილ ქვაბში ხინკალი იხარშება. დახლს მიღმა ცხვრის ფელიკი ჰკიდია. თაროზე თუნგები და ხის კათხები იპყრობენ ყურადღებას. ირგვლივ გინგლიანი ტობაგები.

კუთხეში მწყემსები სხედან. ხმამალა ლაპარაკობენ. უცხო კაცს ჩხუბი ეგონება. სვანებს ხმაწეული საუბარი სჩვევიათ საერთოდ, ფიცხი და ხმაშემხარავი. მწყემსები კათხებით სვამენ ანწლის არაყს და ერთმანეთის მკვდარსა და ცოცხალს ადღეგრძელებენ. არყის სუნი ტრიალებს სამიკიტნო კარავში.

დახლის გვერდით ვიღაც კუზიანი ჩაცუცქულა... სვამს მარტოდ-მარტო და განუწყვეტლივ ასლოკინებს. წინ არყით სავსე ჯამი უდგას. ჯამს ისე მიჩერებია, როგორც გველი ნაპოვნ საკბილოს. ხის ჯამზე ხანმოთეული ხინკალი თავისივე ქონით ვაკირულა. ეტყობა, კუზიანი დიდი ხანია ზის მარტოდ-მარტო და არაყს შეეჭყევა.

— ბიმურზა, კალმახი გაქვს? — გასძახა მარგიანმა მიკიტანს და თვალთ უფლისწულებზე ანიშნა: ამათთვის გეუბნებიო.

მედუქნე ზღაპრით გამოვიდა დახლიდან, უფლისწულებს ვაჭრის თვალთ გადახედა, „რამდენს დავცინცლაო“ და შეუკვნებით უპასუხა:

— თუ გნებავთ, გიშოვნით.

— აბა, დატრიალდი! ცოცხალი იყოს, ხომ გესმის?!

— ცოცხალი... ცოცხალი თითო თეთრი ეღირება. გნებავთ, მოხარშულს იოლად გიანგარიშებთ...

— ცოცხალი მეთქი! — გადაუტრიალა თვალეები მარგიანმა, — ჩქარა, დატრიალდი!

ბიმურზა კარავზე მინალობ ფაცხაში გავიდა, ახმაურდა კარდალი, მოგვიანებით გაიღო კარი და ბიმურზა მიკიტანი ცოცხალი კალმახით სავსე კარდლით გაჩნდა უფლისწულების წინაშე.

— მოხარშე! — წაიღო დაკვეთა მიკიტანმა.

— ცოცხალი თითო თეთრი ეღირება, — აეკვიატა მურზაყანს მიკიტნის სიტყვები და უგუნებოდ გახდა. — საზიზლარი ვაჭრუკანა! თითო თეთრი! მე შენ გიჩვენებ „თეთრსა“ და „შავს“, დამაცადე!

მურზაყან ბრაზს ევლარ იმაგრებს მიკიტნის თავგასულობაზე. მაგრამ ჩხუბსა და აყალმაცალს ბრძენ კაცივით ერიდება.

*) ტობაგი — დაბალი სუფრა.

კარავი თანდათან მოსინათლდა. ახლა მურზაყანი და მისი მშობლები კარგად არჩევენ მეზობელ ტობაზე მსხდომ მწყემსებსა და განმარტოებით დაცუტულ კუზიან მუშტარს.

— სვანები არიან, — ჩაილაპარაკა თავისთვის მურზაყანი.

— დიახ, ბატონიშვილო, — განგებ გამოეხმაურა მარგიანი, რომ გარშემო მყოფთათვის ეჩვენებია, ბატონიშვილთან ახლო განწყობილებაში ვარო.

— შედუქნეც სვანია?

— გადმოხვეწილი სვანი გახლავთ, ბატონიშვილო, მამა გამოქცეულა. ისიც შედუქნე ყოფილა გამოქცევის შემდეგ.

— სვანი და ვაჭარი?.. საზიზღარი! — თითქო თავისთვის წაილულულულა მურზაყანმა და ჯამში თითი ამოუსვა.

თითი გაქონილი დარჩა. სვანეთის მემკვიდრე ზიზღით დაიღრიჯა. ეს შენიშნა მარგიანმა და:

— ბიმურზა!

— ბატონო!

— ჯამს ველარ გარეცხავ?!

— სუფთა გახლავთ, ბატონო!

მურზაყანმა გაქონილი თითი გაუწოდა.

— ალალი ცხვრის დუმაა, უქონოდ როგორ იქნება.

— გარეცხე! თაფლის არაყი გაქვს?

ბიმურზამ დასტურის ნიშნად ელაში თვალი ჩაუკრა მარგიანს. და ჩქარა ერთი თუნგი არაყი გაჩნდა უფლისწულების ტობაზე.

— დაილოცეთ, ბატონიშვილო!

— ეჰ! — ჩააქნია ხელი მურზაყანმა და არყით სავსე თუნგი მარგიანს გადაუღდა.

კარავში მონადირეები შემოვიდნენ. არაყი მოითხოვეს.

— ბატონიშვილები, — ჩაილაპარაკა ერთმა და ამხანაგებს თვალით ანიშნა მურზაყანსა და მის მომდევნო ძმებზე.

მარგიანმა იცნო მონადირე სვანები. თავმოშრონედ მიესალმა.

— ვისი კაცი ხართ? — ჰკითხა მოწინავე მონადირეს ბატონიშვილმა.

— გელა ჩარკვიანის, ბატონიშვილო!

— ჯიხვზე აპირებთ? — ამეტყველდა მურზაყან და გულიდან ჯანყი გადაიყარა.

— ღეთისა და თქვენის შეწევნით, ბატონიშვილო!

— დალ იყოს თქვენი შემწე. დალიეთ, სვანებო! — გაუწოდა სავსე კათხები მურზაყანმა მონადირეებს.

მონადირეებმა კათხები აიღეს და სვანეთის მემკვიდრის სადღეგრძელო დაუსუნთქავად გამოსცალეს.

— აგრე მტერი დაგეცალოთ, ბატონიშვილო! — გადმოაბრკვევა კათხა ხანშიშესულმა მონადირემ. მონადირეებმა ბატონიშვილენს თავი დაუკრეს და ცალკე ტობაგს შემოუსხდენ. ბატონიშვილებს კეჭუბაგს ახლაკუზიანი მიუახლოვდა. მარგიანს ჯიჭურ დაუდგა და მძიმე ფეხს დასდოკინა.

— გზა მშვიდობისა... გზა დაგილოცო... ოთ... ყასბულათ. შენ ჩემი მოსისხლე ხარ... მე შენი სისხლი... — კუზიანმა ერთხელ კიდევ დაასლოკინა და უღვაშები მოიწმინდა. — სისხლი... მწყურია, მაგრამ... ბატონიშვილების ხათრი იყოს!..

მურზაყან აიძრია. ეს შენიშნა კუზიანმა და არყით წათამამებულმარხით დაიწყო.

— შეეჭირს ემალებით?.. გარბიხართ? გარ...ბი...ხართ?..

ბლუკუნებს კუზიანი და ვალოშქრილ წვერულვანს სახელოთი იწმენდა.

— ორბინე! — გადაუტრიალა თვალები მარგიანმა ენადაბმულ ჩხეტიანს.

— სისხლი... სისხლი მიპატიებია...

— რა მმართვეს შენი? — აუწია ხმას მარგიანმა.

— არაფერი... სიცოცხლე გმართვეს... მაგრამ გაამოს მალაღმა ღმერთმა... თვეთნულდი იყოს... თვეთნულდი შენი შემწე.

კუზიანმა ზიზლით გააფურთხა და ბარბაცით გავიდა გარეთ. მას ვაპყვა მონადირე სევანების განცვიფრება და უფლისწულ მურზაყანის ანთებული თვალები.

5. ვაჟა, ჩემო ნაკვდავო ოჯახო!

სოფ. სვიფის წმ. გიორგის ეკლესიის ხარები გუგუნით მოუხმობენ ჩუბეხევის სამთავროს მოსახლეობას.

გალავანში ხალხი გროვდება.

ასწლოვანი ცაცხვის ძირში ამაყად ზის გოროზი თათარყან და სახლთხუცესებს ებაახება.

დიდი ხნის საწადელი გაინაღდა თათარყანმა: ჩუბეხე-ფარის სამთავრო ერთის დაკვრით მოაოხრა, სასახლე გადასწვა და ციოყის სამფლობელო თავისას შეუერთა... სისხლი დაღვარა, მაგრამ თვითონ არ დაზარალებულა. უფლისწულებს ვერ მისწვდა, თუმცა სევანეთიდან გაიხიზნულანი დედისშობელა დასტოვა. მოწყენილია მაინც თათარყან, წარბაჩამოშვებული. დანაოჭებულ სახეზე ღიმილის ნატამალი არ ესახება. უფრო მეტიც დაკვირვებული თვალი ადვილად შენიშნავს თათარყანის სულიერ მღელვარებასა და მოუსვენრობას.

„სისხლი“ თუ აწვალებს თათარყან და დეშქელიანს. სასახლის აოხრებათუ ართმევს სულის სიმშვიდესა და წუთიერ მოსვენებას.

— ხელსისხლიანი დაგვებატონა! — უჩურჩულებენ ერთმანეთს გალავანში თავშეყრილი შინაყმები...

— ძერას არ წააგავს...

— სვავია, ნამდვილი სვავი.

— სისხლით ვერ ძღება და...

— სისხლია სწორედ, რომ აწვალებს და ადამიანს... უკერავებს.

სისხლი აქ რა მოსატანია, როცა გაბიზნული უფლისწულების ბრაზი დღესაც არ აძლევს მოსვენებას. მათ გადარჩენას ვერ შერიგებია. მართალია, ჩუბეხევის სასახლე მიწასთან გაასწორა, იმდენი ხალხი ამოკლიტა, მაგრამ უფლისწულები.

უფლისწულები არხეინად სხედან თავად მიხეილ შერვაშიძის ოჯახში და სამშობლო მხარეს მოშორებულნი არც კი გრძნობენ სასახლეში დატრიალებულ უბედურებას. რა იციან შავი ჭირის შიშით გაბიზნულებმა, რომ მოსისხლე თათრყანისა და მისი შვილების — ოთარისა და ჯანსულის ვერაგობით თავშესაფარიც დაჰკარგეს და მამისეულ სამფლობელოზე ხელიც დაიბანეს.

ხალხი კი ხედავს თათრყანისა და მისი შვილების ვერაგობას, მათ ზარბსა და ვაუმაძღარ თვალებს, მაგრამ კრინტის დაძვრას ვინ გაბედავს? ვინ შეებრძოლება თავისიანებშიც თავგასულ თავადს... სვანეთის უგვირგვინო ბატონ-პატრონს?!

დღეს თათრყან დადუშქელიანი საჯაროდ აკურთხებს ჯანსულსა და ოთარს ჩუბეხევეფარის მთავერებად. ხალხს ერთგულებასა და მორჩილებაზე ფიცს ჩამოართმევს. თუ ვაჟაკია, გაბედოს ვინმემ ურჩობა, ახალ მფლობელებს განზე გაუდგეს.

გულში კი იბრზობიან სვანები თათრყანის უღმერთო საქციელზე, ჩუმ-ჩუმად რას არ ბუტბუტებენ, მაგრამ აბა აშკარად გაბედოს ვინმემ და ფიცის მიღებაზე უარი. განაცხადოს... თათრყან რისხვად გადაიქცევა. პირქუში უშბა პირს იბრუნებს სვანეთისაგან, რომ სვანი ხალხის უბედურებას თვალი მოარიდოს.

— ხალხი სად არის? ასე რატომ იგვიანებენ? — ყველას გასაგონად იკითხა თათრყანმა და გალავანში ჯგუფჯგუფად თავშეყრილ სვანებს რისხვის თვალი გადაავლო.

— გეახლებიან... დიდო ბატონო! — ხანმოკლე დუმილის შემდეგ გაზედა თეთრწვერა გინადრუყმა და მორჩილების ნიშნად დადუშქელიანს თავი დაუკრა.

ხანშესულებს ელალ ჩოხებში გამოწყობილი ჯანსული და ოთარი მიუახლოვდნენ. ბატონიშვილებს კოხტად ადგა ტანზე ჩაჩნური მოკლე ჩოხები, თავზე დაბალი ბოზოხები.

— ჯანსულ!

— რას მიბრძანებ, მამაჩემო!

ოთარი მოიღრუბლა.

— შენ რას იბღვირები, ოთარ!



— აბა რას ბრძანებთ, მამაჩემო!

— უშობელს, ზომ ხედავთ?

თათარყანმა ხელი გაიშვირა ხეცს გაღმა ფერდობისკენ.

— ვხედავ...

— ვხედავ...

— ეხროლეთ და ვინ უფრო კარგად ხედავს, მაშინ გამოჩნდება. რიგი შენია ჯამსულ, დაიწყე!

მეთოფურმა სიათა მიაწოდა ბატონიშვილს და უკან დაიხია.

ყველანი ფეხზე წამოიწაღენ და გულის ფანქვალით ელოდებიან ჩახმახის დახეთქებას.

თოფის ქუხილი უღელტეხილმა გაიტაცა და ნორჩი ბალახით გატაცებულმა უშობელმა ადგილი გადაინაცვლა.

— შორს არის... — დაატანა ჯანსულმა და სიათა დარცხვენით გადასცა ოთარს. ესროლა ოთარმა და იმანაც დააცდინა.

— დაგლახდით! — გაწყრა თათარყან და თოფი მოითხოვა.

— შეწბილდებით, დიდო ბატონო! ნუ ესვრით! — გაბედა სახლთუხუცესმა.

— მარჯვენს მოვიჭრი. მომეცი თოფი! — კვლავ ბრძანა თათარყანმა და ეღალი ჩოხის სახელოები წაიმკლავა.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა.

თავქუდმოგლეჯილი მეგრელი მწყემსი თათარყანთან მიიჭრა, მიწას დაასკდა და ყურადღება სთხოვა.

თათარყან დაიღმიჯა, გაოფლებულ მწყემს ზიზლით ახედ-დახედა და მკვებედ მიახალა:

— რა გინდა?!

— დიდო ბატონო, თქვენი მუხლების ქირიმე... ვა-ვა, ჩემო ნაკედავო ოჯახო!

— შეშლილი უნდა იყოს... განზე გაიყვანეთ და წყალი დააღვეინეთ! იწყინა მთავარმა და პირქვე დამხობილ მეგრელს ზურგი შეაქცია. სახლთუხუცესმა გატენილი სიათა მეთოფურს გადასცა და ახლა თვითონ შეეკითხა მწყემსს, რა გაწუხებსო.

— ვაგვანადგურეს, პატონი, ვაგვანადგურეს. რუსის ჯარი მოადგა სვანეთს. საბალახობზე დაბანაკდენ... ჯოგი ვაგვიწყვიტეს... ვა-ვა, ჩემო ნაკედავო ოჯახო! — ამოიგმინა მწყემსმა და ბანჯგელიან მკერდზე მუშტი დაიბაგუნა.

— რუსები?

— რუსის ჯარს აქ რა უნდა?

— ბახსანები თუ არიან ან ბალყარები.

— ბალყარებს სამეგრელოში რა უნდა, პატონი! რუსის ჯარი მოდის. შეიარაღებულნი არიან...

თათარყანს უღვაშებში ჩაეცინა.

ყველა გააოცა თათარყანის უადგილო ჩაეცინებამ. ყველა ეგვიპტის/ზარმა
აიტანა. ერთმანეთი ნიშნის მოგებით ჩაათვალაიერეს.

— იქნებ მოგეჩვენა, ძმობილო. შენი სახელი? — ჰკითხა მუქუნს ნიშ-
რევან მარგიანმა.

— ჯაბუს მეძახიან, ხეციას კაცი ვარ, პატონე!

— ბევრი არიან? — გაუშეორა მარგიანმა.

— ორასი კაცი მაინც იქნება. ჩინებით არიან დატვირთულნი.

— ნუთუ მართალია, დიღო ბატონო?! — აკანკალებული ხმით ჰკად-
რა სახლთუხუცესმა და წვერი ნერვიულად ჩამოისწორა.

— ხალხი სად არის? — დაიღრიალა პასუხად თათარყანმა. სახლთუხუ-
ცესის გულუბრყვილო შეკითხვას გვერდი აუქცია. „ჩერჩეტი! მოდიან და
უკვირს კიდეც“, — გაუელვა თავში სევანეთის მთავარს. — სად არის ხალ-
ხი მეთქი?! როგორც ჩანს ოსმალეთი მოგნატრებიან სევანებს. ტრაპიზონის
ციებ-ცხელება.

სევანებს გააცივა ოსმალეთის ხსენებაზე. ყველა მიხვდა, თუ რას ნიშ-
ნავდა გაბოროტებული მთავრის ქარაგმა. უსაზღვრო შიშისზარი ჩაწვა
თავდაუხსნელ სევანების გულში.

აზნაურებმა მუქარის ნიშნად უღვაშები შეიგრიხეს. შინაყმებს რისხვის
თვალი შეავლეს.

— როგორც ჩანს, თქვენ კიდეც კარგად ვერ იცნობთ თათარყან და-
დეშქელაანს. იცოდეს ყველამ: ურჩი სევანი, სევანეთს თვალთ ველარ იხი-
ლავს.

დასძინა თათარყანმა პირვანდელ ქარაგმას და ეკლესიისკენ გადადგა
ნაბიჯი.

წამოიშალენ სახლთუხუცესები, დიდებულნი და მთავრის მხლებელნი.
განრისხებულ მთავარს უკან აედევნენ.

შინაყმებში ჩუმი მითქმა-მოთქმა და ჩოჩქოლი ატყდა.

— რუსებიც რომ მოუპატიებია!

— გადასახლებითაც რომ გვემუქრება!

— ძმებო, არ არის შინაყმების საშველი! — ყრუდ დაიბუხუნა ხანშე-
სულმა გინადრუყმა და ყავარჯენს დაეყრდნო. ირგვლივ შინაყმები შემო-
ეხიენ გინადრუყს. შეკითხვებით ყურები გამოუჭედეს.

— შემოვლენ, ძმებო, შემოვლენ. რაც დადეშქელიანებმა ვერ გაგვა-
ტყავეს, რუსის სალდათები შეგვისრულებენ. ტყუილად ხომ არ უწყალო-
ბებდა რუს-ხეშშიფე სევანეთის მთავრებს გენერლის ჩინებსა და ეპოლეტებს.
ცხოვებული ციოყიც მომხრე იყო რუსეთის ქვეშევრდომობისა. ისიც ხომ
გენერალი იყო...

— ღერბეთ! დაგელოცა სამართალი!

ეთისკოპოსი წირვას აჭიანურებდა.

ამბიონის წინ მთავრის საპატიო მალლობზე ამყად იდგა თათარყან და დეშქელიანი და დროგამოშვებით პირჯვარს ისახავდა. უკან უფლისწულები იდგენ თავდახრილნი. პირჯვრის წერას ვერ ახერხებდნენ, თქვენ ცხვენოდით და თანაც ეხამუშებოდით ვილაც ბერძენი მღვდელის ჩელოთ ქვეითობნილ ხატებისადმი თაყვანისცემა. გამხელას ვერ ბედავდენ, ეშინოდათ მამის სიმკაცრისა...

წირვა ვათავდა.

ხალხი დააჩოქეს. კათალიკოსმა პატიოსანი თვლებით მოქედილი მიტრა დაიგა თავზე და დაფიცების თადარიგს შეუღდა.

თათარყანმა დაჩოქილებს გადახედა: ვიწრო, ლობიოს მარცვლის ტოლა თვალები კიდევ უფრო მოწურა და ორ წამოსადევ ვაჟკაცს მიაჩერდა. თათარყანს მოეწონა თვალტანადი ახალგაზრდა სვანები და მათი ვინაობა იკითხა.

— მონადირე მარგიანის ვაჟები გახლავთ, დიდო ბატონო! — ჩიფჩიფით მოახსენა სახლთუხუცესმა და ახლა თვითონაც დააკვირდა თათარყანის მიერ შეთვალთვალბულ ვაჟკაცებს.

— ყასბულათის?

— დიახ, დიდო ბატონო!

— ყასბულათ მოიხმეთ! — აღარ დააყოვნა თათარყანმა.

წინ წამოდგა სახლთუხუცესი. შეჰყურებს დაჩოქილ შინაყმებს, მაგრამ ყასბულათ არსად არ ჩანს.

„ნუთუ განზე გადგა?“ — გაუელვა სახლთუხუცესს და უგუნებოდ შეიჩნა.

ეს თათარყანმაც შენიშნა და დაცინვით დაატანა:

— არ მობრძანებულა?

— არ ჩანს, დიდო ბატონო!

თათარყანმა ადგილი გადაინაცვალა. ძვალმსხვილ ნოშრევანსა და მის პირტიტველ ძმას, სოზარს, ერთხელ კიდევ გადახედა, უღვაშები შეიგრიხა და ფიქრებს მიეცა.

ფიცი დასრულდა.

პანაშვიდს უფრო წააგავდა დღევანდელი საზეიმო მღვდელმსახურება, ვიდრე სადადეშქელიანო ტახტის კურთხევას. მორჩილებაზე დანაფიც სვანებს დანა პირს არ უხსნიდა. ბევრს თვალწინ ედგა გახიზნული მთავარი მურზაყან, ციოყ და დეშქელიანის ნამდვილი მემკვიდრე. ბევრი თავისუფალ სვანეთში გაქცევას ლამობდა. ლამობდა მონობის მძიმე უღლის კისრიდან გადაგდებას, მაგრამ ოჯახი?! ცოლშვილი?! ნათესავები?!

— ცაცხვის ძირში! — გაისმა სახლთუხუცესის ხმა და ხალხი მითითებულ ადგილას შეიკრიბა.

მოუთმენლად ელოდებიან ახალკურთხეულ მთავრების — ჯანსულისა და ოთარის უზენაეს სიტყვასა და საბატონო მოთხოვნებს.

წინ თათარყან წამოდგა. ჩუბჩუბე-ფარის ახალი მთავრები უკან ჩამო-
იკოვა და თავისი ძღვევამოსილების დასადასტურებლად ხელგანაბრულ
ხალხს მკვებედ შეეკითხა:

— სად არის ყასბულათ მარგიანი?

მარკინული
ხელგანაბრული

ხალხი შეკრთა ასეთ შეკითხვაზე. არავინ არ მოელოდა, თუ თათარყან
წარსდგებოდა ხალხის წინაშე ნაკურთხი მთავრების მაგივრად. მარგიანის
მოკითხვა ხომ აზრადაც არავის მოსვლია აქამდე. ბევრმა არც იცოდა მისი
სადყოფნის ამბავი, მაგრამ მისი ასე დაეინებით მოკითხვა რომ კარგს არა-
ფერს მოასწავებდა, თითქმის ყველა გრძნობდა.

ხმას არავინ იღებდა.

უძრავად იდგენ მუხდაკრული სევანები და ერთმანეთს დამფრთხალი
თვალებით ეკითხებოდნენ: რა ვუპასუხოთო.

— არ იტყვიო, სად არის განდგომილი? თავზე ეფარებით? — დაიქუბა
თათარყანმა და თავჩაქინდრულ შინაყმებს მხეცის თვალი უჩვენა.

ყველა შეკრთა მთავრის რისხვიან შეძახილზე. თათარყან დადგეშქელი-
ნი მუდამ მრისხანე და გოროზი კაცის სახელწოდებით იყო ცნობილი სა-
დადგეშქელიანო სვანეთში. მისი ახმახი, ჩამომხმარი ტანი, მოლუშული პი-
რისახე და ხმელი, შავძარღვებიანი გრძელი თითები უხასიათო ადამიანის
შთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველზე. დღეს სულ სხვა იყო თათარყან...
მთელი დღე ისე გავიდა, ტუჩებზე ღიმილი არ გახსნია, თვალეზმოწურულს
მალლა არ აუხედავს. იღვა გაბოროტებული და მოშხამულ სიტყვებს
ისროდა...

— არ იტყვიო?

— შინ არ გახლავთ, დიდო ბატონო! — გაბედა ნოშრევანმა და წინ
წამოდგა.

თათარყანს ბრაზით თვალები აუთამაშდა, მაგრამ რაკი ჰუმანი სწორად
მიიტანა, კილო შეიცვალა და ნოშრევანს შემპარავი ღიმილით ჩააცვიდა:

— სად არის წასული? ნადირობას თავი გაანება?

ნოშრევანს ენა დაება. აღარ იცოდა, რა ეპასუხნა საგვარეულო სისხლ-
ში ხელგასერილ დადგეშქელიანისთვის და მორჩილების ნიშნად თავი და-
ხარა.

— არ იტყვი, გველის წიწილო?!

— გასაკიცხავი რა დავიმსახურე, დიდო ბატონო! — აიტკიცა ერთბა-
შად ნოშრევანი და ბრაზისაგან ამოძრავებული გულმკერდი დადგეშქე-
ლიანს ფარავით მიუშვირა.

— შეპკარით! უნიფხო მაწანწალა! ვინ იკით, სად არის მონადირე მარ-
გიანი? — ახლა ხალხს შეეკითხა თათარყან.

ხალხი ხმას არ იღებდა.

— შეჰკარით მეთქი! — დააბრიალა თვალები თათარყანმა და ჩუბებეცფარის მთავრები წინ წამოსწია: — ვინც ამათ გაუდგება, საროზგვემდე უკან არ მოვახედებ. გესმით?!

მხლებელნი მიცვივდნენ ნოშრევანს და გაბაწვრა მთავრების ქოშრევანმა მკლავის გამოცდა განიზრახა. აქამდე გულხელდაკრეფილმა მხრები ოდნავ შეათამაშა. ხელის შეხებაზე კალმახივით შეხტა და მოძალადენი ერთმანეთს მიანარცხა.

თათარყან ნოშრევანს მიაჩერდა. ესიამოვნა კიდევ ახალგაზრდა სვანის მხარბუქის იშვიათი მოქნილობა, ლამაზი, მიმზიდველი სახე და დათვის ძალღონე, მაგრამ სიმკაცრისა და უღმობელობის გამოსამეტლავებლად მხლებელთ შეუტია: ხელები შეუკარით, საროზგვეზე გააწვინეთო.

ხალხი შეჩოჩქოლდა. როზგის ხსენებაზე ხანშესულმა დედაკაცმა ცივი ხმით დაიკივლა. დაეღვებაში ხალხი გაარღვია და თათარყანს მუხლებში ჩაუვარდა.

— აპატიე, დიდო ბატონო! ღეთის გულისათვის აპატ...

— დედე, რას ჩაღიხარ! — დაიგმინა ნოშრევანმა თათარყანის მუხლებში ჩაქარდნილ დედის დანახვაზე. ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, კბილები დაახრქიალა, მაგრამ ამ დროს მხრებზე თოკი შემოუჭირეს, ფეხებიც გაუჭრეს და ქაფმორეული ნოშრევანი საროზგვეზე გააწვინეს.

— ვაი შენს დედას, შვილო!

დედის გმინვას ხალხის ყრუ ამოძახილიც შეუერთდა.

— სოზარ, სად არის მამაშენი! — ახლა პირტიტველ სოზარს მიუბრუნდა თათარყან.

— რა მოგახსენოთ, დიდო ბატონო!

— შეჰკარით! — არ დააყოვნა თათარყანმა. განზე გადაგა და სახლთუხუცესს რალაც ანიშნა.

ჩოჩქოლმა იმატა.

ასმათ კვლავ მოეხვია მუხლებზე მთავარს და ჩოხის კალთები დაუკოცნა.

— მაპატიე, დიდო ბატონო, შვილები მაპატიე!

— მომამორეთ უწმინდური დიაცი! — ზიზლით დაიღმიჯა და დემეტელიანი და ხანშესულ ასმათს წიხლი წაპკრა.

ნოშრევანს სისხლი ყელში მოებჯინა ხანშესული დედის უდიერ შეურაცყოფაზე. ერთხელ კიდევ გასხლტა კალმახივით. გაბაწრული ხელების განთავისუფლებას შეეცადა, მაგრამ თათარყანის მხლებლებმა გამძვინებული ნოშრევან სოზარს გადააბეს და მთავრის ბრძანებით მზეზე დაჰყარეს.

შვილების ყოფით თავზარდაცემული ასმათი ხან თათარყანს ემუდარებოდა, ხან სახლთუხუცესს შეთხოვდა შველასა და დახმარებას, მაგრამ გულჭკვა იყო ირგვლივ ყველაფერი... ალალი დედის გულწრფელ თხოვნას ყურს არაეინ უგდებდა.

— მაშ არ იტყვიო?

— არ ვიციო, დიღო ბატონო! შვილებს ვფიცავ არაფერი გავუვება, თორემ... — ქაქანებდა ასმათ და ხელებს სასოწარკვეთით ასაქსავებდა.

— სცრუობ! თავს იკატუნებ! — ძლივს დაიბუხუნა ორბინე ჩხეტნიანმა. ჩხეტნიანი კუზიანიც იყო და ინდაურის ბუშტის ოდენა ჩიყვიც ეკრდა კოსერზე. სულს ძლივს ითქვამდა. — თავს იკატუნებ. — ხრიალებდა ჩხეტნიანი და მეტისმეტ ბრაზისაგან პირი დორბლით ევსებოდა.

ასმათი გაწბა ორბინეს დანახვაზე. მისი საქციელი ეუცნაურა, მაგრამ უცებ შორეული წარსული მოაგონდა და ჩხეტნიანის საქციელის მიზეზიც ადვილად გამოიცნო. ქალიშვილობაში ასმათმა არ ისურვა ჩხეტნიანს ცოლად გაყოლოდა. ორბინე მუქარით ჩამოშორდა ასმათს და მას შემდეგ უცოლოდ დარჩა... ასმათი კარგა ხანს უფრთხოდა გაწბილებული ჩხეტნიანის მუქარას. გავიდა ხანი. ასმათ ქმარ-შვილსა და ოჯახს მოეკიდა, ჩხეტნიანის მუქარა რახანია გადაავიწყდა, მაგრამ, დახეთ, ჩიყვიან ორბინეს, სად და რა პირობებში გაუხსენა ოცდახუთი წლის წინანდელი შეურაცყოფა?!

— იქნებ შენ იცოდე რაიმე, თვეთნულდის სწორო ორბინე? — მწარედ შენიშნა ასმათმა გაალმასებულ ჩხეტნიანს და ანთებული თვალებით პირისპირ დაუდგა.

— ვიცი... ვი...ცი... დიხაც. ვიცი... — ბლუკუნებდა ორბინე და თვალებს გიჟივით ატრიალებდა... — ვიცი... დიახ, ვიცი...

— თუ იცი, რატომ არ იტყვი?

— თქვი ორბინე!

— ჩიყვიანო გვიშველე! — აუტყდენ აქეთ-იქიდან.

ორბინემ ხალხს გადახედა. ჩიყვზე მეგრული ყაბალახი ჩამოიფარა და ნიშნის მოგებით დაიწყა:

— ვიტყვი... დიხაც ვიტყვი... ყასბულათმა უფლისწულები წაიყვანა გადასახიზნად... თვითონ მე ვნახე. არ ეთქვი? ხომ ეთქვი? ხომ სიმართლე ეთქვი?

ჩააცვიდა ორბინე ასმათს და ისე ახლო დაუდგა წინ, რომ დორბლის ჩინჩხლები სახეში მიაცარა. ასმათ ზიზლით აიძრიზა.

— ხომ ეთქვი? — არ ისვენებდა ექსტაზში მოსული ორბინე.

— უფლისწულები? — გაიოცა თათარყანმა და უღვაშები შეიგრიხა.

ყველამ ხმა გაკმინდა. ბევრს შიშით კანკალი აუფარდა. ახლა ყველაფერი ნათელი გახდა თათარყანისთვის.

— კეთილი! — ჩაილაპარაკა მთავარმა და ხალხს მიუბრუნდა: — თუ ხვალ წირვის დადგომამდე არ ჩაგიბარებიათ ყასბულათ მარგიანი, თათარყანს ნულარ დაემდურებით... ან მარგიანი, ან კომლზე ოცდაათი თუმანი ოქრო... უკიდურეს შემთხვევაში თითო ვაჟიშვილი ოსმალეთში გადასაგზავნად... კარგად დაიხსოვით!

6. დ ი ლ ე ზ შ ი



თათარყანის ბრძანებით ნოშრევან და სოზარი დილეგში ჩააგდეს. დილეგში ბნელა. არაფრის გარჩევა არ შეიძლება. სინესტინსა და ნაწილს სუნის სუნთქვას ამძიმებს.

ძმებმა შეაჩვიეს თვალი სიბნელეს. აქეთ-იქით იხედებიან. გონს ვერ მოსულან მოულოდნელი შემთხვევისაგან. ძმებს აოცებს სასახლეში დატრიალებული უბედურება. უკვირთ თათარყანის ვერაგობა... მაგრამ ყველაზე უფრო სტამბოლის მოგონება აშფოთებს ახალგაზრდა სევანების გულს.

კუთხეში ვილაც შენიშნეს.

თივის ბულულში იჯდა ფეხმორთხმული.

— ვინ ხარ? — გასძახა ნოშრევანმა.

დაძახილზე ვილაც შეინძრა. თვალები მოიფშენიდა.

— ქალია, ნოშრევან! — სთქვა სოზარმა და ფეხმორთხმულს თავს წაადგა.

— ვინ ხარ? აქ რას აკეთებ?

— დარეჯანი ვარ... დიგორხანის დისწული.

ნოშრევანს ენა დაება. გაშეშდა სოზარიც.

— აქ რა გინდა? — უთაებოლოდ ჰკითხა ბოლოს სოზარმა.

— თქვენ რაღა გინდათ? მეც იმ დღეში ვარ.

დადუმდნენ.

დარეჯანს ტირილი წასკდა.

— ნუ სტირი, დაიკო... ტირილი რას გიშველის... გამაგრდი...

— სად არის ქვეყნად სამართალი, სად?

დარეჯანმა თვალები მოიწმინდა. ისევ დუმილი გამეფდა დილეგში. ნოშრევან თვალს აღარ უჯერებდა, დატუსალებულ დარეჯანს რომ უცქეროდა, მაგრამ თათარყანის სამფლობელოში ეს რა გასაკვირი იყო: უფლისწულების ამოკლეტის მოსურნე მთავარი განა სასახლეში თავშეფარებულ ობოლს დაინდობდა?

ნისლიანი დღე გათენდა სევანეთში. მთელი ღამე ისხარი წვიმა მოდიოდა. აღიდებული ენგური ზათქით ასკდება კლდე-კარჩხალ ნაპირებს. ისმის გრგვინვა და თავაწყვეტილ ტალღათა გრუხუნნი.

თათარყანის სასახლეში დღეს ადრიახად ისაუზმეს. რადგან ამინდს პირი არ უჩანს, წარჩინებულნი სასახლის განიერ აივანზე სხედან. ზოგი ჭადრაკს ჩაპკირკიტებს, ზოგი კიდეც ბანქოს თამაშით ერთობა.

მხოლოდ თათარყან უზის სუფრას და სტამბოლიდან ჩამოსულ მონებებს ვაჭარს — ქალილ-ბეის ესაუბრება. განმარტოებულ სტუმარ-მასპინძელს შესაფერი დრო მოუნახავთ საქმიან საუბრისათვის. საუბრის მოთავე თათარყანია. ქალილ თვალებგაწყვეტილი უსმენს მთავარს და მსუქანი თი-

თებით კრიალოსანს ეკლავს. დროგამოშვებით ძველის-ძველ ~~გაძილ~~ ღვი-
ნოს წრუბავს და მასპინძლის პატივსაცემად ხმამალა აბოყინებს.

თათარყანს გული ერევა, მაგრამ უცხო სტუმარს ~~ეჭყუტუ~~ — ჭყადროს. სხვა არა იყოს რა, ვაჭრობა ჯერაც არ მოუთავებია ~~ჭყუტუტუ~~ მძობაზე ხელი არ მოუწერიათ და ასეთ დროს წარბის შეხრა როგორ იქნება?

— ორასი თურქული ლირა! აი ჩემი უკანასკნელი სიტყვა.

— მეშენლება, ალლაჰის მადლმა. ასორმოცდაათზე შეეთანხმდეთ. მო-
ტათ ხელი. ფაშა-ეფენდი!

თათარყან უარზეა.

„ჯიუტობს ქალილიც. მან კარგად იცის, რომ აქ ვერავინ ჩაემუშტრება და ამიტომ აღმოსავლური გულგრილობით უპასუხებს თათარყანის ყოველ წინადადებაზე. „სად წამივა? ჩემს ხელში არ არის?“ — ფიქრობს ვაჭნილი ვაჭარი და კრიალოსანს ზანტად ათამაშებს.

მთელი ქვეყანა მოვლილი აქვს ქალილ-ბეის. მეფეებსა და მთავრებს პირადად იცნობს. ყველასთან მეგობრული განწყობილება აქვს. საითაც ოჭროს ქისას შეათამაშებს, სამართალიც იქითკენ გადაიხრება. ქალილმა იცის ოჭროს ძლიერება. ამიტომ არასოდეს არ ჩქარობს. არც შეურაცყოფილად მოაჩვენებს ვინმეს თავს.

— არ გნებაეთ? — გაუშეორა თათარყანმა.

— კარგ ფასს გაძლევ, ფაშა-ეფენდი! — გააზილა თვალები ქალილმა და მოტელეპილ თავზე ძვირფასი ბაღდაღური გადაისვა. უღვაშები შეიწმინდა და ერთხელ კიდევ მადიანად დააბოყინა.

— თქვენი ნებაა, — იწყინა თათარყანმა, თუმცა გაფიცება ვერ გა-
ბედა და ქალილს ღიმილით მიუბრუნდა: — იმედი მაქვს, ქალილ-ეფენდი. ჩვენს შემდგომ მეგობრობას ეს ხელს არ შეუშლის.

ეს სიტყვა და ფეხზე წამოდგა.

— თქვენი ხათრისათვის ასსამოცი იყოს... დაჰკათ ხელი, ფაშა-ეფენ-
დი! — გამოცოცხლდა კოტათი ქალილ-ბეი.

თათარყან შეყოყმანდა.

— ოცდა ხუთი კაციანი „სტამბოლიც“ თქვენი ფეშქეში იყოს. აჰა! ფოთში დაებრუნდები თუ არა, ჩემი ხარჯით გადმოგიგზავნი. მოაწე-
რეთ! — დაიკრა მუხლებზე ხელები ქალილმა, წამოდგა და თათარყანს პი-
რობის ქალაღი გაუწოდა ხელმოსაწერად.

სადაღეშქელიანო ცაცხვის ძირში ხალხი გროვდება. დანა პირს არ უხსნის თათარყანის ხელში ჩაეარდნილ სევანებს. ღვანან და გოდებენ. გან-
საცდელს მოელიან, მაგრამ თავდასახსნელი ვერაფერი მოუგონებიათ.

დედაკაცები ცრემლებს ვეღარ იმაგრებენ. აქეთ-იქით ბეჭეობიან: იქნებ მარგიანი გამოჩნდესო... გულში კი გრძობენ, რომ მარგიანის გამოცხადება არაფერს უშველის, მაგრამ თავს მაინც ამდე იწყვეტებენ.

თათარყანიც გამოზრდიანდა თავისი ამალით. ცაცხვიც აღმოჩნდა მათგან. თეს წარჩინებულებმა.

წირვის დროს გადაცდა.

თათარყან მშვიდად ზის ცაცხვის ძირში და ქალილ-ზეის ნაბოძებ კრილოსანს ათამაშებს. გვერდით თვითონ ქალილ უზის თათარყანს და გულუხვი მასპინძელი წმ. გიორგის ეკლესიაზე რაღაცას უთითებს.

ქალილ თავს აწნევს.

ყასბულათ მარგიანი ჯერ კიდევ არ მოჩანს. ეს უნდა თათარყანსაც. მას ხომ მონადირე სვანი აღარ აინტერესებს. აბა ზად გაეჭკვევა ყასბულათ ძღვევამოსილ მთავარს?! ქვეშევრდომ სვანებს კი სიტყვის გატეხისათვის პასუხს მოსთხოვს, რჩეულ ვაჟკაცებს გამოაცლის სადადეშქელიანოს და თურქეთისაკენ გაისტუმრებს. მონებს ისედაც ადვილად გაჰყიდის თათარყან, მაგრამ როცა სიტყვის გატეხაში შინაყმებს დასდებს ბრალს, ამას რაღა სჯობია?! თათარყან სიტყვის კაცია... ეს იციან სვანებმა... მაშ, რაღად დათმობს რაიმეს თათარყან.

— მოიყვანეთ განდგომილი? — ეკითხება თათარყან დაღვრემილ ხალხს.

მებდაკრულივით დამუნჯებულან შვერმეტყველი სვანები. ხმის ამოღებას ყველა ერიდება.

— სიტყვაზე როგორა ხართ?

ცბიერობს თათარყან და ხალხს თვალს არ აშორებს.

— შუაწირვისა დარეკეს, სახლთუხუცესო?!

— დიახ, დიდო ბატონო!

— დროა. სახლთუხუცესო, წაიკითხე ვასასყიდი მონების სია.

ხალხმა ერთხმად დაიზმუნა. სასაკლაოზე თუ გაიგონებთ დასაკლავ პირუტყვის ასეთ სასოწარკვეთილ ბღაველსა და გულშემზარავ ხმაურობას.

სახლთუხუცესმა სია წაიკითხა. სიაში დარეჯანიც ირიცხებოდა.

— სიტყვას განაღდება უნდა. რას იტყვით? — დასძინა თათარყანმა.

დემილის დარღვევას არავინ აპირებს.

— აღრევე უნდა გკონდოდათ, — განაგრძო მთავარმა — თქვენ ხომ იცოდით, რომ თათარყან დადეშქელიანი ჩვეული არ არის სიტყვისა და ფიცის გატეხას. გულში ერთგულება შემომფიცეთ და მზის პირველ ამოსვლამდე თქვენსავე სიტყვას უღალატეთ?!

— ჩვენ ვინ შეგვეყითხა, თორემ... — დაიგმინა მოთმინებიდან გამოსულმა ბეჭირბი მარგიანმა და ტირილი წასკდა.

ბეჭირბი ყასბულათის ბიძა იყო. გვარში უხუცესი და ჭკუასაკითხავი აღამიანი.

— ჩუმად, ქოფაკო!

— შენზე დიდი ჭოფაკი ღმერთმა შეარცხვინოს! — ფუ, შენს სამართალს! — მიაფურთხა ბეჭირბიმ ცაცხვის ძირში მჯდომ დადრეკილიანს და შეინდის ყავარჯენი მიწას დაანარცხა. — ასე დაგმეცეს თქვა და სალსალავათი!

თათარყან გველნაკებნივით წამოვარდა. ხმალზე ხელი იტაცა, მაგრამ უცებ შედგა. შუამდე ამოწვდილი ხმალი ჭარქაშში ჩააბრუნა და ახოსალარს მიმართა: ულაცი გამოიყვანეო.

გამოიყვანეს თავნება ულაცი. თავს ძლივს უმაგრებდენ გავეშებულ ბედაურს.

— ძუაზე გამოაბით და გაუშვით... ჭოფაკო!

ხალხი შეჩოჩოლდა. გულისტკივილით გადახედეს ერთმანეთს სასახლის კარისკაცებმაც.

ქალიღს შიშისაგან დაცხა. ბაღდადურით ოფლი მოიწმინდა და მხლებელთ ანიშნა: წამიყვანეთო. მონების ვაჭარს ათიოდ შეიარაღებული თურქი შემოერთყა ირგვლივ და აკანკალებული ქალიღ სასახლისკენ გააქანეს.

— ორი დღის ვადას ვიძლევი... ან ოცდაათი ოქრო კაცის თავზე... ან კიდევ სიაში ამოკითხულებს შეგიძლიათ სამუდამოთ გამოეთხოვოთ.

ეს სთქვა და ამალით სასახლისკენ დაიძრა. ენა ჩაყარდნილი სევანები იღვენ უძრავად და შინ დაბრუნებას ველარ ახერხებდენ.

7. ჩხენი საშველი არ არის, სვანებო!

გასაჭირი ბევრი უნახავთ დაბეჩავებულ სევანებს. ბევრი ჭირვარამი გადახდენია თავს შავზნელ საუჯუნეთა მანძილზე, მაგრამ ასეთი ღვთის რისხვა ასი წლის მოხუცებსაც არ ახსოვთ: შავი ქირი... მოუსავლობა... სამოცი რჩეული სევანის მონებად გაყიდვა... სამთავრო და საბატონო გადასახადები... და ბოლოს... უცხო ხალხის შემოჭრა სევანეთის მიწა-წყალზე. გოდებენ სევანები. გავეშებულნი რისხვას ველარ იმაგრებენ.

— რუსები შემოსულან?

— სად გაჩერდენ?

— თათარყან შეიფარებდა.

— ახალ გადასახადებს მოიგონებენ რუსების შესანახად.

— ამბობენ, შავი ქირის შეეშინდათ და ლატალში დაბანაკდნო.

მართლაც, სევანეთის საგამომკვლევო სამხედრო ექსპედიციამ ვზად გაიარა სადადეშქელიანო სევანეთზე. ექსპედიციის ხელმძღვანელმა ინახულა მთავარი თათარყან, ჩუმად ეთათბირა სხვადასხვა საკითხზე და ლატალისკენ დაიძრა.

საიდუმლოებით მოცული გახდა რუსების პირველი შემოსვლა სევანეთის მიწა-წყალზე. ამან უფრო მეტად ააშფოთა ისედაც სასოწარკვეთამდე მისული მოსახლეობა.

- გამაგრებას თუ ფიქრობენ.
- ციხე-კოშკებს ჩაიგდებენ ხელში და... მერე შემოგვიტყვენ/
- თათარყანიც რომ ზურგს უმაგრებს...
- ჩვენი საშველი არ არის, სვანებო!

ერკინეული
გეგლინოსიქა

თათარყანის მიერ დადებული ვადაც მიიწურა. სვანებს არ დაუძინიათ ამ ორი დღის განმავლობაში.

რა ქნან, როგორ მოიქცენ? გაყიდულ ვაჟაკებს რით უშველონ? რომელ სვანს გააჩნია თავდასახსნელი ოცდაათი ოქრო?

სჯა-ბაასში ათენებენ სვანები კუპრივით ღამეებს, მაგრამ ცარიელი ლაპარაკი საქმეს რას უშველის.

დედაკაცები უკვე გლოვობენ სტამბოლში გადასაგზავნ უფლებააყრილ ვაჟაკებს: ლოყებს იხოკავენ შვილების სიავეს შესწრებული დედები...

ასმათიც მოთქვამს მოსწრებული ვაჟიშვილების დღესა და გაჩენას. უკვე მეოთხე დღეა პირში ხემსი არ ჩაუდვია. ზის სასომიხდილი და სიმწარისაგან გულმკერდს იბლოტავს. მოსწრებული შვილების დამკარგავი ასმათი აღარც უწლოვანებს აქცევს ყურადღებას. ჩიყვიანი გივერჯილა ტირილით აყრუებს დამგლოვიარებულ ოჯახს, წამდაუწუმ „მშოია“-ო ზღუქუნებს, მაგრამ ნოშრევანისა და სოზარის დამკარგავ დედას ოთხი დღეა, ბუჯერისკენ არ გაუხედავს.

„გაზრდილები წამართვეს... მოსწრებული ვაჟაკები გულიდან მომგლიჯეს... და ვასაზრდელებზე ვიფიქრო?! კირმა გაგწყვიტოთ ბარემ“... — ბუტბუტებს ასმათი და ყოველ წუთში „ვიამე შვილებო“-ს გაიძახის.

დალამდა. ხვალ წირვის დადგომისას წაიყვანენ გაყიდულებს. ასმათი თავჩალუნული ზის ცეცხლის პირად და ცრემლებში იხრობა. რამდენი დედა მოთქვამს დღეს სადადეშქელიანო სვანეთის მიწა-წყალზე. რამდენი საცოლე იმდულრება ცხარე ცრემლით... რამდენის ცოლშვილი ჭკუას კარგავს ოჯახის ბურჯის გადაკარგვაზე.

„შვილებო, შვილებო! — ხმადაბლა მოთქვამს გულაჩუყებული ასმათი, — ჩემო თვალტანადო ვაჟაკებო! სად მიხვალთ, დედათქვენი აღარ გეცოდებათ?! ცივი ჭადითა და ჭერის ყუით გამოგზარდეთ, სიტიტვლესა და სიცივეში დაგვაჟაკდით... მომესწარიო... თქვენი შეხედვა გულს მიხარებდა... ჯავრი და დარდი აღარ მეკარებოდა... მოსწრებული ვაჟაკების დედა ვარ მეთქი და ახლა მიბნელებთ თვალებს... სამუდამოდ მეთხოვებით და ასე უნუგეშოდ მტოვებთ... ნოშრევან, სოზარ! ხმა ვამე, ბიჭო! სად ყავს თქვენს უბედურ დედას თქვენი თავი!.. სვანეთში მაინც მყოლოდით, რომ წელიწადში ერთხელ თვალის გადავლება შემძლებოდა. სათათრეთში ვინ შეგხედავთ, ვინ იჭნება თქვენი მომვლელი, ვის შეებრალებით ურჯულოების ქვეყანაში?.. შვილებო, ჩემო თვალადო ვაჟაკებო! ნოშრევან, ბიჭო, ტყვილა გიზომავდი ბეჭებს... სვანეთში ორი არ არის შე-

ნისთანა მხარბეჭის პატრონი მეთქი! ბაბუაშენს ტყვილა გადაეჭბდი?! გამოსახული გელა მყავს, გლენხი კაცის თვალისჩინი მეთქი!

ეზოში რალაც ახმაურდა. დაფეთდენ ძაღლები. ეზოს მღვმეტრეს. ასმათს გული აუფანცქალდა.

გვიგონი

ახლა ფეხის ხმა მოისმა. მოაკაკუნეს.

ასმათმა იცნო ყასბულათის ფეხის ხმა და დააკაკუნებამდე ფეხზე წამოიჭრა.

გივერგილამ მოასწრო და ურდული გამოიღო. კრიჭაშეკრული შემოვიდა ყასბულათ ოჯახში. ხმის ამოღება ველარ მოახერხა.

ლოგინებს გადახედა. თითქო არ სჯერა ნოშრევანისა და სოზარის დილეგში ჩაგდებაო.

— ნამდვილ გაყიდეს? მიყავთ? — ძლივს მოახერხა ყასბულათმა.

— ვაი თქვენს დედას, შეილებო! მიყავთ და მერე სად... ურჯულოების ქვეყანაში ქართველ კაცს რა გააძლებინებს.

— ღმერთია ჩვენი შემწე! — უაზროდ წამოიძახა ყასბულათმა. — სასახლე დაწვეს?

— დაწვეს.

— ჯანსულ აკურთხეს მთავრად?

— ?!

— ხალხი რას ამბობს?

— ?!

— არაფერს ფიქრობენ? — შორიანლო კითხულობს ყასბულათ.

— რა იფიქრონ, რას გახდებიან?! რუსის ჯარიც რომ ჩამოგვიყენა... ამბობენ, გზები ყველგან გაკრულიაო, ძაღლებივით დაწანწალებენ.

გივერგილამ დრო იხელთა და „მშოიო“ დაიღრიალა. მამას მათხოვარი თვალებით მიაშტერდა.

— აქამე, დედაკაცო! მოსწრებულებს გვტაცებენ, ის კმარა და ბაღლებს შიმშილით ჰკლავ, ადექი!

ასმათი წამოდგა. ბუჯერი ააფორიაქა. ობმოკიდებული ქერის ყუა მოძებნა და ატირებულ გივერგილას ხელში მიაჩეჩა.

ყასბულათმა თავი გააქნია... უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ ასეთ დროს გაწყრომას დუმილი არჩია.

— ვაი თქვენს დედას, შეილებო! — უნებლიედ აღმოხდა ასმათს.

— გული გაიმაგრე, ასმათ! ღმერთია მოწყალე! იქნებ ტირილი სიხარულად შეგვეცვალოს.

— ყასბულათ! — აღტაცებით წამოიძახა ასმათმა, თითქო ეს არის გაყიდული შეილები შინ დაუბრუნდაო. — რის იმედით?

— ვიღონებთ რამეს.

— ყასბულათ, შენი ქირი შემაყაროს, ყასბულათ!..

— კარგი! მივდივარ. გული დაიმშვიდე...

— ყასბულათ! მითხარი რამე...

ყასბულათმა ხელი ასწია. დაჩუმების ნიშანი იყო. *მარქანულში*

— ივანშმეთ და ისე დაიძინეთ... ხომ გესმის?! *ბიზალიჩისიქა*

ყასბულათმა კარი გაიხურა. გაშტერებული ასმათი ცეცხლის პირას იჯდა და გონს ვერ მოსულიყო.

— მოჩვენება იყო თუ... იმედი გქონდესო. რის იმედი? უიარაღო ხალხის? მონადირე სვანის? და დედუქელიანი? ღმერთო!

(გაგრძელება შემდეგ №-ში)



გიორგი ლომიძე

ორი ლექსი

•••

მზემ როცა მიწას მოუგერისა,
იხურებოდა ვარსკვლავთ ბაზარი—
ხმა გავიგონე დარტყმულ კვერისა
შექოთებული რკინის ზანზარი.

ვიგრძენ, იმ დარტყმამ შემოქნეულმა
თავს ნაპერწკლები გადამაყარა;
ვიგრძენ მე ბევრი უნდა შეომა,
რომ გავმხდარიყავ ხალხის ნალარა.

ვიგრძენ ძვერაში გაზაფხულისა
და შენს ჩხრიალში, სისხლო წამატო,
— ეს ჩირალდანი ჩემი გულისა
საით მიუშვა, ვის მივანათო!

მეხი

ღრუბლებმა დატოვეს ძველი საქვალეთი,
მხარი გაიბეს არწივებური,
თითქო ეკიდა, როგორც ბაზალეთი
მაისის ღალით დარძევებული.

ჭგავდენ ღრუბლებში შემუსვრილ ხომალდებს,
ხან მხედარმთავრებს, ხან დამწვარ ქალაქებს,
აიფხვნენ... სულის ამოხდომამდე
თითქოს ცა დაკეცეს და ააღავეს.

უცებ მოსწყდა ნაპირთან
 დაისარტყლა, გაფითრდა,
 დიდროვანი ღრუბელი, თითქოს რკინის ნაქაშულნი
 ყაყაჩოსფრად მახვილი განსაკუთრებული
განსაკუთრებული
 მუხას დაუპრიალა
 დაპკრა ზურგის ბაწარში.
 წამოცვივდა ნახირი
 კლდეზე გადანაქერი
 და საქონელს პირიდან ამოსცვივდა ნაჭამი...
 მუხმა მუხა გახარა,
 აშიშინა ხორცივით
 და გაელლილი ჭერქები სხვა ხეებს მიაცარა
 გასროლილი, ტყორცნილი.
 მუხას წყალი ჩამოსდის
 ტყავგახდილს და ვალოპრილს...
 მუხის შავი კარავი ნატუსალმა გატრუსა,
 პგვანდა მუხა დამფრთხალი ბუღას დანადარტყმულსა...
 დადგა დიდი სიჩუმე... მუხამ შეიშრილა!
 თმა, გულღვიძლი, სიცოცხლის ცეცხლებს დააწეწინა,
 იწყებოდა რიერაეი...
 მუხს კი წყნარად ეძინა
 ამოკაწრულ მიწაში...

კახეთი
 1934 წ.



ლექსები სნაიპერზე

ოცდათერთმეტი მეომარი სნაიპერია

აბ. კობე ლესელიძეს

ის დაიბადა აღმოდებულ ყუმბარის ხმაში,
მისი სახელი დღეს ფრუნზელი სნაიპერია.
ოცდათერთმეტი მეომარი მღეროდა მაშინ...
განთიადისას ქვემეხებიც ასე მღეროან!
მინდა შევკრიბო კალმის წვერში მზის ძლიერება
და ყუმბარებით დახეთქილი შავი მიწები, —
როცა გუგუნებს გრიგალებად და სიმღერებად
სნაიპერული ლეგიონის ჰაუბიციები!
შიშველი მთების მწვერვალები ისროდენ ჩრდილებს,
ისროდენ ტყვიას ანთებული ტანკები მათი.
ჩემი სამშობლოც ბრძოლის ცეცხლში ამზადებს გმირებს,
ამზადებს მამაც სნაიპერებს სამშობლოსათვის!
წასულან დრონი. მოგონება მაინც ერთია —
და მაგონდება დიდი მგონის სიტყვის თარეში:
მაშინ ცრემლებად გადაქცეულ ბაზალეთიდან
რისთვის სტიროდა ქართლის დედა სიმწუხარეში?!
ჩემი სამშობლო უდიდესი ბაზალეთია,
ბაზალეთის ტბა — ამომშრალა ეხლა გულიდან.
ჩემი სამშობლოს გაზაფხული უზარმაზარი,
კაკობრიობის უძლეველი გაზაფხულია!
მაშინაც, როცა ჩანჩქერებად და სიმღერებად
დაიღვრებიან მყინვარები სამშობლო მთაში, —
მინდა შევკრიბო კალმის წვერში მზის ძლიერება
და სტრიქონები ანთებული ყუმბარის ხმაში:
ის დაიბადა, მტრის ტანკების მეხი და ზარი,
და სნაიპერის ვაგაკობას ველზე მღეროან.
მისი სახელი და დიდება უზარმაზარი:
— ოცდათერთმეტი მეომარი სნაიპერია!

სნაიპერის სიყვარული

„შლეიდერმა“ ბლინდაეები
შესძრა, შეაზანზარა.
არხვატელის მხრებსაც შეენის
მეომარის მაზარა.

იყო ველის გადარბენა,
შეტევა და შერისხვა.

მაგონდება ბატარეა
და მთებიდან შენი ხმა:

„ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავს,
დაბრუნება და შინ მოსვლა,
ვისაც კარგი ცოლი ჰყავს“.

შენ ისეთი ლამაზი ხარ
აბრეშუმის გადაღმა —

ლამაზი ხარ,

სულში ზიხარ,

მაგრამ ცოლი არა ხარ!

ჩემი სულის უდაბნოში

შეჭრილი ხარ მდინარედ, —

ანდამატის წყაროდ იქვე.

გულზე გადამიარე!

ნეტავ რაი დააშავა,

ამ პატარა ქალაშავამ?

ცხენი რაა, ცოლი რაა,

რაა გმირის ბუნება —

სიყვარული თავისთავად

არასოდეს ბრუნდება.

მორბის ცხენი და უზანგებს

ჰგლეჯავს უნაგრიანებს. —

ყუმბარებიც სძრავენ დაზგებს

და ქვემეხი გრიალებს.

ქალავ, შენმა სიყვარულმა

ოქროს ფრთები შეისხა. —

ველზე ჰკივის შავი ლულა

და ჩემს გულში შენი ხმა.

შენ ისეთი ლამაზი ხარ

აბრეშუმის გადაღმა —



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ლამაზი ხარ,
 სულში ზიხარ,
 მაგრამ ცოლი არა ხარ!
 როგორც მთა და როგორც ველა
 გულში რეკავს ზარებით;
 გულში რეკავს სნაიპერის
 სიყვარულის ქარები.



ნეტავ რაი დააშავა,
 ამ პატარა ქალაშავამ?

ეს სიმღერა ყოველ ხიდან,
 ყოველ გრიგალს მოება —
 და მოჰქონდა ყოველ მხრიდან
 ბრძოლის გარემოება.
 ჩამორეკს სროლის ზარი!
 მტერო, გული გაიპე;
 სნაიპერი ზარბაზანი,
 ჩემგან ელის სნაიპერს!
 შენი წარბი, შენი სული
 ქალო, ნულარ ღონდება —
 ეს პატარა სიყვარული
 ნუთუ არ გაგონდება?!
 ცხენი რაა, ცოლი რაა,
 რაა გმირის ბუნება —
 სიყვარული თავისთავად
 არასოდეს ბრუნდება!
 შენ ისეთი ლამაზი ხარ
 აბრეშუმის გადაღმა —
 ლამაზი ხარ,
 სულში ზიხარ,
 მაგრამ ცოლი არა ხარ!

ნეტავ რაი დააშავა,
 ამ პატარა ქალაშავამ?

ბლინდაეში ვარ. სიყვარული
 ჩემს სულს შეჩქმს უძლეველს:
 მინდვრებიდან ქარი ზუის,
 ქარი ებრძვის ფრუნზელებს.



ქართული
საქართველოს
საქართველოს

ქარის ოხვრა გაახელებს
ტანკის ტყეებს... გასწივის:
— ამირანის რკინის ხელებს
ალარ ჰკორტნის არწივი!
ამირანის ცეცხლით სავსე
ელავს მთა-კრისტალივით,
და იმ მთაზე, მაღალ მთაზე
ამართულა სტალინი!
„შლეიდერმა“ ბლინდაეები
შესძრა, შეაზანზარა.
არხვატელის მხრებსაცოშვენის
მეომარის მაზარა.
შენ კი: თუმცა ლამაზი ხარ
აბრეშუმის გადაღმა —
ლამაზი ხარ,
სულში ზიხარ,
მაგრამ ცოლი არა ხარ!

— აი, რაი დააშავა,
იმ პატარა ქალაშევამ!..

ტფილისი
1935 წ.



კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მოტაცება

რომანი

ქარი მისამე

მე. ჯოჯის თვალი *)

ჩემი თანამგზავრების აყოლამ საკუთარ მიზნებზე ხელი ამალდებინა. უმთავრესი ეს იყო: სევანური პრომეთეს თქმულებანი უნდა ჩამეწერა ამ მგზავრობის დროს. მეგონა: ასეთი რამ ჯიხვზე ნადირობის დროს უკეთ მოხერხდება მეთქი, მართლაც და ზიხარ მთელი კვირა სახუნდარებში, დილას და საღამოს ჯიხვის ჯოგებს უთვალთვალებ ბინოკლით, დანარჩენ დროს ენა და ფანტაზია მოცლილია. ღამე ცეცხლს გააჩაღებ, ფიქვის ფიჩხის საამო სუნით აივსება სახუნდარი, მოხუცი მონადირეები ინახით წამოსხდებიან და გაიმბობენ ცისას და ბრისას. სწორედ ეს მოცალეობა მითოსის მთხვეელის ლალი სანავარდო.

გარდა ამისა, ოდითგანვე გულში მქონდა ამოკრილი: სევანური ჯიხვი უნდა მომეკლა. ჭორა მახვში თანაგრძნობით შეხედა ჩემს სურვილს. მახვშმა უბრძანა თემურს თავისი უფროსი ვაჟები თანწარეტანა: ჩოფურა თენგიზი, მხარმოქცეული, შინც მარდი ვაეკაცი ოსმანი. მამასა და ბიძებს საური აპყვათ.

ჭორა მახვშმა ქვა ისროლა და თავი შეუშვირა. უკმაყოფილოდ აჯლოყინდა. მე ყურებ დაღურსული ვუსმენდი: მიკვირდა: რად არ უნდოდა საურის გატანება. თენგიზმა განმიმარტა ქართულად: საური საქმეს ავირევთო, ნადირობის დროს ტაბუს არ დაიცავსო, ხელი მოგეცარებათო. საური ბავშვივით დამელრიჯა, შევხვეწნოდი მახვშს და თან წაგვეყვანა. როგორც იქნა დავიყოლიე ჭორა მახვშ. კარგი კარგიო, მაგრამ ჯიხვი რომ ვერ მოკლათ, ჩემი ბრალი არ იქნესო.

კაც ზეამბაიამაც დამიმოწმა პატივისცემა, არზაყანი და ემზვარიც მას აპყენენ.

*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 7—8.

ცნობილია: სენი მონადირე დიდის გულმოდგინებით ემზადება ჯიხეზე სანადიროდ. ორი კვირის განმავლობაში დედაკაცთან სიბლღეს ერიდება.

მარტოხეული

გავიდა ორი კვირა, და შეიქმნა კვერების, ჭეშტაჩებში ცხობა ბელადობა თემურს უნდა ეკისრნა. მას სასაცილოდ არ ეყო ჩემი გერმანული სამთო ფეხსაცმელი, მოკლე შარვალი და ინგლისური წინდები. გადაწყდა: ყველას სენური ჯაბრალეები უნდა ჩაგვეცვა ფეხზე. ტანზე ჯიხვის ქურჭები და რუხვი ჩოხები.

თავით ქორა მახვშმა გამოჭრა ხბოს ტყავის ჯაბრალეები, თემური და თენგიზი ჯაბრალეებს გვიკერავენ. თემურის დედა გურანდუხტი ჭეშტარებს გვიცხობს, საურ წრიაპებს უკირკიტებს, ოსმანს მუჯრები მოჰყავს წესრიგში.

მზადება მოთაედა, მაგრამ სანადიროდ წასვლას არავენ ამხელს.

მეორე დღეს თემური ჯირკზე დამჯდარა და ნებიერად აბოლებს ყალიონს და მთებზე დაზვინულ ნისლს გასცქერის.

„ჯესმიმო, როდის მივდივართ სანადიროდ, აა თემურ?“

მეზობლის დედაკაცი გადაცვლილა, თემური თითებით მიჩვენებს. სამ დღეში თვე გახდება, მერმე წავალთო.

შესრულდა თვე.

თემური ისევ იმავე ჯირკზე წამომჯდარა. ვეკითხები. თავს აქნევს: არ ვიცი როდის წავალთო. საურმა გამიხმო: ალბათ ქალ რძალთაგანს რიგი სჭირსო ვისმეს. მოდი ჩვენ მარტო წავიდეთ, მე და არზაყანი ვიკმარებთ. მათთან წასვლა არც ისე იოლიაო. მიჩურჩულეებს საურ.

კიდევ ერთი კვირა გამოხდა. ქარი ამოვარდა, მთებზე დაზვინული ნისლები ააფორიაქა და გაჭენდა ღმუილით ტაფობზე. მე უკვე გზების შეკვრის მეშინია, ტფილისს გაბრუნებას ვაპირებ. მთელი დღე ვზივართ მახვის კოშკში, მთებს გავსცქერიოთ, ხანაც სახლის ოღეში დავცუცქდებით, არზაყანი და თარაში ღანკს ესვრიან. ნიშანში სროლაში ეჯიბრებიან სენებს. ხანაც მაჩვიბის წინ თავს მოვიყრიოთ და ანწლის არაყს შევექცევით. სენის ქალები ჩონგურს უკრავენ. ცუდი სიზმრები მოსდევს ანწლის არაყს, ცუდი სიზმრები და კოშმარული ღამეები.

„ბატონო, ვგონებ ხვალ მივდივართ“, მეჩურჩულება ერთ ღამეს საურ. ჯოკია წავიდა. მამას არ მოსწონდა მწითურ ჯოკიასთან ერთად გზაზე დადგომა, თორემ ამ დილით აპირებდა წასვლას“.

ესაა, მხოლოდ არავის გაუმხილოთო, მარიგებდა საურ, თორემ ისევ ჩაგვეშლებაო წასვლა. მე პირი მოვკუმე, ჯიხვის ტყავებში თავი ჩაერგავი, მაინც არ დამეძინა (ასე მჩვევია სანადიროდ მიმავალს).

ნაშუალამევეს წამოდგა თემური. ჯერ დიდხანს ლოცულობდა საწოლის წინ წამოჩოქილი. მოათავა ლოცვა და ჩვენც წამოვცვივდით. თემურმა

გვიბრძანა და გულებში ჩაველაგეთ — არაყი, სანთლები, ცერეები და კვიშტარები.

კოშკში ჩვენს მეტი არავინ იყო, მაინც ჩურჩულიდ გვეტყვიან თემურ. აქ კი დაიწყო სვანური ტაბუს ამბები. ყოველ ჩვენთაგანს კარგული შევეიცვალა თემურმა. თავათ ნაპოოლი — ფრინველი დაირქვა, მე მგელი უნდა მრქმევოდა, არზაყანს ჯიხვი, ემხვარს რატომღაც თევზი, კაც ზვამბაიას დათვი, საურს — ფოთრი და ასე შემდეგ. ხოლო თოფს — ტარხან, კოლოკი უნდა რქმევოდა.

კოშკის კიბეები ჩავირბინეთ სულის მოუთქმელად. თემური წინ წაგვიძღვა და ჩქარი, ჩქარი ძუნძულით ისე გავიპარენით სოფლიდან, ხორციელი არ შეგვხვედრია. ასე დაუბრებულნი მივიპარებით ღრანტიან ბილიკებზე, ტყე და ტყე, მინდორ-მინდორ, ველ და ველ. მოთავდა ნაძვნარების რაიონი, ახლა ღოღოს და ჯახველის, ალბიური ბალახისა და დეკის საუფლო დაიწყო.

არწივები, ბოლობეჭედები სხედან მოტყეპილ ქიმებზე, ჩვენ ფეხის ხმაზე ზანტად დგებიან და ცაში აკეთებენ ირაოს, დადუმდა ბუნება, აპა გამოჩნდა უშბას მარჩბივი მწვერვალი, ახალი თოვლით დათრთვილული კორძიანი ფლატეები. მხარმარცხნითა და მხარმარჯვნივ ლილასფერ ბურუსში სთვლემენ კავკასიონის ბროლის პირამიდები. ისეთი მსუბუქი ბურუსი ახვევია მწვერვალებს გარს, რემბრანდის სურათებს რომ დაჰკრავს ხოლმე.

ნელა, სულ ნელა ემატება შუქს გამსჭვირვალება, ერთბაშად თითქოს გაიზმორესო ამ გველესაპებმა, გაფხრიწა მერმე მზის შუბებმა ნისლების რიდე და ყომრალი სხივის კასკადები გადაეფრქვია ბროლის ქორედებს. უფრო და უფრო ვუახლოვდებით ღრუბლებს, დეკის ბარდეებიდან როკოების კრიახი ისმის, ხანაც ღრუბლებსმიწვეულ ქორების ყიფყივი.

უკვე წრიაპები გავიკეთეთ, მუჯრები მოვიმარჯვეთ და შევუდგით ციცაბო ბილიკებს. რაც უფრო ვწინაურდებით, მით უფრო მკაცრი ხდება თემური. იგი ვერ იტანს არზაყანისა და საურის ჩურჩულსა და ღრეკას. განსაკუთრებით ეს ვერ აუტანია, ისინი ვერ იხსოვნებენ სავანგებოდ შერქმეულ სახელებს.

ჩემთვის ბევრს უთქვამს მგელს წააგავხარო, ასე რომ კიდევაც შევიშენე ეს სახელი. კაც ზვამბაია კვალდაკვალ მისდევდა თემურს, შესდგებოდა, ერთს შეუკურობებდა არზაყანს, მერმე ისევ გაუდგებოდა ბილიკს ტაბით.

არ ვიცი საურ რას ეჩურჩულებოდა არზაყანს, იგი თვით ამ უფსკრულების პირად ვერ იკავებდა სიცილს. მერმე განზრახ შეიხსნიდა ჯაბრალების თასმებს და ღროს იგებდა უკან ჩამოსარჩენს. საურ და არზაყან უკან რჩებიან. გეგმებს აწყობენ, რაიონში პარტმუშაობის გასაჩაღებლად. მე და ემხვარ მართლაც ვერ შევეგუეთ სვანურ ჯაბრალებს.

ძახეს და ტარხანს — თოფი). მზე ჩავიდოდა თუ არა, ძილი მოერეოდა აემურს და მთელი ღამე მუცელს აცემინებდა გულშემოყოილი ბერიკაცი: არზაყანი ჩემს გვერდით იწვა.

„ეჰ, დაგვიშინეს მზრჩოლავი გაზები“, მიჩურჩულებს არზაყანი და იგულებს სიცილისაგან.

მთელი ღამე თინელავდა. ნისლების ჯარები დაესხნენ მთებს, ქვეყანა ღრუბლითა და ჯანლით აივსო, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნებოდა ხანჯახან, თითქოს ღრუბლების ზღვაში ვცურავთო. სამი დღე ასე სწვიმდა. ერთმე კამ პირი გვიჩვენა, მაგრამ სალამოს ისევ ნისლი დაჰკრა, ისეთი არჩელი, თოფის სასროლზე კაცი კაცს ველარ გაარჩევდა. იმ სალამოს სამნი წავედით როკოზე სანადიროდ, სამ-სამი როკო მოვკალით. მოვდივართ ღიღინით ქვაბისკენ.

ემზვარი სადღაც გადაგვეყარვა. გავიხედე ადამიანის ლანდი მოდის ნისლში. ადამიანია, ნამდვილი ადამიანი, თოფი გავმართე შევეხმიანეთურმე არჩვი შეგვეფეთებია. ისე მოდიოდა აჩრდილივით, მოიპარებოდა-ნადირობა და ადამიანმაც ვერ ვიცანით ერთიმეორე. გული დაგვეწყვიტა და დაინთქა ნისლის მორევეში. ნისლი ჩადგა, ახლა ქარი ამოვარდა, ქარი და თოვლქყაპი. უთენია მივევარდებით სათოფურებს. ვაგსცქერით ბინოკლებიდან და ვხედავთ: თვალწუდენ სივრცეში გაიელვებენ ჯიხვის ჯოგების სილუეტები და გაჰქრებიან. ხანაც შორს, ძალიან შორს ჯიხვი დამჯდარა დაცერებულ მყინვარის ფლატეზე, უკანა ფეხები ამოუკეცნია, წინანი წინ გაუშვერია და მარხილივით მისრიალებს უფსკრულებისაკენ. ხანაც შეხტება ღვამ ჯიხვი, რქებს დაჰკრავს პიტალო თხემზე და გადავლება თვალშეუდგამ უფსკრულის ხახას. და უთენია მოგვესმის შურთხების ფრთების ფრთხიალი, ჯიხვების სტვენა და მერმე თოვლის შვაგების გრიალგრიალი. მალე საგზალი შემოგვევლია: წყალი, მარილი და პური. უთენია გამოვძვრებით სახუნდარიდან, ასიოდე ნაბიჯს გავივლით. იქვე მოტვლეპილი დაბალი კლდეებია. მთის ინდოურები ჩამომსხდარან წვეტიან ჭიმებზე, როგორც ყორნები ეკლესიის გალავანზე.

ვესვრით, ათიოდე ინდოურს ქვაბში მოვიტანთ და მთელი დღე ტიციენებს ცხიმი გაჩალებულ კერის გარშემო. წყლის ნაცვლად ყინულსა-ცქამთ და უმარილო ხორცს შევექცევით. ადრე იძინებენ მონადირენი. მთელი ღამე ებორგავთ მე და ემზვარი, დიდი ქალაქის უძინარ ღამეებს ნაჩვენეი, და ჩვენი ოცნება ხან სამზეოს მოედება, ხანაც სახმელოს ეპოტინება.

მე ხომ სავსებით გამიკრთა ძილი. როგორც კი თვალს მოატყუებს თარაში, მყისვე კოშმარები ეწყება, ისევ ჯამლეთ ტარბას ახსენებს მძინარე-გაცოფებული წამოვარდება, თოფს წაეპოტინება.

ერთ ღამეს არზაყანს წაეკიდა. ისევ სვანეთის უგზოობის და ჩამორჩენილობის გამო წალაპარაკდნენ. ჩემს მერტს ყველას ეძინა. უცებ ქარ-

თულიდან აფხაზურზე გადავიდნენ და ურთიერთზე მიიწიეს. მე წამოდგომა მოვასწარი და შუაში ჩავდექი. არზაყანმა დაიძინა თუ არა მე წამიკიდა. საერთოდ იგი აუტანელი ვახდა უკანასკნელი დღეების მანძილზე. მეორე დღეს ტფილისს ვაპირებდი წასვლას და სწორედ ამ დღეებში გამოიღარა. მყინვარების ქორელებმა თავი წამოკვეცეს ღრუბლების ზღვიდან. ისინი ისე მშვენიერი ვახდნენ, თითქოს ხელახლა შეუქმნიათო. თეთრად მოვარვარე ღრუბლების გემებიდან მათ ვერც კი არჩევდა თვალი, ასე გეგონებოდათ, მალე ეს მთებიც და ეს ღრუბლებიც ადგებიან და ეთერში გაიქნებიანო.

სწორედ იმ დილით არ გამოჩნდა არც ერთი ჯიხვი. დიდხანს ვუჭვრიტეთ ბინოკლებიდან მთის ბილიკებს და მკავე წყლებს, მერმე გაბრაზდა თემური. ბრძანა დევის ქვაბი დაგვეგდო და მახლობელ მყინვარებზე ვინადიროთო.

ახლა ალაღბედზე უნდა გვეარნა ამ ქიუხებში, თემურ გვარწმუნებდა: მე ადგილი ვიციო, სადაც ჯიხვის ჯოგს წაეაწყდებითო საბალახოდ დაბლა ჩამოსულს. იქ თუ წავესწარიოთ ჯოგსაც ამოვწყვეტოთ და ჯოგის თვალსაც ხელში ჩავიგდებოთ.

ერთი რამ იყო. თემურ მოითხოვდა, ჯოგის თვალისთვის არავის ესროლა, ვიდრე თვით ჯოგი არ გამოჩნდებოდა, თორემ ხელცარიელი წამოვალთო უკან. ყველამ ფიცი დასდო, ჯოგის თვალისთვის არ ესროლიათ პირველად, ყველაზე მტკიცე ფიცს თარაშ ემხვარ აძლევდა თემურს.

თემურმა პირჯვარი გადისახა და მიეყვით აღმამიშავალ ბილიკებს ფრთხილად. ასე ვიარეთ ორიოდე საათს, მე და ემხვარი უკან ვრჩებოდით წარამარა. მე მუჯრა გამიტყდა ერთ ადგილას და საური რომ არ მომშველებოდა უეჭველად დავიღუპებოდი. ემხვარს წრიაბი დაუცდა და არზაყანი მიეჭრა და გადაარჩინა. მაშინ თემური შესდგა, აჯლოყინდა: გვირჩევდა დევის ქვაბში დაბრუნდით, იქ მოგვიცადეთო. ჩვენ არ გავიგონეთ. ამდენი ჰაპანწყვეტის შემდეგ ჯიხვის მოკვლა ისეთ ოცნებად იქცა, ყოველი ჩვენგანი თავს გასწირავდა დაუფიქრებლად. კვიცრა ბაჩართან შემოგვალამდა და შიშველ ყინულზე ვათიეთ ღამე.



მეორე დღეს ნასამხრალამდის ვიარეთ ხევ-ხევ, ჯღურტულით მოჭკრიან მყინვარებიდან აჭაფებული ნაკადულები, ახლა ისევ აღმავალ ბილიკებში მიეყვით, შორეულ მწვერვალებს გავუსწორდითო თითქოს, იმატა სითეთრემ. თვალი აგვიწვა შუქის ცივმა. მალე შეფაკლდა მწუხრის ცისკარი და ვარდის წყალი გადაეფრქვია ამ გოლიათურ ყინულის მუზარადებს.

თემურ დაიქანცა, უმატა ბუზლუნს ჩვენმა ბელადმა. საურს უყვირის, კაც ზეამბიაც წარამარა ევაჯღანება თავის არზაყანს. სულ მცირე რამისთვის აყვირდებიან მოხუცები, რადგან ახალგაზრდები ვერ იტანენ მათ

სისასტიკეს და სიფრთხილეს გამოცდილი მონადირისას. გაშლილ ზეგანზე გადავედი.

მაჯაგანით გადავდივართ ვულკანის ქვებით დეჩერვანუ-შეატოზე, უკვე მონადირეთა ბილიკებიც დაგვარგეთ თვალდაჩაქრულსაშუაშლია ადამიანის ნატერფალი ამ ბილიკებზე, სდგანან ვულკანისაგან თავბირ-ჩამოლენილი მწვერვალები, მეწყერებისაგან დაფშვნილი ფლატეები და გორბახები. უკვე ვერ ვხვდებით ვერც არწივებს, ველარც სვავეებს და მთის ალალებს. მხოლოდ აქა-იქ ქიუხების წყნარ უბებებში დარჩენილია გაფითრებული ალპიური ბალახბულახი.

ზეგანი მოთავდა ჩამოლენილ ფლატის მახლობლად, მაგიდისდარი პრტყელი ლოდი აგდია ჩვენს წინ მიწაზე და ზედ თეთრი, თოვლისფერი კენჭები დარჩენია ვილაცას.

თემურმა მუჯრა გადაავლო, გუდა მოიხსნა, დაჯდა, კენჭი გააგორა, სამჯერ ზედიზედ. ოსმანი და თენგიზიც გვერდით მოუსხდნენ, მოკლილ ბავშვებივით ათამაშებენ ამ მრგვალ, თეთრ კენჭებს. თემური ხან იქმუხენება, ხანაც როხროხობს გახარებული, ან ვაუგებარ სეანურ სიტყვებს ჯლოყინებს თანაც. ჩვენ ვდგავართ მუჯრებს დაყრდნობილნი და გაოცებული შეეცქერით ამ ბალღურ თამაშს. საური გვერდით ამოგვიდგა.

ეს სამარჩიელო ქვა ყოფილა. მონადირენი თურმე ამ გზით ამოიკითხავენ ხოლმე ნადირთა ღმერთის იღუმალ ზრახვეებს.

თემურ წამოდგა. გუდას და მუჯრას ხელი წაავლო, შებლგახსნილი, სახე გაბრწყინებული მოგვიბრუნდა და გვანიშნა გზას გავდგომოდით.

სიანს იმედი აქვს დალი ჯოგებს მოერეება, ჯიხვის ჯოგებს ჩვენ დასახვედრად.

აბა პაპიროსი არაეინ მოსწიოსო, გვიბრძანებს თემურ. თოფები შემართული იჭონიეთო. იმ ხევს გავივლით, იმ წოწოლა მთას შემოვუვლით მერმე ერთი მთა შემოგვხვდება, კუზიანი მთა და იქ ჯიხვები ეგულებათ თემურს და ოსმანს.

საურმა ნაბიჯი მოუხშირა. საურსაც შეეცვალა ახლა გუნება. მისი ოცნება ეს ყოფილა: ჯიხვის დურაყი უნდა დაიჭიროს, ჯერ ურქო ნუკრი. გაზდის საური ჯიხვის დურაყს და გაზაფხულზე ტფილისს წაიყვანს. საურს მტკიცედ სწამს, რადგან თემურს ამოუკითხავს ეს ამბავი ლოდის ძარღვებში. არზაყანს ეცილება ასეთ ბალღურ ამბების გამო, გვერდით მიყვება საურს და იცინის...

„ფოთრი, ფოთრი“... ამბობს საური და თვალგაბრწყინებული შემოგვცქერის. მშვენიერ, თაფლისფერ თვალებში სხივი ჩასდგომია საურს და მისი ყინულივით თეთრი კბილები უცნაურად ელავენ თანაც.

„ფოთრი, ფოთრი“... იმეორებს საურ და მიყვება ბილიკს.

მე ძლიერ მომწონს ეს სიტყვა „ფოთრი“, მინდა ხმამაღლა გავიმეორო. მაგრამ ვერიღები ტაბუს დარღვევას. ოსმანი მოდის აგერ ჩვენ გვერდით

და უეჭველად დამასმენს თემურთან. სტუმარი მოსარიდია, მაგრამ ნადირობაში არც სტუმრებს გვერიდება ჩვენი ბელადი.

„ფოთრი, ფოთრი“, ხმოვანდება ეს სიტყვა ჩემში. მაგრამ არც მაგრა რომელიმე ჩვენთაგანს თუ ეწვევა ასეთი ბედი...
 მთვარის მოტაცება

უკან მოვიხედე, ემხვარი სადღაც გაუჩინარდა. მასაც აერია გზაში გუნება. წარბმოდულული მოდიოდა ხმის გაუღებლად, კარგი ხანია მშრიდან თოფი არ მოუხსნია. ფიქრში წასული, დაღონებული მოდის ჩვენს უკან. იგი თითქმის ყველას წაეკიდა გზადაგზა. ყველას, კაც ზვამბაიას და თემურის გარდა. ხევი მოთავდა, მთას მოეუარეთ.

ისევ ხევი. თემური, ოსმანი და თენგიზი დაწინაურდნენ, კაც ზვამბაია და არზაყანიც აღარსად სჩანან. მოულოდნელად შემოგვესმა სტვენა ჰაერში. გავკმოდეთ სული, კიდევ და კიდევ დაუსტვინა და მერმე ისევ ჩამოვარდა მყარი დუმილი. მყინვარების მყარი დუმილი.

შურთხების ფრთხილი გაისმა ჰაერში.

„ჯოჯი მოდის, ჯოჯი მოდის“ ჩურჩულებს საურ და უზარმაზარ ლოდს ამოუწვია. მე დავწინაურდი. თემურ, ოსმან და თენგიზიც გაუჩინარდნენ, არზაყანსა და კაცს მხარმარჯვნივ უნდა მოველოთ, სადღა არიან? სამი ნაბიჯი უკან გადავდგი, კლდე მოვისაფრე და ვხედავ ნათლად: უმაღლეს ქიმზე უშველებელი ვაკი იდგა. იდგა ამაყად ჯოჯის თვალი გაქვევებული; თითქოს შეზრდოდა ძერასფერ ფლატეს, ასე ზეერავდა არემარეს ამპარტავნად ყელმოღერილი. არც ერთ მოქანდაკეს ამაზე უფრო მშვენიერი ქანდაკი არ აღუმართავს ჯერაც კვარცხლბეკზე.

თოფი გავმართე, მაგრამ გული საგულეში არ მიჩერდება, საკუთარ სისხლის აჩქამება მევე მომესმის... საცაა ჯოჯიც ჩამოყვება წყაროსკენ ბილიკს. ეს გავიფიქრე და სწორედ ამ დროს დაიგრიალა გაღმიდან თოფმა. კლდეების ყორე დაინგრაო თითქოს ერთბაშად, მთელმა ჯოჯმა დაიფრტუნა სტვენით, თქარუნით მიაშურეს ისევ მყინვარებს.

მხარმარცხნით ბოლი გაიფანტა მაღალ ფლატეზე. თარაშ ემხვარ თოვლით გავსილ ხეეს ვაღმა იდგა, გადახსნილ თოფში იჭვრიტებოდა. სისხლი ამემღვრა მის დანახვაზე, გავმართე თოფი, ჯიქურ ვესროლე. ცოტა ხანს ვიდექ ჩემს ადგილზე გახევებული, ესლა შევნიშნე, თუ როგორ გადაეშვა ემხვარი კლდიდან. ოდნავ შევზორძიკდი, კიდევ მივხედე, მაგრამ იგი უფსკრულმა ჩანთა.

ახლა მხარმარჯვნივ გავიხედე, შორს, ძლიერ შორს საური და თემური გარბოდნენ იმ ადგილისკენ, სადაც ჯიხვი ძირს დაენარცხა. უკუ ვიქეცი, კლდეს ავეფარე და ესეც ვნახე, თუ როგორ დაიჩოქა თემურმა თოვლში, პირჯვარი გადაიწერა და აკოცა დრუნჩში ჯოჯის თვალს.

ეს კარგად ვიცი: თარაშ ემზვარის კლდიდან გადაეარდნა თავათ სა-
ურსაც არ დაუნახავს. მუჯრა მოვიმარჯვე, წრიაპები გავისწორე და და-
ვეში თავექვე ქიუხებისაკენ. სულმოლთქმელმა გადავიაჩე მკლქეთ გორაკი
და ახლა როცა მარტოობა საცნაური ვყავ, უცნაური ჯამ მრწოლა მო-
მგვარა გულფიცობაში ჩანადენმა დანაშაულმა... გაერბივარ, გაერბივარ
და უკან ვიხედები...

შევდექ და ისევ გავიხედე ჩრდილოეთისაკენ. მთლად იისფერი გა-
მხდარიყო კავკასიონი. მშვიდად ეძინა მარადიულ ყინვის საუფლოს. ცა
ოქროპირი უღიმოდა ბინდში გახვეულ თეთრ პირამიდებს. შევცქერი ამ
მთებს, ჭრთილის ოდენად მეჩვენება მე ჩემი თავი, ჩემი წუხილი ამ იგავ-
მიუწვდენელ საოცრების კიდევან მდგარი...



მესამე დღეს გადავლახე ზუნტარის კლდეები, უდიდეს ქარბუქს ჯვარ-
ში ჩავასწარი. მეოთხე დილას უჩვეულო თოვლი მოსულა, რამდენიმე
ხნით ჩაკეტილა ზემო-სევანეთი, მხოლოდ სავსებით იშვიათი მთამსვლე-
ლები და ჯოკიასავით თავზე ხელაღებული ცხენის დალალები თუ ბედავ-
დნენ სევანეთის ბილიკებზე გამოჩენას თხილამურებით.

ჯოკია თურმე მთელი ზამთარი დადიოდა მესტიასა და ჯვარს შორის.
ამანათები, ფული, წერილები და ვგონებ მარილიც კი დაჰჭონდა მაგ ეშ-
მაკის ფეხს.

1932 წლის გაზაფხულზე ორგზის შემხვდა ზუგდიდში, მე მან რამ-
დენიმე წერილი მომყიდა, მაგრამ სულ მცირე მოთმინება იქონიე ჩემო
მკითხველო და ამ ბარათებს მე გაგაცნობთ შემდეგ თავებში.

54. Dicedamus hesterna die...

ესპანეთის ინკვიზიციის ხანებში ერთი პოეტი შეიპყრეს თურმე სწორედ
იმ დროს, როცა კათედრაზე სიტყვას ამბობდა. ხუთი წლის განმავლო-
ბაში აწამეს ჯალათებმა, როგორც კი გამოლშვეს, იმავე დღეს უნივერსი-
ტეტში მიბრუნდა და იმავე კათედრაზე ასული სტუდენტებს ეუბნება:

„Dicedamus hesterna die“...

გუშინ ჩვენ ვამბობდითო... და განაგრძო ხუთი წლის წინად შეწყვე-
ტილი ამბავი.

ასევე მეცა. ხუთი კვირის წამების შემდეგ ძლიეს მოვალწიე ტფილი-
სამდის და კვლავ განვაგრძობ მე აქ ჩემს სათხრობს.



ისე გავიდა სექტემბერი და ოქტომბერი ისე მიიწურა, ოქტომში დანამ-
დვილებით არაეინ არაფერი იცოდა რა ბედი ეწვია ჩემს გმირებს. თოვ-

ლის გუნდასა ჰგავს ხალხში დარბეული ხმა. მუშტის ოდენა რომ დაგორდება მთიდან და ზევაედ ჩამოვა ბარად.

სენათში, ტყეში მომხდარი უცარი შეტაკება საცმალ იყო და მოკლილებმა ხმა დააგდეს: ორივე, მამა-შვილი და ემზვარი ტყეში მოკლესო. ეს მეორეჯერ შეიმცხადეს მაიამ, ხათუნამ და ძაბულიმ ჩემი გმირების სიკვდილი.

მაია ოქტომბერში გაცივდა, შაბათ საღამოს ილოცა, ჩაწვა ლოვინში და მეორე დღეს მკვდარი ნახა ცირუნიათ იგი საწოლში. როგორც კი ქელეში და ჯამუ ლორებს გარეკავდნენ საძოვრად, ხათუნას ყოველდღე გამოჰქონდა ქმრისა, ვაჟისა და გაზრდილის ნიშანი: არზაყანის ჩაბალახი, კაც ზვამბაიას ჩოხა და თარაშ ემზვარის ძველი კოსტაუმი, თხილნარში გაიტანდა და მოსთქვამდა უამბოდ გადაგებულებს.



„თვალუას“ უძახიან ოდიშის მხარესა და ფეხაზეთში ამგვარ დატორებას. „თვალუა“ ალბად იმიტომ ჰქვია, ტრანსში გადასული მოტირალი ცხადლივ რომ ესიტყვება მზეგადასულთ.

ნიშანს წინ დაიდებს თმაგაშლილი დედაკაცი, მოისევამს ხელს დალალებზე, ლოყებს იკაწრავს და ებმინება მიცვალებულთ. ჯერ უცრემლოდ ესაუბრება მიცვალებულებს, აქებს მათ სიკარგეს, სინაზესა და გულითადობას. ამბობს თუ რა უდროვოდ გაეცალა იგი წუთისოფელს, და ამგვარად სიტყვებს რეფრენად მისდევს „ო ვაჰვაჰ“...

მერმე ისევ „ო ვაჰვაჰ“-თი წამოიწყებს ახალს რამ სათქმელს, უსაყვედურებს მიცვალებულს თუ რა უგულო ყოფილა იგი, როგორ უპატრონოდ მიატოვა შინ დარჩენილნი.

მერმე საკუთარი გლოვისაგან გულდამდღურული ფრჩხილებს დაისევამს გაშლილ თმებზე, მოფოცხავს თმას და ლოყებს დაიხოკს მდღლარე სიტყვებისაგან გულდათუთქული და ატირდება.

ო, ვაჰვაჰ, დაიწყებს მერმე, იმ საიჭიოში თუ შეხედო ამა თუ იმ მკვდარს; ასევე უდროოდ ამ ცხოვრების წრიდან გამოსულს ეტყვის აქედან, მას უთხარიო, თუ როგორ უმწეოდ, უპატრონოდ შთენილი ვარო, ო ვაჰვაჰ, ამცნეო ბედშავს, უბედურს და უხანო სულსა, რომ ამ მიწაზე მე ცხოვრება გამიმწარდაო, ცრემლი არისო დღედაღამე აქ ჩემი საზრდო, უშენოდ მზესაც ათინათი მოკლებიაო, არ მილიმისო ამ უხანო მიწაზე მდღლოს სიმწვანე, აღარც სინათლის გამოჩენა ატფობსო გულსა.

ასე დამჯდარიყო იმ დღეს ხათუნა და მოსთქვამდა ქმარსა და ვაჟს და საყვარელ გაზრდილს.

არასოდეს ხათუნას კაც ზვამბაიას სახელი არ უხსენებია. „იგი“-ს ან „იმ კაცს“ უწოდებდა ქმარს, ან „ბატონს“, „შურიგეს“.

ბატონო, ეუბნება იგი კაც ზეამბაიას, შენი ზღვასაეთი ოჯახი თავზე წამოგვექცაო, ხურმებზე მიშვებულნი ვენახები გაახმოვო ბატონო ჯვალვამ, შენი ყანები კოლექტივმა დახნაო, შენი მიჯნების სამანებო ქველაშენიებმა, მაქაცარიებმა და ტარბებმა გადალახესო ბატონო, სედა-ჭყროს ეხლა ბატონო, შენი სატევარი წელზე შემოირტყაო, შენ თოფს ხელი წამოავლო და დაიცვაო შენი სარგო მიწის ნაჭერი.

ო ვაპ ვაპ, ბატონო, შენი ქელეში ობლობამ დაავლახაო, მცირეწლოვანი თოხს ველარ სწევს ისე საწყალობლად ატკინაო კოჭრებმა ხელი, ჯამუც სულ წრიალებს ბატონო, როდის მოვაო მამიკო სახლში?

ო ვაპ ვაპ, ჩვენ არ ვუმხელთო ბატონო ჯამუს, რომ შენ ამ სოფელს აღარ-ხარო, ჯამუ დღედაღამ ჭიშკარს გასცქერის ბატონო, ჭარიან დამეში არ ეძინებაო ჯამუს. ჭარი შეარხვეს ვერხვის ხეს ბატონო, ჯამუს სულ შენი მათრახის ტკაცუნი ელანდებაო ბატონო.

ო ვაპ ვაპ, არზაყანს აქ ყოფნიას შენ აწუხებდი ბატონო, მუდამ ებუზღუნებოდი, მწარე სიტყვას არ ზოგავდიო. ჩვენი ჯავრი ნუ გაქვს ბატონო, მე თუნდაც მიწამ მიყოს პირი, ჩემ არზაყანს მოუარეო ბატონო. ობლებს მე გაგიზრდიო შენს საფიცარ ქელეშსა და ჯამუს.

ო ვაპ ვაპ, იწყებს ისევ ხათუნა და ახლა არზაყანს მიმართავს უგულოს. შენ დედა არ გეცოდებოდაო, შენ დედის გულის ჯალათი ხარო შეილო, შენ გაამწარე ჩემი სიცოცხლის დღეები, შენ შემოგვევლოსო დედა-შენი ო ნანა. შენ მამის ურჩი იყავი შეილო, იქ მიინც ნუ გაამწარებ უხანოს, გაუგონეო მოხუცებულს შეილო, შენ ცხენს, არაბიას, არენბა არლან დააქენებსო, არენბა არლან კისერმოსატეხი, წმინდა გიორგი და ჯვარის მთავარანგელოზი კისერს მოუგრებსო არენბა არლანს, მოსრასო ღმერთმა და ილორის წმინდა გიორგიმ მაგ შენ დამლუპველ ტარბების ჯიში, ზღვაში ხომალდი დაექცესო ზღვაზე მიმავალთ და ხმელზე ცხენი წაექცესო ცხენოსან ტარბას, წყალზე ბოგირი ჩაექცესო ზოგაზე შემდგარს, ხრმალი ბრძოლის დროს ზედ ვადასთან გადაუტყდესო. მოსრასო ღმერთმა და ილორის წმინდა გიორგიმ დიდის და მცირის ტარბას გვარი, მათი ჯილაგი, ტარბას ქალების ნაშიერი გაელიტოსო მალაღმა ღმერთმა და ილორის წმინდა გიორგიმ როგორც ენგური, გაზაფხულზე გაცოფებული კინკველების თესლს გადალეკავს ნაპირზე დაყრილთ.

მოსთქვამს ხათუნა, უმატებს ხმას, ილადრავს არზაყანის გამზრდელ ძუძუებს.

ეოპ, ნანა, მიმართავს ხათუნა ისევ არზაყანს.

შენი ძაბული გადაგყვაო შე უმადურო, ორივე ძმები პელაგრისაგან დაეხოცაო, თავისი მამის ძველი ფაცხა გამოკეტა, ფუქე და ფუტი ჩაიჭროვო მამის სახლკარში, გვერდით მიდგასო სიბერეში შენი ძაბული, შენთვის მტირალმა თავი ჭვრივად განაცხადაო, შენი სახელის ხსენებაზე გაფითრებდა, შენ ხელშენავლებ თოხს კოცნისო შენი ძაბული, შენი მათრახის

დანახეზე ცრემლს ღვრიის ქალი, შენს უნაგირსაც სასთუმლიდან არ იშორებსო, და შენ სატევარს, შენს ლეკურს უვლისო ისე როგორც საკუთარ თვალის ჩინს და გულის იმედს.

ვოპ, ნანა, მიმართავს ხათუნა ისევ არზაყანს.

უკანონო
გონიერება

ჩემი გაზრდილი ე მანდ კარგად შემინახეო, შენი მშობელი ძუძუებით ვზრდილიო მასაც. ხომ კი გახსოვთო ფეხშიშველი როგორ დარბოდით, ან ამ თხილნარში ქარკუნს როგორ თამაშობდითო, ე მანდ ბოგიდან ანკეს ისროდით, წისკილის ქარზე ცხენებს ერთად აძოვებდითო. ხორციელ ძმაზე მეტი იყო შენთვის თარაში, ბრძოლაში, ქირში მხარი მანვე დავიმშვენაო. შენი გულისთვის დაეძგერა ის ჯამლეთ ტარბას და ეს სიცოცხლე გასწირაო კიდევ თარაშმა.

ვოპ ნანა...

ახლა თარაში ემზვარს შეესიტყვა დამტირებელი. ჯერ აქო მისი რაინდობა და თავდადება. შენ არ გავდიო კულაბზიკა თავადიშვილებს, ვინაც ძიძასა და მამამძუძეს არ კადრულობენ. აქებდა ძიძა თავის გაზრდილი განათლებას და დიდგაცობას, თავმდაბლობასა და უბირთა განურჩევლობას. ვო ნანაპ, სტირის ძიძა და იხოკს ლოყებს.

„შენც უგულო, მუხანათი ყოფილხარ შეილო, დააგდე დედა უბედური და სვედაესილი. დედა საფლავში ჩაიტანა შენს გამო დარღმა. ან მე რაღა ვქნა ბედდამწვარმა შენმა გამზრდელმა, შენი იმედი მქონდა, ჩემო შეილის სწორო ტკბილო გაზრდილო. მე მომკვდარვიყო შეილო შენს მაგივრად და არზაყანის ნაცვლად ჩაცსულიყავ ბნელ სამარეში. იმ კაცის ნაცვლად მე მომკვდარვიყავ, ჩემთვის სამივეს რომ ჩაგეცვათ შავი ეს ჯობდა“...



ოქტომბერში მოთავდა მხოლოდ სექტემბრის მიწურულში დაწყებულა წვიმები. ასე რომ გვიან მოტეხეს სიმიინდები. ამას ყოველივეს ისიც ზედ დაერთო, ბობოლებმა საკუთარი ყანები მიავდეს. არენბა არლანმა სიმიინდის გადასახადები შეაწერა ხალხს, შეაპარა ბობოლები კოლექტივში.

კოლექტივში შემძვრალი ბობოლები გარჯას გაურბოდნენ და ამიტომაც წვიმამ დააღპო ყანებში სიმიინდი.

ხათუნა გულნაწყენი შესცქეროდა ქალის მუშაობას. ქალს ყანის სამუშაოში სიმიინდის ტეხვა თუ შეეძლო ხათუნას აზრით, ლობიოს მოკრეფა, ტაროებისთვის ნაჭურჩალის შემოფტქენა, ლომისა და ფეტვის ცეხვა, სხვა დანარჩენი ისევე შეუფერებელიაო, როგორც საქონლის დაკვლა, ან დადაკოდვა.

მაგრამ ახლა დროზე გულაყრილი ხათუნა ამასაც ხედავს როგორც ამ დროების მიერ მოტანილს „უწყსოებას“. ძაბული დიახაც ერიდებოდა თავის „სასილედროსთან“ თოხნას და ბარვას, მაგრამ კოლექტივის ყანებში იგი ვაჟკაცს უტოლდებოდა ამგვარ რამეში. იმ დილით ლომის გაწყობა

უნდა დაეწყოთ, ხათუნამ კარგად იცოდა ღომის გაწყობა, მაგრამ ტრადიცია ხელს უშლიდა. სწორედ ასეთ საქმეებისთვის შემოიჩვენა ზეამბაიების ოჯახს კაც ზეამბაიას ნათლული ქუჯი გვახარია.

განა მარტო ნათლული? ქუჯის დედა მოლოზინენას გადასცემდა და ხათუნას გაზრდილია ქუჯი.

დილით დაბული აივანზე იჯდა და ძველ ტომრებს კონკავდა. ძალღების ყეფა შემოესმა, თავი ზე ასწია. ქუჯი გვახარია ლანდივით წამოდგომოდა თავზე და საერთოდ ზრდილ ყმაწვილს მისალმებაც ვერ მოეხერხებინა. და როცა დაბულიმ თავი ასწია ქუჯის დიდრონ, სედიან თვალებს შეებდა, ქუჯი გაწითლდა, ნერწყვი გადაუცდა, ენა აუბორძიკდა: მე ვარო წაილულლულა. დაბული გაწითლდა... მას უკვე აღარ შეეძლო მამაკაცის ხმის გაგონება.

ერეოლას ჰკერის დაბულის, თუთუნის სუნი, არა, თუთუნის სუნზე უფრო მეტი, მამაკაცებს რომ უღის, რალაც უტნაური, ენით უთქმელი, დამბრუნებელი სუნი და დაბულის ყნოსვა ჰქონდა სათუთზე მეტი. ეს სუნი უღის ჯერაც მის შემეცნებაში არზაყანის ნაგანის ტარს, მის სატევრის ვადას, მის მათრახს, მის უნაგირს, მის აზიურებს და ტანისამოსს. ხშირად სასთუმალში ამოიდებს ამ ნივთებს ლამით, კოცნის და კოცნის, ის თანაც სტირის საწყალობლად, ეგებ არზაყან დამესიზმროსო, ეგებ ძილში მაინც მომეხვიოსო არზაყან. და დაბულის ქვეშეცნეულად უყვარს როცა მის სხეულს რამე მკვრივი ზედ მოეხლება, ერთხელ კალათი გაუვარდა ქუჯის ხელიდან, როცა სიმინდი სასიმინდეში აჰქონდა მხარით. დაბულის ტანი ტარობებმა დაბეგვეს მაშინ და ეს საამურად ეჩვენა მას. ამასწინად ქარმა კაბა ბარძაყებზე შემოატმასნა, ბარძაყების და მუცლის არეში, ეს საამურად ეჩვენა დაბულის.

ხანდახან ქელემ შეეხუმრება და მოულოდნელად მკერდზე ხელს ჰკრავს უმანკო ბაღლი, დაბულის ტკბილი ერთანტელი დაუფლის ტანში. უყვარს რატომღაც როცა ამჩნევს ინგრევა რამე, თუნდაც რომ ხედავს ხეს ხვიარა როგორ ეხვევა.

არ ეამა მაინც ქუჯის მოსვლა. იგი ამ უკანასკნელად ამჩნევს კიდევაც, როგორ იმღერევა ხოლმე მის დანახვაზე ქუჯი და გაბზარული ზმით ესიტყვება. ამ ხმაში ვედრება მოესმის ქალს, ხანაც პირდაპირ გლახაკური მუდარა და დაბულის სძავს ასეთი დაჩიავებული მამაკაცები, ქალის დანახვაზე რომ დნებიან, ენა რომ უბორძიკებთ და ქალწულსავით რომ წითლდებიან.

ასეთი იყო ქუჯი გვახარიაც. იგი რატომღაც ამ ქვეყნიურს არა ჰგავს. თვალი უშტერდება ხანდახან ქუჯის, მუდამ მარტობას ეძებს. ქალის დანახვაზე წითლდება და სოფლის ლაზღანდარები „მარუსას“ ეძახიან. ძას ორ წლის წინად მოუყვდა ძმა და მას შემდეგ თმაწვერი მოშვებული

აქვს და ოცდა ორი წლის ქუჯი ამ გრძელ თმაწვერში ოცდაათი წლის ვაჟაკს მიაგავს.

სოფელში ხმა გავარდა: ქუჯი ცოლს ირთავსო და არაფინ... იცის ვის ირთავს ქუჯი, რადგან ჯერ ქალთან შეხუმრებული არაფინ უნახავს იგი. კოლექტივის გოგოებმა შაირიც კი გამოუთქვეს:

რად წითლდები, რას გარბიხარ
შე მშიშარა, შე დიაცო,
თუ საქმარო ვერ ვიშოვნე
ქუჯი უნდა მოვიტაცო.

ახლაც ასეთი ეჩვენა ძაბულის ქუჯი. მაგრამ ეს იყო თავათაც გაწითლდა ძაბული. საკინძე გაისწორა, მუხლის თავებს გადაცდენილი კაბა ძირს ჩამოსკინთა და წამოდგა.

„ნათლია ჩემი მეუბნებოდა ტახი უნდა... ტახი უნდა“... აქ კი მთლად აღუბრძოდა ენა ქუჯის. უარესად შეუფაკლდა ღაწვის თავები და განზე გამდგარი, მოზრდილი ყურები მამლის ბიბილოსავით გაუწითლდა.

ტახი უნდა დავუკოდოო. ამის თქმა ვერ მოახერხა ქუჯიმ.

ძალღების ყეფამ მოთქმა შეაწყვეტინა ხათუნას.

„ლომის გასაწყობად თუ მოხედი ნანა, შენ ხომ იცი ლომის გაწყობა სალამოს უნდა... ჯერ სამხრობა არ გადასულა ნან“.

ეუბნება იგი ქუჯის.

„ეს ვიცი ნათლია, ლომის გაწყობა რომ სალამოს უნდა, მაგრამ აქი შენ გუშინ მითხარი ტახი უნდა... ტახი უნდა“...

ამასობაში ძაბული სამზადში გავიდა და ქუჯი არ მოერიდა დედის სწორს; ტახი უნდა დავკოდოო.

ძაბულიმ სამზადის კარი გაიხურა. ხათუნა და ქუჯი ღორს გამოუდგნენ. ჯერ ეს ესმოდა ძაბულის თუ როგორ მისდევდნენ ტახს ხათუნა და ქუჯი.

„ნტ, ნტ, ნტ...“ მისძახის ხათუნა ტახს. და როცა ღორი დაიჭირეს, ძაბულიმ დაინახა თუ როგორ დაავლო ხელი ამ ნაშმა ქუჯიმ უზარმაზარ ტახს. საშინელის ძალით მიწაზე დასცა და მუხლისთავი ზედ დააბჯინა.

ძაბულის უნახავს ღორის დაკოდვა, ისიც იცის, ასეთ ტახს ორი ვაჟაკიც ძლივს მოერევა. ძაბულიმ კარი გამოუგდო, აინტერესებს როგორ კოდავენ ტახს, მაგრამ იცის ხათუნას ეს არ მოეწონება. და ჭყვივის ტახი შემზარავი ხმით, ეს, ყიფინი სქესწართმეულისა ტანში ერეოლასა ჰგვრის ძაბულის. და უკვირს ძაბულის. ეს სათნო ქუჯი, რომელიც არასოდეს ქათმასაც არ ჰკლავს, როგორ კისრულობს ასეთი საშინელი საქმის ჩადენას, ძაბულიმ საჩვენებელი თითი ჩაიყო ყურში და თავათ უკვირს როგორ უძლებენ ამ ყვირილს ქუჯი და ხათუნა...



ქუჯის ხელები დააბანინა ხათუნამ და გვიან ისევე დაეწმინდა, როგორც მისი მამა და დედა.

დაბუღიშვილი აიჩივებდა, ქუჯის ნუ აწუხებ, მე და შენ გავაწყობთო ლომი. ხათუნა წინ აღუდგა. განა ქუჯიმ მის ოჯახში არ ისწავლა ლომის გაწყობა? მაგრამ ვის გაუგონია ქალის მიერ ლომის გაწყობა, ლომს ნალიაში აიტანენ, ლასტებზე დაყრიან. მერმე კვამლიანი ცეცხლი უნდა შეუწითოს კაცმა, და თუ მამაკაცმა არ შეუწითო ცეცხლი, ისე ბოლი არ ექნებაო ქალის დანანებებს.

დაბუღიშვილის გულში ეცინება ამის გამგონეს. მაგრამ არ ამხელს. ქუჯი კერასთან წამომჯდარა თავიქინდრული, ხანდახან მზერას გააბარებს დაბუღიშვილს; თვალს შეაფრებებს მაღალ გულმკერდს, ისევ ვასცქერის აღის ლაპლაპს ფიქრში წასული.

შელამებისას ლომი კალათებით შეიტანა ქუჯიმ ნალიაში. ხათუნამ და დაბუღიშვილი ნედლი შეშა მოზიდეს. ქუჯიმ აანთო ორმწკრივად, გრძლად.

ქუჯი წავიდა. ნედლი შტოები მოიტანა, ყოველ კუთხეში საცნაური ჩასდო ლასტზე დაყრილ თაველებში.

ანთია ცეცხლი; იბოლებს ნალიის ლასტი, ქუჯი წარამარა აღის ნალიაში, საცნაურ შტოებს გასინჯავს, ისევ ჩამოვა, უხმოდ დაჯდება დაბუღიშვილის პირდაპირ. ნაშუალამევი გადავიდა. დაბუღიშვილი ხედავს, ხათუნა წელში მოიხარა, ხელისგულები შეაფიცა გაჩაღებულ ცეცხლს.

„გაცივებს ნან?“

ეკითხება იგი ხათუნას. ხელი მაჯაზე წამოაქო. ხედავს სავსებით გაცივებია ხელები მოხუცს, შუბლზე ცივი, ცივი ოფლი გამოსვლია ბედნიერ ხათუნას. მერმე აიტატეს ხათუნა ქუჯიმ და დაბუღიშვილს და სამზადში დააწვინეს. როცა მობრუნდნენ ორივენი, ისევ დაჯდა ქუჯი დაბუღიშვილის პირდაპირ, ცეცხლის გადაღმა და ფიქრს მისცა თავი. მერმე აღვა, კიბე მიადგა ისევ ნალიას და დიდხანს, დიდხანს აღარ მობრუნდა.

მამალმა იყიელა, მას მეორე გაეხედა შორს, ძლიერ შორს, კიდევ ერთი გაეხედა ორივეს, ცოტა ხანს სდუმდა სოფელი და ერთბაშად ომბიანი ხმით აყვილდნენ სოფლის მამლები. ყოველი მხრიდან შეუტყის მიწაზე ვანრთხმულ სიბნელეს ამ ვაჟკაცებმა.

შესცქერის დაბუღიშვილს ვადვივებულ ცეცხლის კოცონს. საწყალობლად წივის დღემორეული თხემლის ნამორი და ცრემლები მოსვლია აღმოდებულ ხეს. დაბუღიშვილის იდაყვები კვირისთავეებზე დაუყრდნია და შესცქერის ცეცხლს. თავათაც არ იცის, ეს ბოლმა აღწყალა თვალი, თუ ცრემლია, დარდიან თვალთაგან ვადმომდინარე. წივის ნედლი შეშა, როგორც ცივი

ხლის გენია მოდებული მართალი სული. მოუხშირეს მამლიჩმა ყვილი, საცაა ღამეს უკუაქცევინ. ძილი ერევა ძაბულის თვალებს, ზედ წამწამებზე დაფარფატებს ძილის ნაზი ფრთა. ახლა ძაღლებმა ეჭმუნდნენ მეზობლებისას, კაც ზეამბაიას მყეფარებიც აჰყენენ ~~უხილველნი~~ ისეთი გნაისი, ყეფა და წკაეწკაევი ატყდა, როგორც იმ დაესილ ღამეს, როცა ტარბები თავს დაესხნენ კაცს და არზაყანს. შესცქერის ძაბული გაჩაღებულ ცეცხლს და ცხადლივ წინ დაუდგა ის ბნელი ღამე, ორი პირმოქმულ ტარბას შემოსვლა. დურბელისაგან კისერგამოღადრული ჯამლეთ ტარბა მოაგონდა და მისი ძმის შავი ფაფახი.

ახლა არზაყანის ძვირფასმა სახემ გაიელვა წარმოდგენაში, თანაც ემხვარი შემოვარდა, ეძგერა ტარბას... და ჯამლეთ ტარბას გაპობილ მკერდს ხედავს ძაბული და შავფაფახიანის სისხლიან ნაწლევებს, თხის ნაწლევების მისამგვანებელს. და მერმე ფლასი რამ უცნაური გადაფენა ძაბულის თვალებს, ღონემიხდილი თავქვე დაემხო შიშველ მიწაზე, ცნობიერება წაერთო სულმთლად...

და ეზმანება ძაბულის: ეს არზაყანი შინ მობრუნდა გამარჯვებული. ტერფიდან თხემამდის იარაღნია ჩამჯდარი, წელზე გველისპირული სატევარი ჰკიღია. თავზე ტარბას შავი ფაფახი ახურავს ისეთი ბანჯგველიანი, წილამურები მკერდამდის სწედება. შემზარავი სახე აქვს არზაყანს. მიწისფერი წვერები გამოსვლია, ტახის ეშვებზევით ღოჯები მოუჩანს პირიდან. სისხლმორეულ თვალებს აბრიალებს.

სად ჰქონდა არზაყანს ასეთი მიწისფერი თმა? სად ჰქონდა არზაყანს ტახის ეშვები? სად ჰქონდა ასეთი მხეცური სახე?

ძაბული სწუხს და ტირის.

შეშა შემოიტანა მხარით არზაყანმა, კერასთან დაჰყარა... სათითოდ ყველა შეუტეთა არზაყანმა ცეცხლს, მერმე ძაბულის მიეახლა, ტუჩებმა აკოცა მაგრად, მაგრად, ისე, როგორც ერთხელ ზუგდიდში. მერმე საკინძე გაუხსნა ძაბულის, ძუძუებში ხელი ჩაუყო და უმოწყალოდ უსრესს ძუძუებს. მერმე... მერმე ფოლადისებრი მტკიცე მკლავები წელზე შემოაჭდო და ენითუთქმელ ნეტარებას ეძლევა ძაბული, მამაკაცის სუნით, თუთუნის სუნით გაედუნთილი, გაბრუებული.

ბებერ მურას თვალი მოუკრავს როცა ქუჯი გვახარის ნედლი შეშა შემოჰქონდა ნალიის ქვეშ, დამჯდარა მურა შორიახლო და ყმის, ყმუას დარდიანი, ბებერი ძაღლი, ღონე არ ერჩის რომ ეძგეროს მუხლებში უცნოს და მიუვარდეს მუხანათ სტუმარს.

მურას ყმუილმა გააღვიძა მერმე ძაბული, ზე წემოიჭრა, ხედავს ეს ქუჯი ჰკოცნიდა თურმე, ქუჯი უსრესდა თურმე ძუძუებს.

„რას შვრები, ქუჯი?“ შეჰყვირა ძაბულიმ, უცბად მკერდიდან მოსხლიტა გახელებული. ქუჯი დაიბნა და აიძღვრა, მაგრამ ერთბაშად გაუ-

დიდდა თვალის უბენი. სადღაა ქუჯის სათნო თვალემა და ყოფაქცევა თავმოდრეკილი. აენთო ქუჯი და ლულულუღებს:

„ვიწევები ქალო...“

ხელი მოავლო ქუჯიმ ძაბულის იდაყვებს ქვემოდ, ტრეკელ ქუჯაებზე, მოიზიდა ქალი და შემოეჭდო ისე მაგრად წელზე ძაბულის, სუნთქვა შეეკრა ათრთოლებულ ქალს; მაშინ მარჯვენა გამოსხლიტა ქალმა ვაჟის მკლავს და სტკიცა ყბაში გახელებულმა. ქუჯის ჩაბალახი გადაუფარდა და თავშიშველმა მიაშურა მახლობელ თხემლნარს.

54. შავი მტრელები

ზუგდიდში ისეთი მწუხარე შემოდგომა დადგა, როგორც არას დროს მოსწრებია თამარ შარვაშიძეს. წყნარი, ნაზი და ტფილი სალამობი უღიმ-ლამოდ ილევოდენ. სალამოს რთვილი მოვერცხლავდა ხილნარს. მთელი ღამე არ ეძინა თამარს, უმცირესი ჩქამიც ესმოდა ხილნარიდან და თხილნარიდან. ნაგვიანები კაკალი ეცემოდა მიწაზე ან ვაშლი დაეცემოდა ზედ ფანჯრის ახლოს, ხან ზღარბი შარიშურებდა ღამე მშმარ ფოთლებში, მერმე გაინაბებოდა ბუნება და თვალმილულულ თამარს ისიც ესმოდა თუ როგორ სცვივოდა უკანასკნელი ფოთლები ვაშლის ხის გაცრცენილ შტოებიდან. ჯერ მზეს სიტყვა არ დაკლებოდა და მზე ამოხდა ისეთი ამო და ბრწყინვალე, ქვეყანას სიხარულით ავსებდა იტყოდით, საამურად პუტუნობდენ ფუტურები სკაში. დილაადრიაანად ამდგარიყო ბაბუა ტარიელ, დილის ფსალმუნს კითხულობდა და ლილინებდა.

ფანჯარასთან მიდგა თამარი და თვალი შეავლო მის გულსავით გაძარცულ ბაღს, მწუხარედ ჩურჩულებდენ მსუბუქი ნიაექპრისგან შერხეული მქქნარი ფოთლები, აკაციებს ჩამოებერტყათ ოქროვანი სამოსის კალთები.

მთვარეულსავით ჩამოვიდა იგი უკანა კიბეზე, ალევებს შეავლო მოსიყვარულე თვალი, თითქოს პირველად ხედავსო მათ, ლუკაია და დამა ალუჩის ქვეშ ისბდნენ, მუცელგამოფატრულ გოქს ტრუსავდნენ ცის ქვეშ დანთებულ ცეცხლზე. გაახსენდა თამარს, რომ სტუმრებს ელოდა დღეისთვის ხერიპსი. თამარი გაურბოდა უცხოებთან შეხვედრას. თარაშის გადაკარგვის შემდეგ მას არავის დანახვა არ შეეძლო. ვინმე უტაქტოთ კითხავდა რამეს, ვინმეს დასცდებოდა უკმეზი სიტყვა თამარის მიმართ.

განსაკუთრებით ქალები შესძავდა თამარს. უკვე ერთი თვეა, რაც იგი ქალაქში გავლასაც ერიდებოდა, რადგან ცნობისმოყვარე ქალის თვალი თუ დიდხანს დააკვირდებოდა თამარის სახეს, უთუოდ შენიშნავდა ოდნავ აქრელებულ ტალებს მის სახეზე, მომეტებულ საესებას მკერდისას და თეძოებისას. ამიტომაც როგორც კი ნაცნობი შეეყრებოდა, განზე გაუხვევდა თამარი, პირს აარიდებდა. კაროლინამ უკვე უამბო თამარს, შარდინ ალშიბაიას მიერ დაბაში დარჩეული ხმები, ემზვარისაგან ფეხმძიმედ შე-

ქმნილაო თამარი. თამარს უხაროდა გულის სიღრმეში მის სახელს რომ უკავშირებდნენ ამას. იგი ცეცხლში ჩაეარდებოდა თავის მიჯნურის გულისთვის, ოღონდ სადმე ყური მოეკრა მისი მისოუსტ კუცხელაძე ეს გაეგონა და მერმე თუნდაც მიწას სკამდა თამარი პეშევა: ყველაფერი იგი განმარტოვდა, თვით კაროლინას ვერ უმხელდა გულის ზვაშიადს, მას უკვე არავინ ეგულება თავის უღრმესი ქალური საიდუმლო რომ გაუმხილოს.

წინად, როდესაც სხვებთან შეხვედრას არ ერიდებოდა, ხანდახან ჭორს მაინც გაიგონებდა, ზოგი ამბობდა ტარბებმა მოკლესო, ზოგი არზაყანს აბრალებდა თარაშის მოკვლას. ვილაც როყიო ქალი შეხვდა ამასწინად: ტფილისში ჩემ მმას უნახავსო თარაშ ემხვარ, მიყვებოდაო რუსთაველზე ძლიერ ლამაზ ქალს.

ახლა ჭორებიც აღარ ესმის, დაეხშო გული. უთხრან თუნდ ჭორიც, უხსენონ ხშირად მისი სახელი, დეე, სხვასთანაც დადიოდეს, ოღონდ თავათ მისოუსტი იყოს ცოცხალი. ვის გაუმხილოს ეს ყოველივე? ვინ მოვა მასთან და ვინ ეტყვის სიმართლეს თამარს?

კაკლის ქვეშ ლუჯაია დაეწია.

„სტუმრები მოვლენ დღეს სადილად, შენ სად მიხვალ დიი!“

ემუდარება ლუჯაია და სახელოზე ეპოტინება.

თამარი შეკრთა ფიქრში წასული.

„მოვალ, ახლავე მოვალ, გაზეთებს ვუყიდი მამას და მოვალ რა...“

ქიშკარი გადაიარა. მოაგონდა თუ როგორ გაუწყრა ერთ საღამოს თარაშ ემხვარს. როგორ დაებინდა თარაშს დარდისაგან სახე, მოკრძალებულად რომ უკუდგა და მიყვა კოპიტების ხეივანებს. მერმე როგორ დაუძახა „მისოუსტ“ — გახარებული რომ მოვიდა მისოუსტ.

შუკა გაიარა, თემშარა დაცლილი იყო, მხოლოდ ბაყაყები ხტოდნენ თხრილებში, სრული მყუდროება შეიცნო თამარმა, ქიშკრების ღრიჭინი ისმოდა შორიდან და მარტოხელა ეტლის ჩაქჩაქი. სამკედურების წყება გაიარა. ხელწაქარწახებული მკედლები ქურას უბერავდნენ. თამარის დანახვაზე მკედლის შეგირდმა კისერი წაიგრძელა და თავხედური მზერა გააყოლა ქალს.

აჰა, ზუგდიდის ჭადრების ხეივანი, ნელა, ნელა აქნევდნენ კენწეროებს ჭადრები, მელანქოლიურად უღიმოდნენ სნეული ფოთლები მზეს, ზოგიც უეცრად წყდებოდა ყუნწიდან და შრიალით ეშვებოდა მიწაზე.

აჰა, მისოუსტის საყვარელი ჭადარი. აქ იჯდა ხშირად მისოუსტ და პლატონის ფედროს აქ უკითხავდა თამარსა და კაროლინას. მოეჩვენა თამარს თითქოს ეს ჭადარი მისოუსტის სულის თანაზიარი ყოფილიყო. დაჯდა თავათ იმავე სკამზე, ხელი შეავლო ხეს ტანხატულას. როგორი უკურნებელი სევდით გავსილიყო მოხუცი ჭადარი!

გარინდებული იდგა, მწვერვალი მზისთვის შეეშვირა, თითქოს მისგან მოეღისო კიდევ სიტყვის ნაგვიანებ შემოდგომისას. მწუხარედ ცვივოდა

ქადრის ფოთლები ხან აქ, ხან იქ და ეს ისე მოესმოდა თამარს ამ წუთში, როგორც უნუგეშო, გულისმომკვლელი საშემოდგომო რეკვიემი.

მოლიკლიკებს უწყინარი რუ ხეივანში და სიზმარსავით მიიპარება.

და მიდის თამარი იმავე დუქნების გვერდით, ფოსტის მიწვევას ხელს გაუთარა, დაბის აფთიაქს და გაყვა შოსსეს, ასე ჰგონია ეს მისოუსტ მოსდევსო გვერდით, თემშარის გასწვრივ გაღმა-გამოღმა ტირიფები და ნერგები ეცნაურა, მხოლოდ ესაა მწევანე სამოსი შემოუძარცვიათ და სდგანან შტო-დაშვებული ტირიფები თავმოდრეკილნი, დამწუხრებულნი.

ახლა მხარმარცხნივ გადაუხვია, მიყვა ნაურმაღს, სადღაა ველზე მობიბინე ოქროსცოცხა და ბაიები? სდგანან მუხები და კოპიტები. ფოთლების ლობა დაწყებულა და გახრწნა მათი.

აქ, ამ ახოში ოფოფები დახტოდნენ იმ დღეს და იმ შტოებში კი, გვრიტები დაფრთხილებდნენ, წყვილწყვილად ფრენდნენ მისოუსტის ხმისა გამგონე.

იარა ასე...

აჰა, ის ჯირკვი, რომელზედაც თამარი დასვა მისოუსტმა და ნაწნავეები შემოაგრაგნა თავის გარშემო. მერე აკოცა და ძირს ჩამოსვა.

და გული სტკივა ახლა თამარს განუსაზღვრელად ეგზომ მცირე სათხოვარი რომ არ ისმინა.

ჯვარს ატარებდა ახლა მისთვის, თუნდაც უმძიმესს, ოღონდ მისოუსტ კიდევ შეხედეს ამ ცხოვრებაში. გრძნობდა თამარი რომ მისოუსტს გაუშხელელი ბოღმა აღრჩობდა. აქ ამ ახოში, ამ მიდამოში უამბო მან თამარ-თავისი გამწვარებული ყმაწვილკაცობის ამბავი. სავსებით მარტო, უამხ-ნაგო და მიუსაფარი იყო მისოუსტ. ზედ ეტყობოდა იგი დიდხანს არ დარჩებოდა ამ წუთისოფელში.

მიყვება თამარ ურმის ნაკვალევს გარინდებული სდგანან ხეები. ტყე მისცემია საშემოდგომო მწუხარებას, სდგანან მუხები ცად აუპყრიათ შიშველი შტონი და ზეცას სთხოვენ კვლავ გაზაფხულს, ახალფურცლობაა ვაჰ, რომ ყრუა თამარისათვის მიწაც და ცაცა, სამარადჟამოდ დაგმანულია აწ სიხარულის ბჭეები მისთვის. რა მოკლე იყო ბედნიერება და როგორ მალე ამოიწურა ტბილი ნექტარი სიყვარულისა.

მუხის ქვეშ დაიჩოქა თამარმა, როგორც მისი ცრუმორწმუნე ძიძისაგან უნახავს ეს და სტირის, სტირის და ჰკოცნის თარაშ ემხვარის ნატერფალს ამ ცივ და გაუხარებელ მიწაზედაც აღმოფხვრილს.

აჰა, ის მუხაც დოდონას მუხას რომ უწოდებდა თარაშ ემხვარ. უამრავი შავი მტრედები შემოსეოდა ამ მუხას ახლა, თეთრი, ფარფატა გვრიტების ნაცვლად. ისხდნენ და სევდიანად გრუტუნებდნენ შავი მტრედები, დაფარფატებდნენ გაშიშვლებულ შტოებს მუხისას და თამარის გულს შემოენთო ახალი დარდი.

შავი მტრედები?!

რაც ოქუმიდან გადმოვიხვეწეთ, მერმე უნაგირია ჩემი ერთადერთი საჯდომი და ლამაზობით თავქვე უნაგირი მიდევს.

შესაძლოა თქვენ ცოცხალთა შორის არც მიგულუბდეთ, მაგრამ რა ბრძანებაა, კეთილო ფრაუ, განა მე თქვენ ტფილისში ვარ ცუდნიკობით: ასე მგონია, ზეზეურად მკვდარი ვარ მეთქი. ყოველ შემთხვევაში ნურავის ეტყვიტ რომ ცოცხალი ვარ. თუმცა მე ვფიქრობ მაინც და მაინც არავის დავაკლდები თვალში. აქ ხმა მოვიდა, მკვდრად შეგვრაცხესო, მე, ჩემი მამამძღე და მისი ვაჟი...

ეს კარგია, მერწმუნეთ, ტარბები ცოტა ხანს მოისვენებენ. მერმე დაღვრილი სისხლის სიმწვავე გაივლის, დროს ვერავინ და ვერაფერი უძლებს, ეს ცნობილია.

ახლა თქვენი ძვირფასი წერილის გამო.

მე ძლიერ მომწონს, რომ თქვენს ნაუბარს და ნაწერს მსუბუქი ჰუმორი მუდამ რომ ახლავს. თქვენ მართალი ხართ, კეთილო ფრაუ, ასგზის მართალი. მეოცნებეთა მეურნეობა ცაში მოხერხდესო ეგებ. მაგრამ ვაჲ თუ, ჩვენი „მეურნეობა“ ვგონებ ცაშიც ვერ გამოდგეს. საქმე ისაა, რომ ცაშიაც არ მიმიწვევს გული. მე იგი წარმოდგენილი მაქვს როგორც ფრიად მოსაწყენი ამბავი. ხოლო მიწაზედ მე მუდამ გულაცრუებული შევსცქეროდი ამოების ეტენების ქლარუნს. გულგრილად შევსცქეროდი ბანკირების ჯიბეებს, პოეტებისა და მწერლების სახელს, ასევე გამოვლია მსოფლიო მეცნიერების ვილღების გვერდით.

პარიზის, ბერლინის და ლონდონის დიდ პროსპექტებზე ისე ნალვლიანად მისერიანია, როგორც რომის ვია ლატაზე, ფორუმ რომანუმზე, პოპპეის, ან მესსინის ნანგრევებს შორის, ისევე როგორც ვარძიისა და ზარზმის დაქცეულ თაღებს ქვეშ. მცირე სინათლე ყველგან ახლავს ბნელს.

იგივე დარდი აქ მახვშის კოშკშიც მეწვევა ხოლმე.

ხომ ხედავთ კეთილო ფრაუ, როგორი სარმები სცოდნია ცხოვრებას ქამიდან ქამზე. შარშან ამ დროს თქვენს ახლოს ვიყავ, ბახსა და ჰენდელს ვისმენდი თქვენს მიერ დაკრულს, ზუგდიდის მშვენიერ მთვარიან ღამეებში (მთვარე აქაც არის), პიანინო აქ არავის უნახავს ჯერჯერობით, არც პიანინო, არც გრამოფონი. აქეთ რომ მოვდიოდით, მე გავიგონე ერთი ხმაჩახლეჩილი გრამოფონი ჩხაოდა ხაიშში (ხაიში ის ადგილია, სადამდისაც გზა უწევს ამჟამად, სვანეთის ახალი, დიდი გზა). კიდევ რამდენიმე თვე და ეს გზა უცილოდ მახვშის კოშკამდის მოიტანს გრამოფონს. ტელეფონს, ელექტრონს.

მე და არზაყან ასეთ მთვარიან ღამეებში ვზივართ კოშკის შესავალთან, ესვამთ არაყს და ლოდებზე დამსხდარი ახალგაზრდობა ჩონგურებს უკრავს.

მე დავიბარებ: ვინძლო აქ მომკლან, თუ ვინმეს ჩემი გასვენება მოუნდეს აქვე, ჩონგურებით გამასვენონ. შეუღარბელი ხმა აქეთ სვანურ

ჩონგურებს, მაგრამ ერთი დღის სავალზე მოსულია გრამმოკლები, ბალაღაიკები, ბლუზები, კები ქუდები, ქვინტგანიერი ფუნსაქმლები და რუხი ტანისამოსები, ელექტროგაყვანილობა, ტელეფონი, მუდუგაქმენტები, ოყნები და ესენი ალბად სვანეთიდანაც გააძევებენ ოქროსაქმის სკანტულით მოოქვილ ქამრებს, სვანურ ქუდებს, ჩოხებს, საცვეთებს, პაჭიკებს, ნაბდებს, ფიჭვის ქალებს, ჩონგურებსა და საზანდარს.

ახლაც, როცა ამ ბარათს გწერთ, ვოგობიკები სხედან მახვშის კოშკის ქვედა სართულში და მომესმის ჩონგურების მელოდური წკრიალი.

ვინ იცის ეგებ ამ ჩონგურში იმ ნაძვის ღვიძლი ძმა სტიროდეს, სვანების ტლანქ ფრჩხილების ქვეშ, ახლა კავკასიონის უკიდურეს ზეგანზე რომ სდგას, ქვეყნის კიდეზე.

ჰო, მართლა, სვანეთი ხომ ქვეყნის კიდედ მიჩნეული ჰქონდათ ძველ ბერძნებს, ასე რომ იმ თავიდანვე მე მინდოდა ამ ბარათებისათვის ასეთი სათაური მიმეცა: ბარათები ქვეყნის კიდიდან“.

მახვშის კოშკი, 28. XI.

„ძიარფასო ფრაუ!

მომილოცე გადარჩენა.

ამას წინაღ საოცარი ავანტურა შემემთხვა ნადირობის დროს. კინალამ საიჭიოს არ წავილე ბარათი. კაცმა რომ თქვა *culpa mea!* *).

(თუ ეს ჩემი ბრალია, მე რომ საზოგადოებაში აუტანელი გავხდი). ჩემი ბრალი ის იყო, ნადირობის წესი დაეარღვიე. თქვენ, ქალებს, ეს არ გესმით. ნადირობამ ისეთი ჰაზარტის აღძვრა იცის, მართლაც შესაძლოა კაცი მოჰკლა კაცმა ასეთ დროს.

როცა ჯოგის მეთაური ჯიხვი, ან როგორც სვანი მონადირენი იტყვიან: „ჯვეგი თუალ“, დავინახე, ყველაფერი გადამავიწყდა, თოფი ვესროლე და სამასი მეტრიდან ჩამოვაგდე. ამან ერთი მონადირეთაგანი ისე გააბრაზა (გარდა ამისა, იგი წინაღღეს დიდად გავაგულისე) თოფი მესროლა პირდაპირ. მაგრამ შორს ვიყავი, ტყვიამ საფეთქელთან ჩამიარა, ციკაბოზე მდგარმა თავი ვერ შევიკავე და უფსკრულში გადავიჩხე. ბედად თოვლით გავსილი იყო ხრამი, სრიალით დაექანდი ძირს. მონადირეების თოფის ხმა მესმოდა, მაგრამ ხმა ვერ მივაწვდინე. ვაზნები აღარა მქონდა, წინა დღით შურთხებს შევალე. სამი უკანასკნელიც თოვლში დამკარგვოდა. ეუძახე, ვუსტვინე, არავინ გამეხმაურა. მზარი ამექცა, ხევი ამოვიარე, მაგრამ სულ სხვა ზეგანზე ავედი, მერმე ვირბინე თოვლში (თოვლმა თვალის აქცევა იცის).

ვიარე...

ვიარე

ვიარე...

*) ჩემი ბრალია.

ისევ დუმილი შემეყარა ჭიუხებში და ბილიკებზე. ორი სიბიტი კიდევ ვიარე. დუმილს მოეცვა დეკიანი გორმანები და მყინვარები. აღგზენ გარინდებულნი, ყინვის მუზარადებით თავშემკული მწვერულებზე... თითქოს თითონვე დამდგარანო დუმილის ტალად. არც ცას, არც ხმელს და არც მყინვარებს მცირე სიცოცხლის ნიშანწყალიც არ შერჩენოდათ. თითქოს შესწყდაო მაჯისცემა სულიერისა, დუმილს კიდემდის აუვსია ცა და ხმელეთი და ერთადერთი მე დავრჩენილვარ ცოცხალი არსი, ამ გაჭვავებულ ხმელის პირზე გამორიყული.

ისევ ვიარე,

ვიარე,

ვიარე.

ოდნავ ეცვალა ბუნებას, სახე. ძერასფერი მთები გამოჩნდა და ნაძვნარების ბანჯგვლიანი, შავი ჯაგარი. დღე სულსა ლაფავს ჭიუხებში გადაგდებულნი. და მესმის, სადღაც, საწყალობელად წივის როჭო, წივის და წივის...

გავილურსები, ყურს მივუგდებ და მერმე გავრბივარ სწრაფად იქითკენ, საიდგანაც როჭოს ძახილი მოაქვს ნიაქქარს. ისევ შევდგები, რადგან ჩემივე სისხლის ხმა მესმის, ასე მგონია სმენა მატყუებს.

ეს როჭო წივის თუ ტკივილი აჩქამებულა?

არა, ნამდვილად როჭოს ხმაა... და წივის როჭო ჭიუხებში, სადღაც შორეთში... თავჩაქინდრული მივყვები ნისლით მოცულ ბილიკებს, ერთი აღმართი მოვათავე უზარმაზარი ლოდებით დახერგილი და გადავაწყდი ვრცელზე ვრცელ ტაფობს. გამხმარი, ალბიური ბალახი დარჩენილა კიდევ ტაფობზე. თვალი გავუსწორე... ვხედავ ბალახი ბიბინებს ჩემს წინ. აქ უკვე ზევით არსით ისმის ნიავის ჩქამი. თვალი მოვიფშენიტე. ვხედავ რაღაც მოდის ჩემსკენ... გულდაგულ ჩემსკენ. არხევს კლერტოებს, ზურგი მოუჩანს, მოთალხო ზურგი და მერმე მხოლოდ კლერტოებას ბიბინს და ვამჩნევ. შევდექ, თვით როჭოც ახლომახლო წივოდა სადღაც.

დაშინებული ადამიანი ცრუმორწმუნეა. და ფეიქრობ ჩემთვის: ეგებ ეს როჭო როდი იყოს, არამედ სულ სხვა რამე უტხო ცხოველი. ან მოდიოდეს ეგებ ოთხით კაცი ბალახში და როჭოს დარად მოწივოდეს, მობოდეს ბნელში.

ახლა სულ ახლოს გაიელვა ამ არსების მოშავო ზურგმა.

მგელს მისწვდა ჩემი ფიქრი იმავე წუთში. ალბათ მგელია, ეს გაიფიქრე, შევემართე თოფი.

ამ დროს მომესმა თხის ბლავილის მინაგვარი ხმა.

და რაღას ვხედავ: ჯიხვის დურაყი მორბის ჩემსკენ და მობლავი, საწყალობლად.

ბალღისა და ველურის ალტყინებამ შემიპყრო მყისვე, თოფი გადავაგდე, ვისკუბე და ყელზე შემოვექდე ამ საყვარელს ფოთოს. დედა

ეძებდა ალბათ ბედშავი, დედა ვეგონე ამ სიბნელეში. და როგორც ატირებულ ბაბულს მოეფერება დედა, ისე მივიკარ ჯიხვის ფოთრი, ვაკოცე მის ლამაზ დრუნჩს და ფაფუკ კისერს. გიშრის ქლიკებზე ჩველი შეხველე. გავაზე ხელი გადავესვი და თურმე ტყვიას თედოს თავზე ვსუტუქვამსტვრია. კიდევ ვაკოცე მშვენიერ დრუნჩში. იუკადრისა ჯიხვის ფოთრმა ჩემი მოხვევა და წაბილწული კაცის ნერწყვიც იუკადრისა. განზე მიიდრიკა თავი და ზაქის ყროყინისებური ხმა გამოიღო.

ისევე შემოვებრუნე მერმე ჩემსკენ. ჩავხედე მის უმანკო, გიშრისფერ თვალებს. მიწაზე დავეჯექი და მივიხუტე. ვგრძნობ თუ როგორ ცახცახებს დაკოდილი ნადირი ჩემს მკლავებში გამოსალტული.

საამო სუნი ვიყნოსე მყისვე, ჯიხვის სუნი, ცხოველის სუნი და ისე გამახარა მასთან შეხვედრამ თითქოს ჯერ არსად დამენახოს მე სულიერი.

სიტფო ვიგრძენი ამ უდაბურ გარემოცვაში, სად ყინულს, გრანიტს, ქიპრებად ქცეულ მწვერვალებს უტყვი, ცივი ცა ზედ დამშობიათ.

უცებ შეიცნო საცოდავმა ვის ხელშიც მოხვდა. აბღავლდა ფოთრი, გაიბრძოლა და გამწუწუა სისხლის ღვართქაფით. ტფილი, ტფილი და უმანკო ჯიხვური სისხლით.

ჩემს სმენას ეალერსება მისი ნაზი, ნაზი ფშვინვა და ჩუმი ოხვრა. ახლა, ამ წუთში ჩემი ერთადერთი საწადელია: ნეტავ პირუტყვის ენა მაინც შემარჯვებოდეს, შემედლოს ვუთხრა ამ საყვარელ, უენო ცხოველს: „ნუ მიხვალ ჩემო მშვენიერო, უბიწო არსო, დარჩი ამ უდაბურ ზეგანზე ჩემთან, ნაბადს დაგიგებ და ჩაგიკრავ ამ სიძულელით გათოშილ მკერდში, დარჩი და გახდი ჩემთვის ძვირფასი და საყვარელი.“

ნუ მიხვალ ჩემო და თავვანს გცემ უკუნითი უკუნისამდე როგორც უბირი, გაბურძგნილი, ბედშავი სვანი, ნადირთ მეუფეს, თქვენს ღვთაებებს დალს ეტრფის ხოლმე. მაგ თედოს თავზე მე მოგიჩინ იარას ჩემო, ჩემთან წაგიყვან დღენიადაგ გილოლიავებ“.

კიდევ და კიდევ გაიბრძოლა დაჭრილმა ფოთრმა. ახლა ისეთი საწყალობელი ბღავილი შორთო, თითქოს მახვილი სასიკვდილოდ დაადგერესო. შემზარა მაშინ მისმა ვედრებამ, მთელი სხეული დამერღვაო თითქოს ამ ზმაზე, კვლავ მოვებრუნე და ვაკოცე მშვენიერ დრუნჩზე. დიდრონ თვალებში საშჯერ ვაკოცე და შეუშვი იმ წამსვე ხელი.



ჭანკმილეული მიწაზე დავეცი და გავიგონე კიდევ ერთხელ ჩაბღავლა ფოთრმა ღამეს დაღურსულ ყურში. გაუჩინარდა, ბნელს მისცა თავი.

მე კი სულ დიდხანს მეზმანებოდა: ბლაოდა ფოთრი და უსაშველო დუმილის მკერდზე მიყრდნობილ მიწას ფოთრის ბღავილი უცნაურად აზანზარებდა.

ნაშუალამევი იქნებოდა, როცა ისევ გამომეღვიძა. მთელი სრული და მნამოდა. სიცივე შევიცანი, ზეწამოვიჭერ. თავს დამქათქათებს მარტოდ დარჩენილს ოქროს ღილებით მოოქვილი ცა. ასევე უტყვევ იდუმალი და მშვენიერი, როგორც ეს მყარი, შორეული მთის ქუჩელები, როგორც ოცნება იდუმალის, მიწუწდენისთვის.

ნაბადი დავიგე, თოფი მკერდზე მივიხუტე და დავიძინე ისე მაგრად, როგორც ეძინათ იმ მყინვარებს ღამის უბეში.



სხვა არაფერი მომხდარა თვალსაჩინო ჩემს ცხოვრებაში აქ. ჩვენ ყველანი კარგად ვართ.

ჩემი მამამძღვე ძველებურად ღრინავს. ხანდახან სადღაც გაუჩინარდება. ვგონებ იქედან ჩერქეზეთში გადადის, ორიოდ ცხენს მოიყვანა, მერმე მთელი საათი ლაპარაკობენ იგი და ქორა მახვში ჩემთვის და არზაყანისათვის გაუგებარ სვანურ ენაზე.

არზაყანი აქ მახვშის შვილისშვილს — კომკავშირელ საურს დაუმეგობრდა. ვგონებ ეს მათ ჩამოაყალიბეს ამ სოფელში პირველი კომკავშირული ორგანიზაცია.

მე ჩვეულებრივად აქაც მარტო ვარ, ვნადირობ, თხილამურებით დავდივართ მთებში, ანწლის არაყსა ვსვამ, ხანაც თოფის სროლაში ვეჯობრები სვანებს.

ამ წუთში გარეთ სთოვს, სთოვს, სთოვს. თოვლმა დაფარა კავკასიონის ქედმაღალი ბასტიონები, ვზივარ ჩემს კოშკში, მთელს ქვეყანას მოწყვეტილი ვარ...

თქვენი თ. შ.

ელენე რონსარიისადმი

ნეაპოლის ქ. რომში, № 17. 1932. 1, XII

„შენი ბარათის პასუხი დროზე ვერ მოგწერე. შენ რომ იცოდე ახლა სადა ვარ, უთუოდ შეკრთები. აიღე გეოგრაფიული რუკა და შენი მშვენიერი თითი გამოაყოლე. ადრიატის ზღვასთან ქალაქი ტორენტო მოსძებნე, იქიდან პირეი, ეგეის ზღვაზე გადაატარე და კორინთის კანალში გამოდი, მერმე სტამბოლში, სტამბოლიდან პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ ბათუმი ნახე, საქართველოს პირველი პორტი, ბათუმიდან ჩრდილოეთისაკენ ამოყევი კოლხეთის შესანიშნავსა და ნაყოფიერ ველებს, ნარინჯის, ლიმონისა და მუშმალის სამშობლო გადმოიარე, მერმე მოსძებნე ოდიშის შხარე, გაივლი ოდიშს და შესაძლოა ამ მხარის სახელი იმ რუკაზე არც კი ეწეროს, ჩრდილოეთისკენ კავკასიის ქედის უბეში მდებარეობს ეს ქვე-

ყანა, ძველი ბერძნები ასე ამბობდნენ: „სვანეთი ტილიქამიების ქვეყნის გვერდითაა“.

მე აქ ერთ გამართოვებულ კოშკში ვცხოვრობ. აქ ფოტოგრაფიები არაა, არც ჩემი აპარატი წამომიღია, თორემ შეკრთებოდა ჩემი სურათის დანახვაზე. და მე დარწმუნებული ვარ, სამუდამოდ განიკურნებოდ- ჩემი სიყვარულისაგან. წვერი ისე მოშვებული მაქვს, როგორც ეს ჩემს წინა-პრებს სჩვევოდათ, ტანზე უბრალო ჯვალოს ჩოხა მაცვია (გაცილებით უფრო ტლანჭი, ვიდრე ჩემი წინაპრების ნაყმევებს ეცვათ). ფრჩხილები მიშვებული მაქვს და რადგან მანიკურებს აქ არავინ აკეთებს, ხანჯლის-შვილით ვიჭრი ფრჩხილებს, ხან სატევარით. კარგად ალესილი სატევარით. აქ რკინეულის ნაკლებობაა, რადგან ამ ქვეყანაში ნარევი წყობილებაა, ქვისა და ბრინჯაოს ეპოქისაგან ნარევი. ამიტომაც ამავე სატევარით ვთლი ხორცს, ხეს და ძაღლების მოსაგერიებელ ჯოხს და აქ იმდენი ძაღლებია, დამე სოფელში ცხენოსან მგზავრს ცხენიდან ჩამოიღებენ. მერმე, დასტდებიან ეს ძაღლები გომურებთან და ჭიშკრების ახლოს და ისეთი გამაყრუებელი, ღრენა, ყეფა და ყმუილი ისმის, რომ ყოველივე აზროვნება აღკვეთილი მაქვს.

საერთოდ მე დიდად მადლობელი ვარ ამ ძაღლებისა. ბევრი აზროვნება თურმე კუქს უფუჭებსო ადამიანს და ამ კოშკში ბევრი რომ ვიპაზროვნო, უცალოდ თავი გამისქდება. ხომ ხედავ ჩემო ანგელოზო, სად აპირებდი ჩემთან წამოსვლას? ახლა კი უთუოდ დამაფასებ რომისა და პარიზის შშენიერი პროსპექტები ტილიქამიების მეზობლობაზე რომ არ გაგაცვლევინე.

ერთ რამეს ძლიერ ვნანობ, შენი ფოტოსურათი თან რომ არა მაქვს. მე საერთოდ ფოტოს მეგობარი არასოდეს ვყოფილვარ და ამიტომაც მოხდა ეს ასე. როგორი უძლურია ჩემო კარგო ჩვენი ფანტაზია, მე ისე მომენატრე, როგორც აუხდენელი და შეუძლებელი მოენატრება ხოლმე ადამიანს. მაგრამ შენი აღნაგობის წარმოდგენა ვეღარ შევძელი.

აჰ, ჩვენი ადამიანური სიგლახის ბრალი, ჩვენ შორეული და მიუწვდომელი რომ გვიყვარს მუდამ! (ახლოს რომ იყავი, არ გაფასებდი). მე ასე მგონია, რომ შენ აქ მყავდე უთუოდ გამოჩნდებოდა მართლაც შენი სიყვარული, მაშინ მერწმუნე მე ამ კავკასიონის ფერხთით დავსახლდებოდი, ჯიხვის, არჩვის და როჭოს ხორციით გარჩენდი ჩემო ანგელოსო. ქსოვას, კერვას და ქარგვას გვასწავლიდნენ სვანი დედაკაცები, ქალი. ბეჭვასა და მატყლისა ჩეჩვას. შენგან გამოჭრილ ჩოხას, შენგან მოქსოვილ პაჭოკებს ჩავიცვამდი უდიდესის სიყვარულით, და ასეთ კოშკში, როგორშიაც მე ახლა ვცხოვრობ, სიამოვნებით დავალამებდი ჩემს დღე და სოფელს.

ვიცი, შენ ყოველივე უცნაურის მოყვარული ხარ. შენ უთუოდ შეგიყვარდებოდა ჩვენი სვანეთი.

მიდიხარ აქაურ გზაზე, ეკლესია შემოგეყრება, პირველ კარკუნებში ნაგები, ხანაც წყნელზე ჩამოცმული ფოთლების გროვა. ეს გადაგაღილ სვანს ულოცნია და ეს ფოთლები დაუგდია თავის ნატყვევლებზე, წმინდა ტყეებზე არ გაგატარებენ თუ მუხთლური განზრახვით დაქოცავს ფეხი სვანის მიწაზე.

აქ ყველას მგლის მუხლი აქვს, მგლის კბილები და მგლური თვალები. დილას, საღამოს და შუადღეს ამ შესანიშნავ მთებს შესცქერიან. მღერაიან უღარდელად, ხონგურს უკრავენ, ბავშვებსავით აყვებიან ვნებებს, ორასი წლის წინად დაღვრილ სისხლისთვის დღეს ჰკლავენ შვილის შვილის შვილის შვილს.

ოქროთი და ვერცხლით შემკული ქამრებით წელს იმშვენებენ, არც ქალსა და არც კაცს ნიფხავი არ აცვიათ, მტრებს სამარეში ჩასდევნენ და მეგობრებს თავიანთ კოშკებში ინახავენ. ქალების საიდუმლოს ვერავინ გაიგებს, სიყვარულისათვის კაცისკვლა დღიურ წესრიგშია. მათ სულ არ იწუხებთ ათიათასი კილომეტრის მანძილზე გადატყორცნილი კაბელების, შორს მოლაპარაკე ტელეფონების, რადიოს და ჰაეროპლანების უქონლობა. დილით მზეს აასწრებენ ხოლმე და საღამოს მზეს შეასწრებენ საწოლში...

ჯერ აქ უპაპოდ და უმამოდ ცოლს ვერავინ შეირთავს და ვერც გათხოვდება. ალიმენტების გამო ჩივილი ქალებს არა სჭირიათ და ბალღი დაიბადება თუ არა, მგლის კბილებს დაჰკიდებენ კისერზე. მგლებს წმ. გიორგის ძაღლებად სთვლიან, წელიწადში ერთხელ ბანკეტს უმართავენ ამ ცხოველს. მგლის ლამპრობას უწოდებენ ამ დღესასწაულს. კალოებში არყის ხისაგან ლამპრებს აუნთებენ.

აქ მოხსენებულისაგან შენ ვაიგებ თუ სადა ვარ ახლა. შენ ალბათ ხშირად დადიხარ ფორუმ რომანუმზე, კაპიტოლიუმის მუზეუმს გვერდით ჩაუვლი. საღამოს სან პიეტროს ზარების ეღარუნი გესმის. და იმ პატარა კაფეში ორკესტრს ისმენ, ინგლისელების ეკლესიის პირდაპირ რომ კაფეა. ვია აპიაზე ხშირად დასეირნობ და რომ მოინდომო, ყოველდღე ნახავ ჩემ საყვარელ პერსეფონეს, თეთრმკლავებიანს.

რამდენი ხანია კინო არ მინახავს და ვაზეთი არ წამიკითხავს. აქ ერთ გამოქვაბულში, მონადირეთა თავშესაფარში ფრანგ ალპინისტებს ღამე უთევიათ. მერმე ბუტერბროტების, თუ სვანური ყველის გასახვევად გაზეთი „ტან“ უხმარიათ, იქვე დაუგდიათ. მე ჯიხვზე სანადიროდ ვიყავი, ნაძვის ქალის სინათლეზე წავიკითხე ის გაზეთი და რამდენი ახალი ამბავი გავიგე. თურმე გერმანელი პოეტი რაინერ მარია საშინელ სილატაკესა და მარტოობაში მომკვდარა, ხოლო თომას მან გერმანიიდან გაუძევებიათ ფაშისტებს.

რანიერ მარია რილკე მომკვდარა? მან დადიხანია პოეზიაზე ხელი აიღო, რადგან დროზე შეატყო ევროპულმა ბურჟუაზიამ ისეთი გაუვალი

უგემურობა გაამეფა, იქ დიდი პოეტის ხმა ისეთივე უადგილო ხდება, როგორც ხერხის ქარხანაში ბულბულის გალობა.

ერთმა გონებამახვილმა ფრანგმა კარგად იწინასწარქეტყველა ასე წლის წინად: მე მგონია ასი წლის შემდეგ, ყოველი კაცის არჩევანი დიადთან, რაიმე მშვენიერთან წილნაყარია, ყოველი სულიერი, რომელშიაც პოეტი სულდგმულობს, უქველად მოწყენისაგან კისერს მოიტეხს და ბოლოს იძულებული გახდება თურქეთში წავიდეს და იქ რენეგატი გახდესო.

დავევები იმ ღამეს და გაზეთის კითხვაში ახლადგამეფული კაცის ხალისით ვიკითხე „ტან“. პარაშუტისტები რეკორდს რეკორდზე ამყარებენ, ადამიანი კალიასავით ხტის მიწაზე, რომელიღაც შედეგს მფრინავს სადღაც პოლმუსთან კისერი მოუტეხია, რომელიღაც დიდ ხალტურისტს უნუგეშო სიყვარულისთვის კიდევ დაუწერია ორმოცდაათფორმიანი რომანი, რომელიღაც გერმანელი მეცნიერი გულთმისნური აპარატის გამოგონებას აპირებს თურმე, ასე რომ მალე ჩვენ გვეცოდინება აქიდან ალმასკაში ღორჯოს რომ კაცი იქერს, იგი რას ფიქრობს. ეს თუ მოხდა, მაშინ ყოველი კაცი თავის ცოლს გააგდება უქველად, არავინ არც ერთ ქალს არ შეიყვარებს, არავითარი ინტრიგა არ ექნება მომავალ რომანებს და შეყვარებულები ვარდის წყლის ნაცვლად ჭეძაფს შეასხამენ სახეში ერთმანეთს. არ იქნება საიდუმლო, ყველას ყველაფერი ეცოდინება და სიყვარულის, მეგობრობის და გრძნობის გამო არავინ არაფერს დასწერს.

ოპ. ფლობერ, შენ ნათელმზილველი ყოფილხარ უქველად.

შენ არ ამბობდი ვანა ამ ასი წლის წინათ: „რაც შეეხება დანარჩენს: დღეებს, ისინი საესებით ჰგავდნენ სხვა დანარჩენებს, წყალი ნაგუბარში დგებოდა, ჩემი ძალი თავის ულუფას თქვლევავდა, ადამიანები კვლავინდებურად დარბოდნენ, დაფუსფუსებდნენ, საქმიანობდნენ, სვამდნენ, ეძინათ, და ცივილიზაცია ადამიანთა შესაძლებლობათა ეს დაჯილდული ბუში (Les efforts humains) წინ მიდიოდა, თავის ტროტუარებზე მიჩლახუნობდა, სანაპიროებიდან გასტკეროდა ალამგაშლილ გემებს, თავის ხიდებს, კონტად შედებილ კედლებს, პოლიციის მიერ წასიერად მოვლილ ბორდელებს, ხოლო გზებზე კიდევ შევამჩნევდით გამოხრული ლოკოკინების ხობოკვერებს, კომბოსტოს ნაჭურცვენებს და სურნელგაცილილი პოეზიის დამპყნარ ყვავილებს.

მერმე მან მიაფურთხა ბრწყინვალე ტაძარს, მის შესანიშნავ კონტურებს თვალი აარიდა, და ეს გაგიტებული გარყვნილი დიაცი, ბუნებას მოებლაუქა მკერდზე და პისტერიულად აყვირდა: „მე პროგრესს ვაკეთებო“.

ძვირფასო ელლენ, შესაძლოა მე აქ რაიმე შემეშალოს, მაპატიოს ფლობერიან ლანდმა, ისე ზეპირად მოეცოდვილე ეს სტრიქონები. მე არავითარი პრეტენზიები არა მაქვს ჩემო, არც ფრანგულის ცოდნისა და არც სახელოვან კაცად გახდომის. უკვე გვიანაა, შენ ჯერ ოპერის ტულეტიც არ

გეჰნება გახდილი, აქ კი ძალიან გვიანაა. სოფელში ძალღმირ პირველ ძილს უხდიან ალბათ ვალს.

რალაც ყმუილი მესმის. ვგონებ მგლის ყმუილია! ^{ერქენული}
 ოო, მე ძლიერ მიყვარს ამ ორწობებში მომწყვდეთქონილთ ცხო-
 ველის ყმუილი. შესაძლოა მას შიოდეს ამ თოვლიან მყინვარებს შორის,
 ეგებ არც შია, არცა სწყურია, მაგრამ სცივოდეს მარტოხელას და მიუსა-
 ფარს, სიყვარული სწყუროდეს და სიყვარული შიოდეს და მეც არავინ
 ისე არ მეცოდება, როგორც იგი, ვისაც სიყვარული გასძვირებია.

Such is the life my dear! *).

ხვალ შურთებზე სანადიროდ მივდივარ და მზეს უნდა ავასწრო.

თ. ე."

ქაროლინა შარვაშიძისადმი

ზ უ გ დ ი დ შ ი

6. 1931 წ. რიკხვი არ მახსოვს.

დღეის ქვაბში

3.325 მეტრი შავი ზღვის დონიდან

„ძვირფასო და სანატრელო ფრაუ!

არც კი ვიცი პირველი ბარათი თუ მოგივიათ, იგი ისეთ კაცს გავატანე. მაინცდამაინც დიდი იმედი არა მაქვს, მაგრამ ჩემის აზრით ექვმიუტანელად მრუდე კაცი ისევე არ არსებობს, როგორც ექვმიუტანელად პატიოსანი. შეიძლება ყოველ კაცს შეეშალოს, როგორც სიკეთის, ისე სიავკაცის ქმნისას. ამიტომ ვარაუდობ, შესაძლოა ჯვარში ფოსტის მარკა დააკრა იმ კაცმა ჩემს წერილს და მიიღოთ კიდევაც. ჯერ პასუხი არ მიმიღია, მაინც მეორეს გწერთ და გწერთ იმიტომ, რომ სხვა საქმე არა მაქვს.

სახუნდარში ვზივარ და სანამ ეს ფანქარი არ გამომლევია, ვწერ. რამდენიმე მონადირე უზის ცეცხლს. საშინლად ხმამაღლა ლაპარაკობენ. შიუხედავად ამისა, საკმაოდ მოზრდილი და პრტყელი ქვა მიდევს მუხლზე და ვწერ ამ უხვირო ქალადის ნაგლეჯზე.

საერთოდ თუ ატყობთ ბარათების წერის გუნება დაიკარგა მთელს ქვეყანაზე. რამდენს სწერდნენ გასულს საუკუნეებში ადამიანები ურთიერთს? მე მოგახსენებთ პირად წერილებს.

თქვენ იტყვიან მოცლილები იყვნენო? არა, მოცლილი განა დღეს ცოტაა ამ ქვეყანაზე? ადამიანების საქმიანობას ერთი საუკუნის შემდეგ რომ

*) ასეთია ჩემი ცხოვრება ძვირფასო.

ჯამი გაუკეთდება, მერმე გამოირკვევა თუ რამდენი მიეთმობოდა უწერიათ და უკეთებიათ მოცლილებს საუკუნის მანძილზე.

მე საერთოდ მუდამ ცუდად ვეწყობოდი წერას. ვეჩქვებოდი პირად ბარათების წერას, აქამდის მხოლოდ ერთადერთ, ქალს ვანებებდებდი ბარათების წერით, ეს იყო დედაჩემი. სხვისთვის არასოდეს მოკითხვის ბარათის ფარგლებიც არ გადამილახავს. რატომღაც გეზარება ადამიანს წამიერი განწყობილებისა და აზრების ქალაღზე გადატანა. ან ვის რად უნდა ასეთი რამ? მე არ ვეთანხმები ანატოლ ფრანსს, ყოველმა ადამიანმა რომ თავისი ცხოვრება აღწეროს, მსოფლიო ლიტერატურას მრავალი შედეგრი შეეძინებაო რომ ამბობდა.

პირიქით, ეს დიდი უბედურება იქნებოდა. საცოდავ მოწაფეებს და სტუდენტებს თავსატეხი მასალა მოემატებოდა, ასოთამწყობები სულ დაიბრმავებდნენ თვალს და ბიბლიოთეკარებს მთლად დაახრჩობდა ბუასილი.

კიდევ რა მოგწეროთ? უძილობა მკლავს. უკაცრავად, უძილობა კი არა; ღამის კოშმარები. ერთ დროს ანწლის არაყს ვსვამდი, იმის ბრალი შეგონა. აქ არაყი გამოგველია, მაგრამ მაინც ვერ მომისვენია. თქვენ გგონიათ ცუდი საწოლი მაქვს? აქ მაშიდა ფარჯანიანის მიერ ნაჩუქარი რამდენიმე ოქრო ჩამომყვა. შვიდი ჯიხვის ტყავიდან ისეთი სანადირო ქურჭი შევიკერე, ყოველ ჯენტლემენს თვალი დარჩება ზედ. ტანზე ის მაცვია და იგვეა ჩემი საბანი და საგები.

ამ გვირაბში შურთხებს აუარებელი ალბიური ბალახი შემოუტანიათ, სენი მონადირეები ასე ამბობენ, შურთხები ჯიხვებისთვის მიუტენიაო მათ ღეთაებას — დაღს. საზამთრო საზრდოს თავათ შეუზიდავენო ჯიხვებს გვირაბებში, სამაგიეროდ მერმე თავათ სჭამენო ჯიხვების სკორეს. მაღალმა ღმერთმა უკეთ იცის ალბათ ეს ასეა თუ არა, საქმე ისაა, ამ ყფერს მონადირენი ქვეშაგებად ვიყენებთ.

ამასწინად შურთხებზე სანადიროდ მივდიოდი. ბორა ჩამომჯდარიყო შორს, ძლიერ შორს. საცდელად ვესროლე, ბორა ძირს დაეშვა, კისერი გამოულადრავს ტყვიას.

და რა ენახე ძვირფასო ფრაუ? ის ბორა ძლიერ ჰგავდა იმ უბედურ ჯამლეთ ტარბას. მთელი ღამეები არ მასვენებს ახლა ეს მოჩვენება. იმ ჯამლეთ ტარბას დურბელი სჭირდა ყელზე, კისერი გამოლადრული ჰქონდა. მოვა ღამით ეს ბორა, მომაფრინდება, თავს მიკანტურებს და მომეჭრება, თვალების დაკორტნას დამიბირებს, მე ვძრწი, ვიტანჯები. ჭირისოფლში ვცურავ და ბორა თავს მიკანტურებს და პირდაპირ იმავე წამოწითლებული, დასისხლული თვალებით, ჯამლეთ ტარბას თვალებით შემომმჭერის.

ვაჰ, თუ პლატონის სულთა მიგრაცია მართალი იყოს, ჩემს მიერ მოკლული კაცი, ბორად ქვეუღიყოს და ხელმეორედ მომეკლას იგი ორკეცი სიკვდილით.

აჰ, რა სისულელეა, რასა ეროშავ!
სათოფურიდან მთვარის შუქი შემოდის. ყინავს.

ცა ვარსკვლავებით მოოჭვილია, მყინვარებს ყარყუმებზე წაშლეს ჩაუ-
ცვამთ, მთვარე ზედ უმაღლეს მწვერვალს დაქათქათებსსა დაბრუნდა მამდგარა
ცასა და ხმელს შორის და ისეთი მყუდროებაა თითქოს ქვეყანას ამოსუნ-
თქვა დავიწყნიაო.

მშვიდობით ძვირფასო ფრაუ

მარადის თქვენი ერთგული

თარაშ ემხვარი“.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)



3. რუხადი

კოლხეთს

სილამაზესთან მუდამ დაეობდი,
ტანზე ფერადი კაბა გშვენოდა,
მაგრამ გახრჩობდა მყრალი ქაობი
და იყავ უმწე... არვინ გშველოდა.

ვიბუტუნებდა ყურებში კოლო
და ცახცახებდი გაფითრებული:
გელანდებოდა ბიჭი თუ გოგო,
გვიზიანი და გაყვითლებული.

უბეს გივსებდა ცრემლთა ღვარები,
ჰგმინავდი მწარედ: „ბედს სურს დამლუპოს!“
მაგრამ მოვიდნენ კომუნარები
და გზა გადუქრეს უემურს და კუბოს.

დასერეს შენი სიგრძე და განი
ფართო ხიდებით, არხებით, გზებით...
და დღეს უსაზღვრო გაქვს გასაქანი,
ოლონდ გაშალე არწივის ფრთები!

მალე შენს არეს გლეხი მოთოხნის,
ტრაქტორის ეშვით დაიღარები
და ნაზ ლიმონის, ჩაის, ფორთოხლის
პლანტაციებით დაიფარები;

ზღვად გადიქცევა პალიასტომი,
დრედნოუტების დოღი გაჩნდება
და, თუ იფეთქებს ფალია ომის,
ერთი ყუმბარაც მტერს არ აცდება;

სხვა არხს გაჰყვება რიონის შფოთი,
როცა ჯებირი შეუკრავს გზასა,
განახლებული აღსდგება ფოთი
და გადახედავს ამაყად ზღვასა...



და, ვით ავარდნა წითელი დროშის,
გახდები მაშინ ქვეყნის იგავად,
გაგახსენდება — იმ წყეულ დროში
როგორ იბრძოდა შენტთვის მიჭავა;

წარმოგიდგება დადიანის და
მებატონეთა ურცხვი თარეში, —
შენც შეუკურთხებ ერთს მადიანად
და გაგიღეებს რისხვა თვალებში;

იტყვი: «წარსულმა დახურა კარი,
დღეს თვალს იტაცებს ახალი სახე,
დე აეკიდოს ზურგზე მკედლარს მკედლარი,
მე კი გავყვები სტალინის სახელს!»

და გადახედავ გოროზი ცქერით
მწვანე მიდამოს, ფერადად გაშლილს,
როცა შენს მკერდზე მზის სხივთა ჩქერი
მარგალიტის ცვრებს ნისლებად აშლის.



ცდილობდა დაწინაურებას, ამოდ ეძებდა მდიდარ საცოლეს — მისი ცხოვრება, როგორც პატარა მღორე ლელე, ერთხელ მიჩენილ ვაზით ეფერულად მიდიოდა.

ოცი წელიწადი იქნებოდა, რაც ის ქუთაისის საოლქო-სამხარეთლოში მუდმივად იჯდა მწერლის მაგიდასთან, რომლის ფეხები, ისე, როგორც მისი ყვითელი კბილები, მკილისაგან იყო სულ დახრული.

ამ ხნის განმავლობაში რალაც სენმა თმის ერთი ლეროც აღარ დაუტოვა ვეზირს მუქისტოლა თავზე. მალე წარბები და წამწამებიც გაცვინდა ნაყვავილარი და გვირილისფერი ლოყები ალაგ-ალაგ ხელისგულივით გაუშინებდა, თანაც სახე ბოთლში დანახული კაცის სახესავით დაუგრძელდა. მარტო უღვაშები შერჩა უკლებლად.

ამ პატარა თავიან და გრძელ-სახიან ვეზირს საოცრად მაღალი გამხდარა ტანი ჰქონდა. ცარიელი ჩხირები იყო. როცა მიდიოდა, გახუნებულ და სახელოვებ შემოცვეთილ მუნდირში მისი ძვლები თითქოს ქრიალებდნენ.

წამწამებ შემოცლილ წითელ კილოებზე გადმოშვდარი მისი ქროლა, დაკუსული თვალემა არასოდეს არ იცქირებოდნენ პირდაპირ და თამამად უღვაშების ბოლოები ორ პაწაწინა ფუნჯს უგავდა, რომლებშიც ჩაფლულ წაწვეტილ და მტკეპიან ცხვირის ნესტოებს ბუშტებივით ბერავდა. უღვაშების ქვეშ ტუჩების ნაცვლად, ორი ვოჯის მანძილზე, მოყვითალო ხაზი ჰქონდა გავლებული.

როცა ვეზირმა იგრძნო — მისი ოცნება ფუქად რჩებოდა, გადაწყვიტა შეერთო ლამაზი ქალი, თუგინდ ხელცარიელიც ყოფილიყო ის.

მცირე ჯამაგირიდან ნაგროვები ფულით ჯერ ორთქალიანი მომცრო სახლის კედლები კირით შეფეთქა, ძველი ყავრის მაგიერ თუნუქით გადახურა, რიკულებიანი აივნანი და აივნის სვეტები ლურჯად შეღება, ფარდაგის ოდენა ეზოს ალიზით ნაშენი მაღალი ყორე შემოაველო და მაგარ საკეტიანი ქიშკარი დაკიდა.

ერთ კვირა დილას ამ ქიშკრიდან თავალებული გამოვიდა თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ვეზირი. კიტელის კალთები მუხლებს ქვევით ცემდა. მკერდზე ორმხრივად ეკერა თითბრის ბჭყვიალა ლილები. კაკარდიანი, თეთრი და ფართო ქუდი ისე ეხურა, თითქოს ცალთვალა ბატი აჯდა თავზე.

გარეგნობასთან ერთად ვეზირმა ნირიც იცვალა: მეზობლებს აღერსიანად და ხმამაღლა ესალმებოდა, თანაც ეკლესიაში და გასვენებებში იწყო სიარული.

ვეზირის ცხოვრება მეზობლების სალაპარაკო საგნად იქცა. თუ წინად მის არსებობას არც-კი გრძნობდნენ, ახლა ყველას აინტერესებდა — ვეზირმა როდის აიარა, ვის რა უთხრა, ან როგორ ეცვა. ზოგმა მასვლობაც ითავა და მეზობლები ხშირად ბჭობდნენ, თუ რომელი ქალი უფრო შეეფერებოდა ვეზირს.

არ გაუვლია დიდხანს და ვეზირმა მართლაც იქორწილა ეს არავის ვაკეირვებია, მაგრამ ყველა გააოცა პატარძლის სიღამაზემ.

პატარძალი ცქრიალა და სულ ნორჩი იყო. მორჩილ ტანსაცმელს და კეთილ სათუთად უჩანდა დარაიის კაბაში.

გვიხაროდა

კობტა ბეჭებზე დაყრილი თმის ოთხი უღო თემოებამდე წვედებოდა. დედოფალას თვალები ჰქონდა, მოგრძო და ცისფერი. როცა მესეროვან წამწამებზე ცრემლები მიძევებდა დაეკიდებოდა, მაშინაც-კი სახეზე ღიმი უკრთოდა და ახალ ჭრილობასავით მუდამ წითელ და სველ ტუჩებს და-მუწვას ვერ უხერხებდა.

სიცილის დროს ოდნავ ჩხარ, კრიალა კბილებში ენის წვერი ცეცხლის პატარა ალივით გამოუჩნდებოდა ხოლმე და მისი წკრიალა ხმა ირგვლივ სიხარულს ფანტავდა.

ბედის უმადური იყო, მაგრამ დარდის გამოხატვა არ შეეძლო.

ვიციდი, რომ პატარძალი ობოლი იყო, სამადლოდ გაზრდილი. ისიც ვაგებული მქონდა, რომ ის ვეზირმა იყიდა, როგორც უშობელი, და მე-ცოდებოდა. მეცოდებოდა უფრო იმიტომაც, რომ ცოლად ყავდა ახმახსა და მამიჩემის ტოლ კაცს.

ეცდილობდი როგორმე მაემებინა და გამერთო.

გული სულ მისკენ მიმიწევდა, სულ მასთან მიწოდდა ვყოფილიყავი. გადიოდა დრო.

ერთხელ, საღამოს, ვეზირის ცოლი შეეხვეწა დედაჩემს — მასთან გა-ვეშვი. მისი უემური ქმარი სადღაც წასულიყო და მარტო დარჩენილ პა-ტარძალს თურმე ჩემი იმედით უნდოდა ლამე გაეთია.

სიხარულით წავეყვი.

როცა მთვარე აივანზე ბურთივით შემოგორდა, ვეზირის ცოლი აღერ-სით მომიჯდა გვერდით და გულში მაგრა ჩამიხუტა. ცოტახნის მერმე და-იწყო უცნაური ზღაპრის მოყოლა და მის უბეში განაბულს, ტანზე ჭიან-ჭველები დამესია.

ახლაც არ ვიცი, რა უფრო მგვრიდა ერთნატიელს — ზღაპარი თუ მისი მკერდის სითბო.

ეზოში ციციანათელები დაფრინავდენ.

მთვარის სხივები ხეებზე სირმის ძაფებივით ეკიდა. მოლზე მოარული ჩრდილები ცხრათავიან მდეგებად მეჩვენებოდა, და პატარძალი მზეთუნა-ხავი მეგონა, ჩემი თავი — ხელმწიფის შვილი.

გვიან შევედი თინ.

გულის ფანცქალით დავწეჭი.

პატარძალმა ლამპა ჩააქრო და ზმორებით მივიდა თავის ლოგინთან — ჯერ ბალიში ააბუმბულა, მერმე ერთბაშად კაბის გარდა პერანგიც გაიძრო და ფანჯარასთან დედაშობილა გაჩერდა.

გარედან ფანჯარას შივარე მოადგა და ვეზირის შიშველი ცოლი აჩქოლებულ შუქში გაახვია. ქალი კარგახანს იდგა ვერცხლის ქაფში და დალალებს იშლიდა, იმავედროს ფართოდ გახილულ კეფალებით სიკრცეს გაცქეროდა. შივარის სინათლეზე აშკარად ვხვდებით მისი ატმისფერ ტანს. ვატყობდი ვეზირის ცოლი არ მეტუებოდა, არც რამედ აგდებდა ჩემს იქ ყოფნას და რატომღაც შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს.

როცა თმა სულ გაიშალა, მსუბუქი ნაბიჯით გამობრუნდა და ლოგინზე გაიშხვართა.

მე განაბული განვაგრძობდი მის ცქერას.

მაღე ნელი ფშვინვა მომესმა.

პატარძალს უკვე ეძინა. მის წაბლისფერ დალალებს მთლად დაეფარა ბალიში. ერთი ხელი თავკევეშ ჭონდა ამოდებული, მეორე შიშველ მკერდზე ცარიელ ყანწივით ეგდო. ბაგე ისე გახსნოდა, თითქოს მეძახოდა... რაღაცამ ბუმბულივით ამიტაცა და უეცრად მის ლოგინთან გაეჩნდი.

დავაცქერდი. საბნის მაგიერ შივარის კაშკაშა ნათელი, გამჭვირვალე ლეჩაქივით ეხურა შიშველ სხეულზე.

დიდხანს ვიყოყმანე, ბოლოს უნებლიეთ დავიხარე და სასოებით ვაკოცე-შემკრთალი ქალი ერთბაშად წამოჯდა ლოგინზე. როცა დამინახა იქვე უმწეოდ გაჩერებულნი; განცვიფრდა, სახეზე ალმური მოედვა. ჩემი თავხედობით გაანჩხლებულმა უცებ მთელი ძალღონით ორივე ყური ამიწია და ცივად მიბრძანა დაუყოვნებლივ წავსულიყავი შინ.

დამცირებულმა, მიწასთან ვასწორებულმა სწრაფად დავავლე ხელი ჩემს ტანისამოსს და გარედ გამოვევარდი.

ეს იყო და ეს. მეტჯერ ფეხი აღარ დამიდგამს ვეზირის ეზოში. მაგრამ ერთი საკვირველი ზნე მაინც დამჩემდა — როცა ვეზირის ცოლზე გავიგონებდი რამეს, მაშინვე ყურებზე ცეცხლი მომედებოდა.

ბოლოდროს ვეზირი ცუდად ეპყრობოდა ცოლს. ლუკმას უთვლიდა. ყველაფერს გაზომილად აძლევდა. არც გარედ უშვებდა. ხანდახან კიდევაც ცემდა თურმე.

დაქლეჭდა ქალი, ლოგინად ჩავარდა. ორჯერ თუ სამჯერ დავაპირე ნახვა, მაგრამ ყოველთვის ჭიშკრიდანვე დავბრუნებულვარ უკან.

მას აღარ მიუწევია ჭმრის ხელში მეორე ზაფხულამდე.

როცა მისი სიკვდილი გავიგე, გული ჩამწყდა.

გასვენებაზე წასულა ვეღარ შევძელი. სხვების ფართულად მხოლოდ რამდენჯერმე შევამკე ყვავილებით ობოლი ქალის სამარე.

მრავალმა წყალმა ჩაიარა ამის შემდეგ, მაგრამ ახლაც ყველაფერი ეს ცხადად მიდგია თვალწინ.

ხშირად მებადება უცნაური სურვილი: ის პირველი ჩემი კოცნა თვალთ ვნახო, ხელით შეეცხო მას..

და ალბად ერთი საუკუნე რომ ვიცოცხლო კრდე, ის კონკრეტული უფრო ძვირფასი და ცხოველი იქნება ჩემს ხსოვნაში, ვიდრე ზეინაბის სიყვარული. თუმცა რას ვროშავ! ვისთვისაა საინტერესო — მიყვარეს თუ არა მე ზეინაბი? ან ამ შეღამისას რა ბავშვობის მოგონებებიც დროს იქნება.

რალაი რული არ მეკარება, უცნობი ქალის დღიურის კითხვას მაინც მოვათავებ! — დავასკვენი და მაგიდის უჯრიდან რვეული ამოვიღე.

უცნობი ქალის ცხომრება

30 ივნისი

ერთი თვე შესრულდა, რაც უშანგმა სიკვდილს გადამარჩინა, თუმცა მერჩია იმავდღეს მომღებოდა ბოლო, — ვკითხულობ უცნობი ქალის დღიურში და ტანზე ქაცვები მიჩნდება. წინასწარ ვგრძნობ რალაც ამბოზენი ამბავი უნდა ეწეროს ამ ზაფრანისფერ და ცრემლით ნალტობ ფურცლებზე. და ვისწრაფვი ჩქარა გავიგო ვიგინდარა, მაგრამ უკვე ახლომეული აღამიანის ცხოვრების ყოველი წვრილმანი, მისი ტრაგედიის მიზეზი. — რაც დრო გადის, მწუხარება უფრო მიპყრობს, მოშუშების ნაცვლად გულში გაჩენილი იარა მტე ტკივილს მგერის. რა უბედურ ვარსკვლავზე ვყოფილვარ დაბადებული. როგორ ერთბაშად გაქრა ჩემი იმედები, ჩემი ფიქრები და ნატვრანი. დიდი ღელვის შემდეგ რიყეზე დარჩენილი თევზივით მხდება სული მარტოობაში. არავენ აღარა მყავს. უფრო მე არ მინდა მყავდეს. უშანგი-ლა შემრჩა სათაყვანოდ, მაგრამ ბოლოდროს ისიც თითქოს გაგარულდა. თანდათან უცხო იერს იღებს. ასე მგონია, მარტოსიბრალული აკავებს ჩემთან. ალბათ, ისიც მალე გადამისვრის, როგორც ჭუჭყიან ჩვარს. მაშინ რალა მეშველება? ნეტავი რას ვამბობ! როგორ შეიძლება სხვას უყვარდე, როცა შენი თავი თითონვე გეზიზღება და გძულს! განა სულ ერთი არაა დღეს მოხდება მოსახდენი თუ ხვალ? ოხ რა ძნელია აკრძალული გქონდეს ალაღად და თამამად უცქირო თვალეში საყვარელ აღამიანს. ემაღებოდე დღის სინათლეს, მაგრამ ვერც ღამით ისვენებდე: იმის შიშით, რომ ძილში არაფერი წამოგცდეს.

არა, მტე აღარ ძალშიძს.

აღარ ღირს ჩემი სიცოცხლე;

მორჩა.

ეს ერთი თვეც შეყოფა სატანჯველად.

მოსაგონადაც საზარელია ჩემი თავგადასავალი.

მაგრამ თუ ვიგონებ, ვიგონებ იმიტომ უფრო, რომ უშანგმა იცოდეს ის, რაც მისთვის აშკარად ვერ მითქვამს და რამაც ასე უდროოდ მოსრა ჩემი ახალგაზრდობა. მინდა იცოდეს, რომ მე არა ვარ მისი სიყვარულის ღირსი; მინდა ვაიგოს, რომ მან შეიხიზნა სხვისი ნახასარი ქალი.

კარგახანს ასე განაბულს თანდათან აუცახცახდა მხრები და მიწისძვრის მოლოდინში დამფრთხალი ხარივით სახარლად ახმუცდა დაეიბენი. როგორ მოგქცეულიყავი, არ ვიცოდი. ანგარიშს უკეთესად წამოვდექი და ვცადე დამეწყინარებია. ჩემმა ნუგეშმა მარტლად დააქსოვ, დაამშვიდა... როცა გამობრუნება დაეაპირე, უცებ თავი მალლა ასწია და ხელი მაგრა მომხვია წელზე... თვალეში ჯოჯოხეთური ცეცხლი ანთო, შიშმა შემიპყრო. მოვინდომე გასხლტომა, მაგრამ ახლა მეორე ხელიც შემომამკდო და აღარ გამიშვა.

გამწარებულმა ახლა-კი ვკადრე შებრძოლება:

უნასივით შემოხვეულს დაუზოგველად ვცემდი მუშტებს, ხან სახეს ვკაწრავდი, ხანაც ხელებზე ვკბენდი. რაც დრო გადიოდა, ის უფრო მზეცდებოდა, მე ღონე მელეოდა... უეცრად ხროტინით ზეზე წამოიჭრა, მეც ამიტაცა და ლოგინზე დამცა. დამიწყო უწყალოდ ჯიჯგნა, ტანისამოსის შემოხვეა და ლოშნა. ვიგრძენი ვიღუბებოდი და ცეცხლმოდებულებით მოვრთე კივილი, მაგრამ მან პირზე მაშინვე ბალიში დამათარა, და გონება დავკარგე...

მეტი აღარაფერი მახსოვს.

როცა მოვსულიერდი, მაშინაცვალი ლოდივით მაწვა მკერდზე. კისერ-მოლრეცილს პირიდან ღუფი გადმოდიოდა, თვალეები გადმობრუნებოდა და სახეზე მიწისფერი დადებოდა.

შემრწუნებულმა მოვიკრიფე უკანასკნელი ძალა და ხელი ვკარი, — მისი უსულო ტანი ჟენძივით გადავარდა ძირს.

სწრაფად წამოვხტი და ლოგინზევე მდგარი გეჟივით ავეკარი კედელს: ვერ მიმხედარიყავი — ყველაფერი ეს სიზმარი იყო თუ ცხადი.

აღარ მაგონდება რამდენხანს ვიყავი ამ ყოფაში.

არც ის ვიცი, როგორ გავჩნდი გარედ.

როგორც კი ვისუნთქე სუფთა ჰაერი, მაშინვე თავქვე დავეშვი.

ელვის უსწრაფეს ჩავირბინე ბესიკის ქუჩა, იმავე სიჩქარით გადავჭერი პროსპექტი. ამ დროს ატყდა თვლემისაგან ერთბაშად გამოფხიზლებული შეეზოვებისა და მილიციელების სტვენა, დაგვიანებული მგზავრების ძახილი და ყიჟინა.

ვიღაცა გამომეკიდა.

ერთი ხილამდე მივალწევდე ნეტავი, — ვიფიქრე და ისარივით გავჭროლე ჯორჯიაშვილის ქუჩით.

ვიგრძენი მდევარმაც მოუმატა სირბილს.

უკვე მესმოდა მისი ქშენა.

— ვინ ხარ, რა გინდა ჩემგან? სიკვდილის უფლება მაინც მომეცით! — განწირულის ხმით ვიყვირე და კომუნარების ბალის ბოლოში უკან მოვიხედე.

ვიცანი მოახლოვებული მდევარი.

მუხლები მომეკვითა.

— უშანგი, უშანგი! — კიდევ უფრო გამწარებით ვიყვირე და მის მკლავებზე გულწასული დავეცი...

მას აქეთ ვცხოვრობთ ერთ ჭერქვეშ.

პირველ ხანებში უშანგი ფარვანასავით დამტრიალებდა თავს.

მისმა სათუთმა მოპყრობამ და ზრუნვამ გამომაბრუნა.

ორი კვირის განმავლობაში და-ძმასავით ერთად ყოფნის შემდეგ, ერთ საღამოს, როცა გვერდი-გვერდ ვიჯექით ამ ფანჯარასთან, უშანგმა ცოლობა მთხოვა. მოულოდნელი თითქოს არ იყო ეს ჩემთვის, მაგრამ იმ წამს ენა დამება. ვერაფერი ვუთხარი. ან-კი რა შემეძლო მეტყვა, ჩემადიდიხნის ოცნება ხორცს ისხამდა, მაგრამ რალა ფასი ჰქონდა ახლა მას.

ჩემი მუნჯად ქცევა მან თანხმობის ნიშნად მიიმჩნია და ამით გახარებულმა მთლად დამიკოცნა სახე.

მე მორჩილებით ვისმენდი უშანგის აფრთოვანებულ ლაპარაკს ჩვენ მომავალ ცხოვრებაზე... ნამდვილად მისი ალერსი გულს არ ეკარებოდა, ხანდახან ზიზღსაც მგვრიდა, რადგან ის კომპარული ღამე მაგონდებოდა. წინად-კი უშანგის მარტო შორიდან დანახვაც თოფის წამალივით მაფეთქებდა.

უხალისოდ დავნებდი...

მალე თავის ლოგინზე გადავიდა. მთელ ღამეს ბორგავდა. დილით ადრე ადგა და უბრად წავიდა.

ამის შემდეგ ისე იშვიათად და უნებურად მცემს ხმას, თითქოს სიტყვებს გაზით გლეჯდენ პირიდან.

როდემდის უნდა ვტანჯოთ ერთმანეთი?

უშანგის ფეხის ხმა ისმის. არ შემომისწროს!

2 ივლისი

გუშინ საღამოთი დაბრუნდა უშანგი შინ, მაგრამ ისევ მალე წავიდა-წავიდა და დაიკარგა.

მთელი ღამე თეთრად გავათენე მის მოლოდინში... ამ დილით ვილაც შევებით მოსილი ქალი მეწვია: ველარ ვიცანი დედაჩემი; როგორც-კი დამინახა, ხმამაღალი ტირილი მორთო და აცახცახებული ხელებით მკერდში ჩამიკრა. მე საოცარმა გულგრილობამ მომიცვა, მაგრამ მისმა უსასოო ქვითინმა მალე მომაღბო. საწყალი, როგორ გამოცვლილა ამ ერთი თვის განმავლობაში!

ეტყობა სახლიდან ჩემი გამოქცევის ნამდვილი მიზეზი არ იცის და ალბათ ამიტომაც, რომ მარტო მის დაუკითხავად გათხოვებას მისაყვედურებს.

— ჩემს მოსულამდე რომ მოგეცადა და ის უბედური მარტო არ მიგეტოვებინა, იქნება ღვინოში არ ჩამხჩვალყო. ახლა ისიც არ ვიცი, თუ

სადაა დასაფლავებული. ესაა მადლი? — მისი სიტყვები მანთებივით მწვავენ, მაგრამ იმავედროს ცნობისმოყვარეობას მიღვიძებენ.

— როგორ, უშენოდ დამარხეს? — სხვისი ხმით ვეგფფფფ... და ცივი ოფლი მასხამს.

— საუბედუროდ ერთ კვირაზე მეტხანს დავრჩი სოფელში. როცა დავბრუნდი, სახლის კარები დალუქული დამხვდა. მეზობლებისაგან ხეირიანად ვერაფერი გავიგე. საჩქაროდ წავედი მილიციაში... იქ მითხრეს, რომ ჩემი ქმარი მკვდრების მძარცველი ყოფილა... მგონი ტფილისიდან ჩემი წასვლის მეორე თუ მესამე ღამეს უნახავთ გარდაცვლილი შესაპყრობად შინ მოსულ მილიციელებს... და რადგან ქირისუფალი არავინ აღმოჩენია, გვამი პროზექტურაში გადაუგზავნიათ... ვინ მოუგონა ნეტავი... მკვდრებთან რა ხელი ჰქონდა საცოდავს... ვაი რას მოვესწარი! — ლულულუთ მიაშობდა დედაჩემი.

უცებ მომაგონდა ერთი საღამო, როცა მამინაცვალმა კაბა და ფეხსაცმელები მომიტანა, ხოლო დილას ისევ წაიღო ჩუმად. გამახსენდა თინათ მოყოლილი ამბავიც, რომელიც ოპერაში მომხდარიყო, და დავრწმუნდი, რომ ის კაბა უთუოდ ჩემი მამინაცვალისაგან იყო მიტანილი საკომისიო მალაზიაში.

საოცარმა ფიქრებმა წამიღეს. დედაჩემი-კი განაგრძობდა:

— შენს ძებნას შევუდექი. ძლივს მოგაგენი. კიდევ კარგი ცოცხალს გხედავ...

ამ სიტყვებით მან ოთახს თვალი მოავლო და მკითხა:

— ხომ კმაყოფილი ხარ ბედით? შენ მაინც იყავი ბედნიერი... მე რაც მომივია, მომივია... — სასოწარკვეთით დაუმატა და ადგა.

წასვლის წინ დამლოცა:

— იღლეგრძელეთ, შეილევბო. თუ სიძეს მომიყვან და გაამაცნობ, კარგს იზამ, თორემ არც ამისათვის დაგემდურები.

უხმოდ მივაცილე კარამდე.

ტირილით გამომეშშვილობა:

— ნუ მიმატოვებ, შევილო, სულ. რაც უნდა იყოს, მშობელი ვარ შენი. ცოდვა იქნება, როგორც უბატრონო და ოხერი, მეც ძალღივით გადაამართონ. ეს-ლა თქვა და თვალცრემლიანი წავიდა.

დიღხანს ვიყავი გაღებულ კარზე მიყრდნობილი და უსასოოდ ვუცქეროდი კიბეზე ლასლასით ჩამავალ ლანდს...

3 ივლისი

ფეხმძიმედ ვარ... ააახ!!!

4 ივლისი

ეს ორი დღეა უშანგი არ ჩანს... ალბათ მიმატოვა!



აქ წყდება დღიური.
უცნობი ქალის მერმინდელი ცხოვრება გამოცანად დარჩა. იქნებ თავი
მოიკლა?

გარკინის

იქნებ დღიურის შემდეგი ფურცლებიც ბავშვებმა ჩააწყაპრეს?
ვინ იცის...

საწყალი...

გამიტყდა ძილი...

დაბეკილი ავდექი.

ფანჯარა გამოვალე და ხარბად შევისუნთქე ღამის გრილი ჰაერი.

ქუჩა ცარიელია.

მთვარე ჩასულა.

საცაა ინათლებს.

ცოტა კიდევ და აი იქ, თალხით ბურვილ გორებიდან მტრედები
გუნდ-გუნდად აფრინდებიან, მალე ენდროში ამოვლებული მზის ფუნჯი
ცის კიდეს ვარდისფრად შეღებავს და ამ სახლებიდან, უზარმაზარ სკებს
რომ გვანან, გამოვლენ ადამიანები, ზოგი მხიარული, ზოგი მწუხარე, და
შეიქმნება ბზუილი, ატყდება ყაყანი და აურზაური.

მე-კი ჯერ თვალიც არ მომიხუჭავს.

ვღგევარ ფანჯარასთან და უგულოდ გავცქერი ბნელ სივრცეს.



— ო, ო, ო, რაიბულს სიცოცხლე! — შორიდან მესალმება უცხოეთი-
დან შარშან ჩამოსული ინჟენერი აბო და ხელს მაგრა მართმევს, თან ორ-
ჭოფად მეკითხება: ბოლო დროს ვერა გხედავ, როგორა ხარ, რასა იქ? თუ
წერ რამეს?..

პასუხს უგულოდ ვაძლევ. მასთან ყბედობის ხალისი სწორედ არა
მაქვს, თავს ცუდად ვგრძნობ — წუხანდელი უძინარი ვარ. მცხუნვარე მზის
სხივები თვალებს მიბრწყვიალეს. გაზაფხულია. პროსპექტი გარანდულ გა-
ნიერ და გრძელ ფიცარს გავს, რომელზედაც ჭიანჭველებივით ფუსფუსით
მიმოდის უამრავი ხალხი. განუწყვეტლივ ისმის შუა ქუჩაში მიმქროლ
ავტომობილებისა და მგზავრებით დაბუნზლულ ტრამვის სირენების ხმა.
ამ ქოთქოთში ხეირიანად არც-კი მესმის აბოს ლაპარაკი. ის ხანდახან
ძვირფას კეპკას ღიმილით უხდის ნაცნობებს, იმავე დროს თვალს თვალში
უყრის ლამაზ ქალებს და უტიფრად გასცქერის მათი თქოების რხევას.
ყველაფერ ამას ჩემთან მუსაიფის შეუწყვეტლად ახერხებს.

მოხდენილი ვაგაკცია აბო.

ქადრაკის დაფის უჯრედებიანი ყავისფერი კოსტუმი აცვია. წელში
მოსუსხულ პიჯაკში მტრიანი მხრები ჯიჭურ მიაქვს. გატკეცილი შარ-
ვლის ტოტები ისეთი გრძელი და სრულ აქვს, რომ სქელ-ლანჩიანი ყვი-
თელი ფეხსაცმელი არც-კი უჩანს. ოდნავ წინწკლებიანი და შორი-შორ

მოწითალო ზოლებიანი, მრეში ყელსახვევი იმრიგად გაუქვთებრა, თითქოს გველის პერანგი ეკიდოს კისერზე. სუფთად გაპარსული სახე, ორშიმოს უგავს, ხოლო დიდი ყურები — ლამურას. ბოხი ხმით ელაპყრებოდა, ცდილობს სიტყვებს უცხოური კილო მისცეს.

გეგლეპიუსეა

ყველას ყურადღებას იპყრობს.

გრძნობს ამას და გოროზ იერს იღებს.

სოლოლაკის ქუჩის ახლო ფეხშიშველი და გიზგიზა თვალებიანი ციგნის ქალი აგვედევნა. ქალს ცალი ხელით ტიტლიკანა, გარუჯული ბავშვი უპავეს ატაცებული, მეორე ხელის თითებს შუა შეკონილი იეზი აქვს გამოჩრილი, ხოლო შეუკონავე ყვავილები აკვალთულ ჩითის წინსაფარში უყრია. აბო ხშირ-ნაოკებთან და სადა კაბაში დამალულ ქალის მკერვივ ტანს მრუში თვალებით უცქერის. ახალგაზრდა დედას ქრელი თავსაფარიდან გიშერივით შავი თმა ჩამოშლია და ხედვას უშლის.

აბო იეზის ერთ კონაში იმდენს აძლევს, რომ ქალი გაოცებული რჩება.

— მიყვარს ია, — მეუბნება აბო, — უცხოეთში ია იისფერ სამშობლოს მაგონებდა, მაგრამ იქ ია ან ვარდი ის არაა, რაც საქართველოში. ჩვენში ყვავილებს ფერის გარდა სურნელებაც უკეთესი აქვს. იაზე რამდენიმე ლექსი მაქვს დაწერილი. რად გიკვირს! რომელი ქართველი იქნება ისეთი, ლექსი არ დაეწეროს? მე რა სხვაზე ნაკლები მნახე! გასაკვირი ეს-კი არაა, არამედ ის, რომ ჩვენში ყველა წერს ლექსს, მაგრამ ნამდვილი პოეტი სანთლით საძებარია. ამას განსაკუთრებით იგრძნობს ის, ვისაც განათლება ეგროპაში მიუღია... მე მგონია ქართველმა ხალხმა დიდიხანია ამოწურა თავისი თავი.

ვინ კითხავს ამ მანეკენს ქართველი ხალხის ბედს, — ვფიქრობ მე და თანდათან ბრაზი მერევა, — ან რა გავგება რეგვენს პოეზიისა. უცხოეთში ფოქსტროტის მეტი არაფერი უსწავლია. იქიდან მხოლოდ პატეფონი ჩამოიტანა, რომელსაც ყოველ საღამოს კარიდან-კარზე დაათრევს და მისავით ფუქსაეატ ქალებს ცეკვით თავბრუს ახვევს. თუ რომელიმე მათგანმა კოცნა დაუშალა, აზიელობას შეწამებს და ამ ხრიკით ხშირად ისრულებს სურვილს.

გადამწყვიტე ერთი ისე შევეუკმაზო ჯამი, რომ მეორედ ველარ გაბედოს ჩემთან ამნაირი ლაყობა, მაგრამ აბო უეცრად მტოვებს და ვილატას ებვევა.

— გავიგე დიდიხანია ჩამოსულხარ, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხე შენი ნახვა... რას შერები, ხომ არსად დავიწყია ჯერ მუშაობა? მე რომელიღაც რაიონში მიპირებდნენ გადასროლას, მაგრამ უარი ვთქვი. ტფილისშიაც მკლავს მოწყენა და რაიონში რა გამაძლებინებს! — სეტყვასავით აყრის აბო საამო გარეგნობის ქაბუკს, რომელსაც კობტად აცვია, მაგრამ აბოსავით თვალში არ გეჩხირება კაცს. სახის გამომეტყველებაც უფრო დინჯი აქვს, ხმა წყნარი და მტკიცე.

განზე მდგარმა თვალი მოკვარი იქვე საბავშვო სათამაშოების მალა-
ზიიდან გამოშვალ ზეინაბს და სიხარულით წინ მივეგებე.

ზეინაბს თითქოს ეწყინა ჩემი შეხვედრა, თითქოს საჭურჭელზე შე-
ესწროს ვინმეს, ისე წაუხდა საქციელი.

— ჩემი მეგობრის ბავშვისათვის სათამაშოები მინდოდა მეყიდა, მაგ-
რამ ზეირიანი ვერაფერი ვიშოვე. იძულებული გავხდი, რაც იყო, ის წა-
მომეღო. — ნაძალადევი ღიმილით მითხრა მან და ნაცრისფერ ქალაღში
გაბეჭეული საბავშვო ნივთები ამრეხით შეატრიალა ხელში.

გამიკვირდა.

— ბოდიში, რაიბულ, მეგობრის უეცარმა ნახვამ ზრდილობა დამა-
ვიწყა. გთხოვ იცნობდე, — მომესმა ამდროს აბოს ხმა, მაგრამ ვიდრე
უცნობს ხელს ჩამოვართმევდი, რატომღაც ზეინაბს შევხვედი და შემეშინ-
და: ჩემს წინ ზეინაბის მაგიერ თვალებად ჭკეული ქანდაკება იდგა.

უცნობს მიშტერებოდა.

ისიც გაქვავებულყო.

უცებ ზეინაბმა დაიგმინა:

— უშანგი! — და ვიტრინის მოაჯირს მიეყრდნო.

5

ლაშა მარტო დამხვდა.

— რაშია საქმე, ვჩქარობდი არ დამაგვიანდეს-მეთქი და თურმე სხეებ-
ზე აღრე მოვსულვარ.

— არა, ყველაზე აღრე ზეინაბი მეწვინა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე
წამით. სხეებიც მოსვლისთანავე წავიდენ.

— ზეინაბიც იყო?

— უკანასკნელად.

— არაფერი მესმის. რა მოხდა, რა ამბავია?

— დაჯექი...

— მაშ ჩვენი სერობა აღარ შესდგება?

— არა!

— ლაშას დავაკვირდი. მხოლოდ ახლა შევნიშნე მლეღვარება. რაღაც
დაბერებული მეჩვენა.

ოთახიც უხალისოდ გამოიყურება. ელექტრონი მკრთალ, მგლოვიარე
შუქს აფრქვევს ირგვლივ. ღია ფანჯრიდან მოკუბრულ ცაზე ერთადერთ
ვარსკვლავს ვამჩნევ.

ლაშასთან ახლო მივდივარ.

— გეტყობა გუნებაზე არ ხარ. მეც წავალ. ხვალ შემოვივლი ან ზეგ-
სხვადროს.

— დარჩი ცოტახანს. შენთან საქმე მაქვს.

ვეღლები.

სიჩუმე.

ლაშა ჩემს პირისპირ ზის და ფრჩხილებს იღრღნის.

სავარძელში ველარ ვჩერდები, ვდგები და ოთახში სიარულს ვიწყებ.

— იცი, ჩემი ცოლი თხოვდება! — მესმის მოულოდნელად ლაშას გაბზარული ხმა.

— ჯერ ერთი, ცოლი კი-არა, ნაცოლარი. მეორეც — თხოვდება, გათხოვდეს. მე ფარცაგი რაღაც მეგონა. — იოლად ვეუბნები, თუმცა ლაშას ნათქვამი გულში მწყინს.

კვლავ სიჩუმე.

— ვის მიყვება, თუ გაიგე! — იმავე კილოზე ვეკითხები მოგვიანებით და შუა ოთახში შეჩერებული პაპიროსს ვუკიდებ.

— ვიღაც უშანგ კახიძეს, ინენერს. — ლაშას პასუხი ლახვარივით მხვდება.

მოვლენები ერთმანეთს ზედიზედ ესკვენება და ამ უცნაურ კვანძების გამოხსნის უნარს სავესებით ვკარგავ. სხვების დრამების მაცქერალს, საკუთარი თავი მავიწყდება...

— შენთვის სულერთი არაა, ვისაც წაყვება?

— კი, მაგრამ...

ვგრძნობ ლაშას უფრო სხვა რაღაცა აწუხებს, რის გამკლავებაც უჭირს. ოთახში სიარულს განვაგრძობ. ლაშა კვლავ ფრჩხილებს იკვნეტავს და ერთ წერტილს მიჩერებია.

— მართლა, ზეინაბის მისამართი გეცოდინება. უთუოდ უნდა ვნახო. სამური საქმე მაქვს. — უცხოსავით მიემართავ ლაშას და თვალს არ ვაშორებ.

— ზეინაბის მისამართი? მგონი ყაზბეგის ქუჩაზე ცხოვრობს. სახლის ნომერი არ მახსოვს... ნეტავი მისი თავიც სამუდამოდ დამავიწყა! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისერის ლაშა.

— რატომ, რას ერჩი?

— ისე...

— უცნაური კაცი ხარ. ქალი გიყვარს, ვიცი. მასაც უყვარხარ. რა გიშლით ხელს, ვერ გამოიგია?

— ბევრი რამე...

— მაინც?

— უმთავრესად ის, რომ მას არ ვყვარებივარ.

— ვინ გითხრა?

— თვითონ მან. თავის პირით. დღეს. ამ საღამოს. ამ ოთახში... ვცდებოდი თურმე.

სადაც, გულის კუნჭულში მეამა, რომ ისიც პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილა. მერე და ქვეყანა ხომ არ დაქცეულა. თუ მე ვერ ვეწიე საწადელს, ლაშა რა წითელი კოჭია! რად იკლავს თავს!

— ადექი, ადექი! მოგცლია ერთი შენ. ყმაწვილივით ირგებ. წამოგავიაროთ. ზეინაბს თუ არ ყვარებიხარ, სხვა შეგეყვარებს. ნესტანების მეტი რაა. ადექი, პო! — ხუმრობით ვეუბნები და ზეზექვეყნეულებს.

ლაშა მწარედ იღიმება.

გ. ი. ს. ი. ს. ი. ს. ი. ს.

— აგრე დაჩაჩანაკება მეც არ მეპატიება, თორემ შენ კომუნისტ პოეტს, ათასგვარ ქარცეცხლში გამოვლილ კაცს, რა უფლება გაქვს ასეთ წვრილმანებზე დაახურდავო შენი გრძნობები... დადექი სწორად! რაეცვილივით მადნები ხელში. — ვამხნევებ და თანაც მეგობრულად დაცვინი: — ვირს რქები არ ამოუვიდა და ხმოებში გაერიაო. რალადროს შენი ტარიელობაა. სხვა არა იყოს რა, ჩვენს დროში ეს როლი ცოტა სასაცილოცაა. განსაკუთრებით შენ არ შეგფერის მისი თამაში.

საოცარია, რატომ ვახარებს ადამიანს ზოგჯერ სხვისი უბედურება. მაგალითად, ახლა მე ისეთ ხასიათზე ვარ, რომ ვაფრენა მინდოდეს, მარტო ხელების გაშლა-ლა დამჭირდებოდა. ლაშა-კი მიწაზედაც ძლივს მიათრევს ტანს.

წინწყლავს.

გარეთ ხალხი ცოტაა.

ლაშა პუშკინის ქუჩის ბოლოს, სარდაფში გამართულ რესტორანში ჩამყავს.

სარდაფში ბული ტრიალებს და ღრიანცელია.

თუთუნის ბოლში ლიბრედათ მოჩანს სარდაფის კედლებზე ფიროსმანის ეპიგონის მიერ გამოსახული მთელი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები. ჩვენი მაგიდის ახლოს ნახევარი კედლის არეზე დახატულია ავთანდილის წასვლა ტარიელის საძებრად, ხოლო მეორე მხარეს — ტარიელისაგან ხელით ვეფხის შეპყრობა და ქაჯეთის ციხის აღება.

წილში ნათავადარის ასულს ვერგეთ.

ქალს ცივი გამოხედვა აქვს, უნდო. ხანდახან მის თვალებში წოდებრივი სიამაყე გაიელვებს და მჭუნვარე სახის ნაკვეთებს ზიზღი შეურხევს. მაგრამ ვიდრე ამას ვინმე შეამჩნევდეს, სწრაფად ღიმილს მოიგონებს და უმადურ თავაზიანობით ემსახურება მუშტრებს.

ქვრივია. ხანით და ცხელი კერძების ოხშივარით სახის სათუთი ფერო ოდნავ დაგონჯებია. აღარც მიმოხვრაში აქვს ანდამატი. ფრთებდაჭრილი მტრედით დადის მაგიდიდან მაგიდამდე.

ზოგჯერ ავიწყდება თავისი ხვედრი და სუფთად ჩაცმულ, წარმოსადგე მუშტრებს ისე ხალისიანად ეპყრობა, თითქოს მამის სახლში იყოს და ნადიმზე წვეულ სტუმრებს მასპინძლობდეს.

ბევრი ახსოვს აეთი ნადიმი. მაშინ ყველას ანცვიფრებდა მამამისის თამაღობა და ჯიხვის რქები.

მაგრამ ეს იყო წინად. ახლა-კი ამავე სარდაფის კარებთან, ზევით, მამამისი კუტივით ზის და პაპიროსებს ყიდის...

ჩვენი მაგიდა აივსო ახალ ბოსტნეულით და ქორდა სარდებიანი კიტრებით. შემწვარ სულგუნს რძე ეონადედა. პაპიროსის ჩაღლივით თხელ ლავაშს ლაშა უხმოდ ზევედა. მე როდინივით წველში გამოსუსხულ მომცრო ჭიქებს მაყვლის წვენივით წითელ წინანდალზე ვაყრდნობდი.

როცა ნათავადარის ასულმა ვაზის ფოთლებზე დაწყობილი ცოცხალიც მოგვიტანა, უფროსმა მეთარემ, რომელსაც ნიკაბთან დაყენებული ხალი შავ ბოლოკს უგავედა, მიზრაფი მოიმარჯვა. მალე შეატრუნა მედოლემაც დოლი პაერში რამდენჯერმე შეატრიალა და მასრებივით თითები ზედ ელვის სისწრაფით აათამაშა, თან თარისა და დოლის შეწყობილ ხმას მყივანა ხმით ფიცხელი სიმღერა ააყოლა:

ახე...
 ქალი მოდიოდა
 თვალი მომანათა.
 ვინ არის ეს ქალი?
 — ვანნათთან ნატა!
 აჲ...

სარდაფში გახშირდა ჭიქების ჯახუნი და სადღეგრძელოები.

ლაშაც გამხიარულდა.

დაჩუმდა მედოლე. მეთარეებმაც შეანელეს მიზრაფები. ამ დროს ჩვენსკენ მოაშურა ვიღაც მაწანწალამ, ჩია ტანის და გაბურძგვილ წვერში სახე დამალულმა კაცმა.

მოახლოვებისთანავე ფრანგულ ენაზე მოგვესალმა. პასუხად ჭიქა მივაწოდეთ. ახლაც ფრანგულ ენაზე გვადღეგრძელა, სულმოუთქმელად დაცალა ჭიქა და მაგიდაზე დაუბატიყებლად მოგვიჯდა. როცა მეორე ჭიქაც გადაჰკრა, რომელიღაც იტალიურ ოპერიდან არიის მღერა დაიწყო. შემდეგ უცნაური ეესტიკულაციით ლერმონტოვის ლექსი წარმოთქვა, ბოლოს ბესიკის, გურამიშვილის, ბარათაშვილის და ქავჭავაძის ლექსები ერთიმეორეზე მიაბა და ჩვენმა სუფრამ მთელი სარდაფის ყურადღება მიიპყრო.

მაწანწალას სადღეგრძელო შევსვით.

კირწლიან და ლოთობისაგან წითელ თვალებიდან კურცხლები გადმოცვივდა.

ლაშამ თანაგრძნობის ნიშნად ჩონჩხ მხარზე ხელი მოუთათუნა და ლეინო ხელახლა დაუსხა.

შევთვერით.

სარდაფიდან ხალხი თანდათან გაიკრიდა.

მეთარეებმა უკანასკნელად დაუკრეს და წავიდნენ.

სარდაფში თითქმის ჩვენს მეტი აღარავინ დარჩა. უეცრად ნათავადარის ასული ვიხმე და ხობტა შევასხი, მერმე გაცოცხულ ქალს ზეინაბისათვის სათქმელი ლექსი ვუთხარი:

შენ ჩემო დიღო იმედო,
 კოშკო ნაგებო კირითა,
 კახეთს მოჰკრილო ძსარო,
 ჭალაქს ნაღებო ინითა.
 წითელო შოვის პერანგო,
 შეიდგან შაკრულო ღილითა,
 ცაე წმინდაე, ვარსკვლავიანო,
 მზეე დაფენილო დილითა,
 ლკვდაეებისა წყაროეო
 ნადენო ოქროს მილითა
 შენთანამც ყოფნით გამაძლო,
 შენთანამც წოლა, ძილითა.



ჭალს ნირი წაუხდა. ძლივს მოახერხა უკან გაბრუნება...

ყველაზე ბოლოს ამოვედით სარდაფიდან.

ახალი ნაწვიმარი იყო.

გრილმა ჰაერმა წელში გაგვმართა.

პუშკინის ბაღში შევუხვეით.

მაწანწალამ უცებ წინ გაგვისწრო, პუშკინის ძეგლის კვაოცხლბეკს
 აეკრა, სარდაფიდან წამოღებულ ღვინიანი ბოთლი ჰაერში ამართა და
 მთრთოლვარე ხმით იყვირა:

Печален я: со мною друга нет
 С кем долгую запила бы я разлуку,
 Кому бы мог пожать от сердца руку
 И пожелать веселых много лет.
 Я пью один: вотще воображенье
 Вокруг меня товарищей завет;
 Знакомое не слышно приближенье
 И милого душа моя не ждет.

გათენებამდე ვიზეტიალეთ პოეზიაზე ლაპარაკში.

მაწანწალა საღლაც დაგვეკარგა.

(გავრძელება იქნება)



გრიგოლ აბაშიძე

გურამიშვილის სამყოფელში

(უპრანაუმი მოგზაურობიდან)

დაღამდა. კიდეც იდგა ერთხანად
ნაპირზე შუქი და დნებრზე შუქი
და სინიაკის ფიჭვს დაემგვანა
ვარსკვლავიანი ცა კრემენჩუგის.
დაღამდა...

ბევრი გვაშორებს ღამე
და მაინც რალაც გვაერთიანებს...
გეძებ, გეძახი, გიპოვი სადმე
ამ ქვეყანაში ნახეტილებს,
მე საოცნებოდ დავალ ამ შხარეს,
გადმოვცდი მთებს და გზად გავემზადე —
„ვესელა ვესნას ხმა“ გავგახარებს,
ნეტავი მართლა გნახავდე სადმე!
ქართველს, ბაშკირელს, რუსს და ყირგიზებს,
გზად გამოვლილებს აქ, ერთი ცეცხლით
ჩვენ ყველას ერთი მზე გვაგიზგიზებს
ლექსები არი ჩვენი ფიცვერცხლი!
დავალთ, ანათებს შალლა მთოვარე,
სულში სიმღერა და ჩირაღდანი
ჩვენ ყველგან ასე აღგვაფრთოვანებს
გამარჯვებების ბაირაღდარი!
იცი? — აკვანი მისი ჩვენსას გავს,
მასაც ეხურა ცა ჩვენნაირი
და უმღერია ადრე, ლექთაგან
შენი ტყვეობის მწარე შაირი!
სტიროდი... ლექსი შეგიწყალებდა,
თორემ შორს იყო ბედი მცხოვნების,
რა დიდი იყო შენი წვალება
და ოდისეა შენი ცხოვრების!

სხვის კარზე ჩაკედი საღლაც მშიერი
 და საფლავის ქვაც არ დაგრჩენია,
 არც სამოსახლო, არც ნაშიერი
 კაცსაც ვერ ვნახავ აღბად შენიანს!
 დაგეძებ, თმებით შენებრ უზშირო,
 ლანდს გიხმობ ლამის ულრანში საშიშს:
 ნეტავ შეგეძლოს ჩემებრ უზშირო
 ახალ სიცოცხლეს უკრაინაში!



შენს სამყოფელში ვდგავართ, გარს ვუვლით,
 მოვალთ ლამით და დილით ვცილდებით
 ჩვენ, ძმობის ჯაჭვით გადაჯაჭვული
 სოციალიზმის სიყრმის შვილები!



ღ ე ბ ი

რომანი*).

25

წარმოების სამართველო პატარა დარაბაში იყო მოთავსებული. დიდ-რონი ვიტრინის მინები თეთრად იყო შეღებილი და შავი ასოებით წარწერები ჰქონდა. დარაბაში ბინდ-ბუნდი იდგა. ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილ მაგიდებზე ფერადი ქალაღი იყო გადაფარებული. ტელეფონი კედელს ტკიპივით მიჰკროდა. საკინძებში შეკრულ საქმეებს სადღაც კუთხეში მოენახა ბინა. ტიხრის იქიდან რეზინგტონის ჩხაკუნი და არითმო-მეტრის ხრიალი ისმოდა. იქვე ტკაცუნებდა საანგარიები. ქუჩის ხმაურობა უხვად შედიოდა დარაბაში. ყოველივე ეს ერთმანეთში ირეოდა და ყურ-თასმენა არ იყო. დამლაგებელი ქალი იქვე კარებთან სამოვარს მისჯდო-მოდა და ჩაის ამზადებდა. პაერი თამბაქოს ბოლით იყო გაჟღენთილი.

აქ თავს იყრიდა ყველაფერი ის, რაც იმავ დარაბის უკან, ეზოში, ფარდულეებში კეთდებოდა ან რაც აქედან იქ უნდა წასულიყო გასაკეთებლად.

იქაც ფარდულეებში, და აქაც, დარაბაში, ადამიანები თავჩალუნულნი გაჩქარებით მუშაობდნენ: ყველაფერი დროზე, ჩქარა და კარგად უნდა გაკეთებულიყო.

მთავარი ბუხპალტერი რაღაცის მოსაფიქრებლად თავს ასწევდა ხოლმე.

— თუ ბალანსი დროზე ვერ მოესწრო, მერე ადამიანი ველარას გაიგებს, სად რა არის და რამდენია გაკეთებული. ველარას გაიგებს და ყველაფერი აირევა.

მემანქანე ქალი პაპიროსს აბოლებდა. თან ვარაუდობდა — როგორ ეყიდნა ნაცრიფერი ტუფლები. ფიქრობდა და თან თითებს კლავიშებზე დაარბენინებდა, ჩქარობდა, მალე გაეთავებინა მოხსენების ბეჭდვა. ეს მოხსენება დღეს საღამოს უმალღეს ორგანოებში უნდა წაიღოს დირექტორმა. შემდეგ დასაბეჭდი აქვს მოთხოვნილება მასალაზე. გრძელი სიაა. ესეც დღესვე უნდა მოასწროს, თორემ ხვალ მუშები გასცდებიან. მემანქანე

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 7 — 8.

ეს იყო ქარხნის დირექტორი.

ქვეშ-ქვეშ გახედავდა ხოლმე ინჟინერს და რაღაც საკითხებს ეზადებდა, მაგრამ შეკითხვას ვერ ბედავდა — ინჟინერს სამი დღის ვადა მიერეკებოდა და სამი წუთითაც კი მისი გაცდენა აზინებდა დირექტორს. ეს იცოდა საბაშვილმა და ამიტომ უყვარდა ეს კაცი. წინათ აზრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ ემუშავნა ისეთ ადამიანთან, რომლისაც ხელქვეითი უნდა ყოფილიყო. ეხლა კი უყვარდა სწორედ ასეთი ადამიანი. უყვარდა იმიტომ, რომ ამ ადამიანმა აგრძნობინა ახალი წესით და ახალი ტემპებით მუშაობა, უყვარდა იმიტომ, რომ აგრძნობინა ის ახალი მიზნები, რომლებსთვისაც ეხლა საბაშვილი მუშაობს და რომლებიც სწორედ ამ კაცისაგან მოდიოდა. უყვარდა იმიტომ, რომ ეს ავადმყოფი კაცი, ერთი ფეხით კანტორაში იყო, მეორე ფეხით სახელოსნოებში და სადღაც მოულობდა კიდევ მესამე ფეხს სადირექტივო ორგანოებში სასიარულოდ უყვარდა კიდევ იმიტომ, რომ ამ კაცს ინჟინერის იმედი ჰქონდა და ინჟინერს გულით სურდა ამ იმედის გამართლება.

დირექტორის მაგიდას ხალხი არ შორდებოდა, იქაც იყო გვეგმების, ვადების, ლიმიტების შესახებ საუბარი, კამათი და საბაშვილს ხშირად აციუნებდა იქ, მაგიდასთან, გაგონილი ლაპარაკი.

— ამ საქმეს ვერ ავიღებთ, ამხანაგო! — ისმოდა დირექტორის ხმა. — ვერ მოვასწრებთ. სხვას მიმართეთ.

— ამხანაგო, დავით! — ისმის კლიენტის მუდარა. — უარს ნუ გვეტყვით, ჩვენი მშენებლობისათვის აუცილებელია.

— ამყამად ვერ მოვასწრებთ. ოთხი თვის შემდეგ, როცა წარმოებას გავაფართოვებთ, მაშინ მობრძანდით. — ეტყვის დირექტორი და საბაშვილს შეხედავს, საბაშვილი შეხედავს მას და უხმოდ, უსიტყვოდ ეუბნება:

— მართალია. ოთხი თვის შემდეგ შევძლებთ.

26

კარებში თიკო გამოჩნდა. ფეხი ინჟინერისაკენ წადგა. მერე დირექტორს გადახედა, შეჩერდა, რაღაც მოიფიქრა და ისევ საბაშვილისაკენ გაემართა. ხელში რაღაც რკინა ეჭირა.

— ამხანაგო, სიმონ! — დაიწყო თიკომ. მაგრამ დავითმა შეაჩერა.

— მაგას თავი დაანებე. არა სცალია. მოდი, შე მითხარ, რა გინდა?

ქალი დირექტორისკენ მიბრუნდა, რკინა გაუწოდა და გაწითლდა.

— აი, მანქანას ისევ მოსძვრა ეს. ერთხელ და სამუდამოდ ვერ გააკეთეთ ისე, რომ მუშაობა შეიძლებოდეს.

დავითმა რკინა ჩამოართვა, გადაატრიალ-გადმოატრიალა, დახედა და თავი გადაიქნია.

— საყვედურებს ნუ დაიწყებთ. ხომ იცით, მანქანები ძველია. გამოცვლია საჭირო. აი, ახალ ქარხანას ავაშენებთ, ახალ მანქანებს დავდგამთ. მანამ კი უნდა მოვითმინოთ. სულ რაღაც ოთხიოდე თვე.

— ოთხი თვე! — გაიკვირვა თიკომ. — მანამდის საქმე როგორ გავაკეთოთ?

— მანამდის როგორმე უნდა მოვახერხოთ.

— წვალებით საქმე არ გამოდის. აი, გასცდა კიდეც საქმე გავცდი.

— წადი, მოვალ, ვნახავ, რა მოხდა. გავაკეთოთ.

თიკო გაბუტულივით გაბრუნდა და უხალისოდ გავიდა ოთახიდან.

საბაშვილმა თვალი გაადევნა. მერე დავითს მიუბრუნდა.

— ეგ არის ჩვენი ახალი მუშა?

დავითმა თავი დაუქნია.

— ეგ მგონი მებურიშვილის ცოლის დაა. არა? — კვლავ იკითხა საბაშვილმა და ერთბაშად ჩაღუნა თავი. თითქოს შერცხვა, რომ ამ ვაჩქარებული მუშაობის დროს, ამ მოუტლელობაში რაღაც ისეთი მოაგონდა, რაც საქმეს სრულებით არ შეეხებოდა.

ეს ქალი რამდენჯერმე უნახავს სახელოსნოში. სულ სამიოდე თვის მოსულია, მაგრამ აკვირვებდა ინჟინერს მისი მუშაობა. ძალიან მალე მიუხვდა საქმის ძალას. ეხლა, ამ წუთში, თიკოს დანახვაზე, საბაშვილს მოაგონდა მებურიშვილისაგან გადაკვრით ნათქვამი სიტყვები თავის ცოლის დაზე და იმიტომ შეათვალაიერა ქალი, შეათვალაიერა და თავისი თავი თითონვე დაიჭირა იმაზე, რისიც შერცხვა. მაგრამ...

— გიორგის არ მოვეტყუებებივარ! — გაიფიქრა სიმონმა და კვლავ შერცხვა.

დავითი კი გაჰყვა ქალს.

სახელოსნოებშიც დაჭიმული მუშაობა მიმდინარეობდა. აქ ჯერ ისევ ძველ მანქანებზე, დიდი საქმე კეთდებოდა. აქაც ტემპები და გეგმები ბატონობდა. აქაც იყო შიში სირცხვილისა და ჩამორჩენისა. აქაც იყო სურვილი გამარჯვებისა. აქ გამოჰყავდათ ხის რაღაც ნაჭრები, რაღაც ჩარჩოები. გამოჰყავდათ და ჩქარობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ეს მათი გაკეთებული პატარა ნაჭრები რომელიღაც მშენებლობისათვის იყო საჭირო და თუ დროზე არ მიუღწერებდნენ, მშენებლობა შეფერხდებოდა, ეს კი შეაფერხებდა დიდს, ძლიერს, რომელიც მძლავრად მოდიოდა და თან სიხარული და გამარჯვება მოჰქონდა. მაშასადამე, დიდი გამარჯვება მუხის თუ ფიჭვის რაღაც პატარა ნაჭრზე ყოფილა დამყარებული და თუ ამან დაიგვიანა, თუ მრუდი გამოვიდა, მთელ მომავალს დააგვიანებს და გაამრუდებს. ნაწარმი უნდა გამოვიდეს დროზე, სუფთა, გამძლე. უნდა გამოვიდეს ჩქარა და წუთი-წუთზე.

დავითმა დახედა ვაჩქარებულ მანქანას, რომელსაც გორგალი ვაჩქარებდა. დახედა და მექანიკოსი გოგია მოიკითხა. მუშეში რაღაც ბუზღლნი გაისმა. დირექტორს ეს არ გამოეპარა, გულში ხინჯად მოხვდა. იცოდა, მუშებს რომ არ უყვარდათ მექანიკოსი, მაგრამ არც თითონ და-

თიკოს უყვარდა. ეჯავრებოდა კიდევ. ეჯავრებოდა მიხი მუცელ კოსტად გადავარცხნილი მზზინავი ქოჩორი, შავი პრიალა, მედიდურად მოლიმარო თვალები, ყვითელი, გაპრიალებული ტუფლები და კოვერკოტის ქარვალის, რომელიც სპეტხალათის ქვეშ უჩანდა. საკვირველი გოგია: ცხოველს ხელობის ხალხს, ყველას ხელებიც, ფეხსაცმელიც, სპეტხანისამოსიც ზეთში და ქონში ჰჭონდა გასვრილი, ხელები გაშავებული. გოგიას ტანზე კი ყველაფერი ეს ბრწყინავდა. ბრწყინავდა ისე, როგორც მისი მოცინარი თვალები, რომლებითაც გოგია ყველას თითქოს ფეხქვეშ ეგებოდა. სწორედ ამ თვალებმა შეაძულეს გოგია დირექტორს, ადამიანს, რომელსაც მთელი სიცოცხლე ბრძოლაში გაუტარებია და ბრძოლაში ფიქრობს მის დაღვევას. ეს ეშმაკურად მორჩილი და უტიფრად დამცინავი თვალები ქალაქუნისა გმირობას და გმირებს ჩვეულ დავეითს უსიამოვნო გრძნობას ჰგვრიდა. ამიტომ იყო, რომ გოგიას დავეითი პირდაპირ არ უტყუერდა ხოლმე, მუდამ არიდებდა თვალს და ისე ელაპარაკებოდა. და რომ ეს უსიამოვნო გრძნობა სწრაფად მოეკვეთნა, ცდილობდა გოგიასთან დიდხანს არ ელაპარაკნა. ამიტომ ყოველ თხოვნას უსრულებდა, ოღონდ თავიდან მალე მოეშორებინა. გოგიაც სარგებლობდა ამით და დირექტორს ყველაფერს დასტყუებდა ხოლმე, რასაც კი მოისურვებდა. მისი თხოვნა საქმეს არასოდეს არ შეეჩებოდა, ყოველთვის რაღაც პირადული იყო, წვრილმანი. დირექტორმა იცოდა, რომ გოგია ქარხნის ქალებსაც ეარშიყებოდა, დაძვრებოდა იქ, სადაც გაიგებდა, რომ რისამე შოვნა შეიძლება — ან ფეხსაცმელისა, ან შაქრისა, ან კოვერკოტისა. ასეთი კაცის თავიდან მოშორება სასურველი იყო დირექტორისათვის, მაგრამ დავეითი ვერა ბედავდა. გოგია საქმის მკოდნე იყო, თუმცა ზარმაცი, მაგრამ თუ საქმეს მოჰკიდებდა ხელს, უეჭველად კარგად გააკეთებდა. მშიშარა გოგიასი საქმეზე დაყენება ადვილი იყო, თუ კი დააშინებდნენ, მაგრამ წარმოებას მაინც მუწუჟად ეჯდა. სწორედ გაჭირვების დროს სადღაც გაჰქრებოდა ხოლმე. მაგრამ კარგი კვალიფიციური მუშის შოვნა ძნელი იყო. ქვეყანას მუშა ხელი არა ჰყოფნიდა და დირექტორი გულისტყვივით ითმენდა გოგიას.

გოგია ახლაც არ აღმოჩნდა ქარხანაში.

დავეითი გუნებაწამხდარი გავიდა საამქროდან.

— მოგაცდენ კია, სიმონ, მაგრამ უნდა მიხედო. იქნებ უშველო რამე მანქანას.

საბაშვილი უსიტყვოდ გავიდა გარეთ. ეხო რომ გაიარა, იფიქრა: ყველაფრის მკოდნე გაგხდი. ჩემი საქმე მექანიკოსობაა. მაგრამ ეს მშენებლობის გეგმა ავიკვიატე თუ ამაკვიატეს?

იცრუა. ამით გული მოიოხა გაბრაზებულმა, საჩქარო საქმე რომ მოაშორეს, თორემ საბაშვილმა მშენებლობის საქმეც კარგად იცოდა. ამ სპეციალისტობაში იმპერიალისტური ომის დროს დახელოვნდა.

სიმონი მივიდა თიკოს მანქანასთან და ისევ ის ეგონებოდა, რაც წელან, თიკოს რომ შეხედა თავისი მაგიდის წინ. მანქანას დაუწყო სიჩქვე, რაღაც ნაწილები გამოაცალა და თან გონებაში ორივე მანქანა უფლება: ერთი მანქანის გაკეთებისა, მეორე იმვე გრძნობისა. *მეზღვენი*

— ამას შედუღება უნდა. მაგრამ ჩვენ საამისო საამქრო ჯერ არა გვაქვს. — სთქვა მან, გონებაში კი პარალელურად ამბობდა: — საკვირველია. ნუ თუ ამ ქალზე მელაპარაკებოდა გიორგი. — ეხლა მიხვდა, რომ მებურიშვილი თავის ცოლის დაზე რომ ელაპარაკებოდა, სიტყვა „ცოლი“ და „ცოლობა“ არ უხსენებია. ისე, როგორღაც გადაკვირით აქებდა ქალს. და ამას მიხნად ცოლად შერთვა რომ უნდა ჰქონოდა, მხოლოდ ეხლა მოისახრა საბაშვილმა. შეხედა თიკოს, როგორღაც სხვანაირად, დაკვირვებით, მაგრამ მიხვდა, რომ ეს უხერხულობა იყო და ქალს მალე აარიდა თვალი. თიკო ასეთმა შეხედვამ უნებურად გააწითლა. სიწითლემ კაბის გულისპირამდე მიაღწია.

— რას ჩავდივარ! — დატუქა თავისი თავი საბაშვილმა. ისევ საქმეს მიუბრუნდა და ამის შემდეგ ქალისათვის აღარ შეუხედნია.

— თოქმაჩებში უნდა გაიგზავნოს. — სთქვა საბაშვილმა და რკინის ნატეხები გორგორისა დაზგაზე დააწყო.

— უჰ! — დაიძახა თიკომ, — ეგ როდის იქნება! მინამ რა ვქნა, ხომ გავცდით!

ინეენერმა ხმა არ გასცა. საღდაც ძველ ნაყარ რკინებში რაღაც მონახა, გატეხილ გორგორას ადვილას გაამაგრა და მანქანა აამუშავა.

— აი, ასე, ფრთხილად იმუშავეთ. არ დატვირთოთ მანქანა. ეს ახარმაკი იმდენად ასწიეთ. რამდენადაც თქვენს ხელს დამორჩილდეს. ძალას ნუ დაატანთ. ვიდრე ახალ გორგორას მოიტანენ, ერთხანს ვასძლებს. — ეუბნებოდა თიკოს, ზედ კი არ უყურებდა.

— საოცარი ხასიათის ადამიანი ვარ. — გაიფიქრა საბაშვილმა როცა თავის კაბინეტში ბრუნდებოდა და ეზო მეორედ გაიარა: — უეჭველად სხვამ უნდა მითხრას, მიმითითოს, რომ ქალს ყურადღება მივაქციო და მომეწონოს. — მოაგონდა, რომ თავისი პირველი საცოლო, რომელიც შემდეგ შეირთო და რომელიც შემდეგ ტიფმა იმსხვერპლა, სწორედ ამრიგად აირჩია თავისი ცხოვრების თანამგზავრად.

სამუშაოს გათავების შემდეგ შინ რომ მიდიოდა, ტრამვაიში სრულიად მოულოდნელად შეხვდა თიკოს, რომელიც მის პირდაპირ იჯდა. აქ კი უკვე ღინჯად შეხედა ქალს. თიკო, ჩითის კაბაში, უსპეცხალათო, უფრო მოეწონა. თიკომ გაუღიმა, გაუღიმა თავისი ჩვეულებრივი გაღიმებით, რომლითაც ყველას უღიმიოდა ხოლმე, თვალებით კი ალერსიანი სხივები შეაფრქვია.

საბაშვილმა მანქანა იკითხა.

— რა ერთბაშად გააკეთეთ! — პასუხის მაგივრად უთხრა თიკომ. — მე გული მისქდებოდა, მეგონა გავცდები შეთქი.

ტრამეიდან რომ ჩამოხტნენ, საბაშვილმა, თუმცა დაქრწევებოდა, გზა დაიშორა და თიკოს სახლის კარამდე მიჰყვა.

— რატომ აქამდის არ შევხვედრივართ ერთმანეთს, თუ კი ერთი გზა გვაქვს? — ჰკითხა საბაშვილმა. — საკვირველია!

— ყოველთვისაც ერთად ვმოგზაურობთ ტრამეიში, აი ამ ქუჩის კუთხემდის, მაგრამ თქვენ ვერ მამჩნევდით...

საბაშვილს შერცხვა. ასეთი ჭალის შეუმჩნეველობა როგორ იქნებაო, — გაიფიქრა.

27

საბაშვილმა თავისი გეგმების შედგენა ვადაზე ექვსი საათით ადრე დაამთავრა. რამდენიმე ხნის შემდეგ მშენებლობასაც შეუდგნენ. ინჟინერს ეგონა, გეგმას შევადგენ და მოვისვენებო, მაგრამ სწორეთ ეხლა გაჭრა მოსვენება. აქამდის თუ კაბინეტში და მაგიდასთან ჯდომით აკეთებდა საქმეს, ახლა სირბილიც უხდებოდა. მშენებლობაზე, საამქროებში, მასალის დასათვალისწინებლად და სასყიდლად. საწარმოო გეგმების დახუცტება, შესრულების თვალყურის დევნება, ყველაფერი დააწვა ამ კაცს. და ისე გაერთო ამ საქმეში, ხშირად ქამაც ავიწყდებოდა.

შეკეთების შემდეგ თიკოს მანქანა საათსავეით აწყობილად და უავარიოდ მუშაობდა. თითონ თიკოს ნამუშევარი ბევრისას სჯობდა და მოუცლელ ინჟინერს თიკოსთან მისვლის მიზეზი თითქმის არ ჰქონდა ხოლმე. ორმოც წელს მიტანებულს, ახალ, დიდ საქმეში გართულს საბაშვილს ქალებისათვის მაინცდამაინც იმდენად არ ეცალა.

ერთხელ კვლავ შეხვდა თიკოს ტრამეიში. მაშინ გაახსენდა ყველაფერი, მაგრამ გარდასულს თითქოს მნიშვნელობა ჰქონდა დაკარგული. ჭალის სიღამაზემ, ახალგაზრდობამ, მისი თვალების ღიმილმა სიამოვნება აგრძნობინა. კვლავ მიაცილა სახლის კარამდე და ყველაფერ ამაში დალიღლმა ადამიანმა სიამე იგრძნო. ამის შემდეგ კი კვლავ დაჰკარგა თვალიდან თიკო, რადგან დღე მუდამ ჭარხნის ახალ მშენებლობაზე იყო.

აქამდის იმ შრომის ორომტრიალს, იმ გაძლიერებულ ტემპებს და სიჩქარეს, იმ ახალ მისწრაფებას, რაც დროებამ მოიტანა და რაც საბაშვილს გაკვირვების, შიშისა და სურვილის ბურუსში ახვევდა, ინჟინერი მხოლოდ ჭალალზე ხედავდა, მხოლოდ ჭალალზე აკეთებდა. ახლა კი, რაც შენობა დაიწყო, ყველაფერი რეალური გახდა და ყველაფერი მისი ხელიდან გამოდიოდა. მის თვალწინ უნახავი სისწრაფით, პირდაპირ მიწიდან ამოდრიდა ახალი კედლები. ამან ხორცი შეასხა იმას, რაც ინჟინერს ოცნება ეგონა. დაწმუნდა, რომ როგორც აქ, სირაძის ნახანძრვე ჭარხნის ეზოში, ჩნდება ახალი, დედამიწის შექმნებულად, ძველი ქვეყნის ნახანძრვეზე

ისევე ჩნდება იგი ახალი და შენდება უნახავი რამ. ამაში თითონ იყო მონაწილე, თუნდაც დიდი საქმის პატარა ნაწილში. ეს ანარეზი საბაშვილს მუშაობდა, ხედავდა, რაც გამოდიოდა და თან გულს სიხარულით ლიტინით ამბობდა: ვნახოთ რა გამოვაო. მას უნდოდა ეხვეწა თავისი ნაშრომი, თავიც გამარჯვებული. მაგრამ საკვირველი იყო, ამ საქმიანობას, ამ სიხარულს, თავდავიწყებას თან აეკვიატა თიკოს სახე, უწყინარად ჩაჯდა შრომით დატყვევებულ გონებაში და სიმშვიდე შეიტანა. საბაშვილი ახალ ნაშენ კედლებზე რომ დადიოდა და ნამუშევარს დაჰყურებდა, ან როცა მუშებს რამეს უხსნიდა, მის ფიქრებს უკან წყნარად იდგა თიკო და ილიმბოდა. ინტენერს ისე ეგონა, ყველაფერს იმისათვის ვაკეთებ, იმ მუშისათვის, რომელსაც თიკო ჰქვია. და არ იცოდა, რომ ამ დროს თავის მანქანასთან მდგომი თიკო ძალაზე მონდომებული იყო კარგი ნამუშევრის გამოსაყვანად. საბაშვილმა რომ ნახოს გაჯავრდებაო, — ფიქრობდა, როცა ნაწარმი ცუდი გამოსდიოდა, არა თავის გუნებისა. მაგრამ საბაშვილი, როცა ქარხანაში შედიოდა, თიკოს ახლოსაც არ ეკარებოდა. იცოდა თიკო საქმეს არ წაახდენდა და თუ გაუჭირდებოდა, თითონ მიმართავდა ინტენერს. სამაგიეროდ ტრამვაის ვაგონთან იცდიდა. უნებურად შეამჩნია, რომ თიკოც ხშირად სიარულს უკლებს, იმისთვის, რომ ინტენერს შეხედეს. ისინი ორივენი დიდ და საერთო საქმეს აკეთებდნენ და ამით დაკავშირებულნი, თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

როცა მშენებლობა დამთავრდა, გამარჯვებულმა ინტენერმა თითონ დააყენა თიკო ახალ მანქანასთან. ყველაფერი დაწვრილებით ასწავლავდა. მაგრამ შემდეგ როგორღაც დაცარიელდა. გული თიკოსკენ ეწეოდა, მაგრამ არ იცოდა, შემდეგ რა ექნა. სცხვენოდა ახალგაზრდა ქალისა.

28

დილით გვიან გაეღვიძა სირაძეს. ლოგინში გაიზმორა თუ არა, გონება მაშინვე სადგურისაკენ გაუქანდა, მაგრამ რაკი მოაგონდა, რომ მატარებელი იგვიანებდა, დამშვიდდა და დღევანდელი დღის საქმიანობის მოსაზრებას შეუდგა.

უნდა ინახულოს ქარხნის დირექტორი, ინტენერი საბაშვილი, მეტური-შვილი. უმეტურიშვილოდ საქმე ვერ ვაკეთდება. გიორგი დიდი მეგობარია სიმონ საბაშვილისა და თანაც დიდად მოხერხებული.

— ათასჯერაც რომ ვადაბრუნდეს ქვეყანა, მალარიჩს მაინც თავისი ძალა ექნება. — მისი რწმენა იყო ეს.

ისე შეაცურებს თავის წუნ ხე-ტყეს ქარხანაში რომ... იიფ! — ჩაიკოცნი თითები.

— მაგრამ აი რაში ყოფილა საქმე! — წაილაპარაკა და პაპიროსი გააბოლა. — დიდხ მამაძაღლები არიან. მოითხოვეს ოცდაათი ვაგონი ხე-ტყე და კი არ მითხრეს, რად უნდოდათ ამდენი. ამ ექვსი-შვიდი თვის წინათ

რაღაც პატარა ქარხანა იყო, მაშინ ნადს ეძახდნენ. მიკვირდა ის პატარა ქარხანა როგორ მოიხმარებდა ამდენ მასალას. „ჩაჯდებიან“ შენჭი, ვამბობდი, თურმე დიდი ქარხნის გაწყობას აპირებდნენ, თურმე ჩემი ყოფილი ქარხნის იმედით კი არ იყვნენ... ნედლი მასალიც დადგინეს, წინდაწინვე შეუდგნენ. კარგად დაუწყვიათ საქმე. — ჩაიცინა ულვაშებში, ლოგინიდან ფეხები ძირს ჩამოუშვა და ჩაცმა დაიწყო. — მაშ, დაიმზადეს მასალა, რაღა! არა, როგორ ჰგონიათ, ქარხანა წამართვეს და მასალაც შემიმაზიდინონ?.. აფსუს, რა ბიჭი წამხდარა, სირაძე! იქნებ ჰგონიათ, ჩემი ქარხანა მართლა დამწვარი იყო? ეგონოთ, არა უშავს რა. ის მე ვიცი, რაც იყო დამწვარი, მაგრამ... სულ ერთია წაიღებდნენ.

პირის ბანევაში კვლავ მოაგონდა ინჟენერი საბაშვილი, მანქანა რომ არ მიჰყიდა. მაშინ მელიტონს სხვა განზრახვა ჰქონდა. თავისი ქარხნის აღდგენა სურდა, მაგრამ ნადის სახელით და ახალი გაქანებით. ვერ მოუხერხდა, აღარც გამოევიდა, ზეირის იმედი არა ჰქონდა, და ხე-ტყის დამზადებაზე გადავიდა.

— არ მომყიდა და მე მივეყიდი კარგ რამეს იმ ბოლშევიკს, იმას! მაგრამ მარგო? ის რაღასა სჩადის? იმისთვის ველარ მოვიცალე. მე ის ქალი ფული მიღირს. — შეიწმინდა პირი, მაგიდასთან მივიდა და ქალაღზე ჩამოსწერა, რაც მსხვილმანი ჰქონდა მარგოზე დახარჯული. სწორედ იმდენი გამოვიდა, რამდენიც ამას წინად ტყეში ზეპირად იანგარიშა: სრული ასი თუმანი.

— ოქროთი. — ჩაილაპარაკა მან. — შაბაშ, მელიტონ! მაგრამ მორჩა, კაპიკს ველარ ნახავენ ჩემგან. ან ქალი მომცენ, ან ჩემი დამიბრუნონ. პო, ეს მერე იყვეს. ეხლა კი საქმე...

ქუჩაში გავიდა და ქარხნისაკენ გაემართა. ნელა მიდიოდა, ფეხები უკან რჩებოდა. ეძინებოდა, კვლავ ენახა და განეცადა ის, რაც გუშინ ნახა, რამაც გააკვირვა. ეხლა მელიტონს დაკარგული კი არ აღონებდა, აღონებდა ის, რაც დაკარგულის ალაგას გაჩენილიყო. თითქოს მიწიდან ამომძვრალიყო, რაღაც თილისმის ძალით გაზრდილიყო და გაშენებულყო მისი ქარხანა. მაგრამ ნამდვილათ კი მისი იქ აღარაფერი იყო.

— სად მოასწრეს? როგორ მოახერხეს? — შეათასეჯერ სცდილობდა გადაეჭრა მისთვის ეს გადაუჭრელი საკითხი.

თავისი საყვარელი თეთრი აბრეშუმის განიერი ხალათი, იმერული წაღები და გალიფე შარვალი ეცევა. წელზე ოქროში დაფერილი ჩერქეზული ქამარი ერტყა. გალიბალდის ქუდი ხელში ეჭირა. განიერი მზარბეჭი, დიდი, მრგვალი, სუფთად მოპარსული თავი, ასევე მოპარსული წვერები. დაგრებილი, წაბლისფერი ულვაშები, წაბლისფერივე ბრკვევილა თვალები, დიდრონი წარბები, თეთრ-წითური ლოყები.

ქარხანაში მარტოს მისვლა არა სურდა და თავის დიღანდელი განზრახვით, იქით წავიდა, სადაც მეზურისშვილი მსახურობდა. მეზურისშვილი უეჭ-

ველად გამოადგებოდა, რადგან საბაშვილის მეგობარი იყო და ხალ ქარხანაში თამამად შემავალი. ამასთანავე გიორგი ადვილად მიუხედავად აღამიანს და დაუზარებელია იქ, სადაც სარფის სუნი ტრიალდება სირაძეს მხიარული სიცილით დაუხვდა, სიამოვნებით ჩამოართვა ხელს და სჯამი მისთავაზა.

— რა ამბავში ხარ? — ჰკითხა მისალმების შემდეგ გიორგიმ.

— არაფერში! ხე-ტყე მომაქვს ქარხნისათვის. ხელ ან ზეგ აქ იქნება. მოვრჩები ამ ხათაბალას და დავისვენებ. გუშინ საბაშვილის ნახვა მინდოდა, მაგრამ ვერ მივხვდი, რალასაც მიწყრება. მინდოდა მეთქვა, ხე-ტყე მომაქვს მეთქი. ვიცი გაეხარებოდა. ეხლაც მინდა იმასთან მისვლა, მაგრამ შეშინიან, შარი რამე არ მომიდოს. ხომ იცი, „იმათი“ კაცია.

„შარი არ მომიდოს“ — ამ სიტყვებმა ყველაფერი უთხრა მებურთშვილს. იგი მიხვდა, სირაძეს კული ეწვის და ამიტომ მოვიდა ჩემთანაო.

— ჰო, ერთგული მუშაკია. უყვართ და ენდობიან. — უპასუხა სირაძეს. — მაგრამ შენ რისა გეშინიან?

— რა ვიცი, კაცნი ვართ?

— შენ ეს მითხარი, ხე-ტყე ხომ მართლა მოდის?

— ბიჭოს, მართლა რომელია! ჰა, აი, საბუთები! — დაიძახა მელიტონმა და ხელი უბისკენ იკრა.

მებურთშვილმა ხელი დაიჭია.

— არ გინდა, ისე ვითხარ. შენ ეს მითხარი, ნახე, რა უყვეს შენს ქარხანას? — მებურთშვილი მიუხვდა რისთვისაც იყო მოსული სირაძე, მაგრამ ამაზე მეტი ლაპარაკი აღარ გაუბა, სიტყვა ბანზე აუგდო, ამით უფრო მაგრა ჩაიგდებდა სირაძეს ხელში, უფრო შეიხვეწიებდა.

— არა. რა უყვეს?

— არ გინახავს?

— არა, — იცრუა სირაძემ.

— მაშ, წადი, ნახე. სიმონ საბაშვილისა ნუ გეშინიან.

— კი ვნახე. ალბათ გააფართოვეს

— წადი ნახე, მოგეწონება.

— წავალ, მაგრამ, დიდი ხნის უნახავეები ვართ. მინდა დღეს პური ერთად ვჭამოთ. შენც მოდი იქ. მერე იქიდან ერთად წავიდეთ სადმე.

— მოვალ.

— ადრე მოდი, რადგან ფულს ავიღებ თუ არა, ამაღამვე მინდა კახეთში წავიდე. მუშებს უნდა გავუსწორდე.

— მოვალ.

სირაძე ქარხანას უახლოვდებოდა და კვლავ განიციდა იმას, რაც გუშინ დილით იგრძნო. მაგრამ ამასთან ერთად საფიქრებელიც თან მისდევდა: როგორ ილაპარაკებს, რას ეტყვიან, მებურთშვილი მოვა და დაეხმარება თუ არა.

ქარხნის ჭიშკარს მიადგა შიგ შესასვლელად. იქ პეტრე იდგა, სირაძის ძველი ყარაული პეტრე. პეტრემ იცნო თავისი ნახაზეინარი, მაგრამ კარებში ჩაუდგა და არ შეუშვა.

ნ ა რ კ ე ნ ე უ ლ ი

— კანტორაში მიბრძანდი. აქედან შესვლა უცხოელებსა და შვიტლებსა. მელიტონი უსიტყვოდ დამორჩილდა და იქით წავიდა, საითაც ხელი გაუშვირეს. „თავის“ ქარხანაში აღარ შეუშვეს. მერე ვინ არ შეუშვა? იმან, ვინც ამას წინად ხაზეინობით იხსენიებდა.

პეტრემ თვალი გაადევნა ჩასუქებულს, მდიდრულად მორთულს თავის ნახაზეინარს, გაიღიმა და თავი გადაიქნია.

სირაძე პირდაპირ დირექტორის კაბინეტისაკენ წავიდა.

მელიტონმა კანტორის ოთახები გაიარა. ეს სულ სხვა რამე იყო იმასთან შედარებით, რაც ერთ დროს ჰქონდა მელიტონს და რასაც კანტორას ეძახდა. მაშინდელი კანტორა მელიტონისა უბრალო ფიცრული ხუხულა იყო, დარდაღინა კედლებიანი და ქრიალა იატაკიანი, ფიცრები რომ კორიკობდა. ვაზოლილი, რადგან ამ ხუხულაში მელიტონს ზამთრობით თუნუქის ღუმელი ედგა და ქარხანაში მონარჩენი ნაფოტებით და ნახერხით ახურებდა. ეზლანდელი კანტორა კი მართლაც კანტორასა ჰგავდა და შიგ შემსვლელს თვისდამი პატივისცემას და ნდობას უნერგავდა. დიდ, გრძელ და თეთრად გაღესილ ოთახში იატაკი პარკეტისა იყო. ოთახის მთელ სიგრძეზე სერსეროთი იყო გაბმული. სერსეროთში პატარა ფანჯრები იყო გამოჭრილი. ფანჯრებს იქით თანამშრომელნი იხსენენ: მთავარი ბუჰალტერი, მონაგარიშეები, მოლარე. სადღაც მწერავე მანქანის ჩხაკუნიც ისმოდა. დინჯად გაიარა მელიტონმა ეს გრძელი დარბაზი. ერთ კარებს წარწერა ჰქონდა: „მთავარი ინჟინერი საბაშვილი. დირექტორის მოადგილე“. სირაძეს ამ კარებთან ფეხი შეუჩერდა, მაგრამ რაღაც გაიფიქრა და დირექტორის კაბინეტს მიადგა.

დირექტორი, დაწინაურებული მუშა, ძველი პარტიელი, ხე-ტყის საქმის უცნობი იყო, მაგრამ, რაკი საქმეზე დასვეს, სკდილობდა არ შერცხვენოლიყო. გულმოდგინეთ სწავლობდა ამ ახალ საქმეს. უნდა შეეთვისა წარმოების პროცესებისა და მართველობის ტექნიკა. უნდა შეესწავლა ხე, მისი ჯიშები, გამოყენება, ტექნოლოგიური თვისებები. აგრეთვე მანქანები, მათი დეტალები, მოხმარება. უნდა გასცნობოდა კლიენტურას, მის მოთხოვნილებებს, ფეხდაფეხ უნდა მიჰყოლოდა თავის კლიენტებს, რომლებსთვისაც მისი ქარხანა მუშაობდა. ყველაზე ძალიან საქმის ეს მხარე აწუხებდა: იცოდა, თუ თითონ ჩამორჩებოდა ტემპებს, ჩამორჩებოდა ყველა მშენებლობა და წარმოება, რომელიც მის ქარხანაზე იყო დამოკიდებული.

ბევრჯერ დაჰფიქრებია დირექტორი ახალკაციშვილი ყველაფერს ამას. თავისი სიცოცხლის ორმოც წელიწადში ოცდახუთი ბრძოლას მოინდომა. ბრძოლით ჰქონდა განელილი გზა მოსკოვიდან ცარიცინამდის, ცარიცინიდან ვარშავამდის, ვარშავიდან ყირიშამდის, ყირიშიდან კავკასიაში. „წათობა“ № 9.

მდის. მაგრამ იცოდა ის, რაც იყო, გათავდა, წინანდელი ბრძოლა ახალმა შესცვალა, ეს ახალი ბრძოლა მიზანი იყო წარსულისა და თუ ამ ახალს ვერ მოიგებდა, წაგებული იქნებოდა ძველი გამარჯვებული. ამასთანავე ასე თავგამოდებით შეუდგა თავის ახალ საქმეს, ორივე ხელსიწმინდად მის.

ერთხელ ხომ არც ფრონტებზე ბრძოლა იცოდა, მაგრამ ისწავლა. ისწავლა ბრძოლაში. ახლაც ამ იმედით იყო: საქმე შეასწავლიდა თავის თავს. საქმეში გაიცნობდა საქმეს და ამის შემდეგ აქაც ისევ გაარღვევდა მტრის ფრონტს, თუმცა სხვანაირ მტრისას, როგორც გაურღვევია ბრძოლის ველზე. მხოლოდ ეხლანდელი მტერი მაშინდელი მტერი არ იყო. ეხლანდელი მტერი იყო ტექნიკური ჩამორჩენილობა, ძველი ფსიხიკა, მოდუნებული ტემპები, გაიძვერა ხალხი, „ყოფილი ადამიანები“, რომელიც ისე ედებოდა ფეხებში ახალ საბჭოთა ცხოვრებას, როგორც სარეველა ბალახი მოსაველს.

— ხელებითაც უნდა ვიმუშაო და თვალებითაც. თვალებითაც უნდა ვხედავდე და ხელებითაც, — ეტყოდა ხოლმე ახალკაციშვილი თავის თავს. აი, ასეთ კაცს მიაღვა სირაძე.

— სადა ხარ, კაცო, აღარსად გამოჩნდი! ნახევარი წელიწადი ხდება თვალით ვეღარა ვნახეთ.

— ჩემო დავით, აქ რად გინდოდი? საქმე იქ იყო ტყეში და ტფილისში როგორ ვისეირნებდი? ასე თუ მოვქცეულიყავ, პირობას ვეღარ შეგისრულებდი.

— ახლა როგორ არის საქმე? ნედლი მასალა გვაკლდება.

— ძალიან კარგად.

— როდის ჩავვაბარებ საქონელს?

— საქონელი მოდის. გზაშია. — მელიტონმა უბიდან ამოალაგა რკინისგზის საბუთები და დირექტორს წინ დაულაგა. — წუხელის ველოდი მატარებელს, მაგრამ დაიგვიანა. სადგურზე დამპირდნენ, ზეგ დილით იქნებაო, ე. ი. ხვალ. — მელიტონმა სატვირთო ბარათს ხელი დაადო იქ, სადაც წუხელის თეგი დაასვეს, იმის ნიშნად, რომ საბუთი წუხელის იყო შემოწმებული.

— ეგ არაფერი. ერთ-ორ დღეს თუ დაიგვიანებს. შენ ეს შითხარი, საქონელი ხომ კარგია?

— მე ნუ შენდობით, დავით, აქტი გაქვთ და ის ნახეთ.

— მართლა, მაქვს! — წაილაპარაკა დავითმა. უჯრებში ქალღმერთს ქექვა დაუწყო და იქიდან რალაც ფურცელი ამოაფრიალა. — აი! — სთქვა და ქალღმერთს წინ დაიდო.

აქტის მიხედვით საუცხოო მასალა იყო გამზადებული. რკინისგზის საბუთებიც წინ ელაგა ახალკაციშვილს. ექვი აღარაფერი იყო.

დავითმა ზარი დარეკა.

— საბაშვილს დამიძახეთ.

მელიტონი შეიშმუშნა. ინკენერი მალე მოვიდა და სირაძემ შეატყო, რომ მისი დანახვა იმასაც გაუხარდა. ახალკაციშვილმა ინკენერს ქალაქ-დები გაუწოდა.

ერკენული

საბაშვილი აქტს უკვე იცნობდა. რკინისგზის საბჭოთაშვილმა იყო.

— ასე, — სიტყვა საბაშვილმა: — ყველაფერი კარგი, მაგრამ როდის მოგვივა საქონელი.

მელიტონმა უპასუხა.

— რკინისგზის სადგურიდან ვადმოზიდვა ჩვენი ვალია, არა? — იკითხა დირექტორმა.

— ჰო, ხელშეკრულებით. — უპასუხა საბაშვილმა.

— მაშ ეხლა რაღა დაგვრჩენია? — იკითხა ახალკაციშვილმა და საბაშვილს შეხედა.

— საქონელი ჩაეიბართ და ანგარიში გავუსწოროთ, — იყო პასუხი.

— თუ შეიძლებოდეს, ნუ დამიგვიანებთ. მუშები მყავს გასასტუმრებელი. მომკლავენ, თუ დავუგვიანე ხელფასი. იმათთანაც პირობა მაქვს დაწერილი.

დირექტორმა მთავარი ბუჭალატერი მიიხმო, ქალაქდები გადასცა და უთხრა:

— იანგარიშეთ, რა ერგება.

მელიტონმა ქარხანაში იმაზე მეტი ნახა, რასაც მოელოდა.

სამი გრძელი დარბაზის კედლები ნახევარზე ზევით მთლიანად ფანჯრებს წარმოადგენდა. შუქით და ჰაერით სავსე დარბაზები სისუფთავის სილამაზით კოპწილობდა. ვენტिलाტორის მძლავრი მილები საქმიანი ხმაურობით გუგუნებდა. ლამაზი და ტექნიკურად უაღრესად ზედმიწევნით მოწყობილი დაზგები, ლაპლაპა ხერხები, სრიალა ღვედები, ცოცხალი დინამოები და ლურჯ სპეცხალათებში ჩაცმული მუშები, — ყველაფერი ერთად და ყველა ცალკ-ცალკე მხიარულად იცინოდა და სულაც არა ჰგავდა იმ დიდ ქარხანას, რაც სირაძეს ჰქონდა წარმოდგენილი.

სირაძის ქარხნის იდეალი ნიშნავდა მსწრაფლ მომუშავე მანქანებსა და მუშებს და ფულის დიდ მოგებას. ის კი, რაც მელიტონმა ნახა, სულ სხვა რამ იყო. ეს ერთი რაღაც სისახლე იყო, მორთული და მოწყობილი. ვერ მიხვდა, ამისთანა ძვირფას ქარხანას როგორ შეეძლო რაიმე მოგების მოტანა.

დარბაზიდან დარბაზში გადიოდა მელიტონი. ყოველი მანქანის მოძრაობას, ყოველი მუშის მოქმედებას გულდასმით აკვირდებოდა და ჰკვირდებოდა.

აი, ამ მუშებს ასე რომ ემუშავათ მის დროს, მელიტონი მილიონებს დაატრიალებდა.

მელიტონი დინჯი ნაბიჯით დადიოდა, ხან ერთ მანქანას მიადგებოდა, ხან მეორეს, აკვირდებოდა ყველაფერს.

მესამე დარბაზის ბოლოში იყო, როცა ზარის ხმა გაისმა. ყველა მანქანა ერთბაშად გაჩერდა. შესწყდა ხრილი, ტკაცუნი, სრილი და მთელი ქარხანა მხიარულმა ქრიალულმა მოიცვა. ეხლა გაიფიქრებოდა, რომ აქამდის ქარხანაში სიჩუმე იყო გამეფებული, სიჩუმე მხოლოდ და აქ სიჩუმე ეხლა დაირღვა, როცა მანქანები გაჩუმდა. გაუტვირდა კიდევ, ეს სიჩუმე და სიწყნარე წელან როგორ ვერ შევიამწიეო. ხომ ეს იყო მიზეზი იმ მოწიწებისა, რომელიც გულში ჩაუდგა მელიტონს იმ წამსვე, როცა ფეხი შესდგა ქარხანაში.

სირაძეც გაჰყვა მუშებს და ეზოში გავიდა. მუშები მიესივნენ პირსაბანს, ხელები დაიბანეს და სასადილოსაკენ გასწიეს.

მელიტონმა გადახედა ეზოს და თვალები დააქციტა: ეზოს ბოლოში დაინახა ახლად ამოყვანილი კედლები, მიწის პირს ორი ადლით რომ ასცილებოდა. თვალებს არ უჯერებდა მელიტონი. მათი მოფშენეტაც კი მოუნდა. ეს ის შენობა იყო, გუშინ დილით რომ დაინახა ფიცრულის ქუქურტანებში. გუშინ მხოლოდ საძირკველი იყო ჩაყრილი, დღეს კი, ამ ოცდაათს საათში კედლები ორი ადლის სიმაღლეზე გაზრდილიყო.

— ასე უცბად!

გადასჭრა ეზო და შენობასთან მივიდა, თითქოს იქაც რამე მანქანები ეგულებოდა.

შენობასთან მუშა ქალი გაცხარებული ელაპარაკებოდა ვილაცას. ხმა ნაცნობი ეჩვენა მელიტონს და უნებლიედ მიიხედა.

— შენ აქ რას აკეთებ? — ჰკითხა მელიტონმა თიკოს.

— აქა ვმუშაობ.

— ამ შენობაზე?

— არა, ქარხანაში.

— აქ რა უნდა იყოს? — ჰკითხა მელიტონმა.

— წითელი კუთხე, სასადილო, ბაგა.

— კი, მაგრამ, შენ რა გაცხარებს?

— აგვიანებენ.

მელიტონმა ხმა აღარ გასცა.

— მაშ აჩქარება რაღაა?! — გაიფიქრა და დირექტორის კაბინეტში დაბრუნდა. დირექტორი ისევ თავის ადგილას იჯდა და ქალაღდებს დასცქეროდა. მელიტონმა იცნო თავისი საბუთები. ხმამაღულღებლივ დაჯდა, ფეხი ფეხზე შემოიღო და პაპიროსს მოუკიდა.

კარი გაიღო და მებურიშვილი შევიდა კაბინეტში. სირაძეს გაეხარდა მისი დანახვა. მებურიშვილი ისეთი კაცია, რომელთანაც ყველანაირ საქმის გაკეთება შეიძლება და რომელიც ყველაფერს მოახერხებს. გიორგიმ ორივეს ჩამოართვა ხელი, ვითომც სირაძესაც დღეს პირველად ხედავდა.

— საბაშვილის სანახავად მოვედი, მაგრამ სადღაც წასულა, — სთქვა მებურიშვილმა. — ახლა შენ სანახავად შემოვიარე, დავით.

მელიტონმა საათს დახედა მაჯაზე.

— ამხანაგო დავით, ჩემი საქმე გავათავოთ. მეჩქარება. დღესვე უნდა წავიდე კახეთს, მუშები მელიან.

— შენი საქმე გათავებულა. აი, ანგარიშები მზად არის. ბუხბალტერამ გადმომცა, გერგებათ კიდევ ოცდათხუთმეტი ათასი.

— როდის გამისწორდებით?

— არ ვიცი. საქონელი ჯერ არ მომსვლია.

— საქონელი გზაშია. მოდის. სხვა რაღა გინდათ?

— გზაშია, მაგრამ ჯერ არ ჩამბარებია.

— შე საქონელი ჩავაბარე რკინისგზას. საბუთები თქვენ გადმოგვცით. ჩემი მოვალეობა შევასრულე პირნათლად. — დინჯად და ხელების შლით თქვა მელიტონმა. — მე, თუ გნებავთ, მოვითმენ, რამდენიც თქვენი სურვილი იქნება, მაგრამ მუშები არ მოითმენენ. თქვენ ხომ იცით, თუ ნამუშევარი დროზე არ მივეცი, მომკლავენ. თქვენც იცით, რასაც ნიშნავს ხელფასის დაგვიანება. მე იქ ვერ გამოეჩნდები და თქვენც მართო ამ ხელად ხომ არ გინდევართ. შემდეგაც დაგვირდებით იმ ტყეში და იმ ხალხთან მუშაობა.

— კი, მაგრამ საქონელი ჯერ არ მომსვლია. ფული როგორ უნდა გაქსცე.

— ხელშეკრულება არა გაქვთ დაწერილი? — ჩაერია ლაპარაკში მებურიშვილი.

ხელშეკრულება მისი დაწერილი იყო, პროექტი შეუდგინა სირაძეს. სირაძემ ეს პროექტი წარუდგინა ქარხნას, იგი მიღებული და გაფორმებული იყო.

— ნახეთ რა სწერია. იქ გათვალისწინებული გვექონდა ყველაფერი. — დირექტორმა ხელშეკრულება მოითხოვა.

მებურიშვილმა გადაფურცლა პირობის ქაღალდი და ადვილად იპოვნა, რასაც ეძებდა.

„§ 21. საქონელი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ საქონელი მოწონებული იქნება აქტით, რომელიც შედგენილი უნდა იყოს ქარხნის აღმინისტრაციის მიერ გამოყოფილ საგანგებო კომისიისაგან, და როდესაც მოიჯარადრე ნადი „წითელი სხივი“ ქარხნის დირექციას წარუდგენს რკინის გზის საბუთს საქონლის რკინის გზით გამოგზავნის შესახებ“, — წაიკითხა მებურიშვილმა.

დირექტორი დააკვირდა პირობის ამ მუხლს. საეჭვო თითქოს არაფერი იყო: რკინის გზის საბუთები მოუტანა მელიტონმა. აქტიც წინ ედო. სა-

თქმელი აღარაფერი ჰქონდა დავითს. მაგრამ მე-21 პარაგრაფის საიდუმლოება და ხერხი სხვა იყო. ეს მარტო მებურიშვილმა და სირაძემ იცოდნენ: საქონელი მიღებულად ჩაითვლებოდა, თუ იგი კმეწიქმეწი იქნებოდა ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი კომისიის საფუძველზე აქტით, მაგრამ როდის უნდა ყოფილიყო ეს აქტი შედგენილი, სად, როგორ პირობებში, ამაზე პარაგრაფი არას ამბობდა.

— ერთი ორი დღე კიდევ მოვიცადოთ, — სთქვა დირექტორმა.

— ეგ ერთი ორი დღე ათი დღე გახდება ვიცი. მე კი მუშები მელიან. მთლად ამეწეწება საქმე.

— მოცდა შეიძლება, — ჩაერია ისევ მებურიშვილი, — თუ კი ხელშეკრულების ძალით შესაძლებელი იქნება.

დირექტორმა დახედა პირობის ქალაქს და შიგ რალაცას დაუწყო ძებნა.

— მანდ შესაფერი მუხლები იქნება, — სთქვა ისევ მებურიშვილმა, ხელშეკრულებას წასწავდა, დირექტორს გამოაცალა და თითონ გადაფურცლა. — ხელშეკრულება იმიტომ იწერება, რომ შესრულებულ იქნას, — ბრძნულად სთქვა მებურიშვილმა.

— ვნახოთ... იქნებ სულაც არ ვარგა საქონელი. — სთქვა დირექტორმა.

— ყველაფერი მოსალოდნელია, — წაილაპარაკა პირობის ქალაქის თვალთვლებაში გართულმა მებურიშვილმა.

— ჰა, ყველა ჩემს წინააღმდეგა ხართ! — თითქოს იწყინა სირაძემ. — საქონელი არ ვარგავ, რომელია? თქვენი კაცების შედგენილია ეგ აქტი. მე ხელი არ მიწერია მაგაზე. ეგ აქტი ამბობს, რაც დავამზადე.

მებურიშვილმა იპოვა პირობის ის მუხლი, რომელსაც ეძებდა. ამ მუხლის ძალით პირობის დამრღვევი ერთი სამად იხდიდა ჯარიმას.

— ასეა, ბატონო! — თვალთმაქცურად ამოიოხრა მელიტონმა. — მე ჩემით არ გამოუდგები მაგ ჯარიმას, მაგრამ თუ მიჩივლეს მუშებმა და ხელფასის დაგვიანებისათვის დამაჯარიმეს, მაშინ მე თქვენ მოგთხოვთ. მეც ხომ ხელშეკრულება მაქვს მუშებთან. მერე და ჩვენ ხომ კერძოები არა ვართ, არტელია.

მებურიშვილმა ერთბაშად დასტოვა ორივენი და გარეთ გავიდა. ერთომ შათ საქმეში ინტერესი არაფერი ჰქონოდა და ვითომ შართლა შემთხვევით ჩაერია შათ ლაპარაკში.

ახალკაციშვილი დაფიქრებული დაჰყურებდა ქალაქებს. ანგაოიშის გასწორებაზე გული არ ჰქონდა. მაგრამ აქტი წინ ედო. რკინის გზის საბუთებიც, მეორეს მხრივ, ტყეში მუშები იცდიდნენ, მესამე მხრივ ჯარიმა იყო საშიში.

— ან ჰო, ან არა, — დაილაპარაკა სირაძემ. — მე არ შეგაწუხებთ. შითხარით არაო და წაველ, სხვაგან ვიშოვნი სადმე ფულს, სარგებელს მიეცემ და მუშებს გავისტუმრებ. ან არა და რისი გეშინიათ? სად წაგი-

ვალთ? მელიტონ სირაძესთან ზომ არა გაქვთ საქმე, მთელი ნაღა გახლავთ პასუხისმგებელი.

დირექტორი ერთხელ კიდევ დაფიქრდა, მერე კალამი კიდევ და რეზოლუცია დააწერა: „ბ. შეამოწმეთ საბუთები და გაუქმდეთ კონსტრუქციონი“. რეზოლუციის წითელმა მელანმა წითლად ჩაანათა და ჩაიცინა მელიტონის გულში.

— თქვენ თითონ გადაეცით ბუხვალტერს, — მაგიდაზე გაუცურა ქაღალდები დირექტორმა მელიტონს. ამ მოძრაობაში მელიტონმა გაჯავრება და უკმაყოფილება იგრძნო.

სირაძე ბუხვალტერიაში გავიდა. დირექტორი ახალკაციშვილი კი იმ დღეს ცუდი გუნებით წავიდა ქარხნიდან.

31

ბუხვალტერიაში სირაძემ მებურიშვილი დაინახა. რაღაცას დაყიალობდა, უმიზნოდ ედებოდა კუთხეებს. გამოჩნდა თუ არა სირაძე, თვალეზში შეხედა და მაშინვე ყველაფერს მიხედა.

— ზოგს ნაღდს მოგცემთ, ზოგს ჩეკებით, — უთხრა ბუხვალტერმა სირაძეს.

— სჯობდა არ გაგეწვალეზინეთ, — დაიღრიჯა სირაძე.
— ამხელად სალაროში საკმარისი ფული არა გვაქვს, გნებაეთ, ხვალ ამ დროს მობრძანდით და მთლად ნაღდს მოგართმევთ.

— უპ, არა! — დაიძახა სირაძემ. ამ საქმის გაჭიანურება სულაც არ სურდა: ძლივს დაამტოვო ადმინისტრაციას ფულის გაცემის თანხმობა და ახლა კიდევ განაღდების გადადება! ვინ იცის, რა მოხდეს? — მომეციო, როგორც ვსურდეთ, — დაეთანხმა ბუხვალტერს სირაძე და მაშინათვე მოისაზრა, თუ როგორ გამოახურდავებდა ჩეკებს ბანკში. დღესვე უნდა გაანაღდოს. საათს დახედა. დრო ჯერ კიდევ ჰქონდა.

— მხოლოდ კი ჩქარა. ბანკში მივუსწრო.
— ამ წუთში გამოსწერენ. — უპასუხა მთავარბუხვალტერმა.

— მუშაობის შემდეგ გიორგის გამოჰყევით. მე დაგელოდებით. ერთად ვისადილოთ, — უთხრა მას მელიტონმა და გამორდა. ყური მოჰკრა, როგორ წაიდუღუნა ბუხვალტერმა — გმადლობთო. მებურიშვილს წასჩურჩულა: — ისინიც წამოიყვანე. საბაშვილი და ახალკაციშვილი. — და რეპტორანი დაუსახელა.

— ახალკაციშვილისა რა მოგახსენოთ და სიმონს კი წამოიყვან. დათიკოს ვერც გაუბედავ.

— არ წამოვა და არც საჭიროა! — ჩაილაპარაკა მელიტონმა და ისევ მთავარ ბუხვალტერთან მივიდა. ბუხვალტერს ყველაფერი მზად ჰქონდა და ხელის მოსაწერად ეძახდა.

ქარხნიდან მელიტონი გახარებული გავიდა. ათასი თუმანი რაოდენ ედო ჯიბაში და ორი ათას ხუთასისა კიდევ ჩეკები.



მაგიდას გარს ესხდნენ საბაშვილი; მებურიშვილი, ბანკის ორი თანამშრომელი და ორიოდ კიდევ სხვა, ვინც მელიტონს გზაში შეხვდა, როცა აქეთ მოდიოდა და ვისი მიპატივებაც საჭიროდ დაინახა.

საბაშვილის სადღეგრძელო მელიტონმა სიტყვა-გადაკვრითა სთქვა:

— ამხანაგი სვიმონი დიდის ერთგულებით მუშაობს. სწორედ ჯადოჭრულად. გაგონილა? მე ოცი წელიწადი ვმუშაობდი და ის ვერ მოვახერხებ, რაც სიმონს ამ ხუთიოდ თვეში უქნია... ჩემი დამწვარი ქარხნის ადგილას რაღაც დარბაზები აუშენებია, ქარხანა კი არა, სასახლეა.

— ტექნიკის უკანასკნელი სიტყვაა იქ, — წამოიძახა მებურიშვილმა.

— ნამდვილი ამერიკაა. მაგრამ რა გამოვა? — წამოიძახა სირაძემ.

— ხუთიოდ თვეში ის გავაკეთეთ, რაც თქვენ ოც წელიწადში ვერ მოახერხეთ, — უპასუხა საბაშვილმა.

— საქმე აშენება ზომ არ არის. საქმე მისი გამოყენებაა. მოარწიებამისი, რასაც აშენებთ.

— მუშები ისე მუშაობენ, როგორც არ უმუშაენიათ თქვენს დროს, — უპასუხა საბაშვილმა: — მე კარგად ვხედავ, რაც ხდება ქვეყნად. ქვეყანა იცვლება, გადადის, კედება ძველი. მოდის ახალი ფორმები და წესები შრომისა. თქვენ გაშინებთ სიჩქარე, ჩვენ კი ეს სიჩქარე არ გვაკმაყოფილებს. გვექნება იაფი, კარგი საქონელი, გამდიდრდება ქვეყანა. ხალხი არსად, არასოდეს არ ყოფილა მდიდარი. მდიდრები იყვნენ მხოლოდ ზოგიერთნი. ახლა ჩვენ გავამდიდრებთ ქვეყანას და მდიდარი ქვეყანა შეინახავს ხალხს შეძლებულად. წინათ სიმდიდრე სულ სხვა გზით გროვდებოდა, წინათ ამ გზას ექსპლოატაცია ერქვა, ეხლა წარმოების მეცნიერულად და ტექნიკურად სწორად დაყენება ჰქვია. ახლა იწყება მანქანების მეცნიერული ექსპლოატაცია და წყდება ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანისაგან. წარმოებას საფუძვლად ედება გონიერება, ხოლო მიზნად კაცობრიობის სიკეთე. რა უყვით, თუ ბევრი რამ გვაკლია, ბევრი გასაჭირი გვაქვს! სიკვდილი და შობვა უმტკივნეულოდ არ არის. აქ კი ძველი კვდება და ახალი იბადება. დედა ტანჯვით შობავს შვილს, ჩვენც ტანჯვით ვშობავთ ახალ ცხოვრებას. თავდება, ბოლო ედება სიღარიბეს, გაჭირვებას, სიბნელეს, უსინიდისო ექსპლოატაციას, მატყუარობას, კაცოჭამიობას, ცრემლს, ვაებას. ყველაფერს იმას, რაც კაცობრიობას აკვნებდა მრავალი საუკუნის განმავლობაში.

ხასიათით ჩემი, დაფიქრებული და დინჯი საბაშვილი, ანდრე ლვინო-
მოკიდებული ენაწყლიანად ლაპარაკობდა.

— მართლა და მართლა აღარ უნდა გათავდეს მატყუარობა, ეკანონი-
ერი და უკანონო ყაჩაღობა, ხალხის სიბნელე, რელიგიური წყნარება მსა-
ხურნი დედამიწის მოსახლეობის ორმილიარდ ნახევარში რიცხვით ერთ
წვეთს შეადგენენ და ეს ერთი წვეთი სხვათა შრომით შექმნილი სიმდიდ-
რის საუკეთესო ნაწილს საუკუნეების განმავლობაში სრულიად მუქთად
სკამდა.

— ალბათ პარტიაში ჩაწერილა ჩვენი სიმონი! — წამოიძახა მელი-
ტონმა.

— ეგ ჯერ არ მომიქმედია. მაგრამ ეს არ მიშლის ხელს სრულებით.
საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია პატიოსან სპეციალის-
ტებს გასაქანს აძლევს, მზრუნველობს, ეხმარება...

— კი, მაგრამ პირადად თქვენ, რა, რომ ეგრე გერჯით გული?

— ძველსა და ახალს შორის დიდი განსხვავებაა. წინაღ მე კერძო კა-
ციის საქმეს ვაფაქეთებდი, ეხლა კი საერთო საქმეს ვაკეთებ, მაშასადამე,
ჩემსასაც. კიდევ ის არის განსხვავება, რომ მაშინ ექსპლოატაციას გამო-
წვედნენ სირაძეები.

— მაშინ თქვენ შეგეძლებოდათ თქვენი საკუთარი საქმე დაგეწყოთ,
საკუთარი წარმოება და მაშინ მხოლოდ თქვენს სასარგებლოდ იმუშა-
ვებდით.

— შეიძლება ეგრეც ყოფილიყო, მაგრამ მაშინ მე იმ ყაჩაღობის მო-
ნაწილე ვიქნებოდი, რომელზედაც ეხლა გელაპარაკებოდით.

— რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, აგრე არ ილაპარაკებდით.

— რატომ ეგრე ფიქრობთ. ძველი ქვეყანა, სხვათა შორის, იმპერი-
ლისტურმა ომმა შემაჯავრა.

— ომი აქ რა შუაშია? — შესძახა მელიტონმა. — ომი ქვეყანას სიკე-
თეს მოუტანდა, რევოლუცია რომ არ მომხდარიყო.

— ქვეყანას? რომელ ქვეყანას? რა სიკეთე მისცა იმპერილისტურმა ომმა
ქვეყანას? ეგ სიკეთე თქვენ გეჩვენებათ, ან მარტო თქვენთვის იყო სიკეთე,
რადგან ომი არ გინახავთ და მოგება კი ბევრი ნახეთ იმისგან. მე კი ომი
ჩემის თვალთ ვნახე, მისი მონაწილე ვიყავ. მე თვითონ ვიყავ ომში. აი, ამ
თავმა პოზიციებზე ბევრი ისეთი რამ მოიხაზრა, რამაც ათასობით გაწყვიტა
ხალხი. აი, ამ ხელებით ვხაზავდი გეგმებს მიწაში ნალმების ჩასალაგებ-
ლად, ხიდების ასაფეთქებლად. ამ ხელებით გამყავდა გზები იმისათვის,
რომ ხალხი უკეთესად გაწყვეტილიყო, აქეთაც და იქითაც, „ჩვენებიც“
და „მტრებიც“. მერე ვინ იყო ეს მტერი? არც მაშინ ვიცოდი, არც ეხლა
ვიცი. და ვანგრევდი იმას, რაც მრავალი წლების მანძილზე ტანჯვითა-
და წამებით ჰქონდა აშენებული ადამიანს. ვანგრევდი „ჩვენსასაც“ და
„მტრისასაც“. ვანადგურებდი ადამიანს, მაშასადამე, ჩემს თავსაც. მე შე-

სწავლილი მქონდა ყველაფერი ის, რაც ადამიანის გონებამ მრავალი საუკუნის განმავლობაში მოიპოვა თავის სასიკეთოდ. მე კი ამას ვაცობრიობის დასანგრევად ვხმარობდი. მე ვიცოდი ხიდების აშენება-დაშენება იმისათვის კი არა, რომ ფონში გასვლით ადამიანი არ დაეშინებოდა, არამედ იმისათვის, რომ ადამიანი ადამიანს დაგეშილი ძალივით შესაქმნელად ადვილად მისეოდა. მე ვიცოდი გზების გაყვანა და იმისათვის კი არ გამყავდა, რომ შშრომელ გლეხს ადვილად გაეტარებინა თავისი ოფლით დატვირთული ურემი, არამედ იმისათვის, რომ ამ ოფლს ხალხისას ადვილად მისეოდა ხალხივე და ფეხით გაეთელა ყანები, ბაღები, ვენახები, დაეწვა სოფლები, ქალაქები. ყველაფერს ამას ამ ხელებით და ამ თავით ვაკეთებდი. ეხლა ეს ხელები სოციალისტურ ქარხნის მშენებლობაზე დამალაგებინეს. რატომ უფრო გულმოდგინედ არ უნდა ვიმუშაო? ომი ხალხის სასიკეთოდ არისო, ამბობდნენ მაშინ, მხოლოდ ხეთწლედმა დამანახა, რომ ნამდვილი სასიკეთოდ „ომი“ პროლეტარული რევოლუცია ყოფილა. კომუნისტები აკეთებენ მშრომელი ქვეყნიერებისათვის უდიდეს საქმეს.

— მაშ რად მუშაობდით მაშინ?

— მაშინდელი მუშაობის მიზნები არ მესმოდა, არც ვიცოდი რად ვმუშაობდი.

— მაშინ გიბრძანებდნენ და მუშაობდით. ეხლაც გიბრძანებენ და მუშაობთ, — ჩაიცინა მელიტონმა.

— აგრე არ არის. ეხლა შრომა ჩვენთვის გმირობის და პატიოსნების საქმეა. ეხლა ჩემს მუშაობას კარგი მიზანი აქვს და ეს მიზანი მესმის. უკლასო სოციალისტური ქვეყნის აშენებისათვის ასეთი შრომა აუცილებელია, ეს ჩვენც, უპარტიო პატიოსან სპეციალისტებსაც, კარგად გვესმის. აქეთკენ მოგვიწოდებს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია.

ბნელდებოდა, როცა სუფრიდან აიშალნენ.

მელიტონმა მებურთშვილს მკლავში მკლავი გაუყარა, ქუჩის კუთხეში გაიმარტოვა და წასჩურჩულა:

— ახლა შენ ნავთლულში უნდა წამომყვე.

— იქ რა გინდა?

— გზაში გეტყვი.

ნავთლულში, ნაცნობობისა და პურმარილის დახმარებით მელიტონმა და მებურთშვილმა ის მოახერხეს, რომ სირაძის მატარებელს ტფილისისაკენ მთლიანად არ გაუშვებდნენ, არამედ სამ ნაწილად და ღამლამობით, თითო ჯერზე იმდენს, რომ ვაგონების დაცლა ერთ ღამეში ყოფილიყო შესაძლებელი.

ასეთი ვარაუდი ჰქონდა მელიტონს: ღამით მოსულ ვაგონებს ქარხანა ღამითვე დასცილიდა ვაგონების გაცდენისათვის ჯარიმის შიშით, ღამით კი ამ დაცლაზე უბრალო მუშები იმუშავებდნენ, ღამითვე დაეწყებდნენ საწყობში მასალას და დაჰკეტავდნენ. მერე კი ვინ იცნობდა, მულისაზრებდნენ საწყობის ვალეზას და საჭონლის გასინჯვას. ქარხანაში ყველა გართულია დღიურ საქმეში. ხანი გავა და მერე ხანი თვითონ იტყვის, რაც მოხდება.

შინ რომ მივიდა გიორგი, ცოლს ფული მიუტანა და უამბო, სადაც იყო და როგორ იშოვნა სირაძემ ფული.

— შენ კი ამბობ, სირაძე დაიღუპაო, აღარაფერი აქვსო! — უსაყვედურა ცოლმა. — საწყალ ვაგონს თავგზა აუბნიე შენი საბაშვილით.

მებურიშვილი მიხვდა, ცოლი მარგოს ახსენებდა. ამიტომ დაბეჯითებით და დინჯი კილოთი უთხრა ცოლს:

— ჩაჯდება.

— როგორ თუ ჩაჯდება! ვინ ჩაჯდება? — ჰკითხა ცოლმა.

— ისე, როგორც ჩაჯდებიან ხოლმე გამსახლში. უტვინო მელიტონი ვერ მიმხვდარა, რომ სირაძეების საქმე წასულია და რალაცებს მიედ-მოედება, — უპასუხა გიორგიმ ცოლს. გაიძვერობას და მავნებლობას იგი თავს არ ანებებს. მაგრამ მიაგნებენ მის კვალს და ცუდ დღესაც დააყრიან. საბჭოთა მთავრობა ასეთ ხალხს არ ეხუმრება...

მელიტონი იმავე ღამეს გავიდა ტფილისიდან და სადღაც გაჰქრა.

33

თიკოს ოთხი საქმე ჰქონდა: ქარხანაში და კომკავშირის უჯრედში მუშაობა, მუშფაკი და შვილი.

ახლად აშენებულმა ქარხანამ ბაგის მოწყობა დროზე ვერ მოასწრო და ბევრ მუშა ჰქალს უჭირდა ყოფა. ბაგისათვის შენობას ამზადებდნენ, ქალები კი მოუთმენლობაში იყვნენ. მუშა ქალებში სამეუფლო ამოირჩიეს მშენებლობისათვის თვალყურის სადევნებლად, ასაჩქარებლად და ყველაფრის წინდაწინ მოსამზადებლად, რომ რა წამს მშენებლობა მოთავდებოდა, ბაგასაც მუშაობა დაეწყო.

თიკო თავს დასტრიალებდა მთელ ამ საქმეს და ეს იყო მიზეზი, მელიტონმა დიკო შენობის კედლებთან რომ ნახა და მისმა ნათქვამმა რომ გააკვირვა: აგვიანებენო.

თიკოს მზად ჰქონდა ყველაფერი: საწოლები, მაგიდები, სკამები. ყველაფერი ეს თვითონ მუშა ქალებმა დაამზადეს დაკვირვითი წესით და საღამოობით მუშაობით. შერჩეული ჰყავდათ ბაგისათვის აღმზრდელნი, კიდევ ერთი თვე და... ქარხნის დიდ ეზოში, იქ, სადაც ყვავილები მწვანედ იცინოდა, ბავშვების ტირილის და სიცილის ხმა დატრიალდებოდა. დამშვიდდებოდა დედის გული, რადგან საამქროების ფანჯრიდან ერთი გა-

დახედვით ყოველთვის დაინახავდნენ შვილებს. მომუშავე დედები თითებზე ითვლიდნენ თვის დღეებს.

ეს თვეც გათავდა და თიკოს გამოუცხადეს, შენობა ჩვეულებრივ დაფაცურდა თიკო, დაფაცურდნენ ქალებიც.

დამზადებული დგამი საწყობში ინახებოდა. თიკომ გასაღები მოითხოვა.

— ფრთხილად. იქ ახალი მასალა ალაგია, ცეცხლი არ შეიტანოთ!

მაგრამ ყველას ერქარებოდა. დილაზე უკვე აქ იქნებიან ბავშვები. მათი ევილი-ხივილი ქარხნის ხმაურობას შეემყნობა, ბავშვები შრომის სამეფოში გაიზრდებიან. ხვალიდან აღარ შეწუხდებიან აღარც თიკოს დედა, აღარც თიკოს ამხანაგების დედები, დები, მეზობლები. აქვე ექნებათ ქალებს შრომა, აქვე ექნებათ სიხარული და დარდი შვილებისა.

მოაწყეს ბაგა. დაღლილი და გახარებული ქალები სახლში წავიდნენ. თიკო კი საწყობის კარებს მიადგა დასაკეტავად.

უცხად ნეღლი ხის სუნი ეცა. წელან, სხვა საქმეში გართულმა, ხის სუნის ჩვეულმა, ამას უურადლება არ მიაქცია. ეხლა კი უკვე გონება განთავისუფლებულმა, გარედ, საღამოს სუფთა ჰაერზე ნამყოფმა, ეს სუნი მძლავრად იგრძნო. გაახსენდა წელანდელი გაფრთხილება — ცეცხლი არ შეიტანოთო — და მოაგონდა, რომ აქ ახალი და ძვირფასი მასალა უნდა ელაგოს. ამ ერთ თვეში ეს მასალა ქარხანაში შევა, თიკოს ხელში ჩაუვარდება და...

ცნობისმოყვარეობით შევლო თიკომ საწყობის კარი და ჰერამდე აკოკოლავებულ მასალას შეხედა.

— ეს რა არის?

ახლოს მივიდა. დააკვირდა. მერე კედლებსა და დალაგებულ ხეებს შუა გაძვრა და ახლა გვერდიდან დაათვალიერა. თითქოს თვალს არ უჯერებდნო, ყოველი მხრიდან შემოუარა მასალას. მხრები აიჩეჩა, ტუჩები მოგრიხა გაკვირვების ნიშნად და დაფიქრდა. დაფიქრდა და ვერას მიხვდა.

— აქ რალაც შეცდომაა. ან სხვა მასალა ვნახე, ან მე ვერა ვცნობ. — და მის მაგივრად, რომ დაღლილი შინ წასულიყო, სადაც შვილისკენ გული ეწეოდა, თიკო ქარხანაში შევიდა და იქ, მეორე ცვლის მუშებში, ვილაყას დაუწყო ძებნა.

— წამო, რა გაჩვენო! — უთხრა მან კომკავშირის უჯრედის მდივანს. — მე ვერა გავიგე რა, ეგებ შენ გამაგებინო.

ორივენი შეძვრნენ საწყობში და იქ დიდხანს იფათურეს. თავგებივით დაძვრებოდნენ ხეებზე და ხეებს შუა, ზომავდნენ, სინჯავდნენ, ყნოსავდნენ კიდევ, სადაც თვალით ვერ არკვევდნენ, იქ ენას იშველიებდნენ, გეპოზე სცნობდნენ ხის ჯიშს.

— ეს მუხაა, ეს წიფელაა, ეს თელაა, ეს...

— ეს, ეს... რაღა ეს. ხომ ხედავ ნაგავია. ჩამოდი მანდედან. გვეყოფა. ვნახეთ. — დაუყვირა თიკომ ამხანაგს.

გამოკეტეს კარები და იქვე დაიწყო დაბალი ხმით ლაპარაკი.

— რამდენია მიცემული ამ ხე-ტყეში? — ჰკითხავს მანდედან.

— ბოლო დროს ოცდათხუთმეტი ათასი ჩაუთვალეს, წინათ რამდენი ჰქონდათ მიცემული ან ჰქონდათ თუ არა, არ ვიცი. ვიკითხოთ.

— არ ვინდა, — უპასუხა თიკომ. — ეგ ეხლა სულ ერთია. ჯერ დავიკადოთ. ეს ჭარხანა წინათ სირაძისა იყო, ხომ იცი?

— ვიცი.

— ჰო და, კმარა.

და შემდეგ კი, კედლის გაზეთმა იკითხა:

„ვინ აგებს პასუხს?“

ეს წერილი მოწინავე წერილი არ იყო, არამედ ჩვეულებრივი, ხოლო ხელს აწერდა თიკო. უჩვეულო იყო მხოლოდ თვითონ წერილის ამბავი და კიდევ ის, რომ გაზეთი ვადაზე ადრე გამოუშვეს.

ჭარხანა საძირკელიანად შეირყა. ვინ იცის, იმ ახალ შენობას ჰქრი რომ ჩამონგრეოდა, შეიძლება, ეს ისე არ იმოქმედებდა, როგორც ამ წერილმა იმოქმედა. მუშები ჯგუფ-ჯგუფად ეხვეოდნენ გაზეთს და იმ წერილის მეტს არას კითხულობდნენ. მერე ყველა ერთბაშად ეცა საწყობს, სადაც უკვე შესულიყვნენ დირექტორი, ინჟინერი და პარტუჯრედია მდივანი. მუშები იღვინენ საწყობის კარებთან და იცდიდნენ.

— მართალია?

— მართალია, — გაისმოდა პასუხი.

გაშაგებულნი და შუბლშეკრული გამოვიდა საწყობიდან დირექტორი. ვაწითლებული უკან მოჰყუდა მას საბაშვილი. ნიკაპი უთრთოდა.

— ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის! — სთქვა დირექტორმა, როცა კაბინეტში შევიდა და თან საბაშვილი და უჯრედის ბიუროს წევრები შეჰყვნენ. — ყველაფერი ნათელია. სვიმონი დასწერს მოხსენებას, სადაც საჭიროა. თქვენ სახვალიოდ საწარმოო თათბირი მოიწვიეთ. თათბირს ყველა დაესწროს.

34

კრებას ახალკაციშვილი თავმჯდომარეობდა. საბაშვილი მომხსენებელი იყო. მას უნდა მიეცა ანგარიში მუშებისათვის იმის გამო, რაც მოხდა. გულის კანკალით დაიწყო ლაპარაკი.

ჭარხნის წლიურ გეგმას ჩაშლა მოელოდა. ინჟინერი თავს დამნაშავედ ჰგრძობდა. ყველაფერში თავის თავს ამტყუნებდა, მაგრამ, ხანდახან, როცა დაფიქრდებოდა ხოლმე, ისე გამოდიოდა, თითქოს არც იყო დამნაშავე.

საბაშვილმა ლაპარაკი რომ დაიწყო, მუშებმა სული განაბეს.

უამბო ქარხნის მთელი ისტორია, თუ როგორ დაიწყო მუშაობა, მშენებლობა, როგორი გეგმები იყო, როგორ განხორციელდა, რამდენი ბრძოლა იყო საჭირო, რა უწყობდა ხელს ან რა უშლიდა.

— ყველაფერს ამას რაღა ვლაპარაკობ? რა კავშირია ამას დღევანდელ საკითხთან!

საბაშვილმა თავს ძალა დაატანა, უფრო მეტად დაახლოვებოდა დღევანდელ თემას, მაგრამ ამ ცდამ უფრო მეტად არია. შეატყო, უადგილო ლაპარაკი გამოდიოდა. სცდილობდა ახალკაციშვილისათვის აეცილებინა ბრალდება, არც თავისი თავის გამტყუნება სურდა. კრებამ ყველაფერი ეს შეატყო და მღელვარება დაიწყო. ამან უფრო დააბნია საბაშვილი და კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ ერთბაშად და ულაგოდ შესწყვიტა სიტყვა.

სიჩუმე ჩამოვარდა. კრება თითქოს ელოდა სიტყვის განგრძობას, მხოლოდ ირბეოდა და ჰღელავდა.

სიჩუმე ისევ თიკომ დაარღვია:

— ტყეში მასალის მისაღებად, კომისია რომ გაგზავნეთ, ვინ იყენებთ იმ კომისიის წევრები და როგორი ამბავი ჩამოიტანეს? — საბაშვილმა ეს შეკითხვა ჩაიწერა. მან იმედი დაინახა — აქ შეიძლებოდა გასამართლებელი საბუთის პოვნა.

პირველმა შეკითხვამ დაბმული ენები გაანთავისუფლა.

— იცოდით თუ არა, რომ ქარხანა წინად სირაძისა იყო? თუ იცოდით, როგორღა ენდევით?

— შარშან მებურიშვილთან ვინ იქეიფა? იყო თუ არა იქ სირაძე?

— შარშან კი არა, ამ ერთი თვის წინათ, იმ დღეს, რა დღესაც სირაძე ჩვენს ქარხანაში იყო და ფული მიიღო — საბაშვილმა იქეიფა თუ არა რესტორანში, სირაძესთან ერთად?

ამ შეკითხვას საბაშვილი არ მოელოდა. სრული გულუბრყვილობით გაჰყვა მებურიშვილს რესტორანში, ასეთი რამ იშვიათი არ იყო. არ ეგონა, თუ ამ ქეიფს და ცუდ მასალას, სირაძემ რომ შეაპარა ქარხანას, ერთმანეთში რაიმე კავშირი ექნებოდათ. ეხლა კი მის თვალწინ ერთბაშად გადიშალა მთელი ბრალდება. როგორ შეიძლება ეხლა ამ კრებაზე, ამ აფორიაქებულ ხალხში თავის გატანა და გამართლება? ვინ მოისმენს, ვინ დაიჯერებს იმას, რასაც ამ წუთში ფიქრობს და გრძნობს საბაშვილი? იგი ერთბაშად მოწყვეტილი დაეცა სკამზე, თავმჯდომარეს მიუბრუნდა და ჩაწყვეტილი ხმით უთხრა:

— მართალია, მე ვიყავი რესტორანში, მაგრამ ამას ჩემთვის ხეტყის საქმესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

— ნუ ჰღელავ სიმონ! — უბასუხა ახალკაციშვილმა.

კრება გუგუნებდა.

— კიდევ ერთი შეკითხვა! — გაისმა დარბაზში: — სირაძე ნენს ქარხანას ძველ მანქანას ესყიდებოდა. რა იქნა ის მანქანა?

მაგრამ საბაშვილმა პასუხი აღარ გასცა. მის წინ უშეფერხებლად უფსკრული გაიხსნა, რომელმაც ყველაფერი შთანთქა, მაგრამ მისივე ხმა მათავსო. ამოვსება შეუძლებელი იყო. კრება ღელავდა, ხმაურობდა, ინჟენერი კი გაუნძრევლად იჯდა მაგიდაზე დაყრდნობილი და ყურადღებას აღარაფერს აქცევდა, საკუთარმა ფიქრებმა დააყრუა.

ხე-ტყის ხარისხისათვის მას უნდა ეგდო ყური, რადგან იგია სამუშაოთა ხელმძღვანელი, სულ რომ არაფერი, ამაში მაინც იყო მტყუანი, რომ ყურადღება არ მიაქცია და ქარხანაში ისე შეუშვა მასალა, რომ არც კი გაუსინჯავს. როგორ მოხდა? ექსპედიტორს მიანდეს ეს საქმე. ღამით ეზიდებოდნენ? ღამით, როცა თითონ ეძინა.

„მართლა მეძინა“, — შუბლში გაირტყა ხელი.

მერე? რესტორანში ჭეიფი? უვარგისი ნაწარმი? შეჩერებული ქარხანა? ჩაშლილი მიზნები? დაკინვა? დაიჯერებენ თუ არ დაიჯერებენ მის უდანაშაულობას, მაინც დანაშაული მისია. მთლად დაიღუბა, ამაო გამოდგა შრომა, მისწრაფება, იმედი. ნუთუ მართლა ტყუილია ყველაფერი? ნუ თუ არ შეიძლება გამარჯვება! მთელი სიხარული, რაც განიცადა ქარხნის მშენებლობითა და დამთავრებით, ჩაშხამებულია. დარჩება წაუშლელი ლაქა სირცხვილისა, თავგაუმათრებელი დამნაშავის მუდმივი შეგნება.

დინჯად წავიდა კარებისაკენ.

— სიმონ, ნუ პლელავ! — მიამახა მიმავალ ინჟენერს ახალკაციშვილმა.

— არა... არა ვლელავ. — იყო პასუხი.

— რა კავშირი გქონდა სირაძესთან? — იძახდა ვიღაც აღელვებული. ეს სიტყვები თან გაიყოლა საბაშვილმა.

— ამხანაგებო! შიმართა თავმჯდომარემ კრებას: — ყველა დამნაშავეს სასტიკ პასუხს ვაგებინებთ. აქ კლასობრივი მტრების მავნებლობას აქვს ადგილი. ჩვენცა ვართ დამნაშავენი. ჩვენ მიერ გაგზავნილმა კომისიამაც ვერ გამოიჩინა დაკვირვებულობა. ასეთ უპასუხისმგებლობას მათ ვერ ვაპატივებთ. და საერთოდ ხელშეკრულებაც ძალზე საზარალო გამოდგა ქარხნისათვის. მეტი კლასობრივი სიფხიზლე უნდა გამოგვეჩინა. განადგურებული მტრები ყოველთვის მზად არიან ხელი შეგვიშალონ... მაგრამ საბოლოოდ ისინი ვერაფერს დაგვაკლებენ. მეტი კლასობრივი გამოპრმედილობა ამხანაგებო! ამას მოითხოვს ჩვენგან პარტია და მთავრობა.

ამის შემდეგ ახალკაციშვილმა ბევრი ილაპარაკა და დასახა მდგომარეობიდან გამოსავალი გზა.

— არავითარი შებრალება მავნებლებს და და მტრებს! — გაისმა ხმები. კრება თანდათან მშვიდდებოდა.

თიკო კვლავ შეხტა სკამზე:

— ამხანაგებო! თუ მასალა გვექნება, ყველაფერსაც მოვასწრებთ. ვა-

ცხადებ თავს დამცველად და ვიწვევ... თიკომ ათიოდე ამხანაგე დაასა-
ბელა.

- ნიროვოია! — სიხარულით შესძახა ვილაცამ. *ვარკუნეული*
— მიმილია თიკოსაგან გამოწვევა და ჩემის მზრითი ვიწვევ-
— მეც ვილებ გამოწვევას და ვიწვევ...
თითქოს ბოლო არ უჩანდა ასეთ გამოძახებას.

36

ახალკაციშვილი პირდაპირ თავის კბინეტისაკენ წავიდა. რალაცამ
უთხრა, საბაშვილი იქ უნდა ყოფილიყო და არა საკუთარ ოთახში.

დავითმა კარი რომ, შეაღო, დაინახა ინეენერმა როგორ შესწია მისი
მაგიდის უჯრა და სარკმელთან მივიდა. დირექტორმა თვალი რომ გა-
აღევნა, უნებურად დაინახა ფანჯარაც, სადაც ღამე იცქირებოდა და ვარს-
კვლავებით მოქედილი ცა მოსჩანდა. საბაშვილმა თავი ასწია და ცას და-
უწყო ცქერა. მისი ტანის ნაკეთები იმ წუთს ისეთი იყო, რომ ეტყობოდა,
ინეენერი აღარაფერსა ფიქრობდა. შესცქეროდა ცას და ვერა ხედავდა.
დირექტორი დააკვირდა და შეამჩნია, ინეენერი მშვიდად იდგა, არა
თრთოდა.

სწრაფი ნაბიჯით მივიდა ინეენერთან და მზარზე ხელი დაადო. საბა-
შვილი შეერთა, ჯიბეში რალაც ჩაიდო, არ კი გაინძრა, არც მიბრუნდა
დირექტორისაკენ. მაგრამ მიხვდა, ვინც იდგა მის უკან. დავითმა ხელე-
ში ცარიელი რომ დაუნახა დამშვიდდა და ინეენერსაც აცალა და-
მშვიდება. ცოტა ხნის შემდეგ მზრიდან ხელიც ააცალა. საბაშვილმა გან-
თავისუფლება იგრძნო, თავჩალუნული მოშორდა სარკმელს და ჩუმად და-
იწყო სიარული ოთახში. დავითი თვალს ადევნებდა მის მოძრაობას, ფიქ-
რით კი არაფერსა ფიქრობდა. ეს ეხლა ამ წუთს საჭირო არ იყო, მაგრამ
გრძნობდა კი დირექტორი, რომ სახტომად გამზადებული ვეფხვივით და-
ჭიმული ჰქონდა კუნთები. საკმარისი იყო საბაშვილს ჯიბისკენ წაეღო
ხელი და ახალკაციშვილი წამსვე დააცხრებოდა. მაგრამ ხედავდა, რომ
ასეთი რამ ველარ მოხდებოდა. საბაშვილი ღელავდა, მაგრამ კრიზისი უკვე
განვლილი იყო და ახლა დირექტორი დინჯად ადევნებდა თვალს მის
სიარულს. ბოლოს გზა გადაუჭრა, თვალებში შეხედა და ხელი გაუწოდა,
თითქოს რალაცას სთხოვსო. საბაშვილმაც შეხედა თვალებში და იქ ისეთი
უსიტყვო, მაგრამ ნებისყოფიანი ნათქვამი დაინახა, რომ მის ნებისყოფას
რამბლა მოუვიდა. ინეენერმა ხმაამოუღებლივ ჩაიყო ჯიბეში ხელი, რე-
ოლოვერი ამოიღო და ხელში ჩაუღო დირექტორს.

— სხვისი იარაღით თავის მოკვლა არ ვარგა, — უთხრა დავითმა სი-
მონს. უთხრა გახარებულმა, რომ ყველაფერი ასე იოლად გათავდა, რომ
ჯუღმა სწორედ იგრძნო, არ მოატყუა და დროზე ამოქმედა.

მაგრამ მხოლოდ ახლა გაიხსენა ისიც, რომ საბაშვილს მისი იარაღით რომ მოეკლა თავი, სკანდალი თვითონ დავითისთვისაც დიდ იქნებოდა. ეს საბაშვილმაც იგრძნო და უფრო აღელდა. აღელვებდა იმეტი და ვითმა, — დამშვიდებულად და შესარცხვენად უთხრეჯგ: *ИПРИТІ*

— ამოდენა საქმეა ქვეყნად გასაკეთებელი და ეხლა თავის მოკვლა როგორ შეიძლება?!

გასაკეთებელი საქმის გაგონებაზე საბაშვილს მოაგონდა მთელი წარსული საქმიანობა, თავბრუ დაეხვა და მოწყვეტილი დაეცა იატაკზე. კაბინეტი შეინძრა. დაცემული სხეულის ხმა ქარხნის ოთახებში ზანზარით გაიშმა.

ღირეჭტორი ინეენერს მხრებში დასწვდა, შემდეგ შემოსწრებულების დახმარებით გონწასული საბაშვილი დივანზე დააწვინა.

დინჯად, მაგრამ გაფითრებული დაბრუნდა ახალკაციშვილი კრებაზე.

— რა ჰქენით? დათვალეთ? — იკითხა მან.

— მთელი საამქროებია ერთმანეთში გაწვეული, — მიახარა თიკომ. — მაგრამ ეგ რა ფერი გადევთ? რა მოგივიდათ, ამხანაგო დავით?

— მე... არაფერი. მხოლოდ საბაშვილი გახდა ცუდად. ჩემს კაბინეტში წევს. — ღირეჭტორმა მოკლედ უამბო, რაც მოხდა.

თიკოს დანახვაზე საბაშვილმა თვალები დახუჭა. უკვე გონს იყო მოსული, მხოლოდ ძალა ჰქონდა დაკარგული და განაბული იწვა. იგი ფიქრობდა იმას, რომ მთელი საქმეც წაახდინა და ვერც თავის მოკვლა მოახერხა.

მას შემოეხვიენენ ახალკაციშვილი, თიკო და რამდენიმე პარტიული ამხანაგი. ხმას არავინ იღებდა იმაზე, რაც საბაშვილს გადახდა. ყველა კრების ამბავს ლაპარაკობდა, ითვლიდა დამკერელებად თავგამოცხადებულთა რიცხვს და იმედიანი სიხარულით უყურებდა მომავალს.

ღამე გვიანი იყო, როცა ყველანი გარეთ გავიდნენ. შინ წასასვლელად. ეზოზე რომ მიდიოდნენ, საბაშვილმა თიკოს გაუყარა მკლავი-მკლავში, მას დაეყრდნო მძიმედ. თიკომ ისე იგრძნო, თითქოს უძვირფასესი ტვირთი დაადნო. ამიტომ ფრთხილად, სიამაყით და სიხარულით მიჰყავდა თავისი ინეენერი.

დავითმა სვიმონს თავისი ავტო შესთავაზა.

— არ მინდა. ფეხით გავლა მირჩენია. — იუარა ავტო სვიმონმა.

— მე გავაცილებ. — სთქვა თიკომ და იმ წუთშივე იგრძნო, რომ საბაშვილი უფრო მძლავრად დააწვა მას მკლავზე.

გზაჯვარედინზე, ვინც თან მისდევდა სვიმონს, ყველა გაშორდა და თავის გზას გაუდგა. სვიმონი და თიკო მარტონი დარჩნენ.

— შეიძლება თუ არა ისეთი ადამიანის სიყვარული, რომელმაც საქმე გადატევა?.. ჰკითხა სვიმონმა თიკოს.

— აღამიანი მუდამ უნდა გვიყვარდეს, ყველა, ვისაც შრომა შეუძლია და ვისაც უყვარს შრომა, — უპასუხა თიკომ. — ეხლა მხოლოდ მე შაობაა საჭირო და ყველაფერი გამოსწორდება.

— ვთქვით ეგრეთ, მაგრამ დანაშაული?

ერკინეული

გინჯინიძისა

— მაგას თავი დავანებოთ, — უპასუხა თიკომ, რაკი შეატყო, რომ საბაშვილი ხელახლა ღელდებოდა. — სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— რა სხვა რამეზე? განა ეხლა შეიძლება სხვა რამეზე ლაპარაკი, როცა ქვეყნად გაძლიერებული შრომა და მშენებლობა მიმდინარეობს?

— ჰო, თუნდაც მაგ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. — ხაზგასმით სიტყვა თიკომ სიტყვები „მაგ სხვა რამეზე“. — იმას კი თავი დავანებოთ, რაც მოხდა.

— ის, რაც მოხდა ეხლა მთავარია ჩემთვის. — თიკომ ინჟინერის ხელის კანკალი იგრძნო.

— არა, მთავარი ის არის, რომ თქვენ გეგმა ექვსი საათით ადრე შეადგინეთ. გესმით, ექვსი საათით. სამს დღეზე ნაკლებს მოუხდით იმ საქმეს, რომლისთვისაც თქვენ თვითონ სამს თვეს ითხოვდით. აი, რა არის მთავარი. თქვენი ხელმძღვანელობით სწრაფად, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ისე აშენდა ჩვენი ახალი ქარხანა, რომელიც ახლა საათივით მუშაობს. აი, ეს არის მთავარი.

— მე აქ არაფერ შუაში ვარ. ყველაფერი დავითმა გააკეთა. ის რომ არა ყოფილიყო, ვერაფერი გამოვიდოდა. მე მიკვირდა იმ კაცის მუშაობა მშენებლობის დროს. ყველაფერი მის კისერზე იყო. ხრეშიდან დაწყებული უკანასკნელ ლურსმანამდის ყველაფერი მისი მომარაგებულია.

— მართალია, თქვენ არა სტყუით, მაგრამ არც დავითი სტყუის, როდესაც თქვენ გაქვბთ. დავითმა კარგად იცის, რომ ეს თქვენი უნებური შეცდომაა.

— ეგრე გამოდის, თითქოს ჩვენ ერთმანეთს ვაქვბდეთ და სხვა არაფერი.

— არა, ეგ არ გამოდის. იცით, რა გამოდის? ის, რომ ეხლა ჩვენთვის საჭირონი არიან საბაშვილებიც და ახალკაციშვილებიც. ინჟინრებიც და დირექტორებიც. თქვენ ერთხელ მიაშვით, რომ ომში ყოფილხართ.

— მერე?

— იქ გინახავთ სიკვდილი, ვმირობა. ბრძოლა. როგორიც უნდა ყოფილიყო, სულ ერთია. მაინც ბრძოლა იყო. ხომ გინახავთ?

— მინახავს!

— ჰო და იქ უნდა გესწავლათ ბრძოლა, თქვენ კი... — თიკოს პირზე რაღაც სიტყვა მოადგა, მაგრამ დამცინავი არ გამოვიდეს, ეს სიტყვაო. აღარა სიტყვა.

— ხელიდან ჩვენი ქარხანა შრომას და ტემპებს გაათიყვეს!

— მე მუშებს როგორ შევხედო. მართალია, ეს უნებური შეცდომა ჩავიდინე, მაგრამ საქმეს შინც ზიანი მიეცა. მე ამაზე ვაგერ პახუსს.

საბაშვილი ათრთოლდა.

უკვე მიყრუებულ ქუჩაზე იყვნენ.

საბაშვილის სახლს უახლოვდებოდნენ. თიკომ ვერ გაბედა ასეთ მდგომარეობაში თავი დაენებებინა საბაშვილისათვის. სიმონმა თითქოს ვერ შეამჩნია, როგორ გასცდნენ მის ბინას.

— დროა გავშორდეთ ერთმანეთს და ჩვენ ჩვენს სახლებში წავიდეთ. თქვენ მგონი ბავშვიც გყავთ ყურსაგედში. — უთხრა თიკოს და ხელი გაუწოდა.

— ბავშვი ამაღამ ჩემს დედასთან არის. დილაზე გავუვლი და ბაგაში წავიყვან. — თიკომ ხელი რომ ჩამოართვა, იგრძნო ვაჟკაცის ხელი ისევ თრთოდა. ჯერ არ დამშვიდებულაო, იფიქრა.

— იცით რას გეტყვით? — უთხრა საბაშვილს. — შევიდეთ ჩემსას, ჩაიდავლიოთ. კიდევ ვილაპარაკოთ.

საბაშვილი გაბრუებული იყო. მაგრამ ესიამოვნებოდა ყოფნა იმ ქალთან, რომელიც ამ ხუთ-ექვს თვეში ზშირად აგონდებოდა ხოლმე, გახურებული მუშაობის დროსაც კი.

უსიტყვოდ დაჰყვა ქალის ნებას.

37

წუხელის ქარხანაში მომხდარი ამბავი სწრაფლ მოედო მუშებს და ნაცნობებს. ხოლო მებურიშვილმა თავის ოჯახში ამბავი მიიტანა თუ რა გადახვედროდა თავს საბაშვილს. ამასთანავე დაუმატა მან, რომ სირაძე დაატუსაღესო. მას დიდი სასჯელი მოეღოსო, როგორც მანებელს...

— დილამდე უნდა მოვითმინოთ. დილაზე კი ადრიან მიდი თიკოსთან და გაიგე ყველაფერი. — უთხრა სიძემ მარგოს, რომელსაც სახის გაფითრებაზე დიდი მღელვარება შეატყო.

დილით მარგო ადრიან გარბოდა თიკოსაკენ. გარბოდა და ქვეყანა არ ახსოვდა.

დის ოთახის კარები შეაღო და კარებშივე გაშეშდა. თიკო და საბაშვილი დილის საუზმეზე ისხდნენ.

— თიკომ დას გაკვირება შეატყო, სიცილით მიეგება:

— ნუ გრცხვენთან შემოდი, ჩვენ ეხლა პატარა ქორწილი გვაქვს და როცა ქარხანა გარღვევას თავს დააღწევს და მოვიცლით, დიდსაც გადაიხდით. ასე სურს სიმონს. ეს ჩემი დაა, — მიუბრუნდა საბაშვილს თიკო.

— ვიცი. შევხვედრივართ ერთმანეთს.

მარგო არ მოელოდა ასეთ შეხვედრას. ის სულ სხვას ფიქრობდა და ელოდა. მარგო მთელი დღე ტიროდა. ტასოს გონება აერია და ველარაფერს საზრისობდა. მებურიშვილი გაოცებული იყო. ვერ გაეგო, როგორ

მოხდა ეს ამბავი. თავს დამნაშავედ გრძნობდა და ცოლსა და კრლის დას პირზე ველარ უყურებდა. მაგრამ მთლად დაიბნა კაცი, როცა მარგომ თავის გულის მღელვარებას ვერ გაუძლო და ავად გახდა. რა ექნება ქალსათვის, რა ნუგეში მიეცა? სირაძეზე თითონ ააღებოდა ხელს, ეხლა მისკენ მიბრუნება მარგოსათვის ძნელი იქნებოდა. და რომ მოეხერხებია კიდევ უკვე გვიან იყო, რადგან მეზურიშვილის სიტყვა ასრულდა და სირაძე მართლაც „ჩაჯდა“. გიორგიმ იცოდა, რომ სირაძე ახალმა ცხოვრებამ, როგორც ხორცმეტი ისე გასრისა, რომ მას ველარაფერი უშველიდა. საბაშვილიც ასე უცნაურად წაუვიდათ ხელიდან.

თიკომ დის ავადმყოფობა რომ გაიგო და სანახავად რომ მოვიდა, მთელი ოჯახი თითონ დახვდა შერცხვენილი. ყველას უმაღავდნენ თავიანთ შრაბეებს, თიკომაც არა იცოდა რა. საბაშვილსაც კი პირდაპირ არაფერი უთხრა მეზურიშვილმა. მუდამ იმის ცდაში იყო, როგორმე ჩუმად და მოტყუებით გაეხერხებია საქმე, საბაშვილი კი თიკოს რომ ეუფლებოდა. და რწმუნებული იყო მეგობრის რჩევას ვასრულებო.

ტასომ ველარ მოითმინა და თითქოს ხუმრობის კილოთი უთხრა:

— ქალო, ეგ რა გვიყავი. რატომ არ გაგვაგებინე? საბაშვილი ჩვენ მარგოსთვის გინდოდა.

ტასოს სიტყვებით ახლა თიკო გამოდიოდა დამნაშავე. მან გაკვირვებულმა შეხედა ჯერ უფროს დას, მერე ავადმყოფს და სიძეს. ერთბაშად ვერც კი მიხვდა, თუ რას ეუბნებოდნენ. მერე კი თოფის წამალივით იფეთქა:

— თქვენ მარგოსთვის გინდოდათ, მაგრამ საბაშვილს უნდოდა? ან რად იცით ჩუმი და ბალღური კეთება საქმისა. კიდევ ეგ ჩურჩური და კურკური გქონდათ მუდამ? მაგიტომ გადაიღო და ჩაიფუშა სირაძისა და მარგოს ქორწილი? ან რა არის ეგრე ვონება-დაკარგული ძებნა საქმროსი, რასაც მარგო სჩადის? თანაც უეჭველად მდიდარს დაეძებს ან ინეენერს? მე ეხლა ჩემს თავს მართლებას არ დავუწყებ, იმიტომ რომ მართალი ვარ და უდანაშაულო. თქვენ რაც გინდათ, ისა სთქვით. მაგრამ შენ კი გეტყვი, ტასო, სიმართლეს. შენ რალა დაგემართა? მთელი შენი ახალგაზრდობა და ძალა სწავლას შეალიე, იბრძოლე და თავი გაიტანე და მერე ყველაფერი დაკარგე... იმ ძროხასავით მოგივიდა, რომელმაც იწველა, იწველა, ბოლოს წიხლი ჰკრა და დაღვარა. ყველაფერი გადაყარე და კრუხად იქეცი. ახლა კიდევ მარგოს წინამძღვრობ. გაანებე მაგას თავი. გაუშვი სხვა გზაზე წავიდეს.

ტასო ერთბაშად აინთო. მთელ თავის სიცოცხლეში გულში ისა ჰქონდა ხინჯად, რაც ეხლა დამ წამოსძახა, ეს მისთვის აქამდის არავის უთქვამს, პირიქით ყველა აქებდა. ეხლა კი დამ არ დაინდო და პირში უთხრა, და ურიდებლად, შეუბრალებლად გაუხსნა მის გულის მუწუქს პირი და სული ატკინა.

— გისწავლია ლაპარაკი და წინდაუხედავად რომაე ვეღლაფერს! — შეუტია გაბრაზებულმა დას. თვალები კი ნოტიოთი აევესო. — მაშ რა უნდა მექნა, როცა დავწვრილშვილდი? კატის კნუტები ხომ არ უფლებს, გადამეყარა! ეხლა შენ შენი ბიჭი ბავაში რომ გყავს, განა ჩემს სიძულვედრად ვგრე იყო?..

ლაპარაკში მებუროშვილი ჩაერია:

— თიკო მართალია. საქმე მხოლოდ ის არის, რომ შენ, თიკოვ, ჩვენზე ადრე აუღე ალლო დროებას. ის, რაც ეხლა ხდება, წინათ წარმოუდგენელი იყო. წლებმა დაგვანახა, რომ დიდი საქმე კეთდება. ნახავ კიდეც თუ სიცოცხლე იქნება. მანამდე კი ჩვენც უნდა ავყვეთ ცხოვრებას.

— კი არ უნდა ავყვეთ, უნდა გავყვეთ, უნდა ჩავერიოთ მის დუღილში.

— თუნდაც ვგრე იყვეს. არ შეგედავები. შენ აკი შეუდუღდი კიდეც ეს შენი საქმეა, მაგრამ ტასოს ნუ მილანძღავ. ტასო წმინდანია, მაგან თავი დასდო ოჯახისათვის. წმინდანია, როგორც ნინო, დედაშენი, დედაჩემი.

— მაგ ძალიან ცოტაა — უპასუხა თიკომ.

— შენ ძალიან დაქვეიანებულხარ, — დასძინა სიძემ. ტასოს კი ტირილი წასქდა. თითქოს მხოლოდ ეხლა მოახერხა, ამ ოც წელიწადში პირველად, აშკარად დაეტერა ის, რისთვისაც მუდამ უტეროდა გული.

— შენა ხარ დამნაშავე! შენ დამაკარგვინე ყველაფერი! — ჩაიჭვითინა ტასომ. — წინათ დროება მამართლებდა, ეხლა? რაღა გიშლის ხელს? ჩემი ამხანაგები ყველა თავის საქმეზეა, შენ კი გუშინწინაც დამიშალე იმით გზას დავდგომოდი, როცა ამხანაგები მიწვევდნენ სამუშაოდ. არ შემოძლია! თავი სალანძღავი გავიხადე. წავალ, იქ წავალ!

— მე, მე რაღა ვქნა? — წამოიძახა მარგომ და შეხედა დებს, სიძეს.

— მოდი ჩემთან, ჩემო მარგუში. მოდი. ახლა ჭვეყნად ბევრია საქმე-ყველასათვის ბევრია.

(დასასრული)



ახდენ სმეღლი

მოთხრობები ჩინეთის წითელ არმიასზე*)

„ღი — ღი“ **)

მთის ბილიკით, რომელიც დუნგუდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა, მიდიოდა ახალგაზრდა გლეხი-ქალი ფეხშიშველა ბიკით. ქალს მიჰქონდა პატარა ბოხჩა, რომელშიაც ტანისამოსი იყო გამოხვეული, ხოლო ბიკს მარცხენა ხელში კვერცხებიანი კალათა ეჭირა. ქალი მეტად ლამაზი იყო, იქნებოდა ასე ოცდაორი წლისა. ეცვა წამოსასხამის მაგვარი, ყელთან შებნეული და თეძოებამდე დაშვებული, ლურჯი კაბა. შავი გრძელი განიერი შარვალი კოჭებამდე სწვდებოდა. განიერ გაშლილ შუბლიდან უკან გადაეარცხნილი, შავი ხშირი თმა დახვეული ჰქონდა კეფასთან. თმაში გაყრილი ჰქონდა მაგარი ბამბუკის ჩხირი, რომლის ერთი თავი წაწვეტებული იყო, ხოლო მეორე — განიერი და გამშვენებული.

რალაც განსაკუთრებული ლმობიერება და სინაზე გამოკრთოდა ახალგაზრდა ქალის შავი დიდრონი თვალებიდან და მთელი მისი ფიგურიდან, და თუ გულდასმით დააკვირდებოდით, მიხედბოდით ამის მიზეზს: ახალი სიცოცხლე ჩასულიყო მის სხეულში, სიყვარულის შედეგად წარმოშობლი სიცოცხლე, — მხოლოდ ამას შეეძლო მოეფინა მის სახეზე ასეთი ლმობიერი, ოცნებით შეზავებული ასეთი ნაზი გამომეტყველება.

მაგრამ ქალი მარტო იმ სიცოცხლეზე როდი ფიქრობდა, რომელიც მის შიგნით, მის სხეულში ვითარდებოდა. მის ცოცხალ და გონიერ თვალს და მახვილ ყურს არაფერი გამოეპარებოდა. მალ-მალ გადახედავდა ტყეს, რომელიც მთის ბილიკს ორივე მხრით მისდევდა. ზოგჯერ ხელს უნებუ-

*) ეს მოთხრობები ეკუთვნის ინგლისელ რევილუციონერ მწერალ-ქალს აგნეს სმეღლის, რომელმაც ხანგრძლივი დრო გაატარა ჩინეთში და აგვიწერა ჩინეთის წითელი არმიის ცხოვრება. მისი „მოთხრობები ჩინეთის წითელ არმიასზე“ საბჭოთა ჩინეთისათვის ბრძოლის ნათელი სურათებია.

**) უმცროსი ძმა.

რად წაიღებდა უკან, თმისკენ, ბამბუკის ჩხირისკენ, თითქოს რაღაც ყოფილიყოს იქ დამალული.

სამმა ადამიანმა იცოდა მხოლოდ ამ ბამბუკის ჩხირზე: ჩხირზე მდებარეობდა: თითონ მან, ამხანაგმა ღუნგუსში დაბანაკებული წითელი არმიის კავშირგაბმულობის განყოფილებიდან და კუნ-ლაომ, მისმა ახალგაზრდა ქმარმა, წითელი არმიის ასეულის მეთაურმა. მათ იცოდნენ, რომ ამ ბამბუკის ჩხირის ღრუ ვულში მოთავსებული იყო უფერული სითხე, თვალისთვის უხილავი მელანი, ხოლო მასში — პაწაწკინტელა ყალამი, რომელსაც ჩინელები წერის დროს ხმარობენ. იცოდნენ მათ ახალგაზრდა ქალის ძიანში გამგზავრების მიზანიც და აგრეთვე იმ წერილის ამბავი, რომელიც მას ტანისამოსთან ერთად ბოხჩაში უდო.

ამ წერილს უნდა გაეადვილებინა მისთვის მგზავრობა და იმ ადგილებში გავლა, სადაც თეთრების ჯარი იყო დაბანაკებული, ეს ჯარი კი რკალივით ერტყა ღუნგუს მთას. წერილი გამოგზავნილი იყო ძიანიდან, სადაც მისი ქმარი ვითომ ნოქრად მსახურებდა სამანუფაქტურო მალაზიაში.

„დაუყოვნებლივ წამოდი მაგ წითელი ბანდიტების მიდამოებიდან. — ნათქვამი იყო წერილში. — გამოუარე ბეზიაშენს პიტანში და შემდეგ გამოემართე ძიანისკენ. გული შიშით მევსება და გონება მერევა, როდესაც ვავიხსენებ, რა განსაცდელი მოგელის მანდ, წითლებთან“.

— შესძლებ კი ამ დავალების შესრულებას? — ჰკითხეს ახალგაზრდა ქალს ქმარმა და ამხანაგმა კავშირგაბმულობიდან.

— განა მე პირველად ვასრულებ ასეთ დავალებას ამ ორი წლის განმავლობაში? — ამაყად მიუგო მან. — ეხლა ისინი უფრადლებასაც კი არ მომაქცევენ.

მათ იცოდნენ, რას გულისხმობდა ქალი, როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა: მალე იგი დედა უნდა გამხდარიყო და ამ გარემოებას ხელი უნდა შეეწყო მისთვის დავალების შესრულებაში.

მიდიოდა ქალი მთის ბილიკით და ფიქრობდა ყოველივე ამაზე, თან ელაპარაკებოდა ბიჭს, რომელიც გვერდით მისდევდა. ზოგჯერ გადახედავდა ხოლმე თავის თანამგზავრს, გამხდარ, მზისაგან სახედამწვარ ცამეტი წლის ახალგაზრდას, რომელსაც მოკლე მსუბუქი, მკერდზე გადაღული ზალათი ეცვა. გახუნებულ მოკლე შარვალზე წელთან შემოხვეული ჰქონდა განიერი მალდის სარტყელი. სარტყელში დამალული იყო ფანქრის ნაქერი და რგვლად დახვეული ბამბუკის თხელი ქაღალდის ნაფლეთი. მეტად ცოცხალი და გონება-მახვილი ბავშვი იყო, მან სწრაფად ისწავლა წერა-კითხვა ჯენდიანის წითელარმიელთა სკოლაში. და აი უკვე ოთხი თვეა, რაც წითელი არმიის სარდლობის დავალებით ყველგან დადიოდა და საჭირო ცნობებს აგროვებდა.

ლაპარაკის დროს ხანდახან თავს ასწევდა და ცოცხალ თვალებს შეანათებდა თავის თანამგზავრს. ამ დროს სახე უბრწყინდებოდა, გონიერ ვიწრო, ოდნავ ელამ თვალებიდან ღიმილი გამოკრთოდა.

— მერე, არ გეშინია, დი-დი? — შეეკითხა ახალგაზრდას.

— სრულიადაც არა! ერთხელ დამიჭირეს კიდეც, ჯენდიანის მახლობლად. ზორბად მცემეს. ობოლი ვარ მეთქი, — განვაცხადე, — წითლებმა დედ-მამა დამიხოცეს, ჩვენი ქოხი აიკლეს და გაანადგურეს. უპატრონო, მშვიერი დავდივარ და აი კვერცხებს ვყიდი, რომ ერთი მუჭა ბრინჯის ფული ავიღო მეთქი... დამიჯერეს. თავისუფლად დავდიოდი მათ წორის და ვყიდდი კვერცხებს. მაშინ ჯერ კიდეც გამოუცდელი ვიყავი, ბევრი ჯურის თრფი უცნობი იყო ჩემთვის. მაგრამ უკვე ვარჩევდი თეთრების ჯარის ნაწილების დროშებს, ზოგიერთი სახის თოფებსაც. ვიხსომებდი — სად რამდენი გუშავი იდგა. ვაკვირდებოდი — როგორ იყვნენ გუშავები განაწილებული. ეხლა, რაკი წერა-კითხვა ვიცი, ვიწერ ყველაფერს, რასაც ვხედავ, რომ არ დამავიწყდეს. როცა გავიზრდები, მეტი მეცოდინება... იქნებ იმდენივე, რამდენიც იცის მათ ძე-დუნმა, რომელიც მუდამ ჩუმად არის და მუდამ ფიქრობს...

ბავშვი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა, თან მალ-მალ თავს ახალგაზრდა ქალისკენ იბრუნებდა. ზოგჯერ მათი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდნენ ხოლმე — ნათელი, ენთუზიაზმით სავსე თვალები.

— შენ? შენ ხომ არ გეშინია? — შეეკითხა თავის მხრივ ბავშვი ახალგაზრდა ქალს.

— ზოგჯერ მეშინია... როდესაც თეთრების აფიცრებს ვხვდები ან ძველ ჯარისკაცებს გენერლების არმიებიდან. მზეცები არიან.

— ჩვენ არ მოვისვენებთ, განვაგრძობთ ბრძოლას

— რასაკვირველია, განვაგრძობთ!

ბავშვი უცებ შეჩერდა ბილიკზე.

— ეხლა მე შემოვუველი ამ კლდეს და ჩრდილოეთისკენ წავალ, — სთქვა მან. — ნახვამდის, ჩემო უფროსო დავ!

— ნახვამდის დი-დი! — მიუგო ახალგაზრდა ქალმა, შეჩერდა. ერთხანს თვალი გადადევნა მიმავალ ბავშვს და როდესაც იგი კლდის ძირას ხშირ ბუჩქებში მიიმალა, მარტოკამ განაგრძო გზა.

როდესაც ქალი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც შთის გადასავალი თავდებოდა, ქვემოთ, მოშორებით, დაინახა სოფელ ღუნფუნის სახლების დბალი სახურავები და ასაწვევი ხიდი მდინარეზე. მან იცოდა, რომ ღუნფუნს მიდამოებში და სერებს შორის მიმოფანტული სახლები დაცარიელებული იყო მცხოვრებლებისაგან. სოფელი ეკავა თეთრ ჯარისკაცთა რაზმს, რომელიც ასაწვე ხიდს იცავდა.

ხიდზე იდგა ათიოდე ჯარისკაცი. როდესაც მათ ქალი დაინახეს, ყველამ თავი მისკენ მიიბრუნა. შეშფოთებული გულით უახლოვდებოდა ქალი

ხიდს. ორი გუშაგი თოფით ხელში იდგა, დანარჩენნი, უიარაღონი, იჭვე, ხიდზე, ჩაცუცქულიყვნენ და ლითონის ფულით თამაშობდნენ. როდესაც ქალი მიუახლოვდა, ისინი ფეხზე წამოდგნენ. მთელ ჯარსწინააღმდეგობა დაუარა ქალს, როცა ხანში შესული ჯარისკაცები დაინახეს. მათი კაცები ძველი, დაჭირავებული, გულჭვა და დაუნდობელი მეთომრები. ერთს ხელის თითებზე სამი ოქროს ბეჭედი ჰქონდა.

— ვინა ხარ? საიდან მოდიხარ? — უხეშად შეეკითხა ერთ-ერთი გუშაგი.

— მე ლაი-იანი მჭვია. გამოვიქეცი დუნგუდან, მივდივარ ჩემ ქმართან ძიანში. ჩემ ქმარს ეშინია წითლებისა... აი მისი წერილი.

და ქალმა გაუწოდა წითელ სტრიქონებიანი კონვერტი. გუშაგმა ჩამოართვა კონვერტი, მაგრამ არც კი შეუხედნია ზედ. სხვები შემოეხვივნენ, გამოართვეს კონვერტი და დაუწყეს სინჯვა. ამოიღეს წერილი და ისე დააცქერდნენ, თითქოს ვკითხულობთო, თუმცა კითხვა არაეინ არ იყოლა.

— ვანა მთებში წითლები არიან? — შეეკითხა გუშაგი.

— არ ვიცი. იქნებ არიან კიდევ. მე ჩემმა ქმარმა დამიბარა ციანში და იქ მივდივარ.

ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მას შეეძლო წაეკითხა წერილი. მის ამხანაგებს სახეზე ღიმილი მოადგათ. ჯარისკაცმა დაიწყო ვითომ წერილის კითხვა — ხმამალა გაიძახოდა უწმაწურ და უშვერ სიტყვებს. ქალს სიწითლისაგან სახე აენტო, ხელები მიიფარა და შეჰკივლა:

— ეგ არ არის ჩემ წერილში! მომეცით ჩემი წერილი უკან!

ერთი ჯარისკაცი წაეტანა, მაგრამ ქალმა ხელი ჰკრა და მოიშორა.

— რატომ გაქვს ასე მაგრა მოჭერილი სარტყელი? — ჰკითხა ჯარისკაცმა, მოხვია ტანზე ხელი და უხეშად დაუწყო ტუჩებში კოცნა.

ჯარისკაცებმა ხარხარი ასტეხეს, ხოლო ქალმა სახეში შემოჰკრა მოძალაღეს.

— გგონია დაგიჯერებთ, რამ იქ არ იყავი! — სტქვა გაჯავრებით ჯარისკაცმა.

— წამოდი ჩემთან! — უთხრა მეორემ. — მე წავეკითხავ შენ წერილს. აი იქ, სადარაჯოში.

სტაცა ხელი და ძალით წაათრია სადარაჯო ფარდულისაკენ, რომელიც ბილიკიდან ცოტა მოშორებით იდგა. დანარჩენები სიცილით და ხარხარით უკან გაჰყვნენ. სადარაჯოში ჯარისკაცებმა დევა ასტეხეს — ვის უნდა რგებოდა პირველობა. თავზარდაცემული შეჰყურებდა ქალი, როგორ ჰყრიდნენ კენჭს დავის გადასაწყვეტად. სულთქმა შეეკრა, პირში ენა გაუშრა.

მთელი ძალღონით ცდილობდა ქალი განთავისუფლებას ჯარისკაცი-საგან, რომელიც გააფთრებული ახვედა ტან-სამოსს. ბოლო სულ შემოაძალა სამოსი. სხეები შეპყურებდნენ და განუწყვეტლევად ხაჩხაჩებდნენ. ქალი კვლავ განაგრძობდა წინააღმდეგობას, უშენდევდა მუჩქებს ჯარისკაცს, მაგრამ ამ უკანასკნელმა სტაცა ხელში და ისე ძლიერად შეატრიალა, რომ ქალს თვალი დაუბნელდა. იგრძნო, რომ ვიღაც თმაში ჩაებლავუქა. და ინსტიქტიურად მეორე ხელი ბამბუკის ძვირფასს ჩხირს წაატანა. შემდეგ წყვილიაღმა მოიცვა მთელი მისი არსება და შეგნება.

ჯარისკაცებმა ჯერ-ჯერით გააუპატიურეს. ქალის მოღუნებული, უსიცოცხლო სხეული იატაკზე ეგდო. გაშლილი, გაწეწილი თმა მტვერსა და ნაგავში იყო ამოგანგლული. ერთი მკლავი მოზნეჭილი ჰქონდა, ზედ კანი გადაყვლეფილი იყო. ტუჩებზე სისხლის ღუფი ჰქონდა გადაკრული.

ერთი ჯარისკაცი დიდხანს დაპყურებდა გაშიშვლებულ ტანს, ფერდაკარგულ სახეს. ერთხანს თვალი დააშტერა ოდნავ ამობურცულ ადგილს მუცელზე, სადაც რაღაც ტოკავდა, თითქოს პროტესტს აცხადებდნო. მაგრამ თანდათან მუცელიც მიუჭრდა, როგორც მთელი სხეული.

გუშავმა ფეხი წაჰკრა ქალს, რათა გაეგო ცოცხალი იყო თუ არა. ცივი სხეული უძრავად იყო გამოტილი. სისხლის ღუფი უკვე გამკვრივებულიყო.

— აქ ხომ ვერ დაეტოვებთ ამას! — სთქვა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა. მოხვეტეს დაფლეთილი სამოსი და შემოახეიეს ტანზე, ხოლო ბამბუკის ჩხირი თმაში გაურჭეს. შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა დაავლო ხელი სხეულს, მდინარის ნაპირთან მიიტანა და წყალში გადაუშვა. გაისმა შაპონი და სხეული წყალში დაიშალა. ორჯერ კიდევ ამოტივტივდა იგი მდინარის ზედაპირზე. შავი გრძელი თმა ღამის ფრთებივით გადაიშალა წყალზე.

ჯარისკაცები ხიღზე იდგნენ, ერთხანს კიდევ დაპყურებდნენ მდინარეს, მაგრამ სხეული აღარ გამოჩენილა, და ისინიც დაიშალნენ. გუშავებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს, ხოლო დანარჩენებმა შეწყვეტილი თამაშობა განაახლეს.

მცირედი მანძილის გავლის შემდეგ ბიჭმა გზა იცვალა და მეორე ბილიკზე გადაუხვია. ეს ბილიკი დაბალ სერებს მისდევდა. ძლივს მოასწრო რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, რომ ერთ-ერთი სერიდან დაუყვირეს:

— შეჩერდი!

როდესაც თავი ასწია, სერზე თეთრი აფიცერი და მასთან ხუთი ჯარისკაცი დაინახა.

— ვინა ხარ? — დაულრიიალა აფიცერმა.

— მე ნან-ჯუ ვარ. ბაზარში მივდივარ, სიანცუში, კვერცხების გასაყიდად.

— ღუნგუდან მოდიხარ?

— ღუნგუში კვერცხები ვიყიდე. იქ კარგი კვერცხი იცის.

— წითლები არიან ღუნგუში? რამდენი კაცი იქნება?

— არ ვიცი. წითლებთან მე არავეითარი საქმე არა მაქვს.

— გამომყევი! შენ წითელი მატყუარა ხარ! ამ კვირია უკვე მეორედ

მოდიხარ ღუნგუდან.

გარსშემოხვეულმა ჯარისკაცებმა თან წაიყვანეს. დამშვიდებული მიდიოდა, თავ-აწეული. მის შავ თვალებში ნატამალი შიში არ იყო. ხედავდა, რომ მიდიოდნენ იმ სოფლისკენ, სადაც თეთრი ჯარისკაცები იდგნენ და საიდანაც ყველა მცხოვრები გაიხიზნა. გაიარეს ტალახიანი ქუჩა, შემდეგ ეზო, სადაც ქვის სკამებზე ჯარისკაცები იხდნენ, და ბოლოს სახლში შევიდნენ.

აფიცერი ორ სხვა აფიცერს გამოელაპარაკა. ისინი ფეხზე იდგნენ და თუთუნს სწევდნენ. ფანჯარასთან ოთხი სხვა აფიცერი პატარა მაგიდას მისჯდომოდა და მაჯანს თამაშობდა*). ყველა მოთამაშის წინ ვერცხლის დოლარების პატარა სვეტი იყო ამართული.

ორმა თეთრმა აფიცერმა დაუწყო გამოკითხვა ნან-ჯუს, მაგიდასთან მსხდომნი კი ვანაგრძობდნენ თამაშს, ყურს უგდებდნენ გამოკითხვას, სწევდნენ თუთუნს და ნამწვებს იატაკზე აგდებდნენ. ნან-ჯუმ გაიმეორა კვერცხის გაყიდვის ამბავი.

— იმ წითლების შესახებ კი, ღუნგუში რომ დგანან, არაფერი არ ვიცი, — დაუმატა ბოლოს.

— მერე როგორ შედიხარ იქ და ბრუნდები უკან წითლების ნება-დაურთველად? — დაუყვირა აფიცერმა და ხელის ერთი მოქნევით კვერცხებიანი კალათა გაავდებინა.

— დავდივარ იქ კვერცხების საყიდლად, — მიუგო ბავშვმა.

მეორე აფიცერმა ჩხრეკა დაუწყო, და როდესაც სარტყელი შემოაფხრიწა, იქიდან ფანჭრის ნაჭერი და პატარა დაბეული ქალაღი გამოვარდა.

სიბრაზისაგან აფიცერს ფერი ეცვალა.

— შენ ბანდიტების ჯაშუში ხარ! — დაულოილა აფიცერმა და სახეში მაგრა შემოჰკრა. ნან-ჯუ დატორტმანდა, მაგრამ არ წაიქცა. ერთი წუთის შემდეგ იგი კვლავ წყნარად და მღუმარედ იდგა.

ეზოში მყოფმა ჯარისკაცებმა კარებთან მოიყარეს თავი. ისინი ცნობისმოყვარეობით იყურებოდნენ ოთახში.

— დახვრიტეთ ეგ არამზადა, კუს უკანონო ნაშიერი! — თქვა ერთ-ერთმა მოთამაშე აფიცერმა ისევე დამშვიდებით, როგორც დამშვიდებით ვადუნაცვლა ადგილი სათამაშო ძვალს.

*) ერთგვარი იზარტი თამაშობაა. სათამაშოდ კოჭებს ხმარობენ.

ნან-ჯუმ მიმოიხედა. კარებთან ჯარისკაცები დაინახა. ყველანი გლები იყვნენ. „ასეთი ჯარისკაცები გადადიან წითელი არმიის მხარეზე, როდესაც გაიგებენ ხოლმე, თუ რისთვის იბრძვის ხალხი“. — გაიფიქრა მან. უცებ მიტრიალდა აფიცრებისკენ და დაიძახა: *გეგლეჩქინე!*

— თქვენა ხართ ბანდიტები! თქვენა ხართ ხალხის მტრები! თქვენ ხოცავთ ჩვენ მამებს და დედებს და ცეცხლს უკიდებთ ჩვენ ქოხებს და მოსავალს! თქვენა ხართ მემამულეებისა და იმპერიალისტების ქოფაკი ძალები!

— ჩაიწყვიტე ხმა, შე არამზადავ, შენა! — დაუყვირა აფიცრმა და შემოჰკრა კბილებში.

რამდენიმე წუთს ბავშვს აღარაფერი დაუნახავს. შემდეგ პირში რაღაც თბილი და მლაშე იგრძნო. და როდესაც ხელი ტუჩებთან მიიტანა, პირიდან სისხლი წასქდა. გაიგონა, როგორ გასცეს ბრძანება. მერე ვილაყამ ხელი წაავლო და წაიყვანა. კვლავ გაიარეს ეზო, ტალახიანი ქუჩა... უცებ სოფლის ბოლოში გაჩნდნენ, საფლავებზე მიყრილ მიწასთან. წინ ჯარისკაცთა რაზმი ედგა, მისკენ თოფებ-გამოშვებულნი. ხედავდა დუნგუს ამწეობნებულ მწვერვალებს. იქ იყო წითელი არმია, იქ იყო მისი მამა, წითელი მეთაური.

— იცოცხლოს ათიათასი წელიწადი წითელმა არმიამ! — მოულოდნელად გაისმა ნან-ჯუმს წკრიალა ბავშვური ხმა.

იგრილა თოფებმა. ბავშვის სათუთი სხეული შეკანკალდა. შემდეგ წყნარად დაეშვა მიწაზე. თითქოს ფეხზე დგომით მოქანცულს ძილი მოუწინდა და მიწვაო. გამოჩნდა სისხლის პატარა ნაკადი სხეულის ქვეშიდან, შეუერთდა მეორე ასეთსავე ნაკადს და მიხვეულ-მოხვეული გზით გაემართა საფლავისაკენ.

ჯარისკაცები, თითქოს გაშეშდნენო, არ იძროდნენ. ერთმა თავი მიიბრუნა და მისი თვალები მეზობლის დაქვეტილ თვალებს წააწყდა. შერცხვით. რაღაც უხილავი ძალა მოქმედებდა ჯარისკაცებზე, თავისდა უნებურად შეჰყურებდნენ დახვრეტილ ბავშვს, რომლის ვალეღილი მკერდი თითქოს ჯერ კიდევ ფეთქდა...

ბოლოს, მოტრიალდნენ, ტალახიანი ქუჩით გაუდგნენ გზას და ეზოში შევიდნენ. ქვის სკამებზე ჩამოსხდნენ და თავები დახარეს, თითქოს სცხვენოდან ერთმანეთისათვის შეხედვა. ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ერთმა ჯარისკაცმა ჩუმი ხმით მიმართ მეზობელს:

— გაიგონე, რა თქვა?

— გავიგონე. ისინი, ყველანი, მაგრე ლაპარაკობენ.

— არ შეეშინდა სიკვდილისაც კი.

— მათ სიკვდილისა არ ეშინიათ...

სხვები დადუმებული უსმენდნენ.

- - რატომ არ ეშინიანთ წითლებს სიკვდილისა, ბავშვებსაც კი?

— იმიტომ რომ... იმიტომ რომ... ხომ გაიგონე, რა თქმაა ეს ჩვენა ვართ დამნაშავე, ჩვენა ვართ მემამულეებისა და იმპერიალისტების კოფაკი ძაღლები!

ერთ-ერთმა აფიცურმა ჩუმი ლაპარაკი გაიგონა, ^{გარეუბნის} ~~გარეუბნის~~ და ვარეთ გაიხედა. დიდხანს იდგა პირმოკუმული, მაგრამ ხმა აღარავის ამოუღია. შემდეგ ის ჯარისკაცი, რომელიც უკანასკნელად ლაპარაკობდა, უტბად ფეხზე წამოდგა, თითქოს აფიცრის გასაჯავრებლად შარვალს ხელი იტაცა და ეზოდან გავიდა. მას მეორემაც მიბაძა. აფიცური გაჩუმებული უყურებდა მათ, შემდეგ თვალი გადაავლო დანარჩენთ და ცოფმორეული ოთახში შებრუნდა.

ფანჯარასთან მაგიდაზე ოთხი აფიცური მანჯანის თამაშს განაგრძობდა. ყველა მოთამაშის წინ დოლარების პატარა სვეტი იყო ამართული. აფიცრები სწევდნ თუთუნს და ნაშწევებს იატაკზე ავლებდნ.

ხუნ-ში-ცაი

სამხრეთ ძიანსის სამი რაიონის — ხინდუს, უიდუს და ჩენკანის — საზღვარზე გადაკიმულია უზარმაზარი დაბლობი, რომლის სიგრძეც ორმოცდაათ ლის უდრის. ამ დაბლობის თითქმის შუაგულში ქალაქი ჯანდიანი მდებარეობს. დაბლობს გარს არტყია ტყით შემოსილი და ხეობებით დასერილი მთები და გორები. მეტად ლამაზი და საუცხოო ადგილია. მაგრამ როგორც ყველგან ჩინეთში, აქაც ეს ბუნებით მდიდარი და საუცხოო ადგილი მონასტრებისა და მემამულეების საკუთრებას წარმოადგენს.

საითაც კი გაიხედავთ, ყველგან — ტყით შემოსილ სერებზე და ქედებზე, ლამაზ ხეობებში — დაინახავთ მონასტრების საუცხოო ტაძრებს და მემამულეების უზარმაზარ ციხე-კოშკებს. მთელი თვალუწვდენელი დაბლობიც, სახნავ-სათესი, სადაც მოჰყავთ ბრინჯი, ჩაი, თამბაქო, სელი, ბამბა, ბამბუკი (ქალაღმისთვის), უმთავრესად კი ოპიუმი, ამ სასულიერო და საერო მემამულეებს ეკუთვნის. მუშაობენ, რა თქმა უნდა, მოიჯარადრეები, საცოდავ ქოხებში მცხოვრები გლეხები, მაგრამ მოსავლის დიდი ნაწილი მიაქვთ აღნიშნულ სასულიერო და საერო მფლობელებს.

ამ სასულიერო და საერო მემამულეებს შორის დიდი ნათესაური კავშირია. ბერები, მეტადრე მალაღი თანამდებობის ბერები, მემამულეების ძმები, ბიძები ან სხვა ნათესავეები არიან.

ყოველი მონასტერი და, მეტადრე, მემამულის საცხოვრებელი ნამდვილ გამაგრებულ ციხე-კოშკს წარმოადგენს. ასეთი ციხე-კოშკი შემოვლებულია მალაღი და სქელი, ხშირად ექვსი-შვიდი მეტრის სისქის, კედლით, რომელზედაც სპეციალური სათოფურები და სადარაჯოებია მოწყობილი. კედლის გარდა, ხშირად კოშკს წყლით სავსე თხრილიც უვლის, რომელზედაც ასაწევ-დასაწევი ზიდებია.

მდიდარი მემამულის ციხე-კოშკს უზარმაზარი ადგილი უჭირავს და უამრავი შენობაა იქ მოთავსებული. კედელს შიგნით ნახავს კაცი ბალებსა ბოსტნებს, ხელოვნურ არხებს და საგუბრებს. ჰყავთ დღურებულები, უამრავი შინაური ფრინველი. საწყობები გამოქედნილია. სულსადაცაა უფავის მთელი წლის მარაგით. ხშირად ჰყავთ დაჭირავებული მეომრებიც, მინტუნებად წოდებული, რომელნიც განსაცდელის დროს თოფებით და ტყვია-მფრქვევებით იცავენ მემამულეს და მის ქონებას.

1931 წლამდე აღნიშნულ დაბლობში ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევდა ორი მდიდარი მემამულის ციხე-კოშკი. ერთი ეკუთვნოდა ლიპო გვარს, მეორე ლის გვარს. პირველი მოთავსებული იყო ქედის ძირში, დაბალ ადგილას, მეორე — ხუნ-ში-ცაი, ანუ დიდი ქვის ბანაკი — მაღალ ქედზე, საიდანაც მთელ ველს გადაჰყურებდა. პირველს იცავდა თოფებით და ტყვია-მფრქვევებით შეიარაღებულ მეომართა სამი ასეული, მეორეს — ხუთი ასეული.

აი სწორედ ამ დაბლობში შეიქრა 1931 წლის დასაწყისს წითელი არმია. მანამდე ქალაქ ჯენდიანში გომინდანის ჯარი იდგა. მაგრამ მან ვერ გაბედა წითელ არმიასთან შეხმა, სასწრაფოდ აიკრიფა გუდა-ნაბადი და მოძღვდა, თან ხმა დაყარა, მალე მაშველი ჯარით დაებრუნდებოდა. ამის მოლოდინში მთელი დაბლობის მემამულეებმა, ბერებმა და მათმა დაშქა-შებმა თავი შეაფარეს თავიანთ ციხე-კოშკებს, უმთავრესად კი ლიპოს კოშკს და ხუნ-ში-ცაოს. ხუნ-ში-ცაოსვე შეაფარა თავი მთელი თავისი ოჯახით ძინსიანის მილიტარისტმა ლაი შინ-ხუანმა, მდიდარმა მემამულემ მახლობელი ხეობიდან.

წითელმა არმიამ გომინდანის შეიდი დივიზიის განადგურების შემდეგ ს დაბლობი აირჩია თავის ბაზად. ყოველი მხრიდან აქეთკენ მოემართებოდნენ მუშები, გლეხები და ხელოსნები. საჭირო იყო მათი შეიარაღება, გაწვრთნა და მომზადება. წითელი არმია ჯენდიანში დაბანაკდა. მთავარ-სარდლობამ თავის სადგომად აირჩია ხუნ-ში-ცაის მფლობელის უზარმაზარი ტაძარი ჯენდიანში.

წითელმა არმიამ სამი თვე დაჰყო იქ და ამ სამი თვის განმავლობაში მრავალი საყურადღებო ამბავი მოხდა. წითელმა არმიამ მოსვლისათანავე გამოჰყო რაზმები მემამულეებისა და ბერების ციხე-კოშკების ასაღებად. ხელოსნები და მუშები, ღარიბი და საშუალო გლეხები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ამ საქმეში და ყოველნაირად ეხმარებოდნენ წითელ არმიას.

წერილი სიმაგრეები მალე იქნა აღებული. იმართებოდა ტყვე ბერებისა და მემამულეების საჯარო გასამართლება. თვით ხალხი ასამართლებდა მათ. თითქმის ყოველთვის გასამართლება ბრალდებულთა დაბერებით თავდებოდა. სამაგიეროდ გაძნელდა ორი ზემოთაღნიშნული ციხე-კოშკის აღება.

მემამულე ლიანოს კოშკი მდებარეობდა დაბლობის ხაზით დაქანებაზე. მას გარს შემოვლებული ჰქონდა წყლით სავსე ღრმა თხრილი, რადგან პირდაპირი იერიშით კოშკის აღება შეუძლებელი იქნებოდა. არმიელებმა და გლეხებმა ალყა შემოარტყეს, და იმ დროს, როცა კოშკის კართნი მახლობელ გორაკებიდან ტყეიას უშენდენ, სხვები ხეებს, ქვებს, მორგვეებს ჰყრიდენ თხრილში. უნდოდათ წყლიანი თხრილი ამოევსოთ, გადასულიყვნენ ზედ და შემდეგ ბამბუკის კიბეების? წებობით მაღალ კედელს ზევიდან მოქცეოდენ. რამდენჯერმე სცადნ: ძეომრებმა ამნაირად იერიშის მიტანა და სიმაგრის აღება, მაგრამ ყოველმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგან ალყაშემორტყმულთ უხვად აღმოაჩნდათ ტყვია-წამალი და თოვებისა და ტყვიაფრქვევების სროლა არც ერთი წუთით არ შეუჩერებიათ.

მაშინ სარდლობამ გადაწყვიტა თხრილ ქვეშ გვირაბის გაყვანა. ახლაც ერთნი გვირაბს თხრიდენ, სხვები სროლით აყრუებდენ კოშკში მყოფთ. რომ არ გაეგონათ ნიჩბებისა და წერაქვების ხმა, გვირაბი სანახევროდ არ იყო ჯერ გათხრილი, რომ წყალმა გაარღვია თხრილის ძირი და გვირაბი ამოაესო, ამასთან დაიღუბა გვირაბში მყოფი რამდენიმე მომუშავე. გენერალურ შტაბში მიღებული ცნობებით, თურმე ერთ-ერთ მეთაურს, მემამულის შვილს სხვა რაიონიდან, საიდუმლოდ უცნობებია ალყა-შემორტყმულთათვის გვირაბის გათხრის ამბავი. იგი დაუყოვნებლივ გაასამართლეს და დახვრიტეს. ხოლო წითელარმიელები შეუდგნენ ახალი გვირაბის გაყვანას, თხრა დაიწყეს გლეხთა ქობების მხრიდან.

ახალი გვირაბი უფრო ღრმა და განიერი იყო. მთელი თვე მოუწინდენ მის თხრას და ბოლოს მაინც დაამთავრეს. გვირაბი გადიოდა თხრილს, კედელს და შენობებს ქვეშ და აღწევდა კედელს, რომელიც კოშკს მეორე მხრიდან უვლიდა. დიდძალი დინამიტი შეიტანეს გვირაბში. გლეხები მაინც შიშობდენ, ვაი თუ ვერაფერი დააკლოს უზარმაზარ შენობებს და ჩვენი მტერი უვნებელი გადაარჩესო. ეს დინამიტი წითელმა არმიამ უკანასკნელი თვეების ბრძოლის დროს თეთრებს დააყრვეინა.

ბოლოს, ზონარი გააბეს და ცეცხლი წაუკიდეს. წითელარმიელები და გლეხები შორიდან უყურებდენ. მრავალი ათასი თვალი ვაშტერებული მისჩერებოდა ციხე-კოშკს. გაისმა აფეთქების საზარელი ხმა. შირველ აფეთქებას იმავე წუთს მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე, და ყოველთვის შალსა პაერში ავარდნილ შენობათა ნაწილები ზარითა და ზათქით ეცემოდა ძირს მიწაზე. როდესაც აფეთქება მიუღწა, ჯარმა იერიში მიიტანა. წითელი მებრძოლები წყალში ჩაყრილი ხეებით გადავიდნენ თხრილს, კიბეების შემწეობით გადაეშენენ კედელზე. გააღეს კარი და ჩამოუშვეს ხიდი. მალე მემამულეთა სიმაგრე ხალხით გაივსო. ციხე-კოშკი ნანგრევების ბროვას წარმოადგენდა. მათ ქვეშ დამარხული აღმოჩნდნენ ადამიანებიც. გვამებთან ერთად აჭა-იქ ეყარა დახოცილი ღორები, ძროხები, ძაღლები, ქათმები.

ჩრდილოეთის კედელთან საწყობებში აღმოაჩინეს სურსათ-სანოვების უამრავი მარაგი — ბრინჯი, მუხუნო, ქონი, ლორი. აფეთქებას ამოვადო მიწაში ჩაფლული ოქრო-ვერცხლით გაჭედვით სკივრები. კედელში დატანებულ ერთ დიდ საწყობში, რომლისთვისაც აფეთქებას ეყრდნობოდა და ეკლო, ნახეს დიდძალი ობიუმი, ეს ობიუმი მთელი ხალხის თვალწინ დასწვეს.

ასე დამთავრდა ლიოს საგვარეულო ციხე-კოშკის აღება. სამაგიეროდ ჯერ კიდევ ამაყად იდგა მეორე მძლავრი მემამულის ლის საგვარეულო ციხე-კოშკი — ხუნ-ში-ცაი. უკვე ორი თვე შესრულდა, რაც მას ალყა პქონდა შემორტყმული. იგი მართლაც ძნელი ასაღები იყო. არ შეიძლება ზევიდან ყუმბარების დაშენა და სრულიად შეუძლებელი იყო მის ქვეშ გვირაბის გათხრა, რადგან იგი სალკლდეზე იდგა.

ხუნ-ში-ცაის ალყა შემოართყეს წითელი არმიის მოსვლის პირველ დღესვე და გრძელდებოდა იგი წითელი არმიის წასვლამდე, მთელ ამ სამ თვეს. იმედი პქონდათ, რომ ალყა-შემორტყმულთ გამოეღეოდათ სურსათ-სანოვავე ან ტყვია-წამალი. მანამდე კი წითელმა არმიამ დიდი მუშაობა გააჩაღა, წრთენიდა და ამზადებდა ახალ ნაწილებს, აწყობდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაცოო წრეებს, მართავდა მასობრივ მიტინგებს. კომუნისტური პარტია ენერგიულად შეუდგა გლეხებისა და ხელოსნების ორგანიზაციას. დაარსდა რევოლუციონური კომიტეტი, რომელმაც ჩამორთმეული მიწები გლეხებს შორის გაანაწილა.

მაგრამ სამი თვე იწურებოდა და ალყა სასურველ შედეგს არ იძლეოდა. გლეხების თვალში ხუნ-ში-ცაის ასე დატოვება შეუძლებელი იყო. მის მაგარ კედლებს ამოფარებოდა რამდენიმე ათასი მემამულე, ბერი, მინტუანი, მილიტარისტებისა და მოხელეების მრავალი ოჯახი. სხვაგან დამარცხებულებმა ამ სიმაგრეს მოაშურეს. წითელი არმიის სარდლობის ცნობებით, მარტო მებრძოლ მინტუანთა რიცხვი ათას ორას კაცს აღწევდა.

მესამე თვის დამლევს აშკარა გახდა, რომ გომინდანის მილიტარისტები თავიანთ ძალებს პირველ რიგში ამ კოშკის დასახსნელად გამოგზავნიან ან დაიწყებენ ახალ კამპანიას წითელი არმიის წინააღმდეგ.

მაგრამ აი ერთ დღეს ცაზე, ჩრდილოეთის მხარეს, გამოჩნდა შავი წერტილი — აეროპლანი. იგი დიდხანს დასტრიალებდა დაბლობს და, ბოლოს, წითელი ღროშების მეოხებით, რომლებიც წითელარმიელებმა კოშკის კედლის ირგვლივ ხეების წვეროებს მიამაგრეს, გამოარკვია მან ხუნ-ში-ცაის მდებარეობა. მცირე ხნის შემდეგ აეროპლანი ოდნავ დაეშვა ქვემოთ და ყუმბარა გადმოაგდო. შემდეგ მეორე, მესამე, წითელარმიელნი გაოცებულნი შეჰყურებდნენ. აშკარა გახდა ყველასთვის, რომ მტერმა ხუნ-ში-ცაი წითელი არმიის მთავარ შტაბად მიიჩნია.

აეროპლანმა რამდენჯერმე შემოუარა ცაში დაბლობს და მიიმალა ჩრდილოეთის მიმართულებით. მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი კვლავ დაუბრუნდებოდა კოშკს.

წითელარმიელებმა და გლეხებმა ახალი საქმე გაიჩინეს. მათ განმავლობაში დღე და ღამ ადიოდნენ ხეებზე და დროშებიან ბამბუკებს ამაგრებდნენ ზედ. მემამულეები თავგამოდებით უშენდნენ ტყვიას, ბევრს სიცოცხლეც მოუსპეს, მაგრამ მათ ადგილს სხვები იჭერდნენ, და მალე კოშკის ირგვლივ ზღვა დროშა ფრიალებდა.

მემამულეებმა სცადეს წითელ მებრძოლთა მოსყიდვა: ერთ მშვენიერ დღეს თოკებით გადმოჰკიდეს კედელზე ლორი, ჭონის ნაჭრები, მოხრაკული ჭათმები და ბატები, ბრინჯით სავსე ტომრები. აუარებელ ვერცხლის ფულს ჰყრიდნენ ზევიდან მებრძოლთა გადასაბირებლად. ბოლოს, თოკებით მსახურიც ჩამოუშვეს მებრძოლებთან მოსალაპარაკებლად. მემამულეებმა შემოუთვალეს: თუ წითელარმიელები და გლეხები ხეებს წითელ დროშებს მოხსნიან, ალყა-შემორტყმულებისაგან იმდენ სურსათსანოვავგეს და ფულს მიიღებენ, რამდენიც მათ სიზმარშიაც არ უნახავთ, ხოლო თუ ერთ მხარეს სიმაგრეს ალყას მოხსნიან, წითელარმიელებს ოქროში ჩაესვამთ და ისე დაეამდიდრებთ, რომ ისინი დაუყოვნებლივ შესძლებენ შინ დაბრუნებას და უზრუნველ ცხოვრებასო. ამასთან მსახურმა, მემამულეთა გულწრფელობის ნიშნად, ავანსის სახით ერთი ტომარაკი ვერცხლი გადასცა წითელარმიელებს. მებრძოლთ ჯერ ხარხარი ასტეხეს, მერე თოფები მიუშვირეს და ტყვია სეტყვისავით დააყარეს კედელზე გადმოყუდებულ მემამულე-ბერებს და გადმოკიდულ ლორს, ჭათმებსა და ბატებს.

— ეს გომინდანის მფრინავები არ არიან! — თქვეს წითელმა მეთაურებმა, როდესაც კარგად დააკვირდნენ აეროპლანებს. — მათ ასეთი მანქანების მართვა-გამგეობა არ იციან. ეს უცხოელები არიან.

ხუნ-ში-ცაის კოშკის გარდა, მთელ დაბლობში და მთა-გორაკებზე წითელი დროშის ჭაჭანება არ იყო. კოშკი კი მარაოსავით შემორტყმული იყო დროშებით.

ყველა მიიმალა. არსად სიცოცხლის ნიშან-წყალი არ მოსჩანდა. ტყეში მიმალული მრავალი ათასი წითელარმიელი და გლეხი სულგანაბული შეჰყურებდა ცას. გლეხები სიხარულით მიწაზე გორავდნენ. არავის თავის სიცოცხლეში ამისთანა ამბავი არ გაეგონა, დღეს ნახულს ისინი შეილღებს და შეილიშვილებს უამბობენ.

წითელარმიელები სიცილით ამბობდნენ:

— ამ საათში დავინახავთ, როგორ შეუდგებიან გომინდანელები ჩვენს განადგურებას.

ამ დროს აეროპლანებმა იწყეს ძირს დაშვება და ყუმბარების გადმოყრა. ხან ერთი, ხან მეორე შემოუვლიდა ცაში კოშკს, ოდნავ დაეშვებოდა

ქვემოთ და გადმოაგდებდა რამდენიმე ყუმბარას. უკვე მთელი საათი გრძელდებოდა ეს მუშაობა, რომ მოწმენდილ ცაზე ხუთი ახალი ყუმბარ-მზიდი გამოჩნდა. მალე ისინიც შეუდგნენ ყუმბარების გადმოყრას. წითელარმიელები და გლეხები ნათლად ხედავდნენ ამ მუშაობას. ნაყოფს: ციხე-კოშკში ხან აქ, ხან იქ ავარდებოდა ხოლმე ალის უზარმაზარი სვეტი. მაგრამ გომინდანელები არ ცხრებოდნენ და გულზოდგინედ განაგრძობდნენ მემამულეთა ბუნაგის განადგურებას.

ბოლოს, აეროპლანებმა უკანასკნელი წრე შემოავლეს ცაში და ამაყად და მედიდურად გაემართნენ ჩრდილოეთის მიმართულებით.

როდესაც წითლები ერთ-ერთი დანგრეული კედლით ხუნ-ში-ცაიში შევიდნენ, მათ თვალწინ საზარელი სურათი გადაიშალა: არც ერთი დაუნგრეველი შენობა, არც ერთი ცოცხალი ადამიანი არ აღმოჩნდა იქ. ადამიანთა გვამებთან ერთად ეყარა ცხოველთა დასახინჩრებული ლეშები. ხუნ-ში-ცაი მრავალი მემამულის, ბერის, მათი მოწაფეებისა და ფეხის ამყოლების საფლავად გადაიქცა. მანვე შეიწირა მილიტარისტ ლაი ში-ხუნისა და ყველა შემოპარ მინტუანის სიცოცხლე.

დახოცილნი დაასაფლავეს. წითელ მებრძოლთ მრავალი დღე დასჭირდათ, ვიდრე ნანგრევებისაგან შენობათა იატაკებს გაანთავისუფლებდნენ. როდესაც ეს იატაკები ააფეთქეს, ნახეს რამდენიმე დიდი სკივრი, რომლებშიაც აღმოჩნდა ერთ მილიონამდე ვერცხლის დოლარი, მრავალი ოქრო, ძვირფასი ქვები და სხვა განძეული.

წითელარმიელებმა სიხარულით გადაზიდეს მთელი ეს დოვლათი წითელ არმიის მთავარ შტაბში.

— იმდენი ოქრო-ვერცხლი აღმოჩნდა, რომ შევძლებთ მუშათა და გლეხთა ბანკის დაარსებასო, — ამბობდა ყველა.

ახალ საბჭოთა ტერიტორიაზე მუშურ-გლეხური ბანკის მოწყობა დღიურ საკითხად იყო გადაქცეული. ერთი ასეთი ბანკი უკვე არსებობდა დინჯოუში, ფუძიანის პროვინციაში, ხოლო მეორე — ჩენკანში. ორივე ბანკს მრავალი განყოფილება აქვს სოფლად. აძლევენ სესხს გლეხებს, მუშებს და ხელოსნებს, აფინანსებენ კოოპერატივებს. გლეხები ამყობენ ამ ბანკებით. ბანკი მათ საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უძლიერეს ბურჯად მიაჩნიათ.

ჯერ კიდევ ხუნ-ში-ცაის აღებამდე ჯენდიანის დაბლობის და მახლობელი ხეობების გლეხებმა მოახდინეს არჩევნები ადგილობრივ საბჭოებში.

წითელარმიელები და გლეხები დიდხანს იგონებდნენ და ზოგჯერ დღესაც იგონებენ ხუნ-ში-ცაის მიუვალ ციხე-კოშკის აღების ამბავს.

— დიად, მოხერხებული მუშაობის შედეგად ზოგჯერ მტრებიც ჩვენ სასარგებლოდ მუშაობენ. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ხუნ-ში-ცაიში ყველა შენობა დაინგრა. შეგვეძლო გაგვემართა აქ სანატორიუმი წითელი არმიისათვის, სკოლა და მუშათა და გლეხთა ბანკი.

ლი-კეის სიკვდილი



ბრძოლა გათავდა, წითელი დროშები დაეშვა. ახალგაზრდა მებრძოლები იუ-კუნის სისხლით მორწყულ ფერდობზე იდგა და თანდათან მშენებლის ლი-კეის უძრავ სხეულს მდუმარედ დაჰყურებდა. ლი-კეის მხარეს მხოლოდ იყო ჩაფლული, მის ქვეშ მუქი სისხლი გაყინულიყო. ფეხებზე მკვდარს ხელი ბალახი და ჩვრები ჰქონდა შემოხვეული. გამხდარ, განზე გაშვებული ხელთან ბამბუკის სალამური ეგდო. ლი-კეის ხელები და სალამური ახლად მოთხრილ მიწაში იყო ამოსვრილი.

იუ-კუნმა ღრმად და მწარედ ამოიოხრა. შემდეგ თვალი მიმოავლო მიდამოს. ქვემოთ, მთის ბილიკზე, სადაც წითელი არმიის რაზმი ჩრდილოეთიდან მომავალ თეთრი ჯარის პოლკს შეებრძოლა, ჯერ კიდევ ბლომად მოსჩანდა წითელარმიელთა გვამები, ხოლო მათთან ერთად — მტრის გვამები. ზოგი პირდაღმა ეგდო. ისინი მაგრა ჩაბლაუქებოდნენ მტრისთვის წართმეულ თოფებს.

ბარებისა და ნიჩბების ხმამ იუ-კუნის ყურამდე მიალწია. მალე აქაც მოვლენ და ლი-კეის, სხვა ამხანაგებთან ერთად, ოდნავ ამოთხრილ საფლავში ჩაუშვებენ. აქ, ამ გორაკის ფერდობზე, ხუნანის პროვინციაში, სამუდამო განსასვენებელს ჰპოვებს მისი პატარა მეგობარი, მისი „ლი-დი“ — უმცროსი ძმა. ძმა, მაგრამ არა ღვიძლი ძმა. პატარაობიდანვე ისინი ერთად იზრდებოდნენ, ერთად თამაშობდნენ. იუ-კუნი ორი წლით უფროსი იყო თავის მეგობარზე, იგი ყოველთვის იცავდა მეგობარს, ანუგეშებდა. ერთად ეძებდნენ და პოულობდნენ სათამაშოებს — ნაირნაირ კენჭებს, ლამაზ ყვავილებს, მდიდართა სახლებიდან ჩამოცვივებულ მრავალნაირად შეფერადებულ კრამიტის ნატეხებს. ამ ნატეხებს ორ წყებად ამწყვრივებდნენ, შუაში რბილ მიწას ჰყრიდნენ, ხოლო მიწას ზევიდან მწვანე ბალახით ამკობდნენ. ეს იყო „ლაფანი“ — ბრინჯის ყანა. მათი საყვარელი თამაშობა საქმლის მომზადება იყო, ხოლო შემდეგ სუფრის გაშლა და ნადიში. მხოლოდ ერთხელ სცადეს „მუშაობის“ თამაში. წარმოიდგინეს, რომ ისინი მალაროს მუშები იყვნენ, ისევე, როგორც მათი მამები. მეზობლის ბიჭი, მათზე უფროსი, მალაროს პატრონის როლს ასრულებდა. და როდესაც მან შოლტი გადაუქირა ლი-კეის, ამ უკანასკნელს, სიმწარისაგან მოკრუნხულს, თვალბინა ცრემლი წასქდა. იუ-კუნმა მაშინვე თამაშობა შეწყვიტა, მეზობლის ბიჭს გამოუცხადა — გასცლოდა მათ, და მას შემდეგ ამ თამაშობას აღარ დაბრუნებია.

ვიდრე იუ-კუნი ლი-კეის უძრავ სხეულს დაჰყურებდა, მისი გონების თვალწინ მრავალმა შებნეულმა სურათმა გაიელვა. გაახსენდა, თორმეტი საათის მუშაობის შემდეგ როგორ ბრუნდებოდნენ მალაროდან ხელი-ხელ გადაბმულნი თავიანთ ქოხებში. გაახსენდა მალაროელთა მიტინგები, ბრძოლა, მუშების ხოცვა-ჟლეტა. შემდეგ — აჯანყება შუიკოუსიანში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა იუ-კუნი და მასთან ერთად ლი-კეიც. თვალ

წინ წარმოუდგა ლიუიანიდან წამოსულ მალაროელთა მარტოზანული ომები. აი ამის შემდეგ გახდნენ ისინი მებუკეებად წითელ არმიას. მაგრამ ლი-კეი ხშირად გადასდებდა ხოლმე განზე თავის ბუკებს და ბამბუკის სალამურზე უკრავდა. ეს სალამური ლი-კეის ერთმა გლეხმა კრწანულიუნიანში.

სწრაფად გაურბინა თავში მძიმე ლაშქრობის სურათებმა, როდესაც წითელი არმია ბრძოლით მიემართებოდა ლიუიანიდან ჩალინისაკენ — მთებში მდებარე რევოლუციონურ ქალაქისაკენ. არმია ლიუიანიდან შუალამისას გამოვიდა. მოწმენდილ ცაზე სავსე მთვარე კაშკაშებდა. ტყიანი ხეობები წყვლიადს მოეცვა, სამაგიეროდ შიშველი კლდეების მწვერვალები ლაპლაპებდა მთვარის შუქზე.

იუ-კუნი და ლი-კეი ჯუ-დესთან და ორ ასეულთან ერთად მიდიოდნენ. ამ ასეულებში მწვერავი და გზის მაჩვენებელი გლეხები იყვნენ. მათთან ერთად მიაბიჯებდა ახალგაზრდა ქალი ჩანი, რომელიც ლიუიანში ჯუ-დეს მისთხოვდა. იგი უკვე არმიის პოლიტგანყოფილების მუშაკი იყო.

იუ-კუნს რატომღაც გაახსენდა ტყვია-ფრქვევების ყრუ ჩხარუნი. ხმაური აკრძალული იყო; დაშლილი ტყვია-ფრქვევები შხრებით მიჰქონდათ. ყველა ხმაგაკმენდილი მიდიოდა. წინ მიძუნძულებდნენ მთის მარდი ცხენები, მათ ზურგით პატარა სამთო ზარბაზნები მიჰქონდათ. როდესაც ლი-კეი იღლებოდა და ფეხებს ძლივს მიათრევდა, ჯუ-დე დაავლებდა ხელს და ერთ-ერთ ცხენზე შესვამდა. ზარბაზანზე წამოსკუპებული ლი-კეი ოდნავ გასაგონად უკრავდა თავის ბამბუკის სალამურზე ნაზ, მწუხარე პანგებს. იუ-კუნი ცხენს გვერდით მისდევდა, დროგამოშვებით თავს ასწევდა და კმაყოფილებით შეხედავდა ხოლმე თავის მეგობარს.

იუ-კუნს გაახსენდა ლიუიანის მუშები და გლეხები — ეს მამაცი, წითელი არმიისათვის თავდადებული ხალხი. ყოველნაირად ეხმარებოდნენ ისინი წითელარმიელებს. აწვდიდნენ ტანისამოსს, საცვალს, ფეხსაცმელს. ხშირად მოჰქონდათ პარკები, რომლებშიც გამოკრული იყო პირსახოცი, ხალათი, საბანი ან სხვა რამ.

შემდეგ იუ-კუნს თვალწინ წარმოუდგა მთის ფერდობებზე, ლიუიანსა და ჩალინს შუა მომხდარი ბრძოლის სურათები. ერთ წუთს არ შეწყვეტილა თოფებისა და ტყვია-ფრქვევების სროლა. წითელარმიელების არც ერთი ტყვია არ იკარგებოდა უქმად. მებრძოლნი სარგებლობდნენ ყოველსაფართო: ქვით, ხით, ოდნავ ამალღებული საფლავით. წითელარმიელებთან ერთად თავგამოდებით იბრძოდნენ გლეხებიც. შუბებით და დანებით შეიარაღებული გლეხები არასოდეს არ იხვედნენ უკან და არ გაურბოდნენ მტრის თოფსა და ტყვიას.

ცხადად ისმოდა, როგორ გასძახოდნენ წითელარმიელები მტერს:

— მემამულეების და იმპერიალისტების ჭოფაკებო! სირცხვილი თქვენ! ჩვენ ლარიბი გლეხები და მუშები ვართ! მთელი მიწა გლეხებსა და ჯარის-

კაცებს! ნუ გადაიხდით ვალებსა და გადასახადებს! მუშებო, იბრძოლეთ რვა საათის სამუშაო დღისათვის.

მტრის ჯარისკაცები ყურს უგდებდნენ ამ ლოზუნგებს. ტყვეთაზე უფრო საშიში იყო მტრისათვის. სადაური ომია? ისინი გმობენ „ბანდიტების“ წინააღმდეგ, აქ კი ბანდიტების ნაცვლად იბრძვიან მუშები და გლეხები. მთელი სოფლები გამოდიან საბრძოლველად. თვითონ ღარიბ გლეხებს, მათ ყურს ყოველ დღე ესმოდა ძახილი: „მთელი მიწა გლეხებს და ჯარისკაცებს“-ო.

ყოველივე ეს გუნებას უცვლიდა მათ, სხვა აზრზე აყენებდა. ბევრი მათგანი უკვე ეკვის თვალით უყურებდა უფროსებს. ბევრი ბრძანებას აღარ ასრულებდა. ზოგი ჰაერში ისროდა, ზოგი კიდევ თოფითა და ვაზნებით წითლებს უერთდებოდა.

იუ-კუნს გაახსნდა, როგორ ჩიოდნენ მტრის ბანაკიდან გადმოსული ჯარისკაცები.

— აი შემომხედე მე, ში იუ-ტანს, — ამბობდა ერთი. — მე თითონ გლეხი ვარ, ჩანწელი. ერთხელ ბაზარში აფიცრების მეთაურობით მოულოდნელად თავს დაგვესხა შეიარაღებული რაზმი. შეგვიკრეს ხელები და წაგვასხეს ჯარში. დღე და ღამ გვაზიდვინებდნენ სურსათ-სანოვაგეს, საჭურველს და მრავალ სხვა რამეს. ათასი ლი მატარეს ფეხით, როგორც ტყვე. ჩემი მეზობელი გაქცევას შეეცადა, მაგრამ ესროლეს და იქვე მოკლეს. უმწეოდ დატოვებული ოჯახის მდგომარეობა აწუხებდა მას. მეც მაწუხებს ჩემი ოჯახის მდგომარეობა. და აი ესლა მოვედი თქვენთან, ვაზნები მოგიტანეთ. თქვენ ბარჯს გადაეზიდავ. დაგებმარებით განერღების დამარცხებაში. წყეულომც იყენენ ისინი!

გამოქცეული გლეხის ხმა მიუჩნდა და იუ-კუნს თვალწინ წარმოუდგა ერთი კანტონელი მუშა, რომელიც ლი-კეის სალამურზე „ინტერნაციონალის“ დაკვრას ასწავლიდა. ლი-კეი იწყებდა ჰიმნს, მაგრამ ყოველთვის რომელიმე ძველი სიმღერის პანგს ჩაურევდა ხოლმე.

ჰიმნის შემდეგ იუ-კუნს გაახსენდა ქალაქი ჩალინი, თავისი მალალი კედლით, რომელზედაც წითელი დროშები ფრიალებდა. ჩალინი ისეთივე ქალაქია, როგორც ლიუიანი, ოღონდ უფრო დიდი და ლამაზი. ჩალინმა მიიღო ყველა დაქრილი წითელარმიელი, აავსო წითელარმიელთა ტობრაკები ბრინჯით, დაურიგა მათ ფეხსაცმელი და ვერცხლის ფული გზაში ბრინჯის სასყიდლად გლეხებისაგან. წითელმა არმიამ ჩალინში ორი ასეული და ტყვია-ფრქვევები დასტოვა ადგილობრივ წითელგვარდიელთა დასახმარებლად.

მწარე დღეები განიცადა წითელმა არმიამ მთაში, ზუნანისა და ძანანის საზღვარზე. მთა თოვლით იყო დაფარული. მძაფრი ყინვა სულს უხუთავდა ყველას. არც ერთ დღეს არ გაუვლია უომრად. ჯარი არ ჩერდებოდა, მთის მიხვეულ-მოხვეული გზებით წინ მიიწევდა. იყო დღეები, როდესაც

წითელარმიელები ამბობდნენ: დღეს ორასი ლი გავიარეთო. ფეხსაცმელი დაცედა. ზოგი ფეხშიშველი მიდიოდა. ზოგი მთელი დღეები დაუფარცხნელი იყო. ყველას მკბენარი აწუხებდა. ბრინჯის ტომრებიც ძაღვზე შეთხელდა. გომინდანის ჯარმა მანამდე მთელი სოფლები დაუფარცხანოვად გადაქაშა, ამასთან გლეხებისთვის არაფერი არ მიუტია. ასე რომ წითელარმიელები ფულზედაც კი ვერაფერს შოულობდნენ.

ბევრი ავადმყოფობამ იმსხვერპლა, ბევრმა ყინვას ვერ გაუძლო მთაში. ლი-კეი ძალზე ჩამოხშა. თვალები ღრმად ჩაუცივდა. ფეხსაცმელი მთლად შემოგვლიჯა. ჩვენმა ქალმა, ჯუ-დეს ცოლმა, ჩან-ჯუმ ფეხებზე ხმელი ბალახი დაახვია, მერე ჩერებით შეუხვია. ჩერებად გამოიყენა თავისი ძველი პერანგი, რომელიც ბოხჩაში ედო. ლი-კეი მაინც თავისას არ იშლიდა. როდესაც ბრძოლის შემდეგ წითელი არმია მკირე ხნით დაბანაკდებოდა, ლი-კეი ჩამოჯდებოდა ქვაზე და აამლურებდა თავის სალამურს. გულსაკლავ ხალხურ ჰანგს ხშირად სცვლიდა ინტერნაციონალის საბრძოლო მოწოდება.

ბოლოს, უკანასკნელი ბრძოლა აქ — მთის ფერდობებზე. გომინდანის ჩრდილოეთის არმიის ერთი პოლკი ბუჩქებითა და კლდეებით დაფარული ამ ბილიკით მიდიოდა. აღმოსავლეთისაკენ მიმავალი წითელი არმია მოულოდნელად წააწყდა გომინდანელებს. არც ერთი მხარე არ მოელოდა აქ შეხვედრას. როდესაც წითელი მხვერავეების თოფის ხმა მოისმა, მახლობლად მყოფი დალილ-დაქანცული რაზმი მყისვე ფეხზე წამოიჭრა და თავლის დახმამებზე გაეშურა იქით, საიდანაც სროლის ხმა მოისმოდა. მათ არც შუბებით და დანებით შეიარაღებული გლეხთა რაზმები ჩამორჩნენ. უიარაღო ხალხი ლომივით ეძგერა თავით ფეხამდე შეიარაღებულ ჯარს. წითლების შეტევა იმდენად მდგარი იყო, რომ მტერმა ჯერ ნელ-ნელა დაიხია, ხოლო შემდეგ გაქცევა იკადრა. წითელარმიელები ფეხდაფეხ მისდევდნენ მტერს, ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი თოფი და ვაზნა წაერთმიათ. ბევრმა სიცოცხლე შესწირა, მაგრამ წართმეულ იარაღს ხელი მაინც არ გაუშვა.

ამ ბრძოლაში მტრის ტყვიამ პატარა ლი-კეის გულიც გაგშირა. უზარმაზარ ლოდთან, რომელიც მან ერთგვარ საფარად გამოიყენა, თოვლის ნაცვლად, ახლად მოთხრილი მიწა მოჩანდა. იუ-კუნმა თვალი გადაავლო ლოდს, შემდეგ შეხედა ლი-კეის მიწაში მოსვრილ პატარა ხელებს, მის სალამურს, რომლის ერთ თავსაც მიწა ჰქონდა წაფარებული. ლი-კეი თავისი ძვირფასი სალამურით თხრიდა ქვებს და, რაკი თითონ არ შეეძლო მათი სროლა მტრისათვის, რომელიღაც უფროს ამხანაგს აწვდიდა.

იუ-კუნის ყურს კვლავ მოესმა ბარებისა და ნიჩბების ხმა — თხრიდნენ საფლავებს ფერდობზე. ერთბაშად გაქრა მისი მესხიერებიდან წარსულის სურათები. ვიღაც წაეტანა მის მხრებს და ნახად ხელი მოხვია. იუ-კუნმა დახედა ხელს და დაინახა, რომ იგი სველი იყო ცრემლისაგან. ამ ცრემლმა

გაკვირვება გამოიწვია მასში, მიტრიალდა და გაჰყვა მუშებს, რომელთაც ლი-კეის გვამი მიჰქონდათ.

იუ-კუნი ხედავდა, როგორ ჩადეს მიწაში მისი პატარა ძეგლი, იგი გვერდით მოუდეს სხევებს, რომელთაც თავი შესწირეს რევოლუციის საქმეს. ძმათა საფლავში გამწკრივებული იყო მებრძოლთა, გლეხებისა და მუშების გვამები. მათ გამხდარ, მისუსტებულ სახეზე სიმტკიცე ჯერ კიდევ არ გამჭრალიყო. ღია საფლავის წინაშე იდგნენ ცოცხლები, რათა უკანასკნელად შეეხედათ თავიანთი მეგობრებისა და ამხანაგების სახეებისათვის. საფლავის ერთ მხარეს იდგა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი წითელარმიელი, ხელში ეჭირა უზარმაზარი დროშა, ხუთქიმიანი ვარსკვლავით, რომელზედაც გამოყვანილი იყო ყვითელი ნამგალი და ჩაქურჩი. დროშა მიწამდე იყო დაშვებული.

— მზად არის, მიაყარეთ! — გაისმა ბრძანება.

მუშები დაიხარნენ, დაგლეჯილ-დაფლეთილი სამოსის კალთები მოკლულთა სახეებს გადააფარეს და სასწრაფოდ შეუდგნენ მიწის მიყრას. მთის მახლობელი ბილიკიდან ბუკის ხმა მოისმა. მას მოჰყვა იარაღის ჩხარუნნი, ფოლადის წკრიალი, შიშველი ფეხების თქარა-თქური — წითელი არმია დაიძრა. დაჭრილებმა თავიანთი იარაღი ჯანმრთელ მებრძოლებს გადასცეს, ხოლო თითონ, ჯოხებსა და ამხანაგებზე დაყრდნობილნი, უკან გაჰყვნენ არმიას.

იუ-კუნმა სახე მოაშორა ძმათა საფლავს, სადაც ეხლა მისი პატარა მეგობარი ესვენა. წინ, ბილიკზე, მისმა დანისლულმა თვალმა დაინახა უზარმაზარი წითელი დროშა, რომელსაც ქარი აფრიალებდა. ჭაბუკმა მაგრად მოუჭირა ხელი თავის ნალარას, მხრები გაშალა, მკერდი წინ წამოსწია, ერთი მიმოიხედა და რაზმს დაედევნა. როდესაც დაეწია, თავისი პატარა ფეხები მხნედ და ვაეკაცურად ააყოლა დიდი ამხანაგების ფეხებს.

მოაგრძნელი ილია ალლაძე.



დავით სულიაშვილი

მოგონება სტალინზე

ბავშვობიდანვე ვიცნობდი ჩვენ სიამაყეს, დიდ რევოლუციონერს და მუშათა კლასის ბელადს იოსებ სტალინს, — მარქს-ენგელს-ლენინის შემდეგ მომავალი ცხოვრებისკენ გზა რომ გააგრძელა და მათ მიერ დაწყებული საქმე დაავიროვინა...

რამდენი ათეული წელია მას შემდეგ? თუ ეს გუშინ იყო?

მოგონებათა ქსელით გადავდივარ წარსული ცხოვრების შორეულ ხვეულებში და ერთი ფარდის ჩამოგლეჯით ჩემს წინ იშლება ცოცხალი სურათი ბავშვობის დროისა.

იქ, სადაც მტკვრისა და ლიახვის ტალღები ერთმანეთს ეჯახება, სადაც მდინარის აყირბეებული ხანჯლის პირები დინჯად მოდუღუნე მტკვრის მსვლელობას ეომება, ვიცი ლიახვისა და დამშვიდებული მტკვარის შესართავთან — თლილი ქვისა და აგურისაგან ნაშენი ორსართულიანი შენობა აყუდებულა.

ეს არამს გორის სასულიერო სასწავლებელი.

ბავშვის კრიალა ხმა, ყვირილი და ძახილი, როგორც ფრინველების თივილ-ხივილი, მუდამ გაისმის მის ეზოდან. მოუსვენარი ცელქი მოწაფეები დასვენების დროს ეზოში დარბიან, ხტიან, ჩხუბობენ, ცელქობენ. მათ კარგად იციან, რომ მალე ისევ კლასებში დაუძახებენ და მაშინ მათი სულის მწვერთელად მივილინებული მასწავლებლები, უმანკო გულის ფიცარს თავისებურ ხაზებით გაკაწრავენ.

ძველი ისტორიული ქალაქი გორი, თავისი მაღალი ჩამონგრეული ციხის კედლებით, გარეუბნით, დახურული ბაზრით, დაბალი, ერთსართულიანი სახლებით, ვიწრო ქუჩებით და სანაპირო ბაღებით — მოსახლეობის მყუდრო ცხოვრებას ატარებდა.

მისი ქუჩები სოფლის მიწყნარებულ შარავზას ემსგავსებოდა, ხოლო იმ განსხვავებით, რომ, თუ სოფელში ურმის ქრიალთან ურმულის სიმღერა გაისმოდა, აქ, რიყის ქვებით მოკირწყულულ ქუჩაზე, დანჯღრეული ეტლი ახრიგინდებოდა და დუქნების წინ მთელემარე ღიბიან ვაჭრებს გამოაღვიძებდა...

ქალაქის პირად ჩასახლებულ რუსის უბანში დილა ადრეობდა მწყემსი-ბიჭები ნახირს თავს უყრიდენ; სალამობით კი, როცა იმავე ადგილას ძროხებს გამოატარებდენ, პატარა მოწაფეები ნახირზე წაადრობას იწყებდენ.

სიხალისეობა

ამიტომ მათი ფანტაზია ზღაპრებიდან მიღებული შთაბეჭდილებით ძლიერდებოდა — წინელისაგან გაკეთებულ შვილდისრით ძველებურ მონადირესავით „ველურ ტყეში“ მეზობლის ბალიდან „ველურ“ ძროხებს ჩაუსაფრდებოდენ და „ნადირს“ შებლში უმიზნებდენ.

დამფრთხალი ძროხები ქუჩებში აქეთ-იქით გარბოდენ. გაბოროტებული მწყემსები პატარა ბიჭებს გამოუდგებოდენ. ისინი კი გარბოდენ და მეზობლის ალაყაფის კარს — „გამოქვამულს“ თავს აფარებდენ... ამაყ და მედიდური „მონადირენი“ ახლა სხვა სათამაშოს მიმართავდენ...

მყუდრო და მიძინებული იყო გორის ქუჩები.

მხოლოდ ერთხელ წლის განმავლობაში ეს ქუჩებიც ამოძრავდებოდა, მოსახლეობა გარეთ გამოვიდოდა, აივნებსა და სახლების ერდოებზე გამოეფინებოდა. ქუჩაში აფორიაქებული ხალხის მისვლა-მოსვლა გახშირდებოდა და ეკლესიების ზარების რეკა მიდამოს მოედებოდა.

ეს დღე ყველიერის დამთავრების და დიდმარხვის დასაწყისის დიდი ორშაბათი იყო. ამ დღეს ორი — ზემო და ქვემო უბანი ქუჩაზე ყენს გამოიყვანდა, ფულს მოაგროვებდა, ხალხს გაამზიარებდა და საღამოს ყენებდად გამოწყობილ ბიჭებს ლიხებში გადაყრიდა. შემდეგ კი მოგროვილი ფულით ქეიფსა და დროს ტარებას მიეცემოდა.

ჯორზე მჯდომი, თათრულ ტანისამოსში გამოწყობილი, პირზე მურწასმული ყენი, თავისი დედოფლით, დატყვევებული მიყავდათ ქუჩის შუაგულში და თან მისდევდა გროვა პატარა ბიჭებისა, მეღუქნეებისა, ხილის გამყიდველებისა, მიკიტნებისა, მოწაფეებისა და მახლობელ სოფლებიდან ჩამოსული გლეხებისა.

ქუჩა მზიარულებდა, იცინოდა. ყენს ემასხარავებოდა, ტანისამოსს ჩამოსწევდა, გვირგვინს ჩამოგლეჯდა, ჯორს უკან უხტებოდა, დედოფალს ჩქმეტდა, ხარხარებდა...

მზიარულებდა ქუჩა და იმავე დროს მოუსვენრობდა იგი, რადგან უმთავრესი, ორი უბნის შეჯიბრის შედეგი, ჯერ კიდევ წინ იყო — კრივი დაიწყებოდა საღამოს და მაშინ გადაწყდებოდა, რომელი უბანი დარჩებოდა წელს გამარჯვებული და რომელი დამარცხებული.

კრივი ვრძელდებოდა მთელი კვირის განმავლობაში და მხოლოდ ამ დღეს, დიდ ორშაბათს, უნდა დამთავრებულიყო იგი. ის იწყებოდა გორის შუა ადგილას, ეკლესიის წინ, პატარა მოედანზე.

საღამო ხანს აივნებსა და ერდოებზე გადმოეფინებოდა სადღესასწაულოდ მორთული ქალაქის მოსახლეობა, მოედანზე კი ორი მოპირდაპირე

უბანი, ზემო და ქვემო, მკლავებ დაკარწახებული, ორ ჯგუფად გაყოფილი, კრივის დაწყების მოლოდინით ნერვიულობდა.

მოპირდაპირე მხარეთა შორის მოკირწყლული მოედანზე პატარე ბიჭებით იესებოდა. ესენიც ორ ჯგუფად გაყოფილი ჯერ შორიდან შემოქრებოდნენ ერთმანეთს მუშტებით, ხოლო მალე მათ წინამძღოლი გამოუჩნდებოდა და ორ პატარა ბიჭს ყოჩებივით ერთმანეთს შეაჯახებდა.

პატარები ერთმანეთს მუშტით ცხვირ-პირში ეცემოდნენ. უფროსების მიერ გამხნეებულები დაუნდობლად ჩხუბობდნენ, დასისხლიანებული სახით მამლაყინწებივით ერთმანეთს ახტებოდნენ, აწვებოდნენ და უკუ აქცევდნენ. მაშინ დამარცხებულს მასზე უფროსი გამოუსარჩლებოდა, ამას კიდევ სხვა გამოეჭრებოდა და მალე მოედანზე დიდების ხელჩართული კრივი გაიმართებოდა. პატარა ბიჭები კი გაძვრებოდნენ, მიიმალეობდნენ...

აიგნებსა და ერდოებზე გადმომდგარი ხალხი ყიყინით და ძახილით მოკრივეებს ამხნეებდა. ზოგი ზედა უბნელ „ხოდეღს“ აქეზებდა, ზოგი ქვედა უბნელ „ხოლერას“.

კრივი გვახალისებდა ჩვენც — მოწაფეებს. მოკრივეები ჩვენი სათაყვანო და საგმირო პირები იყვნენ. ისინი ხდებოდნენ ჩვენთვის მისაბამ შავალითად.

მათი სახელები, უფრო მეტ-სახელები, — „ხოლოელი“, „ხოლერა“, „გოჯი ბიჭი“, „გლატკა“, „ციხისთაველი“, „ხიდისთაველი“ — მოწაფეების საყვარელ სახელებად იქცეოდა.

მოკრივეების მსგავსად სკოლის ეზოში ჩვენც ვაგმართავდით ხოლმე კრივს. ჩვენც გვყავდა ჩვენი „ხოლერა“, „გოჯი ბიჭი“ და „გლატკა“.

სკოლის ეზოშივე ვმართავდით ჭიდაობას და იწყებოდა შეჯიბრი პირველობაზე.

გორის სასულიერო სასწავლებელს თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ჰასაკიანები ვამთავრებდით, რის შემდეგ გადავდიოდით ტფილისის სასულიერო სემინარიაში.

სასწავლებლის დამთავრებასთან ერთად გეცილდებოდა იქაური ცხოვრება — ყენობა, კრივი, ჭიდაობა, ჭელეხობა, გორიჯვრობა და სხვა პროვინციული ამბები. ვეთხოვებოდით გამოჩენილ მოკრივეებს — ხოდეღებს, გოჯი ბიჭებს, ხოლერებს...

სემინარიაში იწყებოდა სხვა ცხოვრება, სხვა ყოფა და სხვა ზრახვები. პირველიდანვე, გავცივდებოდნენ თუ არა უფროსი კლასის მოწაფეება, მაშინვე დაგვიწყებდნენ საუბარს ჩვენი რწმენისა, ღმერთის არსებობისა და არ არსებობის შესახებ. დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ უფროსების მსგავსად ჩვენც ათეისტები ვხდებოდით.

დილის ნიავევით ახლად შემოქრილი, ცოცხალი, ამაფრთოვანებელი სოციალისტური მოძღვრება პირველ ნაბიჯებს აღგამდა სემინარიის კედლებში. ზღაპრული თქმულებასავით ჩაგვესმოდა ყურეში მუშათა კლასის გმირული ბრძოლა, მათი დაკოყრილი ხელებით შექმნილი ქაჩხინებში ჩაქურჩის დარტყმა, მათი სოციალიზმისათვის თავდადებული ბრძოლა. გვესმოდა ამ ბრძოლის გამო დატუსაღებული, გადასახლებული და გაციმბირებული მუშების შურისძიების ხმა და ჩვენც იქით მივისწრაფოდით...

როცა ჩვენ სემინარიაში შევედით, იოსებ სტალინი იქ აღარ იმყოფებოდა. უკვე სოციალისტურ მოძღვრებას ზიარებული, მუშათა უბნებში იარებოდა, მუშათა მოძრაობას წინამძღვრობდა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად მოუწოდებდა. თუმცა იგი, სემინარიის კედლებს მოკრულბული, მუშაობით ძლიერ იყო დატვირთული, მაგრამ სემინარიაში მყოფ უმცროს ამხანაგებს არ გვივიწყებდა, ჩვენთვისაც პოულობდა დროს, შურუნველობას არ გვაკლებდა და ხელმძღვანელობას გვიწევდა.

ჩვენ მალე დავუახლოვდით მას და შევეკარით ჯგუფი, მისი ხელმძღვანელობით ამუშავებული.

ხშირად ვხვდებოდით მას ალექსანდრეს (ნინოშვილის) ბაღში. მაშინ მისი აციალებული თვალები და ტკბილი საუბარი მუშათა მოძრაობის, მომავალი ბრძოლების, გამარჯვებების, თვითმპყრობელობის დანგრევისა და სოციალიზმის დამყარების შესახებ ჩვენ ყმაწვილურ გულს სიამით ააფრთოვანებდა. გახალისებული ოცნებით მომავლის კრიალა ღრუბლებში შევეტურდებოდით და ვნეტარობდით.

საჭირო იყო რევოლუციური აღზნება, გატაცება, ბრძოლებში მონაწილეობის მიღება და ჩვენც გატაცებული და მოხიბლული ვიყავით.

ჩვენ ვიცოდით, რომ იოსებ სტალინი უკვე სათავეში ედგა მუშათა წრეებს. ვიცოდით მისი ყოფა, რომელიც სავსე იყო განცდებით. ვიცოდით, როგორი წარმტაცი, ლამაზი და ამაფრთოვანებელი იყო მისი ცხოვრება, რომ იგი ბედნიერად გრძნობდა თავს მუშებთან ახლო დგომით, მათი ყოფა-ცხოვრების გაცნობით, მათი ბედის გაზიარებით, მათთან ერთად ბრძოლის წარმოებით. ჩვენ კიდევ ის ვიცოდით, რომ იგი ტფილისის პროლეტარიატს ხელმძღვანელობდა დაუშრეტელი ენერგიით, რომ განსწავლული იყო მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებით, ცოდნით, გამჭრიახობით და საქმისადმი სიყვარულით.

მაგონდება სტალინის გარეგნობა. სიღრმეში წასული თვალები, ნაოჭიანი შუბლით და ჩრდილმიყენებული თვალის უბეებით — ხშირ წარბებსა და შუბლს ზევით ბუჩქივით წამომდგარი მაგარი შავი ქოჩორი, უკან გადავარცხნილი, გაუკაფავ ტყეს მოგაგონებდა.

შელობილი კოპები სიმტკიცესა და ნებისყოფას გამოხატავდა. ხოლო როცა ღიმი გააპობდა მის შეკრულ ტუჩებს და სიბრძნეში წასული თვალები აციმციმდებოდა — მაშინ სახე ნათღებდნენ ედიფის ცისკარივით შექდებოდა და რწმენისა და იმედის გამოსახული კეპები ეხვედა, გამზნევებდა.

გამზნადარ სხეულზე ხალათი და პიჯაკი ეცვა, მუდამ გრძელი და განიერი. ჩაშვებული ნაოჭიანი შარვალი ეცვა და ბუჩქიან თავზე კეპი ეხურა.

იგი იარებოდა მუშათა უბნებში და ხედავდა, როგორი მწვავე და აუტანელი იყო მშრომელთა ხვედრი. წიგნებიდან გებულობდა, რომ „ათჯერ და ასჯერ უცდიათ მშრომელებს საუკუნეების განმავლობაში ჩამოეგდოთ დამჩაგვრელები და გამზნადარიყვენ მდგომარეობის პატრონნი, მაგრამ ყოველთვის დამარცხებული და შერცხვენილი იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ და გულში შეენახათ დამცირება, შეურაცყოფა, სიძულილი და სასოწარკვეთილება და უცნობ ცისკენ მიეპურათ თვალები, სადაც ისინი განთავისუფლებას ელოდნენ...

ხოლო იგი, იოსებ სტალინი, მუდამ მოუსვენარი და მბოზი, მშრომელთათვის მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა, გულში კოცონს აღვივებდა და მუშათა უბანში ხანძარს ანთებდა.

ბევრისათვის გასაგებად ძნელი შეიქნა მისი ფანტასტიური და იმავე დროს ასე ნამდვილად კაცობრიული ზრახვების შესრულება, ვინაიდან იგი ხშირად წინ უსწრებდა პროლეტარიატის ზრდას და, რაც უმთავრესია, გამზნეებას ღებულობდა, როცა მის გონიერებასთან შეზავებული აღფრთოვანება, მისი ნააზრევი დიდი მასწავლებლის, პარტიის ხელმძღვანელის ლენინის ღებულებებს შეხვდებოდა...

მუშათა მოძრაობა იზრდებოდა, ფართოვდებოდა და ტფილისის მუშათა ხშირ ფენებს ედებოდა.

სემინარიის დახშული კედლები, რასაკვირველია, საშუალებას არ გვაძლევდა ამ მოძრაობას მთლიანად მივცემოდით, მაგრამ ჩვენ მაინც ეახერხებდით იოსებ სტალინთან და გარეთ მყოფ ამხანაგებთან კავშირის დაჭერას. მუდამ ვიცოდით, რა ხდებოდა მუშათა წრეებში.

მაშინ გავიცანით კამოც, რომლის საშუალებითაც ჩვენ იოსებ სტალინისაგან არალეგალურ ლიტერატურას ვიღებდით. კამოს მე წინადაც ვიცნობდი. როცა გორში ვსწავლობდი, ჩემი მეზობელი იყო. ხოლო როგორ დაერქვა მას კამო, როცა გორში სინკოს ვუძახდით — ამის შესახებ შემდეგი გადმომცეს. ერთ ხანს ამხანაგი იოსები იმდენ დროს კიდევ პოულობდა, რომ კამოს ამეცადინებდა. ერთხელ მეცადინეობის დროს ოთახში შევიდა ერთი ამხანაგი და იოსებს საინტერესო ამბავზე დაუწყო ლაპარაკი. კამო ამ დროს რაღაცას სწერდა. მათ ლაპარაკს ყური მოკრა. ისიც დაინ-

ტერესდა ამ ამბით, მოუსვენრად შეირბა სკამზე და რადგან რუსულად ლაპარაკობდენ, ისიც რუსულად შეეკითხა: „კამო, სტალინი, კამო!..“ რუსული სიტყვა „კომუ“-ს მაგიერ.

რასაკვირველია, ლაპარაკი ამ შეკითხვაზე შეწყდა. **ერკენული** „კამო, კამო!..“ გაიმეორა სიცილით იოსებმა და ამის შემდეგ სხვა სახელს აღარავინ ეძახდა მას, თუ არა კამოს.

ეს სახელი მიეკუთვნა მას ამის შემდეგ და ბევრმა არც იცოდა მისი ნამდვილი სახელი და გვარი.

ხშირად იოსებ სტალინი მძიმე პარტიული მუშაობის შემდეგ დასასვენებლად თავის მეგობრებთან შეივლიდა. მისი ორი ამხანაგი მიხ. დავითაშვილი და გ. პარკაძე ერთად ცხოვრობდენ მამადავითის გორაზე.

ოთახში ტახტი იდგა. აქეთ-იქით ორი გაშლილი ლოგინი, კუთხეში დოქით წყალი და კედელზე ჩამოკიდებული პირსახოცი, — ეს იყო ამ ოთახის მორთულობა.

მიხა დავითაშვილი მუდამ წიგნს ჩასცქეროდა და როცა იოსები შემოვიდოდა, მყისვე გაიმართებოდა კამათი წაკითხული წიგნის გარშემო.

დიდხანს გასტანდა ხოლმე საუბარი აღძრულ საკითხზე. სალამო რომ მოატანდა, მაშინ და მოაგონდებოდათ, რომ უსადილონი იყვნენ და საკმელიც არაფერი ჰქონდათ. მოიჩკრიკავდენ ჯიბეებს, მაგრამ იქაც ჩხარაჩხური არ გაისმოდა.

— მაშ, იცი, რა ვქნათ? დავიძინოთ და ძილში გაიპარება შიმშილი, — წინადადებას შემოიტანდა დავითაშვილი.

მალე იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით, წაქეზებით, წიგნების კითხვით და მუშებთან დაახლოვებით ჩვენ ისე გავიზარდეთ, რომ სემინარიის საგნები აღარ გვაკმაყოფილებდა. სემინარიაშივე დავიწყეთ ბრძოლა რუტინასთან, ცრუმორწმუნეობასთან, ხატებთან და, მუშათა მოძრაობით, სოციალისტური მოძღვრებით გატაცებულებმა, სასწავლებელს თავი მივანებეთ და მუშათა უბანს მივაშურეთ.

ხოლო, როცა სასწავლებლის კედლებს გარეთ დაერჩით, როცა ცხოვრება ნამდვილი თვალთ შივათვალურეთ — შეეკრთით, თრთოლა ეიწყეთ. ჩვენმა მოღუშადებლობამ, უცოდინარობამ, გამოუცდელობამ შეგვაშინა.

ჩვენ ვეკრძალებოდით მუშაობის დაწყებას, მუშების წრეებში წასვლას და ისევე სწავლის განგრძობა, მეცნიერებით აღჭურვა მოვისურვეთ, რომ უფრო მეტი ცოდნით მიგაულიყავით მუშებთან.

მაშინ ისევე იოსებ სტალინს მივმართე და რჩევა ვკითხე.

— მივხვდი, მივხვდი! თქვენ კიდევ ჯერ დედის კალთას ვერ გასცილდით, ცხოვრებამ შეგაკრთოთ, სწავლის გაგრძელება გინდათ, მაგრამ იქნებ ამ დროს მოძრაობა დაივიწყოთ კიდევ და ბოლოს მხოლოდ ბიუროკრატები გამოხვიდეთ!..

გული შემეკუმშა. გაკვირვებული, განცვიფრებული თვალთ შევხედე.

— რატომ, რატომ ფიქრობ ეგრე იოსებ?..

— ცხოვრებაში ხდება ასე, ძალიან ხშირად ხდება. თეორია და პრაქტიკა ერთად უნდა მიდიოდეს. მაგრამ თქვენ მართლებზე ჯერ უნდა ისწავლოთ, უამისოდ არ ივარგებს.

გეგლინი

გახარებული შევეკითხე:

— ჰოდა, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

— მე ერთი მეგობარი სტუდენტი მყავს, ივლით მასთან! ის მოგამზადებთ და გიმნაზიის სიმწიფის ატესტატზე დაიქვრთ გამოცდებს. მერე უნივერსიტეტში წახვალთ, — სთქვა, შეხვედრის დრო დაგვინიშნა და წავიდა.

ფილაქანზე მიდიოდა აჩქარებული ნაბიჯით, ხელში წიგნი ეკირა და მხრების რბევით, გამხდარი და მალალი, შიარღვევდა მოსიარულეთა ტალღებს.

ჩვენ ვიცოდით, რომ იგი დღედაღამ წიგნებს კითხულობდა, მეცადინეობდა, დროს არ კარგავდა. მის წაკითხულ წიგნს ყველა იცნობდა — მოწონებული ადგილები ყველგან ფანქრით იყო ხაზგასმული. ნაპირებზე ბევრგან კითხვითი ან გაკვირებითი ნიშნები, ხშირად წარწერები, სხვა წიგნიდან მოტანილი ციტატები და სხვა.

მისი მეგობარი სტუდენტი რუსი თუ რუსეთელი ებრაელი აღმოჩნდა. ისიც სოციალ-დემოკრატი იყო, პარტიის წევრი. უნივერსიტეტიდან არეულობაში მონაწილეობისათვის დათხოვილი და დროებით ტფილისში გადმოსახლებული, ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა ხარფუხში. მასთან დავიწყეთ სიარული და მეცადინეობა ორმა. ხოლო მუშათა მოძრაობა ტფილისში სწრაფი ტემპით იზრდებოდა. ატეხილი ქარიშხალივით მიდამოს ედებოდა, მიყრუებულ კუთხეებს შეძრავდა და ჩვენც გულს გვიჩქროლებდა, არ გვასვენებდა.

ჩვენი მასწავლებელი-სტუდენტიც ხშირად გაკვეთილის მაგიერ სტუდენტთა მოძრაობის, მთავრობის დაუნდობელი რეპრესიების, მუშების გაფიცვების და მშრომელების დუსკირი ცხოვრების პირობებზე გველაპარაკებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა იოსებ სტალინი ვინახულე, მასთან ისეთა დაახლოვება ვიგრძენი, ისეთი ინტიმიური განწყობილებით ავიცხე, რომ აღარ დავუმალე და გულში მიმალული გადაწყვეტილება გავუზიარე.

ვიცოდი, რომ ჩემი აზრის გაზიარებით მას ვასიამოვნებდი. ვიცოდი მისი დებულება, რომ თუ თეორიას თან პრაქტიკა არ ახლავს — იგი მკვდარია. რომ ცხოვრებას თავის გზა აქვს და ფეხდაფეხ თუ არ მიყვები — ჩამორჩები. ამიტომ პრაქტიკული მუშაობა და მეცადინეობა ერთმანეთს უნდა მისდევდეს, — ეს ვიცოდი მე და ამიტომ ვუთხარი:

— აღარ მინდა სწავლა, გული აღარ მიმდის! იქ მინდა, მუშებთან!.. ვივლი მუშების წრეებში...

მისი ტუჩები გაიპო. თვალები აციმციმდა. სახეს რომი წითლო.

— კარგი, კარგი! ვცადოთ! აი, ეს პატარა ბროშურა — „რვა საათის სამუშაო დღე“ — კარგად წაიკითხე, შეისწავლე. სხვა მწერე კლდნა მუშათა ყოფისა და მოთხოვნების შესახებ დაუმატე და ამოკრეფე წრეში ამაზე ილაპარაკე...

მუშათა უბანში — ნაძალადეგში მივდიოდი და ვთრთოდი, ვცახცახებდი, გული მიჩქროლავდა... ხელში მეჭირა პატარა წითელკანიანი წიგნაკი. გვერდში მომდევნა კავშირი — „კურიერი“ — სანდრო მერაბიშვილი, დაბალი ტანის, ჩამჯდარი კისრით. მას ბევრი პროპაგანდისტი მიუყვანია წრეში, მათში ბევრი გამოცდილი მოლაპარაკე და მე ეს უფრო მაკრთობს... ესეც ხომ იქ დარჩება და ჩემ ლაპარაკს ყურს დაუგდებს, ეს ყველაზე მეტად შეამჩნევს ჩემს მოუშზადებლობას, უხერხულობას.

ვეკითხები:

— რამდენი იქნება წრეში?

— თუ ყველა მოვიდა, რვა კაცი უნდა იყოს! — მიპასუხებს.

„რვა! რვა საათის სამუშაო დღე!“ ეს ციფრი გაიხზირა გონებაში... რვა საათის მუშაობა, რვა საათი ძილი, რვა საათი დასვენება... ტრიბუნებს თავში წიგნიდან ამოკრეფილი აზრები.

შევედით ოთახში. უკვე მოსულან და ჩვენ გვიცდიან, რვა წყვილი თვალი და რვა შავი ხალათი — მოძრაობს, იშმუშნება...

მაგიდაზე პატარა ლამფა ბეუტავს. მკრთალად მოსჩანს საგნები, როგორც სილუეტები. სიღრმეში წასული თვალები, შავი ახალგაზრდა სახეები...

სიჩუმეა და მე ვგრძნობ ჩემკენ მომართულ რვა წყვილ თვალს. წიგნიდან ამოკრეფილი აზრები თავში იბნევა. ზოგი წინ მიდის, ზოგი უკან იხევს. ხან ერთად იკრიბება და აღარ ვიცი, რომელი წამოვწიო წინ. მერე უეცრად კორიანტელივით გაიქროლებს და სადღაც კუთხეში მიიმალება. რჩება ცარიელი ალაგი და თვალში მესახება მხოლოდ მკრთალი ოთახი და რვა წყვილი მოდუნებული მუხლი...

როგორ დავიწყო? როგორი შესავალი გავუკეთო? აკი მზად მქონდა პირველი ფრაზები. ეს თვალები, ასე რომ მიცქერიან, ვინ იცის, რას მოვლიან ჩემგან!.. რვა საათის სამუშაო დღეზე უნდა ვილაპარაკო. მინდა ყველა მოეხიბლო, ისეთი რამ ვუთხრა, რომ გულმა იფეთქოს. ყველა ავიტაცო, ავაფრთოვანო, თავდავიწყებამდის მივიყვანო...

მაგრამ აი ოთახი და ეს რვა წყვილი თვალი. ეს წითელკანიანი წიგნაკი, სათაურად რომ აწერია „რვა საათის სამუშაო დღე“ — მაშ, დავიწყოთ რვა საათის სამუშაო დღეზე... და ვიწყებ... „ამზანაგებო!..“ და თავში ტრიბუნებს ციფრი რვა. მე ვლაპარაკობ თუ ვინმე სხვა?.. ჩემი ხმაა თუ ვინმე უცხო ჩამჯდარი ჩემში!.. მაშ, რათ კანკალებს ხმა? რათა თრთოლავს სხეული? რატომ არ მემორჩილება გონება და ენა არ მისდევს

მის კარნახს? გონება ფიქრობს აი ამ რვა წყვილ თვალზე, მე რომ მომჩერებია, რვა საათის სამუშაოზე და ვერ გამირჩევია, რას ლაპარაკობს ენა...

...რვა საათის დასვენება საჭიროა! ძნელია თორმეტჯერ დაჯდეს მუშაობა. მუშებმა უნდა მოითხოვონ სამუშაო დროს შემცირება. მუშებს პავს ჩვენი ცხოვრება! როცა კაცი ნაკლებ საათებს მუშაობს, მისი მუშაობა ინტენსიურია... ამიტომ ამერიკაში თვით კაპიტალისტებმა შეამცირეს სამუშაო დრო და ამით არ იზარალებს — ლაპარაკობს ენა წიგნიდან ამოღებულ ფრაზას, მაგრამ გამახვილებული გონება ფიქრობს: თუ შემცირება ინტენსივობას იწვევს და არც ისე საზარალოა კაპიტალისტებისათვის, მაშ რატომ მაინც და მაინც ამისთვის უნდა იბრძოდოს მუშამ? და ეს კითხვა აჩერებს ენას. ენა აღარ მოძრაობს, გონება გამალებით მუშაობს.

რვა წყვილი თვალი, მე რომ მიცქერის გაკვირვებით, სიტყვის მოსმენას თხოულობს. სიტყვა აღარ არის... და მე ვგრძნობ ამას... ამას რომ ვგრძნობ, ვიბნევი... აღარ ვიცი, როგორ გავაგრძელო ლაპარაკი... რვა წყვილი თვალი და მოღუნული მუხლები ზრუნავს ციფრ მ-სავეთ. ოთახი ტრიალებს, დაეშვება დაღმართზე და მიჰქროლავს... რა შეაჩერებს ამ სრბოლას?

საფეთქლები გამალებით სცემს. სისხლი კუნთებში ჩხრიალებს და მე უმწეო თვალით შევხედავ ჩემ გვერდში მჯდომ „კურიერს“. ისიც გრძნობს უხერხულობას. სიჩუმეს არღვევს და ამხანაგებს ეუბნება:

— ახლა ცოტა შევისვენოთ, პაპიროსი მოვწიოთ და შემდეგ განაგრძობს ამხანაგი ლაპარაკს...

ოთახის ტრიალი შეჩერდა. ახლა გარკვევით ვხედავ საგნებს. პაპიროსს ვწევ, მის ბოლში ვხევეა ჩემი სახე.

ორიოდე წამოდგება. „მოითმინეთ, ამხანაგო, კიდევ ცოტა ხანს, ამხანაგი დაამთავრებს“... ამბობს კურიერი და მეც მართლა ვამთავრებ, ახლა უფრო დადინჯებული. ამხანაგებს ვპირდები, რომ შემდეგისათვის სხვა თემაზე უფრო გაადვილდება ლაპარაკი...

გარეთ გავედი — მძიმედ მიმქონდა ფეხები, თითქო წისქვილის ქვები დამკიდეს ზედ.

აბნეულად მივდიოდი, ქუჩას ავცდი, სადღაც ვიწრო ჩიხში მოვექეცი. ისევ უკან გამოვბრუნდი და რკინისგზის ლიანდაგებზე ამართულ ხიდიდან რომ გაჩირალდნებულ სადგურს გადავხედე — მაშინ გამოვერკვიე გაბრუებული თავი ფიქრებისაგან განთავისუფლდა...

შემდეგ, როცა იოსებ სტალინს შევხვდი, ჩემი დამარცხების შესახებ არაფერი ვუთხარი, პირიქით — კარგი შთაბეჭდილება გავუზიარე, ჩემი აღფრთოვანება, გატაცება და სიხარული გადავეცი.

მან მხრებზე ხელი დამარტყა, მომეალერსა, მოციმციმე თვალებით შემომხედა, გამამხნევა — „ეგრე სჯობია, ეგრე! აბა, ახლა შენ იცი!“ მი-
თხრა და წავიდა.

გ. კ. კ. კ. კ.
გ. კ. კ. კ. კ.

ახლა უკვე შეჩვეული და მომზადებული დავდიოდი წრეებში და ეგრძნობდი, რომ თეორია და პრაქტიკა ხელჩართული უნდა იარებოდეს, თორემ ან ერთი, ან მეორე უკან ჩამორჩება.

წრეებში ახლა პოლიტიკურ თემებზე, სარწმუნოებაზე და მუშის ყოფა-ცხოვრებაზე ვლაპარაკობდი. მუშები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ თანამედროვე ცხოვრების დუბჰირ პირობებზე და სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნეობაზე რომ ვებაასებოდი, მეც, გამხნეებული, აღფრთოვანებით ვლაპარაკობდი.

მიეცემაოდი მოძრაობას და ეგრძნობდი, რომ მას სათავეში ედგა იოსებ სტალინი. ვიცოდი, რომ იგი კომიტეტის წევრი იყო, რომ იგი თავდადებად მუშაობდა და ერთი ფიჭრით და აზრით აღსავსეს, არაფერი ლტოლვა გარეშე რევოლუციისა და მისი გამარჯვებისა არ იზიდავდა.

პროფესიონალი რევოლუციონერი, ბელადი ტფილისის პროლეტარიატისა მუდამ მზად იყო ხელი შეეწყო შენი მუშაობისათვის და თუ ერთ-ზელ მოხვდებოდი მისი გავლენის ქვეშ, ყოველთვის გრძნობდი მის გამამხნეებელ ხელს, მის კარნახს, წაჭეზებას, გამხნეებას, წახალისებას, და ილტვოდი იმ გზით, საითაც მისი თითი გიჩვენებდა, დარწმუნებული, რომ უსათუოდ გამარჯვებდი...

გულზეიადი ხდებოდი და მზად იყავი ამ წმინდა საქმისათვის შეგეყირა შენი ახალგაზრდობა, ენერჯია, მშობლიური კერა, ნათესავეები და მეგობრები. ერთნაირი თავდავიწყებით, სიყვარულით, რწმენით და იმედით გაპყოლოდი იმ დიად საქმეს, რომელსაც იოსებ სტალინი ემსახურებოდა.

მისი ხელმძღვანელობით ვიარებოდი წრეებში მეც და ჩემი მეგობრებიც და ეგრძნობდით, რომ გაჭირების დროს ჩვენ გვერდით გვეყოლეზოდა ჩვენი გამობრძმედილი და გამოცდილი მასწავლებელი იოსებ სტალინი.

ხოლო მან მალე ტფილისი დაუტევა და ბათომში წავიდა იქაურ მუშებში ახალი მოძღვრების შესატანად.

ჩვენ ტფილისში დავრჩით.

ბათომიდან ჩამოსული ამხანაგებისაგან ვგებულობდით იოსებ სტალინის თავდადებული, დაუდგრომელი, შეუწყვეტელი მუშაობის შესახებ. ჩვენ ვხედავდით, როგორი პოპულარული ხდებოდა იგი მუშათა მასებში, როგორ იზრდებოდა და მალღდებოდა იგი ჩვენ თვალში.

მასობრივი მუშაობის მოტრფიალე, იგი ბათომში ჩასვლისთანავე მკვეთა მუშათა უბანს და სულ მოკლე ხანში მთელი მუშები მოძრაობაში ჩააბა.

ერქუნული

ბათომიდან იგი ხშირად იბარებდა კამოს. კამოც (გამოცემის) მთავარი თავადის ტანისამოსში და ტფილისიდან მიჰქონდა სტამბის ნაწილები, შრიფტი თუ სხვა რამ.

„ცეცხლია, დაუდგარია!..“ გაიძახოდნენ ბათომიდან ჩამოსული ამზანაგები. „ხოლო ისეთი მომხიბვლელია, ისეთი გატაცებულია, რომ თუ ერთხელ მის წრეში მოხვდები, მერე თავს ვეღარ დაანებებ — უნდა გაჰყვე და მისი კარნახით იმუშაო!.. ბათომში არ იყო სტამბა და მისი ჩამოსვლისთანავე მოეწყო იგი... არ იყო ორგანიზაცია და ახლა მთელი მუშები შეკავშირებული არიან, ამოძრავებული და ამუშავებული... დიდი კაცია, დიდი!..“ — დაამთავრებდა მუშა.

მართლაც, მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ბათომის მუშების ორგანიზაცია. დაარსდა რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ბათომის კომიტეტი. ამუშავდა არალეგალური სტამბა და გაფიცვების ტალღა მოედო ბათომის ქარხნებს.

გამოფხიზლებული მუშები საბრძოლველად მალე ქუჩაში გავიდნენ. ეს იყო ცხრა მარტს 1902 წელს, როცა ბათომის ქუჩებში პირველად შეიღება წითელი დროშა მუშების სისხლით.

არ გასულა რამდენიმე თვე ამ დემონსტრაციის შემდეგ, რომ იოსებ სტალინი დაატყვევეს და ბათომის ციხეში ჩასვეს.

ბათომის მუშები დარჩენ უხელმძღვანელოდ, უორგანიზაციოდ. მოწინავე მუშები დაიჭირეს, სტამბა და კავშირი პოლიციამ გაანადგურა. ეანდარმერიის თვითნებობა და აღვირახსნილობა დაეუფლა ბათომის ქარხნებს.

მაგრამ აბა როგორ მოისვენებდა იოსებ სტალინი ციხეშიც კი, რომ თავის მიერ დაწყებულ საქმისთვის, ბათომის მუშათა მოძრაობისთვის არ ეზრუნა?

გაალმასებული გონება გამოსავალს ეძებდა. მოძებნა კიდევ. მას ეგულეობდა ახალგაზრდა მეგობრები ტფილისში, რომლებიც მის ძახილს უყურადღებოდ არ დასტოვებდნენ და იმანაც მათ მიმართა. დასწერა წერილი და მოგვიწოდა ბათომში ჩავსულიყავით დაწყებული საქმის გასაგრძელებლად. წერილი გიორგი ელისაბედაშვილის მისამართით იყო დაწერილი. ჯერ ის წავიდა ბათომში.

მერე სტალინის მახლობელმა მეგობარმა მიხეილ დავითაშვილმა მიაშურა ბათომს, ხოლო შემდეგ მალაქია ტოროშელიძესთან ერთად მეც ჩავვედი ბათომში და რომ უფრო ახლო ვყოფილიყავით მუშებთან — ქარხანაში შევედი დღიურ მუშად და ფიზიკურ ჯაფასთან ერთად პროპაგანდა-აგიტაციას ვეწეოდით როტშილდის ქარხნის მუშებში.

იოსებ სტალინი შორეულ ციმბირში გადაასახლეს, მოგვიშორეს და ჩვენი გატაცებული მუშაობაც, თითქოს ცეცხლს შემკეთებელი მოკლდაო, მინელდა.

მაღე ლეიპციგში მოვიყარეთ თავი მიხეილ დავითაშვილმა^{ნაქვეყნული} და ვეფხვი^{დავითაშვილი} ქელაქია ტოროშელიძემ, ალ. სვანიძემ, მე და სხვ.

1903 წელს ზაფხულში ლონდონის მეორე პარტიულ ყრილობაზე განხეთქილება მოხდა დელეგატთა შორის, რამაც ყრილობის მონაწილენი ორ ბანაკად გაყო — ბოლშევიკებად და მენშევიკებად.

ლეიპციგში მყოფი ამხანაგები ბოლშევიკების მიმდინარეობას მივეკედლეო.

მაღე იოსებ სტალინისაგან მიხეილ დავითაშვილმა მიიღო წერილი ციმბირიდან. წერილში აღფრთოვანებით და გატაცებით იხსენიებდა ლენინს, მის მიერ წამოყენებულ რევოლუციურ-ბოლშევიკურ დებულებებს, გამარჯვებას და მზნეობას უსურვებდა მას და მთის არწივს უწოდებდა...

ეს წერილი ჩვენ ლენინს გადავუგზავნეთ. მაღე მისგან პასუხი მივიღეთ სტალინისთვის გადასაგზავნად; წერილში იგი სტალინს აღვზნებულ კოლხიდელს უწოდებდა.

ახლოვდებოდა ცხრაას ხუთი წლის გენერალური რეპეტიცია მომავალი დიდი ოქტომბრის ბრძოლებისა. ჩვენ კიდევ ლეიპციგში განვაგრძობდით მარქსიზმის და სოციალისტური მოძღვრების შესწავლას, თან რუსეთისაკენ გვექრა თვალი და იქაურ მუშათა მოძრაობას ვეცნობოდით, მასზე ვფიქრობდით, რევოლუციურ გამოსვლებს ველოდით...

და ერთ დღეს — „Revolution in Russland!“ რევოლუცია რუსეთში, გაბონი ასი ათასი მუშით შეფესთან, ასობით დახოცილი და დაჭრილი... „რევოლუცია, რევოლუცია!.. იყიდეთ ახალი დეპეშები“... — შემოგვესმა ჩვენ ფანჯრებიდან ქუჩაში დეპეშების გამყიდველის ძახილი.

მოულოდნელი ამბებით თავბრუ-დახვეულები ქუჩებში გავცვივდით. ვინახულეთ ერთმანეთი. დეპეშები გადავათვალიერეთ. ახალი ცნობების მიღებაში ღამეები უძილობით გავტეხეთ და დავრწმუნდით, რომ ეს იყო რევოლუციის დასაწყისი.

ცხრა იანვარს პეტროგრადში დაწყებულმა სისხლიანმა კვირამ ყველას დაანახვა, რომ რევოლუცია შორს აღარ იყო, რომ იგი დღეს თუ ხვალ იფეთქებდა.

ერთი კვირის განმავლობაში დავტოვეთ ლეიპციგი, მივანებეთ სწავლას თავი და კვლავ რევოლუციური ბრძოლით აღვზნებული რუსეთისაკენ გავეშურეთ, რომ უშუალოდ მიგველო მონაწილეობა ბარაკადულ ბრძოლებში.

მოვდიოდით რუსეთში და ვიცოდით, რომ სტალინი ვაჭარბებდა და ამის გამო დაიწყო მისი პარტიის კავკასიის კომიტეტის წევრი. მოვდიოდით და გვიხაროდა, რომ ის აქ დაგვხვდა, რომ ბრძოლას კვლავ მასთან ვაწარმოებდით და მასთან ერთად ვავიშარავებდით.

ტფილისში მოსვლისთანავე ჩვენ მივაშურეთ ენევიდან წამოღებული პარტიული მისამართით („იაკა“) აღნიშნულ ბინას. იმ დღესვე ვინახულეთ სტალინი.

— ოპ, დრახინა! — მიმართა მან სახე-გაბრწყინებულმა თავის მეგობარს მიხეილ დავითაშვილს. — ჩამოხვედი? შენც?.. — და გადაგვეხვია.

— ჩამოვედი, აბა რევოლუციას მარტო შენ ხომ არ დაგიტოვებდით! — უპასუხა დავითაშვილმა, რომელსაც მეტ სახელად დრახინას ვეძახდით.

— ბიჭოს!.. რა კარგია, რა კარგია! — მხრებზე ხელს დაგვისვამდა თვალეზ-აცილებული და მოღიმარი. — სწორედ ახლა დაიწყო მენშევიკებთან გამწვავებული ბრძოლა, თქვენც დაგვეხმარეთ, თორემ ხალხი ბევრი არა გვყავს!..

— კაცო, ჩვენ რევოლუციისათვის, ბარეკადულ ბრძოლებისათვის ჩამოვედით და შენ კი...

— მოიცა, მოიცა!.. ეგეც კარზეა მომდგარი! ოპორტუნისტებსაც დავსცხობ!..

„ლეიპციგში სწავლისა და ცოდნის შეძენის მაგიერ ფრაქციულ ბრძოლას უნდებოდი და ეხლა აქაც“...

გავიფიქრე გულში.

იოსებ სტალინი ციალა თვალებით გვიმზერდა, მხრებზე დარტყმით შეგვანჯღრევდა, გვიალერსებდა და მეგობრულად გვიცინოდა:

— მაშ, გაევრობივლდით პა? პალსტუხები და მანქეტებიც რომ გავიკეთებიათ?

და იოსებ სტალინს ვუამბე, რამდენი დრო და ანერგია წავედა, ვიდრე დავითაშვილს პალსტუხის გაკეთებას ვასწავლიდით, რომ პერანგზე დაუმაგრებელი მანქეტები მუდამ ხელზე მოუცოცავდა, რის გამო თითები გაჩხირული ჰქონდა, რომ მანქეტი არ ჩამოვარდნოდა. ეგონა პალსტუხიც მოვარდებოდა და წარა-მარა მისწვდებოდა მას ყელთან, მოიქერდა და როცა გაუჭირდებოდა, როცა პალსტუხი მართლა მოუქერდა, მოგვმართავდა — თუ ძმა ხარ მიშველე, პალსტუხი გამისწორე, მიქერსო...

ამ მოგონებაზე ბევრი ვაციხე იოსები.

— ლენინი არ ნახეთ? რა ღმერთი გავიწყრათ, ისე ახლო იყავით მასთან, ლეიპციგიდან ენევაში ვერ ჩახვედით და ერთი ის მთის არწივი ვერ დამიკოცნეთ?..

— ფული არ გექონდა, სოსო, ფული!.. — ეუბასუხებდით.

— მაინც რა იცით მის შესახებ, როგორ ცხოვრობს, როგორ მუშაობს, მალალია, დაბალია... როგორ უცქერიან პარტიულ წევრებს?

ჩვენც ეუბამობდით მის საყვარელ ლენინის შესახებ, რაც შეეძლო.

ჩვენ წრეს ლეიპციგში ერთი ძველი სტუდენტი ხელმძღვანელობდა. მას ნახული ჰყავდა ლენინი და მიწერ-მოწერაც ჰქონდა მასთან, როგორც ჯგუფის წარმომადგენელს. ის ხშირად გვიამბობდა ხოლმე ლენინზე და მის ცხოვრებაზე. ხოლო მეორე პარტიული ყრილობის შემდეგ მათ შორის ეს მჭიდრო ურთიერთობა დაირღვა.

და როცა ჩვენ იოსებ სტალინს ლენინზე ეუბამობდით, მისი სიღრმეში წასული თვალეები დილის სხივით ბზინავდა...

თავის მხრივ სტალინმა გაგვაცნო ადგილობრივი მდგომარეობა. გავიგეთ, რომ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტი ბოლშევიკებისგან შესდგებოდა, ხოლო ტფილისის კომიტეტი მენშევიკების ხელში იყო.

— კარგ დროს ჩამოხვედით, სწორეთ კარგ დროს, — განაგრძობდა იგი — ზვალისთვის კავშირის კომიტეტის სხდომას მოვიწვევ, თქვენც მოხვალთ იქ და მოხსენებას გააკეთებთ იქაური ამბების შესახებ.

ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. მოკლეთ იტყოდა სათქმელს და ისეთი კილოთი, რომ უსათუოდ დაერწმუნებოდი, შეასრულებდი...

მეორე დღეს დანიშნულ კონსპირატიულ ბინაზე შევიკრიბეთ. იქ იყვნენ: იოსებ სტალინი, მ. ცხაკაია, მიხა ბოჭორიშვილი, ერთი სომეხი ამხანაგი და ჩვენ, ლეიპციგიდან ჩამოსულები — დავითაშვილი, მე და გურგენიძე.

ბინა, სოლოლაკის გორაკზე, თავისი აივნით ტფილისს გადასცქეროდა და სახლისკენ მომავალ პირებსაც შეუშინებელს არ სტოვებდა.

ფანჯრიდან გავხედავდი ქალაქის დაღარულ ქუჩებს, კოლოფებივით ერთმანეთზე მიწყობილ შენობებს, შუა გულში გამდნარ ტყვიასავით ჩაჭლობილ მტკვრის ნაკადს, იქით შორს, მეორე მხარეს, მუშათა უბნის გვერდით რკინისგზის სახელოსნოებს, სადგურს და აკვამლებულს მიდამოს და ვფიქრობდი — მალე ეს კვამლი ხანძრად გადაიქცევა და მდიდარ მოსახლეთა მყუდრო ცხოვრება ატირდება...

სახლგარეაგრეთ მომხდარი პარტიული განხეთქილების შესახებ სხდომაზე მოხსენება გააკეთა მიხეილ დავითაშვილმა.

სხდომა მალე დამთავრდა, ხოლო იოსებ სტალინი მყისვე ნალაპარაკეის პრაქტიკულად განზორციელებას შეუდგა: მან მოგვმართა ჩვენ და გვითხრა, რათა დრო აღარ დაგვეკარგა და ახლაც აღვედგინა კავშირი ძველ ნაცნობ მუშებთან და მათთვის განხეთქილების კითხვები გავვეცნო. დაგვარიგა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით და სამუშაოზე გავვიშვა.

ძველ ნაცნობ მუშებიდან მკერავ რაქდენ ჯღამაძეს შევხვდი. ჩემი ნახვა გაუხარდა. პირველად ის შემეკითხა პარტიული განხეთქილების შესახებ. მეც ეს მინდოდა. მოკლეთ და-გაკვირით აეუხსენე პარტიული განხეთქილების საკითხები, ლენინის წმინდა რევოლუციური დემოკრატია და სხვ.

მან აღფრთოვანებით მომისმინა და მთხოვა მიესულიყავ მასთან ბინაზე, სადაც კიდევ 6-7 ამხანაგი მუშა მკერავი ცხოვრობდა და მათთვისაც გამეცნო ეს პარტიული კითხვები.

მაღე მათთან სიარული დავიწყე.

სადმე ქუჩაში შევხვდებოდი იოსებ სტალინს. მაშინ ის თავის უბრალოებით და ამხანაგურა მოპყრობით, მუშაობისათვის გასამხნეებლად, ხუმრობით კისერში ხელს მომეკიდებდა და მეტყოდა:

— ეჰ! რა ბიჭი ხარ, რა ბიჭი! შენი ღდინი არ იყვეს!.. ამბობენ მენშევიკები დაგიმარცხებია და სადღაც გადაცვივულან, ჰა?..

— შენ ხუმრობ და მე კი ერთი ორიოდე ათეული მუშა უკვე გავაბოლშევიკე. — ვეტყოდი მეც, — აი მიშა დავითაშვილმაც აგრეთვე!

— აბა ვნახოთ! მაღე ნაძალადევი მოწინავე მუშების კრება იქნება. ამ კრებას მენშევიკები იწვევენ. მოიყვანეთ თქვენი მუშებიც. საქმე იმაშია, რომ კავშირის კომიტეტმა წერილი მისწერა ტფილისის კომიტეტს ვადამდგარიყო, რადგან მან კავშირის წინადადება სტამბის ვადმოცემის შესახებ არ შეასრულა. ამისი უფლება, პარტიული წესდების ძალით, ჩვენ გვქონდა. ხოლო ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ტფილისში მყოფმა მენშევიკების ლიდერებმა და ახლა მათ ეს ამბავი დემაგოგიურად უნდათ ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენონ და კრებაზე გვიწვევენ. იცოდეთ, მათ კონცენტრაცია მოახდინეს მთელი თავისი ძალებისა და ბრძოლა იქნება დაუნდობელი. უნდა ისიც ვიცოდეთ, რომ ბევრი მუშა მოწამლულია დიპლომათი მენშევიკებით. მაგრამ ეს ყველაფერი კარგია! ბარელამ გაიწმინდოს ატმოსფერა! ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე!.. — დასძინა იოსებ სტალინმა.

მენშევიკებთან შეტაკების დღეც დაინიშნა. ნაძალადევის ერთ პატარა ოთახში პაპიროსის ბოლი ღრუბელივით ეფინება ქერს. ძლივს გაარჩევ ამხანაგების სახეებს. მბეუტავი ლამფა თავისი სხივებით ვერ ჰფარავს ოთახის სივრცეს და ბურუსში დასცურავენ საგნები.

ამ სხლომაზე წავიყვანე ჩემი გაბოლშევიკებული მუშებიც. უკვე მოსულია ყველა ბოლშევიკი — იოსებ სტალინი, მ. ცხაკაია, ბოჭორიშვილი, დავითაშვილი და სხვ. ხოლო მენშევიკების ლიდერები ჯერ არსად სჩანან.

შუა ოთახში მაგიდაზე ბეუტავს ლამფა და მის გარშემო ჯგუფ-ჯგუფად დგანან მუშები. შეჯგუფულთა მხრები შეირხევა და რიგებში გამოჩნდება მენშევიკი. შეიქნება ჩურჩული, ისმის დემაგოგიური ფრაზები.

— წარმოგიდგენია ასეთი ბრძანება? ოცდაოთხ საათში გადადქიო?..

— მერე, ვისგან არის არჩეული ეს კომიტეტი? ხომ მუშებისგან?.. მაშ, როგორ უნდა უბრძანონ ზევიდან დაშლა?..

— მერე, რას ამბობენ ბოლშევიკები?

— აი ვნახოთ რას იტყვიან!..

ჯგუფში დაფუსფუსებენ და განწყობილებას კმნიან მენშევიკები..

მუშების ყურადღება მაინც იმ კუთხისკენაა მიქცეული, სადაც იოსებ სტალინი ზის. მისგან მოვლიან მართალ სიტყვას, რევოლუციურ გამამხნევებელ აზრებს. მაგრამ ამ საღამოს ბევრია მოსული „ავტორიტეტით“ მოტყუებული მუშა და დიბლომაიანი მენშევიკების თაყვანისმცემელი.

დიღბანს ვუცადეთ მენშევიკების ლიდერების მოსვლას. ისინი იგვიანებდნენ, რათა მოეხდინათ მეტი შთაბეჭდილება, ვინაიდან ასე შეგნის „ლიდერებს“ მასებში გამოსვლა.

აგერ მობრძანდნენ ისინიც. წინ მოდის ჭალარა შერეული ჭროლა თვალებიანი და მას გარს ახვევია დანარჩენები. შემჭიდროებული მხრები იშლება, ტრიუმფალური მსვლელობა წყდება და ახლად შემოსული ჯგუფი შუა ოთახში მაგიდის გარშემო ჯდება.

— ამხანაგებო, კრებას გახსნილად ვაცხადებ — ამბობს ერთი მათგანი, — კრების თავმჯდომარედ ანდრიას ვასახელებ!..

— იყოს, იყოს ანდრია! — შეძახებს ათეული მუშა.

— მერე, ვინ არის ანდრია? — ვეკითხები გვერდში მდგომს.

— ეგ არის ნოე ჟორდანიანი!

„ოო! მაშ, ეს ყოფილა ჟორდანიანი?“ — გავიფიქრე გულში და მივხვდეთ, რისთვისაც მოიყვანეს ის მენშევიკებმა ამ სხდომაზე.

კრებაზე პირველ კითხვად დაისვა კავშირის კომიტეტის მიერ ტფილისის კომიტეტისადმი მიწერილი წერილი. ამ კითხვაზე დიღბანს შეაჩერა თავმჯდომარემ მსმენელთა ყურადღება და დამსწრეთა განწყობილება მენშევიკების სასარგებლოდ შექმნა.

შემდეგმა მენშევიკმა ორატორებმა დემაგოგიურად გამოიყენეს კავშირის კომიტეტის წერილის „ბრძანებლობითი“ კილო ოცდაათი საათში გადადგომის შესახებ. ბოლშევიკების ტაქტიკა ანარქისტების და ბლანკისტების ტაქტიკას შეადარეს და მუშებს ურჩიეს, არ გაყოლოდნენ ბოლშევიკებს, რომლებიც რევოლუციას დალუბავენო...

შემდეგ ილაპარაკეს ბოლშევიკებმა. მათ კითხვა პრინციპულ ნიადაგზე დააყენეს. ხაზი გაუსვეს მენშევიკურ ოპორტუნიზმს, მათ ორტოფობას, რევოლუციის მოღალატეობას და ლიბერალების კუდში დევნას. ამხილეს, რომ ისინი შეიარაღებულ აჯანყებას ეწინააღმდეგებოდნენ, და მუშებს ურჩიეს, გაყოლოდნენ ერთადერთს რევოლუციურ-ბოლშევიკურ გზას.

როცა იოსებ სტალინი ლაპარაკობდა, მას არ უხმარია არავითარი ორატორული დემაგოგიური ხერხი, არაფერი შეურაცხყოფელი შემთხვევა,

ხოლო როცა მენშევიკები ლაპარაკობდნენ, ისინი არაერთაზრად ახსენებდნენ არ დაგიდევდნენ, ოღონდ ხმის უმრავლესობა მიელოთ. ამიტომ ერთი რომ ლაპარაკობდა, მეორე შეეგუფულ მუშებში იდგა და მსჯელობის იმდროინდელი იძლეოდა, რაც მენშევიკ ორატორების ლაპარაკს შეეგუფებოდა.

იქმნებოდა მენშევიკური ატმოსფერა. კრება ნერვიულობდა. ახლა უკვე მსჯელობის აზრი და ლოლიკა აღარ მოქმედებდა. ალესილი იყო გონება, ათრთოლებული ნერვები.

ხშირად გავხედავდი იოსებ სტალინს. ჩემი ახალგაზრდული ვნება, აღელვებული გული მოუსვენრობდა, მენშევიკების დემაგოგიური ქცევა მანერვიულებდა. მინდოდა მათთვის შეურაცხყოფის მიყენება, გინება და ლანძღვა. მაგრამ შევხედავდი იოსებ სტალინის დამშვიდებულ სახეს და ვწყნარდებოდი. ვფიქრობდი, იმან უკეთ იცის ალბათ, რომ მენშევიკების დღევანდელი გამარჯვება უმნიშვნელოა. მისი სახე, მენშევიკებისაკენ მიმართული, გამოხატავდა: „შოიკათ თქვე საცოდავებო, თვით ისტორიის გაგითხრით საფლავს, დაე ხვალ ისტორიამ თავისი თქვას“...

კამათი გაჭიანურდა. საჭირო იყო რეზოლუციის გამოტანა. ბოლშევიკები მაინც იბრძოდნენ. გამოსარკვევი იყო — რამდენი ხმის წინააღმდეგ გავიდოდა მენშევიკების რეზოლუცია, ამას მოითხოვდა იოსებ სტალინი. თუმცა ჩვენ ვეუბნებოდით — „დავანებოთ თავი, სულერთია უმრავლესობა მათია“... მაგრამ მას თავისი მოსაზრება ჰქონდა და რეზოლუციების კენჭისყრას მოითხოვდა. მაგრამ ამ დროს ვილაცამ დაიძახა: „ქუჩაში საეკვო პირები დაიარებიან, საჭიროა კრების დაშლა“...

მენშევიკებმა ფიცხლად უყარეს კენჭი თავის რეზოლუციას — „დიდი უმრავლესობა, დიდი უმრავლესობა!“ — დაიძახეს და კრება დაიშალა.

ამის შემდეგ მე მაინც დავდიოდი მკერავების ჯგუფში, მიმქონდა მათთან ბოლშევიკური კავკასიის კავშირის მიერ გამოცემული პროკლამაციები. ისინიც სიამოვნებით მართმევდნენ და კიდევ მოითხოვდნენ უფრო მეტი მიმეტანა, ხოლო რაედენ ჯღამაძემ მითხრა, რომ პროკლამაციები აღარ მიმეტანა. როცა შევეკითხე, თუ რატომ — მან მიპასუხა, რომ ისინი ჩემს მიტანილ პროკლამაციებს კი არ ავრცელებენ, არამედ სწვავენო. მენშევიკების დემაგოგიური გავლენის ქვეშ მოქცეულიყვნენ და აგერ შესაფერისადაც ამოქმედებულიყვნენ. პროკლამაციების დაწვამ ძალიან ამაღელვდა.

ათრთოლებული ქუჩაში გამოვევარდი. გული ჩქოლავდა. გაღიზიანებული გონება გამოსავალს ეძებდა... შეუღნებელი მუშები ასე უდიერად ჩემს წმინდათა წმინდას შეეხენ, ასე უმართებულოდ მოექცენ. მათი დასჯა მინდოდა, დატუქსვა მწყუროდა. კორიანტელივით აბნეული ფიქრები ერთიმეორეს ეომებოდა, ეჩხუბებოდა... „განა შესაძლოა?... მერე, ვინ? მუშამ, მუშამ!“ და ყელში მეცობოდა ბურთი, მივრბოდი... ვის-

თან?.. სად უნდა მივსულიყავი, თუ არა იოსებთან? მოედგნენ და გულამოხეტქვით გადავეცი მომხდარი ამბავი...

ჩემს აღელვებას მან თითქო არაფერი ყურადღება ვერ მიაქცია. მაგრამ ეტყობოდა, რომ მუშების ასეთი საქციელით ძლიერ მოწყობილი დაწესებულებით მითხრა — „აბა წამომყევ, მიჩვენე აქ მუშები სადა ცხოვრობენო“...

სირბილით წავეყვანე, მივედი. იოსებმა ისინი მოიხმო. განცვიფრებული მოვიდნენ. მისი მოსვლა ეუცხოვიათ. იოსებ სტალინმა ჯერ სულ უბრალო რამეზე დაუწყო მათ ლაპარაკი, სულ სხვა კითხვებზე ესაუბრა. შემდეგ ნელ-ნელა გამოჰკითხა პროკლამაციების ამბავი. გამოირკვა, რომ ისინი მართლაც სწავედნენ პროკლამაციებს. მაშინ იოსებ სტალინმა დინჯად და აუღელვებლად აუხსნა, მათ, თუ რას ნიშნავს არალეგალურად გამოშვებული პროკლამაციის დაწვა, რომ ეს პროკლამაცია მუშისაა და ისეთ სამშინელ არალეგალურ პირობებში დაბეჭდილი, რომ იქ მომუშავე ამხანაგები განწირული არიან და ასეთ მუშაობისათვის ციმბირი და კატორღა მოელით და ამ დროს მისივე ამხანაგი მუშა ამ ნამუშევარს ცეცხლს აძლევს... ამას ზომ მხოლოდ ეანდარმერია ჩაიდენს და სხვა არაფერია!.. მაშ რა უნდა ეწოდოს იმ მუშას, რომელიც ამას ჩადის?.. კიდევ და კიდევ დაუნდობლად, გახურებული შანთებით ჩხვლეტდა მათ გულს დინჯი დამაჯერებელი სიტყვები...

ერთი თვის შემდეგ კავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით მე ხაშურში წავედი სამუშაოდ. იქაურ მუშებს წინათაც ბევრს ვიცნობდი. სიხარულით შემხვდნენ. ხოლო მალე გორის მაზრაში აგრარული მოძრაობა დაიწყო, საჭირო იყო სოფლად ხელმძღვანელობა, გლეხების მუშებთან დაკავშირება და შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება. მუშებთან ერთად მივიდიოდი სოფლად და პრობაგანდა-აგიტაციას ვეწეოდი.

ზაფხულისთვის აგრარული მოძრაობა შეწყდა. მე ამ დროს სურამში ვატარებდი. ჩემი უქმად ყოფნა იოსებ სტალინს გაეგო. მაშინვე წერილი გამომიგზავნა, რომ ტფილისში ჩავსულიყავი. ჩავედი და ვინახულე. ღიმილს, მაგრამ იმავე დროს ირონიულად შემომხედა, თვალები აუციმციმდა და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად მითხრა:

— ეგ არის გათავდა შენი რევოლუციური მოღვაწეობა? რას აკეთებდი სურამში?

— რა უნდა გამეკეთებინა, როცა მენშევიკებმა ჩაიგდეს ყველაფერა ხელში?

— მაშ, შენი აზრით, იარალი უნდა დაეყაროთ, ხელები დავიკრიფოთ და ბურთი და მოედანი მენშევიკებს დავეტოვოთ? ეგ არის შენი ბოლშევიკობა? ვანა მათი ეხლანდელი გამარჯვება საბოლოო გამარჯვებას ნიშ-

ნავს? არა, ეგრე ყოფნა არ ვარგა! აი განჯაში პატარა ჯგუფის ბოლშევიკებისა, ხელმძღვანელი კი არა ჰყავთ, წახვალ?

წავიდოდი მაშ რას ვიზამდი! იოსებ სტალინიმა გითხრა და არ წახვიდე — ამას ვერ იზამ!..

ს ი ვ ლ ი მ ი მ ა

— უმკველად წავალ! — ვუთხარი.

— მაშ, ხვალ შეივლი ბოკოროშილთან, საჭირო პასპორტს, გზის ფულს და „იაკვას“ მიიღებ. ნულარ დააყოვნებ, ხვალვე წადი! შენ ეგრე ნუ გგონია, მენშევიკებს ჩვენ მალე დავამარცხებთ!

მეორე დღეს განჯისკენ მიმავალ მატარებელში ვიჯექი და მაგონდებოდა იოსებ სტალინის სიტყვები — „მენშევიკებს მალე დავამარცხებთ“... მამხნევებდა მისი ასეთი რწმენა და იმედი.

მე ვიცი, რომ იოსებ სტალინი, — პროფესიონალი რევოლუციონერი, შეუდრეკელი, მტკიცე ბოლშევიკი, მასობრივი მოძრაობის თავყვანისმცემელი, — გააფთრებით ებრძოდა მენშევიკების რაზმს; ვიცი, რომ იგი ერთი ფიქრით, ერთი შთაგონებით ამოძრავებულნი, წინ უძღოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ბოლშევიკებს, კავკასიის მშრომელებს და მწამდა, რომ მისი მხნეობით გავიმარჯვებდით.

საქართველოს საზღვრებს გაცილებული მატარებელი განჯის გუბერნიის ველებზე მისრიალებდა. აბნეული ფიქრები სწრაფ მსვლელობასთან ერთად რბოდა, სრიალებდა და მიქროდა. ორი თვის, განჯაში მუშაობის შემდეგ, ორი დღით ტფილისში ჩამოვედი, ხოლო ამ დროს აკავკასიის რკ. გზის საყოველთაო გაფიცვა დაიწყო და უკან ვეღარ დავბრუნდი.

იოსებ სტალინს რომ შევხვდი, ძალიან ეწყინა ჩემი ტფილისში ყოფნა და განჯის მიტოვება.

ვუთხარი, რომ ორი დღით ჩამოვედი და ისევ უკან უნდა დაებრუნებულიყავი მეთქი, მაგრამ ის მაინც ნაწყენი რჩებოდა და საქმისადმი უღიერად მოქტევას მისაყვედურებდა.

— სწორეთ ამ დროს იყო საჭირო შენი იქ ყოფნა! ხომ ხედავ რევოლუცია გვიახლოვდება! დღეს თუ არა ხვალ იფეთქებს იგი და ჩვენ უნდა ჩვენს საგუშაგოზე ვიდგეთ!..

დარცხვნილი, თავჩალუნული და გაბრუებული დამტოვა იოსებ სტალინი და წავიდა, აღარაფერი მითხრა მეტი.

ასეთი იყო იგი.

თუ ერთხელ ბრძოლის დროს შესუსტდებოდა შენი ხმა, ათრთოლდებოდა მუხლები, შედრკებოდა მკლავი, სასოწარკვეთა მოიცავდა შენს ნებისყოფას და დაიპყრობდა შენს რწმენას, — მაშინ ისიც აღარ დაგინლობდა. შეწყვეტდა შენთან კავშირს, მიგატოვებდა... ახალის ძალეებით საქმეს განაგრძობდა.

იმ დღესვე ვინახულე ჭიათურიდან ჩამოსული მიხეილ დაჯიშვილი. მას ვუამბე ჩემი მდგომარეობა. წინადადება მომცა ჭიათურაში/გავყოლოდი. ასეც მოვიქეცი.

ერყენული
გინჯიჩოსეკა

ჭიათურაში კარგა მოზრდილი ორგანიზაცია ჰქონდათ ბოლშევიკებს და სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ მენშევიკების წინააღმდეგ.

ხშირად იოსებ სტალინი, ისე, როგორც სხვა პროვინციებში, ჭიათურაშიც ამოდიოდა ამხანაგების გასამხნეველად, მათ ხელმძღვანელად და მენშევიკებთან საბრძოლველად.

მაშინ ის იყო ერთადერთი, კამათის დროს რომ მენშევიკებს ამარცხებდა, ბოლშევიკურ ლოზუნგებს ამარჯვებინებდა და ჩვენც გვამხნევედა. მენშევიკებთან ბრძოლაში გაიზარდა იოსებ სტალინი.

ჭიათურის შავი ტალახით ასვრილ მდინარე ყვირილას ნაპირად რიყეზე დანიშნულია მიტინგი. შორეულ მალაროებიდან გამოსული და წარბშეკრული ჩოხიანები, დროშებით და სიმღერებით დაღმართზე დაეშვებიან, მიტინგზე მოისწრაფვიან, რადგან დღეს დანიშნულია კამათი პარტიულ საკითხზე.

მიტინგზე მრავლადაა მოსული, მუშების გარდა, ვაჭრები, ნოქრები, ინტელიგენცია, მასწავლებლები და მოხელეები — ესენი ყველა მენშევიკების კადრს ეკუთვნიან.

ჯერ კიდევ არ მოსულან მენშევიკების ლიდერები, ჯერ კიდევ მიტინგის გახსნამდე დრო საკმარისია, ამიტომ ჯგუფებად არეული მუშები ერთმანეთს ეკამათებიან. ერთი ჯგუფი ყველაზე მეტად ლელავს, ზობოქრობს, ყვირის და მოუსვენრობს. შავი გორაკებივით დაღარულია მათი სახეები და ჩალამებულია მათი უბეები. შიგადაშიგ უღვაშებით დაფარული თეთრი კბილები რომელიმე მოსწრებულ სიტყვაზე აკიაფდება და გაბრწყინდება თვალები.

სველი მოედანი მდინარის ნაპირად თანდათან ხალხით ივსება. კიდევ და კიდევ მოდიან მალაროებიდან მუშები... და როცა შორიდან გამოჩნდება პატარა ჯგუფი, პატარა მოედანს მიუახლოვდება და მიტინგის ნაპირას გაჩერდება, — ყველას ყურადღება იქით მიიქცევა, რადგანაც იქ არის იოსებ სტალინი.

მალე ტრიბუნაზე გამოჩნდება მენშევიკების ორატორი. იგი კისერზე დაჭიმული ძარღვებით, გაწითლებული სახით, ათრთოლებული მუხლებით, აწეული ხმით, მუბლზე ოფლმოდინებული ყვირილით და მუჭარით ბელებს გაშლის, მსმენელთ მიმართავს და დაბნეული სიტყვებით მოყვება, თუ როგორი მშვიდობიანი გზით აპირებენ ისინი რევოლუციის მოხდენას, მაშინ, როცა „ბლანკისტი“ ბოლშევიკები პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებით სოციალიზმის განსახორციელებლად შეიარაღებულ აჯანყებისათვის ემზადებიან...

მიტინგის პირად შემქმნელობული ჯგუფი ლელავს, მფორებს, ივინება. სტალინი კი აუღელვებელი, დინჯი და წყნარი შორს ვიციქობება, თითქოს სხვა ვეყანაში გადასულიყოს. თავისი დამშვიდებული გარეგნობით ყველას აოცებს. ხოლო უღვაშებით დაფარულ გრძელ ტუჩებზე, მისი ირონიული ღიმი უკრთის...

მაშინ როცა მოკამათე პირზე ჭაფმორეული, თვალებგადმოვარდნილი კრთის და კანკალებს, იგი როდი აყვება მღელვარებას, მასში გონიერება და მოთმინება იმარჯვებს და სწორედ ამ იარაღით დაამარცხებს იგი მოწინააღმდეგეებსაც.

გარშემორტყმული ამხანაგები შესცქერიან მას, მისგან მოელიან გამანადგურებელ სიტყვას. აკვირდებიან, თითქოს ეკითხებიან, რატომ არ ცხარდები, რატომ არ ლელდები, ვერ ხედავ მოწინააღმდეგე როგორ კადნიერობს? და მის სახეზე რომ გულგრილობას შეამჩნივენ, დაღონდებიან.

პირველი ორატორი სიტყვას ათავებს. მოლაპარაკეს ტრიბუნიდან მქუხარე ტაშით და აღგზნებული სახეებით აცილებენ ვაჭრები. ახლა ტრიბუნისაკენ ნელის ნაბიჯით, მხრების რხევით იოსებ სტალინი მიდის. ერთმანეთზე მიქდობილი ზურგები იშლება, ვიწრო ორღობესავით გზა იკლავნება და აგერ ისიც მალლა ტრიბუნაზე ავიდა.

სიღრმეში წასული თვალებით მიტინგს გადახედა, წინ წამოწეული კეპუჯან დასწია, გახსნილი პიჯაკი შეიკრა, ხელები უჯან დაიწყო და შეჩერდა.

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდება და როცა სულგანაბული მიტინგის მრავალრიცხოვანი თვალები, გაოცებული და ცნობისმოყვარე მას შეაქტერდება — იგი შეირხევა და დინჯი ბარიტონული კილოთი მიტინგს მიმართავს.

აუღელვებელი, დალაგებული ფრაზებით იწყებს იგი ლაპარაკს. ლაპარაკობს ერთი ხმით, არც აუწევს, არც დაუწევს. განაბული უგდებენ ყურს, მაგრამ განცვიფრებული კითხულობენ — „რატომ ასე მწვევედ ლაპარაკობს? რატომ აქვს ასე მწარე ენა, რომ არ ინდობს მოწინააღმდეგეებს?!“

მისი სიტყვები მოდის, ერთმანეთზე ლაგდება და გონებაში რჩება ჯერჯერ მოუღებელი სიმძიმით, მაგრამ შემდეგ ყოველი დებულება თანდათან მსუბუქი და გასაგები ხდება.

თითქო თანდათან ტყდება მსმენელთა სკეპტიკური რწმენა. დამაჯერებელი ხდება ყოველი მისი დებულება. ნაპირში მდგარი ჯგუფი პირმოლიმარი მხიარულობს. იქ გრძნობენ, რომ მიტინგის უმრავლესობა უკვამათ მხარეზეა. გაბრწყინებული თვალებით უმზერენ ტრიბუნაზე მოლაპარაკე სტალინს და ახლა ხედავენ როგორი მძლავრია, როგორი ამალღებულა იგი.

ხმის შეუცვლელად, იმავე კილოთი, როგორც დაიწყო, სიტყვას ათავებს სტალინი.

მიტინგის შემდეგ, კიათურაში მომუშავე ამხანაგებთა მხარეზე შემდეგ ამხ. იოსები მიემგზავრება ტფილისში.

იგი განსაკვიფრებელი ენერგიით, რწმენით და იმედით აწყობდა ორგანიზაციას ტფილისში, პროვინციაში, შორს — ქალაქ ბაქოში... დადიოდა სოფლებში — ხონში, კიათურაში, ასკანაში და სხვაგან.

ტფილისში ის ხელმძღვანელობდა პარტიულ გაზეთს, სათავეში ედგა კავკასიის კავშირის კომიტეტს, ამხნევებდა პროვინციაში მომუშავე ამხანაგებს, დადიოდა მიტინგებზე და გაშმაგებით ებრძოდა მენშევიკებს.

და მალე — 1905 წლის ბოლო რიცხვებში, როცა ლენინი, რუსეთში მყოფ **მ. ბ. ჯუღაშვილი** რევოლუციონერებთან შეხვედრის მიზნით, ბოლშევიკების კონფერენციას აწყობს ტამერფორსში (ფინლიანდიაში) — ისინი პირველად შეხვდებიან ერთმანეთს და ეს შეხვედრა გახდება ისტორიული მომენტის თანაბარი.

თავისი პირველი შეხვედრა იოსებ სტალინმა თავის მახლობელ მეგობარს დავითაშვილსაც უამბო. დავითაშვილმა ეს ამბავი მე გადმომცა:

ტამერფორსი, სადაც პარტიული კონფერენციისათვის იკრებიან სხვადასხვა მხრიდან გამომგზავრებული ამხანაგები, თანდათან იცემა მოსულებით. ჯერ კიდევ არ გახსნილა სხდომა, მანამდე კი შორიდან წარმოგზავნილი ამხანაგები ერთმანეთს ეცნობიან. მასლათობენ, პარტიულ კითხვებსა და რევოლუციაზე კამათობენ. ქაფიანი ლუდით დასველებულ შავიდებს გარს შემოსხდომიან და მომავალ ბრძოლასა და ტაქტიკაზე მსჯელობენ.

მოუთმენლად ელიან სხდომაზე ლენინის გამოსვლას და მისი აზრის გაგებას.

ტფილისიდან დელეგატად ჩამოსული იოსებ სტალინიც ელის ლენინის შეხვედრას, რომელიც, მისი წარმოდგენით, შარავანდედით მოსილი რესტორანში შემოვა ტრიუმფით, ამხანაგების თანხლებით.

იგი იქნება მალალი, ევროპულ კოსტუმში გამოწყობილი, ამაყი. მაშინ მოსულებში შეიქნება ჩოჩქოლი, „აგერ, ილიჩი, აგერ!“... ატყდება სკამების ბრაგუნი, სიარული, ალიაჭოთი... პარტიის ლიდერი უნდა იგვიანებდეს ყოველთვის, მას უნდა უცდიდენ მოსულები, რათა უფრო მეტი პატივი მიეცეს. და იოსებ სტალინი უცდის, როდის ატყდება სკამების ბრაგუნი და ჩურჩული, მაგრამ დრო გადის და ის კიდევ არა სჩანს.

— რატომ არ მოდის ლენინი? — მოუთმენლად ეკითხება ამხანაგს.

— ლენინი? ის ხომ უკვე მოსულია!

— მერე, სად არის?

— აგერ იქით, კუთხეში, მაგიდასთან!..

— რომელი?

— აგერ ის წითური სახის, განიერი, ფართო შუბლით და მოტყეპილი თავით!

— მერე, როდის მოვიდა? — განცვიფრებით ეკითხება სტალინი.

— რამდენი ხანია აქ არის!..

მაშინ ირონიული ღიმილით უღვაშებში ჩაიცინებს იოსებ სტალინი. „მერე... განა... თითქო... არა! სწორედ ასეთი, ასეთი უნდა იყვეს იგი!“ და მომღიმარი სახით, ათრთოლებული მუხლებით გაეშურება მისკენ იოსებ სტალინი

მაგარი, ხანგრძლივი ხელის ჩამორთმევა, ორი წყვილი თვალი ერთმანეთში ნემსებივით შეკდობილი.

ღიმილი, ღიმილი ამხანაგური, ხანგრძლივი...

ღიას, ერთმანეთს იცნობენ კარგა ხანია... ლენინს აგონდება მისი წერილი, „მთის არწივი“ რომ უწოდა... მაშ, აი როგორი ყოფილა ის კოლხიდელი ამხანაგი, წერილით რომ გამოეხმაურა... — ფიქრობდა ლენინი.

ღიმილს შემდეგ ორიოდ სიტყვა — რამდენია ჩამოსული ამხანაგი კავკასიიდან, ან როგორი განწყობილებაა საერთოდ საქართველოში... და იოსებ სტალინიც უამბობს.

905 წლის რევოლუცია მარცხდება და იწყება რეაქცია. ერთი — შეუდარებელი რევოლუციონერი ლენინი კვლავ საზღვარგარეთ განაგრძობს თეორიულ-ორგანიზაციულ მუშაობას; მეორე, მისი კონგენიალი — სტალინი კვლავ არალეგალურად მუშაობს საქართველოს მუშებში, რომ მომავალი ბრძოლების და გამარჯვების დროს კიდევ შეხედენ ერთმანეთს.

იოსებ სტალინი მუშაობს და სხვებსაც ამუშავეს. ცხრასექვსი წლის დასაწყისში ტფილისში ლეგალურად უშვებს ბოლშევიკურ გაზეთს, თავს უყრის რეაქციით გადატულ ამხანაგებს და კვლავ მუშაობისაკენ მოუწოდებს მათ.

უნდა გენახათ სტალინი მაშინ, როცა მან ეს ახალი საბრძოლველი იარაღი — გაზეთი ხელთ იგდო! როგორი დაუნდობელი და შეუბრალებელი იყო იგი მტრების წინააღმდეგ, როგორი მზნეობით უყრიდა თავს გაზეთში მომუშავე ამხანაგებს, რადგან იცოდა გაზეთის ორგანიზაციული თვისება, იცოდა ბექდევითი ორგანოს ღირსება.

პირუთენელად და გადაუჭარბებლად უნდა ითქვას: სტალინი რომ არ ყოფილიყო ტფილისში იმ რეაქციის დასაწყისში, არ იქნებოდა მაშინ არც ბოლშევიკური ორგანო, არც ბოლშევიკური ორგანიზაცია. ის იყო კვლასათვის სულისჩამდგმელი და მაცოცხლებელი.

პატარა ხის მაგიდასთან საწერ-კალმით მიმჯდარი დაგინახავდა თუ არა, მაშინვე შეგვეკითხებოდა, თუ რას აკეთებდი. მერე დაგაწერიებდა რამეს, სადმე გაგზავნიდა. უარს ვერ ეტყოდი. მან იცოდა, ვინ რა ძალას წარმოადგენდა, ვის რა შეეძლო გაეკეთებინა.

პატარა ბოლშევიკური გაზეთი გამოდიოდა და მენშევიკებს სწამლავდა, ანერვიულებდა...

რეაქცია მწვავედებოდა. საჭირო ხდებოდა ძალების მუდმივად ერთფრონტით საერთო მტერზე იერიშის მიტანა და ლენინის მკაცრი კრიტიკის პარტიას.

და აი ცხრას ექვს წელს, აპრილში პირველად იკრიბება მთლიანად პარტია ბოლშევიკების და მენშევიკების სტოკჰოლმის გამაერთიანებელ ყრილობაზე.

ტფილისიდან ამ ყრილობაზე ბოლშევიკებიდან მიდის სტალინი.

კვლავ ერთმანეთს შეხვდება ორი დიდი რევოლუციონერი — ლენინი და სტალინი. აქ უფრო დაახლოვდებიან ისინი მენშევიკებთან ბრძოლაში.

ლენინი აღფრთოვანებული უმზერს სტალინს, როცა ის მხრების რხევით, თითქოს ზღვაში მიცურავდეს, ტრიბუნაზე ადის და ნამდვილი ბოლშევიკური დებულებებით მენშევიკებს ეკამათება და ამარცხებს.

„...თუ, მენშევიკების აზრით, ჩვენთვის პროლეტარიატის ჰეგემონია კი არაა საჭირო, არამედ დემოკრატიული ბურჟუაზიის — მაშინ ცხადია, რომ არც შეიარაღებულ აჯანყებაში, არც ძალაუფლების მოპოებაში ჩვენ არ უნდა მივიღოთ უშუალო აქტიური მონაწილეობა. ასეთია მენშევიკების სქემა. პირიქით, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესი მიდის ჰეგემონიისაკენ. თუ იგი კუდში კი არ უნდა მისდევდეს რევოლუციას, არამედ სათავეში უნდა ჩაუდგეს, მაშინ, ცხადია, პროლეტარიატი ვერ უარყოფს შეიარაღებულ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობის მიღებას“ (სტოკჰოლმის ყრილობის ოქმები).

მოკლედ, სხარტად, ბეჯითად და დაჯერებით ათავენს სიტყვას და ჩამოდის ტრიბუნიდან.

მაშინ ლენინის და სტალინის თვალები კიდევ შეხვდებიან ერთმანეთს და ლბილი და ტკბილი სიტბო მეგობრული დაახლოვებისა გაივლის ორივეს გულში, ვინაიდან მათ, ლენინსა და სტალინს, ორივეს თან ახლავს გრძნობა მეგობრობისა და არც ერთი, არც მეორე მოკლებული არაა არაფერ აღამიანურ თვისებას...

გამაერთიანებელი ყრილობა თავდება. იგი თავდება მენშევიკების ხმების უმრავლესობით გამოტანილი რეზოლუციებით. მაგრამ ლენინი, რომელიც არასოდეს დამარცხებას არ უშინდება, ყველას ამხნევებს.

სამაგიეროდ ერთი წლის შემდეგ ლონდონის ყრილობაზე, როცა გამარჯვებული გამოვიდნენ ბოლშევიკები, ლენინი იძახდა: „ნუ იკვებით გამარჯვებას! ნუ ამყობთ მით! პრინციპიალური პოლიტიკა არის ნამდვილი პოლიტიკა... ერწმუნე პროლეტარიატის შემოქმედებით ძალას და მის კლასობრივი ინსტინქტის რევოლუციურ მიზანშეწონილებას... ისწავლე მასებისაგან და მიიღე პრაქტიკული გამოცდილება“.

ასე იძახდა იგი, დიდი რევოლუციონერი ლენინი ლონდონში ყრილობის შემდეგ.

დამარცხებამ არ უნდა შეგაკროს, გამარჯვებამ არ უნდა გეგაბროს... სტალინი, რომელიც კიდეც ერთხელ შეხედებას ლენინს უწოდონის ყრილობაზე, კვლავ რუსეთში ბრუნდება...

მას არ იზიდავს ემიგრაცია, საზღვარგარეთ ყოფნა. ის მუდამ მასობრივი მუშაობის, არალეგალური პრაქტიკული მოქმედების მოტრფიალეა...

გრძელდებოდა ბრძოლა მენშევიკებთან — ლიკვიდატორებთან. კვლავ ციხიბრი, გადასახლება და კიდეც ბრძოლა, კიდეც არალეგალური მუშაობა, კიდეც მენშევიკებთან კამათი...

იგი მუშაობდა და სხვებსაც ამუშავებდა.

მუშაობდა და სხვებსაც ამხნეებდა... არა! ის სულ სხვა იყო მუშაობის დროს, სხვანაირად იტყოდა აზრს, სხვანაირად დასვამდა კითხვას. მისი სტილი სხვანაირად ისახებოდა...

მას სწამდა, იგი მუდამ მზნე და ენერგიული განწყობილებით იყო სავსე, მუდამ ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს არაფერზე არ ფიქრობდა გარდა ერთი რამისა. ამ დიადი აზროვნებით აღვზნებული, დაჯერებული და გარკვეული, თითქოს შეერთებული იყო ქვეშარიტებასთან, საშყაროსთან...

და კვლავ არალეგალური მუშაობა, კვლავ ბრძოლა და კამათი მენშევიკებთან. და ამ კამათის დროს ის დიდხანს არ დაუწყებდა მოწინააღმდეგეს თავის დებულების მტკიცებას.

ყოველ ღონისძიებას კი იხმარდა დაერწმუნებინა იგი თავის აზრებში, მაგრამ თუ მოწინააღმდეგე ჯიუტობდა, მაშინ ის თავის სარკაზმით მოსპობდა მის დახშულ გონებას და მიანებებდა თავს.

კვლავ ახალი ძალებით, ახლად შეძენილი ამხანაგებით განაგრძობდნენ ბრძოლას.

იგი მუდამ ერთი გარკვეული გზით სულ წინ მიდის.

რეაქცია გრძელდებოდა. ლენინი საზღვარგარეთ (ციურხში) მუშაობდა. პარტიულ გაზეთს ხელმძღვანელობდა, რეფერატებს კითხულობდა, მენშევიკ-ლიკვიდატორებს და „ობორონცებს“ ებრძოდა...

მსოფლიო ომში ჩათრეული პროლეტარიატის სისხლი იღვრებოდა...

იოსებ სტალინი გადასახლებაში (ციხიბრიში) იმყოფებოდა. მეც, 1907 წელს ქუთაისის ციხიდან გაქცევის შემდეგ, ათეული წელი საზღვარგარეთ (გენევაში) ვითვლიდი ჩემ დღეებს.

ჩვენ ველოდით, ველოდით პროლეტარიატის გამოფხიზლებას და რევოლუციის დაწყებას.

და ერთ დილას კვლავ შემომესმა ძახილი: „Revolution en Russie, Revolution!...“ „რევოლუცია რუსეთში... მოითხოვეთ რევოლუცია...“ — გაჰკიოდა გაზეთის გამყიდველი.

— მაშ, აღსრულდა, აღსრულდა!... — შევძახე ~~განაკარგობა~~ — აღსრულდა სტალინის წინასწარმეტყველური სიტყვები: ბიჭებო, მოსკოლებს კარგად გაუფრთხილდით, მთავრობისთვის გამოგვადგებაო...

მაშინ ციმბირში გადასახლებულები მყისვე გამოეშურენ რუსეთისაკენ რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად. იოსებ სტალინიც მაშინვე რევოლუციურ პეტროგრადს ეწვია.

ხოლო ადვილი არ იყო ლენინისათვის და ემიგრაციაში მყოფ ამხანაგებისათვის სამშობლოში დაბრუნება. მსოფლიო ომის გამო რუსეთში მიმავალი გზები შეკრული იყო და ერთადერთი გზა — შვეიცარიიდან საფრანგეთსა და ინგლისზე გავლით — ემიგრანტ ბოლშევიკებისათვის დაღმურული იყო. ამ გზით მხოლოდ სოციალ-პატრიოტებს და მათ მომხრეებს შეეძლოთ წასვლა.

ხოლო მაშინ ვინღა ილენინებდა, რომ რუსეთში რევოლუციის დროს ლენინი საზღვარგარეთ უმოქმედოდ დარჩენილიყო და არ გამოენახა იქ წასასვლელი გზა. გამოშავა კიდევ... ეს იყო გერმანიით — დაბლომბილი ვაგონით — რუსეთში გამგზავრება.

ემიგრაციაში მყოფ ამხანაგებისათვის ასეთი წასვლა მოულოდნელი და შიღვრული იყო და მხოლოდ ოცდაათმა ამხანაგმა გადასწყვიტა ლენინთან ერთად ამ მიმართულებით რუსეთში დაბრუნება.

დაბლომბილი ვაგონით ჩვენ გავიარეთ გერმანია, შემდეგ შვეცია და ფინლიანდიის რკინისგზებით შევედით რევოლუციურ რუსეთში.

ფინლიანდიის ტყეების ნაპირებით მისრიალებდა მატარებელი და თან მიჰყავდა რევოლუციის ბელადი, მისი მოამაგე და მებაირახტრე — ლენინი.

მაშინ შემანქანემ არ იცოდა, თუ მის მანქანაზე მიბმულ ვაგონში სხვა მგზავრთა შორის იმყოფებოდა ის, რომელმაც შემდეგ შესძრა ჭკეციბრება...

ლენინი უახლოვდებოდა პეტროგრადს...

პეტროგრადის ბოლშევიკებმა ჩვენ მიერ სტოკჰოლმიდან გაგზავნილი დეპეშით უკვე იცოდნენ რა დროსაც მივიდოდით. დეპეშაში ვთხოვდით მიეღოთ ზომები ჩვენ შესახვედრად. რადგან მოსალოდნელი იყო ჩვენა დაქტრა.

მელევარებდა ლენინი, მოუსვენრობდა იგი. მისი გამჭრიახი გონება ცდილობდა განეჭვრიტა მოსალოდნელი ამბავი — გაბედავდა თუ არა კადეტების დროებითი მთავრობა მისსა და მასთან ერთად გერმანიის გზით წამოსულ ამხანაგების შეპყრობას.

მკმუნვარე სახით მიეტახლოვდით ვიბორგს და დავინახეთ სადგურზე თავმოყრილი მუშები წითელი დროშებით...

მაშ... ბოლშევიკებს ზომები მიუღიათ და კადეტების მთავრობას ჩვენა დაჭერა ვერ გაუბედნია...

მატარებელი სადგურში შედის და ჩვენ გვესმის ამხანაგების შეძახილი: „გაუმარჯოს რევოლუციას, გაუმარჯოს ლენინს“.

მაშ... მოსულან ამხანაგები. უკვე ისმის პირველი შეძახილი — „გაუმარჯოს ლენინს“...

ჩვენ უკვე ვგრძობთ იმ ძალას, იმ ორგანიზაციის ხელს, მუშები რომ ლენინის შესახვედრად აქ მოიყვანა წითელი დროშებით. ჩვენ ეხედავთ, როგორი დიდი და მიუწვდომელი ვახდა ჩვენთვის მაშინ ლენინი...

„გაუმარჯოს ლენინს, გაუმარჯოს ლენინს“... იძახიან სადგურზე მოსული ამხანაგები.

ლენინი აღელვებულია, მისი თვალები ციმციმებს, სახე ელვარებს... დაბნეულები ფანჯარასთან ვდგევართ და გავცქერით არეულ ხალხს, წითელი დროშებით რომ დგას, ლენინს რომ შესცქერის...

ხოლო ეს ვინ არის, მხრების რხევით, შექუჩულს ხალხის ზურგებს რომ არღვევს, ჩვენ ვაგონს რომ უახლოვდება? აგერ კიბეზე ამოვიდა, დაიხარა, გვერდით გაიხედა. ჩვენ ვაგონში შემოვიდა. ლენინის კუპესკენ გაემართა... ნუ თუ?..

ის არის, ის... იოსებ სტალინი... და ხანგრძლივი ხელის ჩამორთმევა, მეგობრული სალაში, აციმციმებული თვალები... ღიმილი, ღიმილი და აჩქარებული გული... ლენინი და სტალინი. ისინი კვლავ შეხვდენ ერთმანეთს, ახლა კი აღარ „დაშორდებიან“ და ერთად ყოფნით სრულ იქმნებიან...

ეს შეხვედრა ისტორიის თანაბარი ვახდება, მათი, ლენინის და სტალინის, ერთად ყოფნა საწინდარი ვახდება რევოლუციის გამარჯვებით და მთავრებისა, პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებისა და კომუნისმის დამყარებისა.

მოკლე შეკითხვები... მოკლე პასუხები... დიალ, სტოკპოლმიდან დეპეშა მიიღეს და ზომებიც იხმარეს. მაშ, როგორ შეიძლებოდა, რომ სტალინს თავის ორგანიზაციული ხელი არ გაეშალა ლენინის შესახვედრად...

როგორ შეეძლო მას პეტროგრადში ეცადნა და ვიბორგში არ ჩამოსულიყო მის სანახავად...

ლენინის კუბე გაჭედილია. ზოგი ზის, ზოგი დგას. ყველას თვალები ციალებს. იოსებ სტალინი და ლენინი ერთმანეთს შესცინიან.

საიდან დაიწყო ლაპარაკი, არ იციან... მაგრამ ამის დრო აღარ არის... ბელადებიანი მატარებელი რევოლუციურ პეტროგრადს უახლოვდება. ორი დიდი რევოლუციონერის გული პროლეტარული რევოლუციისათვის ფეთქს და მალე მის წიაღში ამოყოფს თავს.

ათი-თერთმეტი წელი არ მენახა სტალინი.

მატარებელი გრილით შევიდა ფინლიანდიის სადგურში, სადგური სავსეა დამხდურებით — რევოლუციური ჯარისკაცებით, მეზღვაურებით, მუშებით, პარტიული ამხანაგებით...

მატარებელი შეჩერდა, ჩოჩქოლი ატყდა. ვილაცაქმეძე ^{ერკენული} აქეთ გარბიან, ხან იქით.

მერე ჩვენი ვაგონის წინ მოიყარეს თავი — მუშებმაც, მეზღვაურებმაც, ჯარისკაცებმაც...

გვესმის: „ლენინი მოგვეციოთ აქ, ლენინი“...

და ეს შეძახილი გახდა იმ დღიდან პეტროგრადის მუშების საერთო ძახილად: „ლენინი მოგვეციოთ აქ, ლენინი“ — გაიძახდა ჭარხანა, გაიძახდა ფაბრიკა, გაიძახდა მიტინგი, დაბარკადებული ქუჩა და აღფრთოვანებული მუშები...

ლენინი მოიტაცეს და მასთან ერთად სტალინიც, ორივე რევოლუციას მიაკუთვნეს...

პეტროგრადის ცხოვრებაში ეპოქალური ხანა იწყებოდა. მთავრდებოდა უკანასკნელი მოქმედება ძველი დროისა და იხსნებოდა ახალი ფარდა, ახალი ეპოქა, ახალი ცხოვრება...

იწერებოდა ისტორიის ახალი ფურცლები — თანაბარი ლენინისა და სტალინის...



ალ. ჭაიშვილი

ანრი ბარბიუსი

კრემლის საავადმყოფოში დასრულდა მღელვარე, დაუდევარი ცხოვრება ანრი ბარბიუსის, დიდი მწერლისა და რევოლუციონერის, მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი კაცობრიობის საქმისთვის თავდადებული მებრძოლის, საბჭოთა კავშირის მშრომელთა დიდი მეგობრისა.

მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა ანრი ბარბიუსის ცხოვრებაში უდიდესი გარდატეხა მოახდინა. ომამდე იგი გვევლინება, როგორც ნიჭიერი ბურჟუაზიული მწერალი, რომლის შემოქმედება ვითარდებოდა დეკადანსის პერიოდის ლიტერატურის ჩარჩოებში. მისი პირველი ლექსებისა და მოთხრობების კრებულები — „მეზარეები“ (1895 წ.), „მოზოვენელი“ (1903), რომანი „ჯოჯოხეთი“ (1908) — იმპრესიონიზმის, მოკასანის და შემდეგ ემილ ზოლას მძლავრი გავლენის გამოხატულებაა (განსაკუთრებით საგრძნობი „ჯოჯოხეთში“). ამასთანავე მას ახასიათებდა სოციალისტური იდეებით გატაცება, მუშათა გამანთავისუფლებელ მოძრაობასთან მიახლოვება, ზოგადი ჰუმანისტური მისწრაფებანი, ასევე ზოგადი უარყოფითი დამოკიდებულება კაპიტალისტურ სამყაროსთან. მაგრამ არაფერი გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით.

1914 წელი. ზარბაზნების პირველი დაქუხება. ანრი ბარბიუსი მოხალისედ მიდის. მისი მიმართვა „ლუმანიტესადმი“: „მე მივდივარ მოხალისედ ომში, ვინაიდან იგი მიმართულია ჩვენი მუდმივი მტრების — მილიტარიზმის, იმპერიალიზმის, დაშნის, ჩექმისა და გვირგვინის წინააღმდეგ“. ბარბიუსი დარწმუნებული იყო, რომ ანტანტის სახელმწიფოებს ამ ომში სამართლიანობის და ერთა განთავისუფლების იდეა ამოძრავებდა და მხოლოდ გერმანული იმპერიალიზმი ემუქრებოდა წალეკვით კულტურასა და ცივილიზაციას.

1916 წელს კი ბარბიუსი სცემს რომანს „ცეცხლს“ — პირველ რომანს მსოფლიო ლიტერატურაში. დაწერილს იმპერიალისტურ ომზე და მიმართულს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. მან გამოსცა ეს რომანი საში-

ნელი ტერორის პირობებში, როცა ომის წინააღმდეგ წარმოიჭმული ყოველი სიტყვა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა, ამ რომანმა, რომელშიაც იგი უღმობლად ააშკარავებს კაპიტალისტურ მესხეთს, სახეს და ამათრახებს ინდუსტრიის მაგნატებს და ბანკირებს, ისტორიულ არგონილ ადამიანთა ელექტვა-ხოცვის ორგანიზატორებს, მას მსოფლიო სახელი მოუპოვა. 1917 წელს ამ რომანმა მიიღო გონკურის პრემია. იგი გადათარგმნილ იქნა მრავალ ენაზე. გამოიცა მილიონიანი ტირაჟით. მან ომის ორგანიზატორთა ფუფუნებისა და განცხრომის, ქეიფისა და ღრეობის ფონზე გადაგვიშალა მშრომელთა მასების ტანჯვისა და წამების აღმავლობითელი სურათები. ცნობილია ის მაღალი შეფასება, რომელიც ლენინმა მისცა ანტიიმილიტარისტული ლიტერატურის ამ პირმშოს „ცეცხლს“. საყურადღებოა დიდი პროლეტარული მწერლის მ. გორკის მოსაზრებანიც ამ რომანის შესახებ:

„ბარბიუსი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც გააშუქა 1914 — 15 წლების ომის დანაშაული. ბარბიუსი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დასავლეთ ევროპის ინტელიგენციას გზა უჩვენა პატიოსან, გმირულ მუშაობისაკენ პროლეტარიატს შორის, იმ მუშაობისაკენ, რომელსაც გვიკარნახებს მთელი წარსულის ისტორია“.

მაქსიმ გორკი, ანდერსენ ნეკსე და ანრი ბარბიუსი მწერალთაგან პირველნი იყვნენ, რომელთაც ხმა აღიმადღეს ადამიანთა სასაკლავოს ორგანიზატორების წინააღმდეგ.

ანრი ბარბიუსმა პირველმა ჩამოგლიჯა ომს ის რომანტიული, გმირული ნიღაბი, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ძერწავდა გაბატონებული კლასების ხელოვნება და მეცნიერება. მან პირველმა გვიჩვენა ომის ნამდვილი, გაშიშვლებული სახე და მასთან ერთად იმ წყობილების მთელი სიმახინჯე, რომელიც დამყარებულია ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და დამონებაზე, მოსპობასა და განადგურებაზე. მთელი ის მიდგომა ომთან, როგორც საზოგადოებრივ მოვლენასთან და ლიტერატურულ მასალასთან, რომლითაც ანრი ბარბიუსმა საფუძველი ჩაუყარა ანტიიმილიტარისტულ ლიტერატურას ჩვენს დროში, განსაკუთრებით მკვეთრად არის მოცემული რომანის იმ თავში, რომელიც დასათარებელია შემდეგნაირად: „უკაცრული სიტყვა-პასუხი“.

— ერთი ეს მითხარ, გეთაყვა, შენ ხომ მწერალი ხარ? მერე ხომ დასწერ ყველაფერს — ჯარისკაცების ამბავს, ჩვენს ამბავს, — ეკითხება ავტორს მისი ოცეულის ჯარისკაცი ბარკი.

— რა თქმა უნდა, ჩემო ბიჭუნა, შენს ამბავს დაეწერ, ამხანაგების ამბავსაც, საერთოდ ყველაფერს, თუ როგორ ეცხოვრებდი.

— გეთაყვა, ერთი მითხარი, — ეუბნება მარკი, — რამე უნდა გკითხო, თუ შენს წიგნში ჯარისკაცებს ალაპარაკებ, ხომ ისე ალაპარაკებ, როგორც ნამდვილად ალაპარაკობენ, თუ ამით ნათქვამს შენებურად გააღა-

მაზე? აი იმ უკაცრაული სიტყვა-პასუხის შესახებ გეკითხები, ისინი რომ ხმარობენ ლაპარაკში. თუმცა ერთმანეთთან სიამ-ტკბილობით ვართ, პაგ-რამ მაშინაც კი, როცა არ ვჩხუბობთ, ლაპარაკის დროს იშვიათია, რომ მკვახე სიტყვები არ ვიხმაროთ. აბა ასეთ სიტყვებს წიგნის მწიგნობრები რა შეიღებები გაუშვებენ? ჰო და, შენ თუ ეს სიტყვები არ დასწერე, შენა დახატული სურათები ჩვენ არ დაგვემსგავსება.

— უკაცრულ სიტყვებს, საცა საჭირო იქნება, თავთავის ალაგას ვეღვან ჩაურთავ, იმიტომ რომ ეს მართალია.

— ეხლა ეს მითხარ, თუ შენ ამ სიტყვებს ჩაურთავ, შენი წრის ხალხ-მა, სიმართლე რომ ფეხებზე ჰკიდია, ხომ სასაცილოდ ავიღო, — ვილაც ღორი ყოფილა ამის დამწერიო.

— შეიძლება, მაგრამ მე მაინც არ დავიშლი და ჩემზე კი რაც უნდათ, ის თქვან“.

აქ სიტყვა „უკაცრაული“ არა მარტო პირდაპირი, არამედ გადატანი-ლი მნიშვნელობითაც შეიძლება გაიგოს კაცმა. ბურჟუაზიული ლიტერა-ტურისათვის ომის პერიოდში უკაცრაული და მიუღებელი, კარგი ტონის დამრღვევი იყო არა იმდენად ცალკეული სიტყვები და გამოთქმები, რამ-დენადაც მთელი ის მიდგომა ომისადმი, რომელიც ამ რომანში გამოა-მკლავნა ანრი ბარბიუსმა, ის შუქი, რომლითაც გაანათა მან ადამიანთა ეს ჯოჯოხეთური ტანჯვა. ომის ამ მძაფრ რეალისტურ ფერებში მოცემა, მისი სრული დერომატიზაცია არსებითად მოასწავებდა ახალი ლიტერა-ტურული ენარის შექმნას ომის შესახებ. და ამ ენარს საშინელი დაბრკო-ლების გადალახვა უხდებოდა. და ეს არა მარტო მძინვარე ომისდროინ-დელი პერიოდის ტერორის გამო. უდიდესი გამბედაობა და გმირობა იყო საჭირო, რომ შოვინიზმის და კაცოქამია პატრიოტიზმის, მილიტარიზმის შხამით მოწამლულ ატმოსფეროში მწერალს ხმა ამოეღო ომის წინააღ-მდეგ. ბურჟუაზიამ ომის პირველ წლებში მოახერხა არა მარტო ადამიანთა საელექტი იარაღის მობილიზაცია, მან ადამიანთა სასაკლავოს სამსახურად გაიწვია მთელი ბურჟუაზიული მეცნიერება, ხელოვნება, მხატვრობა და ლიტერატურა.

ბურჟუაზიულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, რომელნიც მუდამ უპარტიო, „აპოლიტიკური“ ხელოვნების შუეს ფიცულობდენ, რომელნიც თავიანთ დროშაზე მასების მოსატყუებლად ქარგავდენ ფორმულას „ხე-ლოვნება ხელოვნებისათვის“, გამოამკლავნეს თავიანთი ნამდვილი კლას-სობრივი სახე. შოვინისტურმა შხამმა მოსწამლა ბურჟუაზიულ მეცნიერ-თა და ხელოვანთა შეგნება. მას ვერ გადაურჩენ დასავლეთ ევროპის თვით ისეთი დიდი და მრწინავე მწერლებიც კი, როგორც იყვნენ ანატოლ ფრანსი, ემილ ვერჰარნი, თომას მანი და სხვები. ანატოლ ფრანსი, უკვე სამოცი წლის მოხუცი, აცხადებდა: „მო-მეცით იარაღი ხელში, რომ ჩვენს მტრებზე საომრად წავიდეთ“.

და აი ამ დროს ანრი ბარბიუსის ცეცხლოვანი სიტყვები ომის წინა-აღმდეგ, მისი ძლიერი პროტესტი ამ ელექტვა-ზოცვის წინააღმდეგ სანგრიდან სანგარში გადადიოდა. ის სწვდებოდა მებრძოლთა თრევე, ბანჯეს. მას სინათლის შუქი შეჰქონდა მილიონიანი მასების შეგნებზე, რომლებიც, რომელნიც ბურჟუაზიის მიერ გონებადახშულნი, დამონებულნი და დაბრმავებულნი ერთმანეთს ელვტდენ.

ანრი ბარბიუსის „ცეცხლი“ გამოსავალი წერტილი იყო მთელი იმ ზღვა ანტიმილიტარისტული ლიტერატურისათვის, რომელიც თითქმის გაბატონებულ თანრად შეიძლება ჩაითვალოს ომის მომდევნო პირველი ათი წლის მანძილზე. ამ ლიტერატურამ თავისი კვალი დააჩნია ამ პერიოდში არსებულ ყველა ლიტერატურულ სკოლასა და მიმდინარეობას. მაგრამ არც ერთი ბურჟუაზიული მწერალი, რომელიც ამ თემას გამოეხმურა, თავის დასკვნებში ისე შორს არ წასულა, როგორც ეს ბარბიუსმა შესძლო ჯერ კიდევ 1915 წელს თავის პირველ რომანში.

რასაკვირველია, საძნელო საქმე იყო ამ ახალი მიდგომით, ახალი თვალსაზრისით გამოკვეთილ ლიტერატურულ კადრებში, სახეებში მოცემა ომის მთელი ჯოჯოხეთური სტიქიონისა, რომელმაც მსოფლიოს უდიდესი ნაწილი ჩაითრია და რომელიც სამი ათასი კილომეტრის მანძილზე თავის გამანადგურებელ ცეცხლის რკალს ავლებდა მეომარ ქვეყნებს; კოლოსალური ძალა ბურჟუაზიის მიერ ამუშავებული, ადამიანთა გამანადგურებელი მანქანისა თითქოს მხრებზე აწვა ავტორს, როცა ის ერთ გმირს აღაპარაკებდა: „როცა ომის, როგორც მთლიანის შესახებ ლაპარაკობ, თითქო არაფერზე ლაპარაკობ, რადგან დუმხარ, სიტყვები ვერ გამოგინახავს იმის გამოსათქმელად, რაც გულში გიდევს. დგებარ და შესცქერი ომს, როგორც ბრმა“.

ანრი ბარბიუსმა თავისი კოლოსალურობით დამაბრმავებელი ეს საკაცობრიო ტრაგედია შეკუმშა პატარა კოლექტივის — ერთი მწყობრის ბედში. რომანსაც ქვესათურად აქვს „ერთი მწყობრის დღიური“. მასალის დაძლევის ამ ხერხს გაჰყვნენ შემდეგ რემარკი, გლეზერი და სხვები. მაგრამ ბარბიუსმა მათგან განსხვავებით მოახერხა ამ პატარა კოლექტივის ბედში ეჭვენებია არა მარტო მშრომელთა მასების არაადამიანური ფიზიკური და მორალური ტანჯვა, ადამიანის გამხეცება და ვადგვარება ომის დროს, არამედ ჯერ კიდევ 1915 წელს მან შესძლო დაენახა ის ძალები, რომლებიც ამოძრავებდენ ადამიანთა განადგურების ამ ჯოჯოხეთურ მანქანას. მან შესძლო გაეხსნა ომის სოციალური სახე და დაესახა, თუნდაც ბუნდოვანად და გაურკვეველად, ამ ჯოჯოხეთიდან გამოსავალი გზები. ამ მხრივ საინტერესოა რემარკისა და ბარბიუსის ნაწარმოებთა შედარება. თუმცა რემარკის რომანში გვხვდება ტრაგიკული ნასკვები, შეუღარებელი თავისი დრამატული გამაფრებით (ასეთია სცენები სასაფლაოზე, ფრანგი და გერმანელი ჯარისკაცის შეხვედრა წყლით

ამოცხებულ, ზარბაზნის ყუმბარით ამოთხრილ „დაბრში“, სცენა საავად-
მყოფოში, სახლში დაბრუნება შევებულეების დროს და (სხვა). მაგრამ ძი-
როითადი განწყობილება, რომლითაც გამსჭვალულია ეს ~~ქვეყნები~~ არის
წვრილობურეთაზიული ინტელიგენტის სულიერი პატივგაყენება. მან
გართხმა სოციალურად გამოუცნობ და გაუხსნელ ომის სტიქიონის წინაშე-
ეს არის წვრილობურეთაზიული ინტელიგენტის მოთქმა-გოდება იმის შესა-
ხებ, რომ ომმა მას დაუნგრია ძველი იდეური სამყარო, დაუმსხვრია ძვე-
ლი კერპები, გაუნადგურა ძველი კულტურული ღირებულებანი, შექმნი-
ლი ბურჟუაზიის მიერ. და რემარკი ამაოდ იბრძვის თავის პირველ და მეორე
წიგნში ამ კერპების მკვდრებით აღდგენისათვის ძველი ბურჟუაზიული
კულტურის საფუძველზე.

„ცეცხლის“ ავტორი კი სულგანაბული უგდებს ყურს — ძველი კერ-
პების მსხვერვის ხმაურში, ამ არაადამიანურ ტანჯვასა და გმინვაში რო-
გორ იშვება ახალი სინათლე, ახალი კეწმარიტება.

მაგრამ არა მარტო იდეური დონით, არამედ თვით მასალის მხატვრუ-
ლი დაძლევის, ბატალური სცენების ახალი იდეოლოგიური მიდგომით
დამუშავების თვალსაზრისითაც „ცეცხლის“ ავტორი იძლევა შეუდარებელ
ნიმუშებს. ასეთია თავები „ცეცხლი“, „დაპრილთა შესახვევ პუნქტზე“,
„სამუშაოზე“ და სხვ. გულშემაზარავია ავტორის მიერ დახატული სურა-
თები ადამიანთა ხოცვა-ჟლეტისა. მაგრამ ეს შიშის ზარი არასოდეს არ
გადადის პასიურ გმინვაში. მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ მწიფდება
მასების ცნობიერებაში ომის ნამდვილი მიზეზის შეგნება, როგორ იქედება
ნებისყოფა მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დიალოგებში ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება აღმფოთება
ზარბაზნებით და ზარბაზნების ხორციით მოვაქრეთა წინააღმდეგ იმ მასე-
ბის ცნობიერებაში, რომელთაც განიცადეს ომის ჯოჯოხეთი. როგორ
მწიფდება მათში შეგნება ომის ნამდვილი მიზეზების, მისი ნამდვილი ბუ-
ნების შესახებ.

რასაკვირველია, ბარბიუსის მსოფლმხედველობა არ იყო იმხანად სა-
კმაოდ გამოკვეთილი, მაგრამ ამ რომანის მრავალი ადგილი უდავოდ
ამჟღავნებს, რომ მის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მის მიერ
ომის ნამდვილი ბუნების შეცნობაში იმ დროს, 1914 — 15 წლებში, უკვე
დიდი როლი ითამაშა ლენინის და მისი თანამოაზრეების ბრძოლამ
იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. მაგრამ მაინც ბარბიუსი იმ დროს
ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდა ამ მოძღვრებას, რომ გამოსავალი ებოვნა კაპი-
ტალისტურ ჯოჯოხეთიდან. მომავალი მას, ისე, როგორც მისი რომანის
გმირს, კაპრალ ბერტრანს, საკმაოდ ბუნდოვანად ესახებოდა. მხოლოდ
ერთი სახე ანათებდა ამ ბურჟუაზიულ დაფარულ მერმისს.

— მომავალი! — წამოიძახა ბერტრანმა წინასწარმეტყველურა კილოთი, — რა თვალებით უნდა შემოგვხედონ ჩვენ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგი ცხოვრებენ! რა თვალებით უნდა შეხედონ მათ ჩვენს მტერსა კვლას და ჩვენთა საგმირო საქმეთა, რომელთა შესახებ ჩვენს სხუამხრისსა ჭიციოთა რა, შევადაროთ პლუტარქისა და კორნელის გმირების საქმეთა თუ ყაჩაღების საქმეთა საგმიროთა.

„და მაინც — განაგრძო ბერტრანმა, — არის ერთი ადამიანი, არის ერთი სახე, რომელიც ომზე მაღლა დგას და რომელიც თავის გამბედაობის სილამაზით და მნიშვნელობით ბრწყინავს“...

ჯოხს დავეყრდნე, მისკენ მივიწიე და ყური დავუგდე. ხარბად ვისმინდი ამ სიტყვებს ლამის მდუმარებაში, ამ კვლავ მუდამ უტყვე ბაგეთაგან რომ მესმოდა. მკაფიო ხმით წამოიძახა: „ლიბკნეხტი“.

ამას მოსდევს თავი „გასეირნება პარიზში“ — სანგრების სისხლსა და ქუქკში განაწამებ ფრონტის ჯარისკაცთა შეხვედრა ზურგში ფუფუნებასა და განცხრომაში მყოფ ბურჟუაზიულ პარიზთან.

და ეს შეხვედრა კიდევ აღვივებს ამ კლასობრივი შეგნების ნაპერწკალს.

უფრო საშინელი და თავზარდამცემია ამის მომდევნო თავი „სამუშაოზე“, დახატული სიმბოლისტურ და ზოგჯერ მისტიურ ფერებშიც კი. წარლენისებური წვიმა მოდის და გადათხრილ მინდერებს გაუვალ ჭაობებად აქცევს. სანგრებში ჩამოწვება მეწყერი და ქვეშ მოიტანს, ცოცხლად დამარბავს არაადამიანური ჯაფისაგან ქანცგამოლეულ, მკვდრის ძილით მძინარე ჯარისკაცებს. ყველაფერი წყლით და გაუვალი ტალახით არის დაფარული; წყლის ძალა იმდენად ძლიერია, რომ რამდენიმე ხნით ბრძოლა სწყდება. ფრანგები და გერმანელები ერთმანეთის გვერდით ეფლობიან ჭაობში და იხრჩობიან. ჯარისკაცები ისე არიან თავით-ფეხამდე გასვრილი ტალახით, რომ შეუძლებელია გამოცნობა, ვინ ფრანგია და ვინ გერმანელი. ფარაჯებზე იმდენი ტალახი აჰკიდებიან, რომ ბევრი მათი სიმძიმით ძირს ეცემა და ლაფში იძირება.

„ერთ დროს მეგონა, — ამბობს ერთ-ერთი გმირი, — რომ ომის დროს ყველაზე საშინელი ყუმბარების ალია მეთქი; მერე კარგა ხანს ვიძახდი — საშინელება მიწის ქვეშ ყოფნაა, სადაც მუდამ ვიმყოფებით და სული გვხვდება მეთქი, მაგრამ ბოლოს დავინახე, რომ ნამდვილი ჯოჯოხეთი წყალი ყოფილა.“

ორი დალლილი ჯარისკაცი ერთმანეთზე მიყრდნობილა და ფეხდგომელა სძინავს, რომ მეწყერმა არ დაჰფაროს, რაზეში მათ გვერდს ჩაუვლის.

შეგვეცოდა და არ გავალგიძეთ, მოვშორდით კაცობრიობის საცოდობის ამ ორმაგ ქანდაკებას“.

ეს წყლისა და ტალახის სტიქიონი თითქოს ერთის წყლით არიგებს მტრებს — ფრანგი და გერმანელი ჯარისკაცები ერთად მიეჯიბიან ამ ლაფში: „და ყველანი ერთად ვიძინებთ ამ ამურ სასაფლაოში“.

მთელი ეს თავები — „სამუშაოზე“ და „განთიადი“ — ამ შეგნების თანდათანობითი მომწიფების ეტაპებია. უკანასკნელი თავი მთლად დიალოგების ფორმაში იშლება. ლოზუნგი „ომი ომს“ თანდათან მწიფდება და უსრულებელ ტანჯვით განაწამები მასების შეგნებაში. აღშფოთება ომისა და იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ჰქმნის იმპერიალისტურ ომს, თანდათან ძლიერდება და ეს აღშფოთება, ჯერ საბრძოლო ლოზუნგად გაუფფორმებელი და ჩამოუყალიბებელი, უფროდაუფრო ხმამაღლა გაისმის „ცეცხლის“ გმირების დიალოგებში.

„და ამ ჯოჯოხეთის მდინარის, სტიქიის უსაზღვროებას შორის შეითამაშა გონიერების, ლოგიკის და შეგნების პირველმა თრთოლვამ და ერთბაშად, თითქოს სიგიჟემ იფეთქაო, გაანათა ეს ხალხი.

...აღარ გვინდა ომი... აღარა... ეს მეტისმეტი სისულელეა! ამაზე უარესიც — ეს მეტისმეტი... რალაც ბუნდი აზრი გამოისმა ამ ბრბოს ნაწყვეტ-ნაწყვეტ უგერგილო დრტვინვაში, მის დანაკვესებ სიტყვაში... დაეინახე, რომ ერთმა მალლა ასწია თავი, ტალახის გვირგვინით შემკული და მისმა პირმა მიწის პირას წინასწარმეტყველება წარმოსთქვა:

— ორი მებრძოლი არმია — ერთი დიდი არმიაა, თავის თავს თვითონვე რომ იკლავს.

რამდენჯერმე განიმეორეს, თითქოს გზის გასაგნებად უნდათ და ცდილობენ არ დაივიწყონ.

— უნდა მოვკლათ ომი! ომი, სწორედ ომი!

...მტრებზე გამარჯვება არ კმარა, მტრები კი არა, ომი უნდა დავამარცხოთ“.

დასასრულ, ეს კლასობრივი შეგნების გამონაკრთომი ისე ძლიერდება, რომ მოსაუბრენი კლასთა შორის ბრძოლის, სამოქალაქო ომის აუცილებლობის საკითხად წამოსჭრიან.

— „რაც უნდა დიდი ტანჯვა მომაყენონ, ყველაფერს მოვითმენ, ყველაფერს გავუძლებ, მიტომ რომ ვიცი, ჩემი ტანჯვა ვისმე რადმე გამოადგება.

— მაშ, ომის შემდეგაც უნდა განვაგრძოთ ბრძოლა.

— რას ამბობ, კაცო... ამის შემდეგ კიდევ უნდა ვიბრძოლოთ?

— უნდა, მაშ არ იცი! ეხლა იმიტომ უნდა ვიბრძოლოთ, რომ მერე არ დაგვკირდეს ბრძოლა.

— იქნებ უცხოელებთან არ მოგვიხდეს ბრძოლა.

— ესეც შეიძლება“.

და ასე, თითქოს შეხების გრძნობით, თითქოს ბრძოლები ხელების ცეცებით, მიდიან ისინი კეშმარტებისაკენ.

ვინ არის იმპერიალისტური ომის ნამდვილი ორგანიზატორები?

— „თქვენს წინააღმდეგ არიან საშინელი მტაცებლები, ფიანანსისტები, მსხვილ და წვრილფეხა აფერისტები, თავიანთ სახლებსა და ბუნებში ჩაკეტილები, სულ ომს რომ ნატრობენ და მშვიდობაზედ ყველგან ომის დროს რომ ცხოვრობენ, გულჩახვეულნი, მარტო თავის შავებელ ფიჭვებს რომ ფიჭვობენ და მარტო მას რომ ულოლიავენ.“

— „აი თქვენი მტრები, საცა არ უნდა იყვნენ დაბადებულნი, რაც უნდა სახელი ერქვათ და რაც უნდა ენაზე ამბობდნენ სიცრუეს! დააკვირდით მათ მალლა ცაზე და ძირს დედამიწაზე. ყველგან დააკვირდით და იცანით კარგად, რა შეილებიც ბრძანდებიან და კარგად დაიხსომეთ.“

მაგრამ, აი, დაჰბერა ოქტომბრის ქარიშხალმა. მან მსოფლიოს მეექვსედ ნაწილზე გაანადგურა ის ძალა, რომელიც იმპერიალისტური ომის გამომწვევი იყო. ბარბიუსმა იგრძნო, რომ მშრომელთა პირველმა რესპუბლიკამ, საბჭოთა წყობილებამ ხორცი შეასხა მის ბუნდოვან და გაურკვეველ მისწრაფებას. ის უყოყმანოდ გადავიდა ახალი ქვეყნის მშენებელთა ბანაკში და მთელი თავისი მგზნებარე ტემპერამენტით, მთელი თავისი დაუცხრომელი ენერჯით შეუდგა მშრომელთა ხელისუფლების დაცვას.

როცა შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის ძალები რკინის რკალივით ევლებოდნენ მსოფლიო რევოლუციის კერას, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები არმიას არმიაზე გზავნიდნენ ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის ჩასახრჩობლად, ანრი ბარბიუსი 1919 წ. „ლუმანიტეში“ აქვეყნებს თავის ისტორიულ წერილს — „ჩვენ ბრალსა ვდებთ“, რომელშიაც სამარცხვინო ბოძზე აკრავს ინტერვენციის ორგანიზატორებს.

„ჩვენ ბრალსა ვდებთ, — სწერს ის, — საერთაშორისო რეაქციას, რომელიც ანგარებისა და კლასობრივი ინტერესების აღმაშფოთებელი მოსაზრებით, თავის უპირატესობათა გულისათვის სპობს დიად რუსეთის რესპუბლიკას, რომელმაც მხოლოდ ის დააშავა, რომ განახორციელა თავისი ოცნება განთავისუფლების შესახებ. ჩვენ ბრალსა ვდებთ საფრანგეთისა, ინგლისისა და ამერიკის ხელისუფალთ“.

და მას შემდეგ იგი თავდადებით იცავს საბჭოთა კავშირს მისი მტრების ყოველგვარი თავდასხმისაგან. ის არა თუ იდეურად და ორგანიზაციულად შეუერთდა ახალი ქვეყნის მშენებელთა ბანაკს, არამედ თავგამეტებით შეუდგა დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის ხაუკეთესო ძალების ორგანიზაციას რეაქციასთან, ფაშიზმთან საბრძოლველად. მთელი წლების მანძილზე ჩვენ თვალწინ მიმდინარეობდა მისი დაუდგრომელი, დაუცხრომელი მუშაობა დასავლეთ ევროპის მოწინავე ინტელიგენციის ძალების დასარაზმავად. მისი თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით იმართება კონგრესები, კონფერენციები, საპროტესტო მიტინგები, მიმართული რეაქციისა და ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

1920 წელს ენეგაში ომის ყოფილ მონაწილეთა კონკრეტული გემოდის სიტყვით ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ამ სიტყვაში უკვე მოსჩანს ოქტომბრის რევოლუციით მიღებული გამოცდებისა. უკვე მოსჩანს იმ ღრმა მარქსისტულ-ლენინური მათემატიკის საფუძვალზე, რომელსაც ის მუშათა კლასთან დაახლოვების შედეგად ეზიარა.

„დამშობილება გემართებს არა ომის დროს, არამედ ომის დაწყებამდე. ჩვენ შევყარებით იმისათვის, რომ შევერთოდეთ მტკიცე ძმობაში ომის წინ, რომლის საფრთხეც ასე დიდია. ომის ნამდვილი მიზეზი ეკონომიურია. ომი არის სავაჭრო და მფარველობითი ხელშეკრულებების, ბაზრების, კონკურენციის საკითხი. ომი არის გამდიდრების საკითხი. ჩვენ ომის მუშაკები ვიყავით. ჩვენ უნდა გავხდეთ ზავის მუშაკები. ჩვენ ვართ წამებულთა თაობის უკანასკნელი ნაშიერები, ჩვენ უნდა გარდავქმნათ სინამდვილე ძირფესვიანად. ჩვენ არ დავკმაყოფილდებით ნახევარი ზომებით“.

1919 წელს მისი თაოსნობით დაარსდა ჯგუფი „კლარტი“, რომელმაც გააერთიანა დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის საუკეთესო ძალები — რომენ როლანი, ანატოლ ფრანსი, კოლკოცი და სხვ. ამ ჯგუფის პლატფორმა საკმაოდ რადიკალური იყო.

1920 წელს ანრი ბარბიუსმა დასწერა ჯგუფის მანიფესტი — „შუქი უფსკრულიდან“. 1921 წელს ბარბიუსი გამოვიდა მიმართვით ინტელიგენციისადმი. ამ მიმართვაში, რომელსაც დამახასიათებელი სათაურია ჰქონდა — „დანით კბილებში“, იგი მოუწოდებდა ინტელიგენციის შეგნებულ ელემენტებს, გაბედულად დამდგარიყვნენ სოციალური რევოლუციის მხარეზე.

„კლარტის“ ჯგუფში, რომელიც შესდგებოდა სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებისაგან, მალე დაიწყო დიფერენციაცია. ნაწილი, კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციით ნირშეცვლილი, ჩამოშორდა მას, ნაწილი კი წავიდა უფრო მარცხნივ — კომუნისმისაკენ. ხოლო ბარბიუსმა უფრო გაბედული ნაბიჯი გადასდგა მარცხნივ და 1923 წელს შევიდა საფრანგეთის კომპარტიის რიგებში. იგი იდეურად და ორგანიზაციულად დაუკავშირდა მუშათა კლასის მებრძოლ ავანგარდს. იგი ვახდა არა თუ უდიდესი რევოლუციონერი მწერალი საფრანგეთისა, მისი რევოლუციური ლიტერატურის საფუძველმდებელი, არამედ დიდი პრაქტიკოსი რევოლუციონერიც. იგი მკიდროდ დაუკავშრდა სოციალისტური მშენებლობის პროცესს ჩვენს ჰეიკანაში, დაულალავად სწავლობდა ძლევაგოსილი პროლეტარიატის ბრძოლასა და გამოცდილებას, მის მიღწევებსა და გამარჯვებებს, აცნობდა ყოველივე ამას მთელი მსოფლიოს მშრომელებს. მრავალი წიგნი და წერილი გამოაქვეყნა მან სოციალისტური მშენებლობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის წიგნი — „150 მილიონი ჰქმნის ახალ სამყაროს“.

ანრი ბარბიუსი კანსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა საქართველოს. იგი ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოში იმ პერიოდში, როცა ქართული ემიგრაცია იმპერიალისტური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მოსამზადებლად ჩვენს ქვეყანაში გაშვებულ მუშაკლასურ მუშაკლასობებდა ჩვენ სოციალისტური მშენებლობის შესაფერხებლად.

ანრი ბარბიუსი ჩამოვიდა ჩვენში, რომ გასცნობოდა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეს. ამ მოგზაურობის შედეგად მან გამოაქვეყნა წიგნი „ი რა უყვეს საქართველოს“, რომელშიაც საკუთარი თვლით ნანახი და განცდილი სურათებით საკადრისი პასუხა გასცა ქორებისა და ინსინუაციების მოხზველ ემიგრანტულ და ბურჟუაზიულ პრესას.

ანრი ბარბიუსის უშუალო თაოსნობით და ხელმძღვანელობით მოეწყო უკანასკნელი, ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ მიმართული „კულტურის დაცვის კონგრესი“ პარიზში.

რევოლუციური მებრძოლის ამ დამაბულ ყოველდღიურ მუშაობას თან სდევდა შეუწყნებელი შემოქმედებითი მუშაობა. 1919 წელს მან გამოაქვეყნა რომანი „კლარტე“. 1924 წელს გამოუშვა ორტომიანი მონუმენტალური რომანი „რგოლები“, რომელშიაც გადაშალა გრანდიოზული მსოფლიო-ისტორიული პანორამა: ბარბიუსი შეეცადა მოეცა მსოფლიოს განვითარების სურათები ადამიანთა საზოგადოების სხვადასხვა საფეხურზე. 1924 წელს გამოსცა ფაქტიურ მასალაზე აგებული, საკუთარი თვლით ნანახი და განცდილი ამბების წიგნი — „ჯალათები“ — თეთრი ტერორის ბარბაროსობის შესახებ ბალკანეთის ქვეყნებში. ამას მოჰყვა ნოველების კრებული „ძალა“, დოკუმენტალურ მასალაზე აგებული სბარტი ლაკონიური ნოველების კრებული „ფაქტები“. უკანასკნელ ხანებში ბარბიუსმა გამოაქვეყნა დიდი ნაშრომი მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბეულადზე — ამხ. სტალინზე. წიგნმა უკვე მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. იგი მრავალ ენაზე გადაითარგმნა. უკანასკნელ დროს იგი მუშაობდა წიგნზე ლენინის შესახებ.

განვითარების ის სწორხაზოვანი, განუხრელი გზა, რომელიც ბარბიუსმა განვლო, მისი თავდაუზოგავი ბრძოლა ომის, რეაქციის, ფაშისტობის წინააღმდეგ მაგალითის მიმცემი გახდა საფრანგეთის ბევრი დიდი მწერლისათვის. მან სხვებზე ადრე შეიგნო ძველი სამყაროს განწირულება და სხვაზე ადრე გახდა მგზნებარე მებრძოლი ახალი ქვეყნის შესაქმნელად. მის მიერ გაკვლეულ გზას გაჰყვნენ საფრანგეთის დიდი მწერლები რომენ როლანი, ანდრე ეილი, მალრო და ბევრი სხვა. ისინი გაჰყვნენ ამ გზას, რადგან დარწმუნდნენ, რომ ის არის ერთადერთი გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიაც მოამწყვდია კაცობრიობა გახრწნის პროცესში მყოფმა კაპიტალიზმმა.



პროფ. ს. დანელია

თარგმანის მაღალი კულტურისათვის

(კუხუჩინი მართულად)

1

თარგმნის საქმეს ჩვენში ხშირად ზევიდან დასცქერიან, ხოლო მთარგმნელს არც კი სთვლიან მწერლობის ოსტატად. ასეთი შეხედულება თარგმნის საქმეზე და მთარგმნელებზე არ არის მართებული.

საბჭოთა ქვეყანაში დღეს უდიდესი ყურადღება ექცევა ლიტერატურულ მემკვიდრეობის შესწავლას. მაგრამ როგორ შეიძლება ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა, თუ არ გვექნება ვადმთარგმნილი მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს კლასიკოსთა ქმნილებები? მართალია, ჩვენ, ქართველებს, გვყავს ჩვენი საკუთარი კლასიკოსები, მაგ. შოთა რუსთაველი, რომელიც მ საუკუნის განმავლობაში აწათებს და ათბობს ქართველ ხალხს. მაგრამ მართო ქართული ლიტერატურის კლასიკოსები არ კმარა დიდი სოციალისტური ლიტერატურული კულტურის შესაქმნელად, და მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურა არ უნდა ვიგულისხმოთ იმ ლიტერატურულ მემკვიდრეობად, რომლის შესწავლაც დღეს ლოზუნგად არის გამოცხადებული. გარდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა, ჩვენ გვჭირია ძველი ჰელადის კლასიკოსები, გვჭირია რუსეთის კლასიკოსები, გვჭირია იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის კლასიკოსები. მათი ვადმთარგმნა არის ჩვენი მორიგი ამოცანა, და თუ ეს ასეა, მაშინ თარგმნის საქმე არ ყოფილა ასათვალისწინებელი საქმე.

მეორეს მხრით, თარგმნა არც ისეთი ადვილი ხელობაა, როგორც ეს ზოგს წარმოუდგენია. საფრანგეთის დიდი პოეტი ლამარტინი ამბობდა: „ყოველ სხვა წიგნზე უფრო ძნელი გასაკეთებელია თარგმნილი წიგნი“. შეიძლება აქ ერთგვარ გადაქარბებას ჰქონდეს ადგილი, მაგრამ

ერთი რამ ცხადია: თარგმნას დიდი ოსტატობა სჭირია, და პოეტური ნაწარმოების მთარგმნელი თვითონაც პოეტი, მხატვარი, ხელოვანი უნდა იყოს.

მეცნიერული

როგორც ყოველს ოსტატობას, თარგმნასაც აქვს მისი მხატვრობები, თუმცა ეს მეთოდები დღემდე არ არის მეცნიერულად შესწავლილი, და ჩვენც არ გვაქვს თარგმნის სრული მეთოდოლოგია. ეს უკანასკნელი გარემოება, ერთის მხრით, აბრკოლებს თვითონ თარგმნის პრაქტიკას, ხოლო მეორეს მხრით, აძწელებს შესრულებული თარგმანის შესახებ ზუსტი მეცნიერული მსჯელობის დამყარებას.

ჩვენ არ ჩავიდნით, ვგონებ, დიდ შეცოდებას, თუ თარგმნის ჩვეულებრივ მეთოდებს ორ ძირითად კატეგორიაში მოვათავსებთ. ერთი კატეგორიის თარგმანებს საფუძვლად უდევს ემპირიკული კონცეპცია თარგმნისა, ხოლო მეორე კატეგორიის თარგმანებს — ის კონცეპცია, რომელსაც იდეალისტური კონცეპცია შეიძლება ვუწოდოთ. ჩვენის აზრით, არც ერთი ეს კონცეპცია არ არის სწორი, და მათი ადგილი უნდა დაიჭიროს დიალექტიკურმა კონცეპციამ.

ემპირიზმი თარგმნის საქმეში ეწოდება სათარგმნელ მასალის ცალკეული ფაქტების წინაშე ბრმა მორჩილებას. სათარგმნელ ნაწარმოებში ემპირიკოსი ამჩნევს მარტო წინადადებებს, ხოლო წინადადებებში — მარტო მათ შემადგენელ სიტყვებს. წმინდა ემპირიკოსისათვის სათარგმნელი ნაწარმოები არის სიტყვების მექანიკური ჯამი. იგი ფიქრობს: „თუ ზუსტად გადაითარგმნა თითოეული სიტყვა, თუ დედნის თითოეული სიტყვისათვის მოინახა (მაგალითად, ლექსიკონის საშუალებით) მისი ეკვივალენტი, თარგმნის მიზანი მიღწეული იქნება“. თუ რა აბსურდამდე შეუძლია მიიყვანოს მთარგმნელი ასეთმა კონცეპციამ, ამის კარიკატურულ ასპექტს გვაძლევს გიორგი ერისთავის ნიჭიერ კომედიებში. ძირითადი შეცდომა ემპირიზმისა ის არის, რომ ის უმართებულოდ ფიქრობს, თითქოს ლიტერატურული ნაწარმოები იყოს სიტყვების მექანიკური ჯამი. ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები (განსაკუთრებით კი მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოები) მეტია, ვიდრე სიტყვების მექანიკური ჯამი, და, მაშასადამე, მთარგმნელის მიზანიც არ შედგება დედნის სიტყვების მექანიკურ გადმოცემაში.

რუსეთში ეს კეშმარიტება დიდხანია შეიგნეს. ცნობილია, მაგალითად, რომ პეტრე პირველი, თვითონ ათვალთვრებდა ხანდახან დასაბეჭდად გამზადებული თარგმანებს და ზოგჯერ კორექტურულ ფურცლებსაც კი ასწორებდა, — კატეგორიულად მოითხოვდა მთარგმნელებისაგან, რომ მათ დედანი ეთარგმნათ არა სიტყვასიტყვით, არამედ ისე, რომ დედნის აზრი ადვილად გასაგები გამხდარიყო. სიტყვებს კი ნუ სთარგმნით, სთარგმნით წინადადებებით, ეუბნებოდა პეტრე დიდი მთარგმნელებს.

თანდათან ეს ოპოზიცია ემპირიზმის წინააღმდეგ გაიზარდა რუსეთში და განსაკუთრებით იჩინა მან თავი კარამზინისა და სკის მხედულებებში. «ვინც სიტყვა-სიტყვით მისდევს სთარგმნელ ავტორს, ის არის მხოლოდ მონა, რომელიც მისდევს თავის ბატონს», ამბობდა კარამზინი, რომლის აზრიც შემდეგში ფართოდ გამოიყენა მისმა მოწაფემ ჟუკოვსკიმ. თუ პეტრე დიდი მოითხოვდა მთარგმნელებისაგან, რომ მათ ეთარგმნათ დედნის წინადადებები და არა სიტყვები ცალ-ცალკე, ჟუკოვსკი უკვე მოითხოვდა, რომ მთარგმნელს ეთარგმნა არა წინადადებები, არამედ მთელი დედანი, და გადმოეცა არა ცალკე წინადადებები, არამედ მთელი თხზულების „სული“ ან არსება. სრულიადაც არ არის საჭირო (ფიქრობდა ჟუკოვსკი), რომ მთარგმნელმა ზუსტად გადმოგვეცეს პოეტური ნაწარმოების თითოეული წინადადება; მან უნდა ზუსტად გადმოგვეცეს ის, რაც მთავარია მხატვრულ ნაწარმოებში, და აი ამ მთავარის გადმოსაცემად მთარგმნელი არა თუ არ არის ვალდებული გადმოთარგმნოს ყოველი წინადადება დედნისა, არამედ მას უფლება აქვს სრულიადაც გადააყეთოს დედანი: გამოავდოს დედნის ზოგიერთი ნაწილი, შესცვალოს მისი ეპიზოდები, მისცეს ნაწარმოებს სხვა დასასრული, ვიდრე ჰქონდა მას ორიგინალში. ამ მეთოდით სთარგმნიდა თვითონ ჟუკოვსკი ბიურგერს, შილერს, გოეთეს, ზეიდლიცს და გერმანული რომანტიზმის სხვა წარმომადგენლებს. თარგმნის ასეთ მეთოდს შეიძლება ეწოდოს იდეალისტური მეთოდი. თუ ემპირიზმისათვის სათარგმნელი ნაწარმოები არის სიტყვების მექანიკური ჯამი, იდეალიზმი ნაწარმოებში სიტყვებს არც კი ამჩნევს: სათარგმნელი ნაწარმოები იდეალისტის წარმოდგენაში არის მხოლოდ „სული“, მხოლოდ „იდეა“, სიტყვა და წინადადება კი სრულიად უმნიშვნელო და შემთხვევითი მოვლენაა. როგორც გინდათ, ისეთი სიტყვები იხმარეთ, ოღონდ კი გადაეცით მკითხველს დედნის „სული“. აგრძობინეთ მას დედნის პოეზიის არსება, — აი იდეალიზმის მოთხოვნა თარგმნის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ თარგმნის იდეალისტური მეთოდი არ იძლეოდა დადებითს შედეგს, და ეს მეთოდის სისუსტეს ამტკიცებდა. მაგალითად, ჟუკოვსკიმ უეჭველად გააუარესა თავის „ლუდმილაში“ ბიურგერის ბალადა და შეიტანა ამ ნაწარმოებში მძაფრი დისონანსი, რომელიც დედანში არ იყო. ამრიგად, თარგმნის იდეალისტური მეთოდის პრინციპი „ნუ სთარგმნით სიტყვებს და წინადადებებს, არამედ სთარგმნით ნაწარმოების სული, სთარგმნით მთავარი“ — არ შეიძლება თარგმნის უნაკლო პრინციპად ჩაითვალოს, მეტადრე იმ შემთხვევაში, როდესაც მთარგმნელს არ ესმის კარგად, თუ რა არის მთავარი სათარგმნელ ნაწარმოებში.

ამ უკანასკნელი აზრის ერთგვარ საბუთს გვაძლევს თარგმნის ფორმალისტური მიმართულება. ფორმალისტური კონცეპციით, პოეტურ ნაწარმოებში მთავარია არა აზრი, არა შინაარსი, არამედ სიტყვითა და ხმოვანობით შემოსაზღვრული ფორმა: აზრი მხოლოდ საბაბია ამ სიტყვიერი ფორმისათვის. პოეტური ფორმისათვის აზრი არ სწერს თხზულებას, რათა გადასცეს მკითხველს აზრი, ვინაიდან აზრის გადასაცემად საუკეთესო საშუალებაა არა პოეტური, არამედ პრაქტიკული ან პროზაული ენა, რომელიც ეკონომიის პრინციპს ექვემდებარება. პოეტი იმისათვის სწერს, რომ გაამახვილოს მკითხველის ყურადღება სიტყვის ფორმაზე, აგრძნობინოს მკითხველს „სიტყვის ძლერა“, და ამიტომ პოეტური ენის იდეალია ისეთი ენა, რომელიც სრულიად დაკლილია აზრისაგან, და, როგორც ორნამენტი ხიბლავს მაყურებელს მხოლოდ თავისი ხაზების ხვეულებით და არა თავისი აზრისეული შინაარსით, რომელიც ორნამენტს არც კი გააჩნია, სწორედ ასევე პოეტური ენა ხიბლავს მკითხველს არა თავისი აზრისეული შინაარსით, არამედ თავისი გარეგნული ფორმით, თავისი ბგერებით, თავისი ევფონიით. უდიდესი პოეტური ნაწარმოებია ის ნაწარმოები, რომელსაც არავითარი აზრი არ აქვს, რომელიც „ქულის მიღმა“ („за ухом“) იმყოფება (ასეთი აზრის მიღმა მყოფი ნაწარმოების საყოველთაოდ ცნობილი ნიმუშები მოგვცა, მაგალითად, ფუტურისტმა ვ ე ლ ე მ ი რ ზ ლ ე ბ ნ ი კ ო ვ მ ა). პოეზიის ფორმალისტურ კონცეპციას, რომელიც შეიძლება პოეზიის იდეალისტური კონცეპციის საბეობად ჩაითვალოს, თარგმნის საქმეში შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: რაკი პოეტურ ნაწარმოებში მთავარია არა შინაარსი, არა აზრი, არამედ ფორმა, ამიტომ მთარგმნელი დედნის აზრს კი არ უნდა გამოეკიდოს, არამედ უნდა ეცადოს დაიჭიროს დედნის ფონეტიკური ბუნება, მისი რიტმი, მისი ძლერა. ამ ძლერის გადმოსაცემად კი მთარგმნელს უფლება აქვს ანგარიში არ გაუწიოს დედნის აზრს და სრულიად გადმოუცემლად დასტოვოს იგი.

რომ პოეტური ნაწარმოების ფორმას, რიტმს, ძლერას დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ჩვენთვისაც უდავოა. ამიტომ მთარგმნელი უნდა ცდილობდეს შეინარჩუნოს თავის თარგმანში პოეტური ნაწარმოების ფორმა, კერძოდ კი ამ ნაწარმოების სინტაქსური გრებილი და ფონეტიკური ბუნება. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, თუ მთარგმნელი იმ მიზნით, რომ დაიჭიროს დედნის ფონეტიკური ბუნება, სათანადო ანგარიშს არ გაუწევს დედნის აზრს, მის შინაარსს. ამდენად ჩვენ ვერ დავეთანხმებით ფორმალიზმს თარგმნის საქმეში.

მაგრამ, თუ მართალი არ არის ფორმალისტური დებულება, თათქოს პოეტურ ნაწარმოებში მთავარი იყოს ძლერა, მეორეს მხრით, არც ის დებულებაა მართალი, თითქოს მთარგმნელმა თავის თარგმანში უნდა გადმოგვცის მხოლოდ ნაწარმოების „სული“ და თითქოს მთარგმნელის პირად შიხეოლიბიბზე იყოს საესებით დამოკიდებული, როგორ ან რა საშუა-

ლებით გააკეთებს იგი ამას. უნდა გვახსოვდეს, რომ საუკეთესო გზა დედნის „სულის“ ან არსების გადმოსაცემად არის დედნის სიტყვიერი მასალის ზუსტი გადმოცემა, ვინაიდან მხატვრული ნაწარმოების „სული“ დიალექტიკურ მთლიანობაში იმყოფება ამ ნაწარმოების სიტყვიერებაში, ე. ი. მის სიტყვიერ მასალასთან. როგორც კონკრეტული სინამდვილის ყოველს ცოცხალ კმნილებაში, მხატვრულ ნაწარმოებშიც „სული“ არ არის „სხეულისაგან“ გათიშულად, და ხელოვნებაში, ისე როგორც სხვაგან, არ შეიძლება „სულის“ უშუალო ან მისტიკური წვდომა. თუ მთარგმნელს სურს აგრძნობინოს მკითხველს სათარგმნელი ნაწარმოების „სული“, მან უნდა მისცეს მკითხველს იმ შთაბეჭდილებათა ეკვივალენტები, რომლებსაც იძლევა დედანი, ე. ი. უნდა ზუსტად გადასცეს მკითხველს დედნის სიტყვები, და თვით ემპირიული მეთოდის სისუსტეც ის არის, რომ ის ცდილობს დაიკვას სიზუსტე სიტყვების გადმოცემაში, მაგრამ ვერ ახერხებს ამას, რადგან არ ესმის კარგად, რომ სიტყვის მნიშვნელობა არის ფუნქცია მთელი ნაწარმოებისა და ძალიან ძნელად თუ მოიპოვება ისეთი სიტყვა, რომელსაც სრულიად ფარავდეს მეორე ენის სიტყვა: ზუსტი თარგმნა მხოლოდ დიალექტიკური მეთოდით არის მისაღწევი.

ამრიგად, თუ თარგმნის საქმეში მართალი არ არის ტლანჭი ან ბრმა ემპირიზმი, რომელიც ფიქრობს, რომ პოეტური ნაწარმოები არის მხოლოდ სიტყვების მექანიკური ჯამი, და ამის მიხედვით სათარგმნის დედნის სიტყვებს ცალ-ცალკე და ვერ აძლევს მკითხველს სათარგმნი ნაწარმოების მთელ არსს, არა ნაკლებ შემცდარია თარგმნის საქმეში იდეალიზმი, რომელიც ფიქრობს, რომ პოეტური ნაწარმოები არის მხოლოდ „სული“, და ამის გამო ჯეროვან ანგარიშს არ უწევს სათარგმნელ ნაწარმოების სიტყვათა შინაარსს.

რათა დედნის სიტყვების სწორი გადაცემა შესძლოს მთარგმნელმა, ის ღრმად უნდა იცნობდეს ამ დედანს. ღრმად კი იცნობს მხატვრულ ნაწარმოებს მხოლოდ ის, ვისაც ესმის ამ ნაწარმოების ადგილი მისი ავტორის მთელს შემოქმედებაში. ამრიგად, სათარგმნელი ნაწარმოების შესწავლას, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს თარგმნის დაწყებას, მივყავართ მწერლის მთელი შემოქმედების შესწავლისაკენ. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს იმ ლიტერატურულ-ისტორიული და სოციალ-პოლიტიკური გარემოს შესწავლას, რომლის ერთ-ერთი ნაყოფია მწერლის შემოქმედება. მოკლედ რომ ითქვას, რუსული მხატვრული ნაწარმოების გადათარგმნა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც ზედმიწევნით იცნობს მთელს რუსულ ლიტერატურას და აგრეთვე რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას და ვისაც სათარგმნელი ნაწარმოები ესმის, როგორც სოციალისტური ფაქტისათვის თარგმნის დიალექტიკა.

თუ ემპირიზმი ისახავდა მიზნად დაეცვა სიზუსტე მხატვრული ნაწარმოების მხოლოდ სიტყვიერი მასალის გადმოცემაში და მაინც ვერ ახერ-

ხებდა ამას, თუ, მეორეს მხრით, იდეალიზმი ისახავდა მიზნად, გადმოეცა მხატვრული ნაწარმოების მხოლოდ „სული“ და მაინც ვერ ახერხებდა ამას, — თარგმანის დიალექტიკური მეთოდის მიზანია, რომ იმავე დროს მხატვრული ნაწარმოების სიტყვიერი მასალინ სუსტი გადმოეცემა და მხატვრული ნაწარმოების „სულის“ შენარჩუნებაც, ვინაიდან დიალექტიკოსმა იცის, რომ მხატვრული ნაწარმოების „სული“ მის სიტყვიერ მასალაში არის მოცემული, ხოლო თითოეული სიტყვა ამ ნაწარმოებისა ცოცხალია მთელი ნაწარმოების „სულით“, რომელიც თავის მხრივ არის სოციალ-ეკონომიური სინამდვილის იდეოლოგიური ფუნქცია.

2

ზემოაღნიშნული შეხედულების პოზიციიდან შევეხოთ პუშკინის ქართულ თარგმანებს. პუშკინი ჩვენ განგებ ავირჩიეთ. ჯერ ერთი — იმიტომ, რომ ქართულ ენაზე პუშკინი სხვა რუს მწერლებზე უფრო მეტად არის თარგმნილი. გარდა ამისა, პუშკინი, როგორც რუსეთის უდიდესი პოეტი, სხვა მწერლებზე უკეთესად არის შესწავლილი, და ამიტომ ყოველი ღირსება-ნაკლულევიანება, რომელიც არის პუშკინის ქართულ თარგმანში, ადვილად შესამჩნევია. ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ სამს მთარგმნელს — გრ. ცეცხლაძეს, ვ. რუხაძეს და პ. იაშვილს, რომლებმაც სთარგმნეს პუშკინის ლექსად დაწერილი თხზულებები. არიან პუშკინის სხვა მთარგმნელებიც: პუშკინს სთარგმნიდა, მაგალითად, ილია ქავჭავაძე, პუშკინი სთარგმნა აგრეთვე ვალერიან გაფრინდაშვილმა. მაგრამ მე აქ ძველ თარგმანებს არ ვარჩევ. რაც შეეხება ვალერიან გაფრინდაშვილს, მე ვფიქრობ, რომ ვალერიან გაფრინდაშვილის ხანგრძლივი და მაღალხარისხოვანი მოღვაწეობა თარგმანის ხელოვნების ასპარეზზე მთლიანად უნდა იქნას განხილული, და ამ განხილვის დროს მის მიერ მოცემული თარგმანებიც პუშკინის თხზულებებისა უფრო სრულად იქნება დაფასებული.

არ შეიძლება ითქვას, რომ პუშკინის ზემოდასახელებულ მთარგმნელთა შორის ჩვენ გვყავდეს წმინდა ემპირიკოსი ან წმინდა იდეალისტი. შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ტენდენციებზე ამა თუ იმ მეთოდის მიმართულებით. მაგალითად, გრიგოლ ცეცხლაძეს, ჩემის აზრით, ემჩნევა ემპირიზმისაკენ გადახრის სუსტი ნიშნები; ვარლამ რუხაძეს ეტყობა იდეალიზმისაკენ გადახრის უფრო გარკვეული ნიშნები; ხოლო პაოლო იაშვილს ემჩნევა ფორმალიზმისაკენ მიმართული ტენდენციის კიდევ უფრო გარკვეული ნიშნები (პუშკინის ამ უკანასკნელ მთარგმნელზე ჩვენ ვმსჯელობთ მისი ხუთი თარგმანის მიხედვით, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტში“).

პოეტმა გრ. ცეცხლაძემ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ძალიან დიდი სამუშაო შეასრულა: მან გადმოთარგმნა ქართულ ენაზე პუშ-

კაის უმთავრესი პოეტური ქმნილება „ევეგნი ონეგინი“ ეს თარგმანი იმ ხაწარმოებთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს, სადაც მოჩანს არა მხოლოდ სანიმუშო შრომისმოყვარეობა, არამედ აგრეთვე კარგი პოეტური რისტობა. ტექნიკურად თარგმანი შესრულებულია დიდძალი სწავლით, მთარგმანელს დაუჭერია პუშკინის ენის ტემპი და დაუძლევია მისი ლექსის სიძნელები, რამდენადაც ეს მოცემულს პირობებში შეიძლება მთარგმნელს მოეთხოვოს საზოგადოდ. თარგმანში სასტიკად დაცულია დედნის სტროფული კომპოზიცია: 14 სტრიქონიან სტროფებში ჯვარედინი, მოსაზღვრე და გარემომცველი რითმები ურყევი წესიერებით სცვლიან ერთმანეთს და ჰქმნიან ლალი რიტმული ნაკადის შთაბეჭდილებას. მთარგმნელს შეეძლო, ცხადია, გაეადვილებია თავისთვის ამოცანა და ეთარგმნა „ევეგნი ონეგინი“ უფრო თავისუფლად. მაგრამ გრ. ცეცხლაძეს არ აურჩევია ეს ადვილი გზა, რომელიც ძალიან შეუმცირებდა მას მუშაობას, მაგრამ ამავე დროს მის თარგმანს დააშორებდა ორიგინალს.

მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ შეიძლება ითქვას ეჭვმიუტანელად, რომ მთარგმნელმა გააუარესა პუშკინის რითმები. პირიქით, შესაძლებელია ვინმემ ნაკლადაც კი ჩაუთვალოს მთარგმნელს ყურადღების ზედმეტი გამახვილება რითმებზე, ვინაიდან თვითონ პუშკინი თავის რომანში ერთგვარ დაუდევრობას იჩენდა რითმების მიმართ *) და ხშირად სარგებლობდა, მაგალითად, ზმნისეული რითმებით ან კიდევ რითმების მაგივრად ხმარობდა ასონანსებს. მართალია, მკითხველი ვერ იბოვის თარგმანში ჰომონიმებისა და უცხო სიტყვების გამოყენებას რითმებისათვის, რაც პუშკინის რომანს ანიჭებს მომზიბვლელ გრაციას. მაგრამ ყოველი მთარგმნელისათვის ეს დაუძლეველი ამოცანა იქნებოდა და, მაშასადამე, არ შეიძლება ამაში გრ. ცეცხლაძის თარგმანის ინდივიდუალური ნაკლი ვეძიოთ. პირიქით, არის ადგილები, სადაც მთარგმნელი ამ მხრივ სანიმუშო ვირტუოზობას იჩენს. მაგალითად, ის ადგილი, სადაც პუშკინი ეთამაშება რითმას და, ფორმალისტების ტერმინი რომ ვისმაროთ, აშიშვლებს თავის ტექნიკურ ზერხს, მთარგმნელს არ მიუჩქმალავს, თუმცა ის ძნელი დასაჭერი იყო თარგმანში. პუშკინი სწერს (თ. 4, სტრ. 42):

Но вот уже трещат морозы
И серебрятся срыдь полях.
(Читатель ждет уж рифмы розы,
На, вот возьмил ее скорей!)

მთარგმნელს ეს ძნელი ადგილი ასე აქვს გადმოცემული:

„იწყება ზამთრის ყინვა და დარდი
და ვერცხლის თოშმა ველი დაჭარა...
(ელის მკითხველი აქ რითმას ვარდი;
აჲ, მიირთვი, წაიღე ჩქარა!)“.

*) ეს იყო, რა თქმა უნდა, განზრახული დაუდევრობა და, მაშასადამე, რისტობის ს. დ.

უხერხულია აქ მხოლოდ სიტყვა „დარდი“, ვინაიდან პუშკინის წარმოდგენაში ზამთარი იყო მზიარული დრო. მაგრამ, თუ ამას არ მივაქცევთ ყურადღებას, უნდა ვალიაოთ, რომ თარგმანში კარგად არის გადმოცემული დედნის პოეტური ხერხი.

კარგად არის თარგმანში დაცული აგრეთვე პუშკინის enjambements ან ე. წ. გადატანები. დედანში ხშირია ასეთი enjambements, სადაც წინადადების საზღვარი არ ეთმხვევა სტრიქონის საზღვარს და პირველის ბოლო ხედება მეორის შუა ადგილში. ამით პუშკინი გამოხატავდა იმ ოპოზიციას, რომელსაც რომანტიკული სკოლა უწევდა პსევდო-კლასიკურ პოეზიას, ვინაიდან ამ უკანასკნელის თეორეტიკოსები მოითხოვდნენ სასტიკად, რომ ლექსში წინადადების ბოლო დამთხვეოდა სტრიქონის ბოლოს. ეს გადატანები აძლევენ „ონეგინის“ ლექსს სასაუბრო ენის ძალდაუტანელ დენას და რომანის ერთს დამახასიათებელ თვისებას შეადგენენ. მთარგმნელს კარგად შეუსწავლია ორიგინალის ეს თავისებურება და ის ცდილობს ყველგან შეინარჩუნოს თარგმანში პუშკინის გადატანები, რასაც, ცხადია, უნდა გაეძნელებია თარგმნის შესრულება. თითქმის ყველგან, სადაც კი დედანი მოითხოვდა, თარგმანში დაცულია enjambement. აი ამისი მაგალითიც (თ. 2, სტრ. 27):

„მისთვის ბავშვური ქცევა, ცელტობა
უცნობი იყო: უცხო მოთბობა,
ზამთრის ღამეში შიშის მომგვრელი,
იმას მიაჩნდა მეტ სასურველად“.

„მეტ სასურველად“ მთარგმნელს უნდა შეეცვალა უფრო მოქნილი გამოთქმით, მაგრამ გადატანა მაინც კარგად არის თარგმანში გაკეთებული. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი მომენტი, რათა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სტროფი არის მხოლოდ ნაწილი რომანის მთლიანობისა, პუშკინი ზოგჯერ არღვევს სტროფის დასრულებულობას და არ ათავებს ერთს სტროფში წინადადებას, რათა მისი ნაწილი გადაიტანოს მეორე სტროფის დასაწყისში. დედნის ეს თავისებურებაც ზუსტად არის დაცული თარგმანში. მინუსად უნდა ჩაითვალოს რუსიციზმები, რომლებიც ხშირია თარგმანში (ნალიკა, ბლინი, ოხტენკა). მაგრამ („ოხტენკას“ გარდა) ეს რუსიციზმები ძალიან ძნელად თუ შეიძლება იქნას გადმოქართულებული.

გავარჩიოთ ეხლა უფრო კონკრეტულად თარგმანის ზოგიერთი ადგილი. დავიწყოთ თავიდან.

„დარბაისელად ცნობილ ჩემს ბიძას
ავადმყოფობა რის შედეგია,
პატივისცემას მოითხოვს დიდძალს
უკეთ ვერ იქნდა, რაღა ეპეია“.

ასე იწყება თარგმანის პირველი სტროფი. თითოეულ სტროქონში აქ ათი მარცვალა. ეს უახლოვდება პუშკინის ოთხტერფიან იამბს, რომლითაც დაწერილია „ევგენი ონეგინი“, თუმცა მთლად ზუსტად არ ემთხვევა მას: პუშკინის სტრიქონი შეიცავს მორიგეობით ხან $\bar{x} \bar{x} \bar{x} \bar{x} \bar{x} \bar{x} \bar{x} \bar{x} \bar{x} \bar{x}$ მარცვალს, თარგმანში კი ყველგან დაცულია ათ-ათ მარცვლიანი სტრიქონი, ე. ი. მოცემულია სრული იზომეტრია. გარდა ამისა, პუშკინის იამბი, რომელიც ქართული ლექსისათვის უჩვეულოა, თარგმანში შეცვლილია ქორეული ლექსით. მთლად ზუსტად ეს არ გადმოგვცემს პუშკინის რიტმს, მაგრამ პასუხისმგებლობა ამისათვის მთარგმნელს არ დაეკისრება, ვინაიდან მისი თარგმანი იმდენად უახლოვდება პუშკინის ლექსის რიტმს, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა ქართული ლექსის ბუნება.

აეილოთ ესლა პირველი სტრიქონი:

„დარბაისელად ცნობილს ჩემს ბიძას“...

ეს სტრიქონი ორს სამახვილო კომპლექსს შეიცავს: ერთში შედის სიტყვა „დარბაისელად“, ხოლო მეორეში შედის სამი სიტყვა „ცნობილ ჩემს ბიძას“. პირველ კომპლექსში დაცულია მახვილის ბუნებრივი ადგილი: ხუთმარცვლოვან კომპლექსში მახვილი ზედება წესისამებრ მესამე მარცვალს ბოლოდან. მაგრამ იგივე არ ითქმის მეორე სამახვილო კომპლექსის შესახებ. კომპლექსში „ცნობილ ჩემს ბიძას“ მახვილი უნდა მოხვედროდა სიტყვას „ჩემს“, რადგან სწორედ ეს სიტყვა შეადგენს მესამე მარცვალს. მაგრამ ამ თავისი ბუნებრივი ადგილიდან მახვილი უნდა იქნას გადატანილი მეორე მარცვალზე ბოლოდან და მოხედეს „ბიძას“ — სიტყვის პირველ მარცვალს, ვინაიდან ამას მოითხოვს რითმის კანონი. ამრიგად, რითმის მოთხოვნილება სცვლის ამ შემთხვევაში მახვილის ბუნებრივ ადგილს, რაც არ არის სასურველი: ლექსი არ უნდა არღვევდეს სიტყვების ჩვეულებრივ ფონეტიკურ ფორმას.

რაც შეეხება ზემომოყვანილი ნაწყვეტის რითმებს, ისინი ეთანხმებიან პუშკინის რითმებს შემდეგში: თარგმანში დაცულია დედანში მოცემული მორიგეობა რითმებისა: პირველი სტრიქონი შერითმულია მესამესთან, ხოლო მეორე — მეოთხესთან. მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანის რითმები განსხვავდება დედნის რითმებისაგან. პუშკინს აქვს მხოლოდ ქალური და ვაჟური რითმები: პირველი და მესამე სტრიქონის რითმები ქალურია (правила — заставила), ხოლო მეორე და მეოთხე სტრიქონის რითმები ვაჟურია (занемог — не мог). ნაცვლად ვაჟური ან იამბური რითმებისა, მთარგმნელი სარგებლობს დაქტილური რითმებით (შეეჩვია — ექვია). რამდენად შეესატყვისება რუსულ იამბურ რითმას ქართული დაქტილური რითმა, ეს სხვა საკითხია. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პუშკინის ვაჟური რითმების გადმოცემისას დაქტილური რითმებით მთარგმნელი ებრძვის იმ დაბრკოლებას, რომ ქართული

ლექსისათვის უცხოა ვაჟური რითმა. და თუ ამ ბრძოლაში მთარგმნელი მთლად გამარჯვებული არ არის, ამისათვის პასუხს აგებს არა ის, პერსონალურად, არამედ ქართული ლექსის ბუნება. რომ, მთარგმნელს არ შეეცვალა ვაჟური რითმა დაქტილურით, მაშინ ის იძულებული იქნებოდა ან შეეცვალა ვაჟური რითმა ქალური რითმით, ან და მეორე და მეოთხე პწკარი ურითმოდ დაეტოვებია. ეს უკანასკნელი გამოსავალი გააადვილებდა თარგმნის საქმეს, მაგრამ არ მოგვეცემა სასურველ ეფექტს, რადგან უფრო მეტად დააშორებდა თარგმანის რიტმს დედნის რიტმისაგან. აგრეთვე დააშორებდა თარგმანს დედნისაგან, რომ მთარგმნელს დედნის ვაჟური რითმა გადმოეცა ქალური რითმით, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოისპობოდა მორიგეობა რითმებისა და რითმული მრავალფეროვნების ადგილს დაიჭერდა რითმების უფერული მონოტონობა. რა სჯობს: რითმების მორიგეობის დატოვება თუ მორიგეობის სრული გაუქმება? ვფიქრობ, რომ პირველი სჯობს, და სწორედ ეს უმჯობესი გზა აქვს არჩეული მთარგმნელსაც. ამრიგად, პუშკინის ლექსის რიტმის დაჭერის მხრივ მთარგმნელს არ შეიძლება ეთქვას საყვედური; პირიქით, ის აქ ინიციატივასა და ოსტატობას იჩენს.

ზემომოყვანილი ოთხი პწკარის ანალიზი არ იქნებოდა სრული, რომ ჩვენ არ აღგვენიშნა შემდეგი გარემოებაც: ამ პწკარების სიტყვათა წყობა არ არის ისეთივე ბუნებრივი და გამსჭვირვალე, როგორც ის რუსულ დედანშია. გარდა ამისა, ქართული სიტყვა „როს“ არქაული სიტყვაა და მას შეაქვს თარგმანში დედნისათვის უცხო იერი, ვინაიდან დედანი დაწერილია ჩვეულებრივი, სასაუბრო, ძალდაუტანელი ენით. ამ არაბუნებრივობის შთაბეჭდილებას აძლიერებს თარგმანში მეხუთე პწკარიც, რომელიც უშუალოდ მოსდევს ქვევით:

„ეს მაგალითი სხვათა მწრთენელია“.

საქიროა დაფიქრება იმისათვის, რათა გაიგო, რა აზრია ამ წინადადებაში. პუშკინს კი აქ სრულიად მარტივი და ადვილად აღსაქმელი ფრაზა აქვს:

„Его пример другим наука“.

მთარგმნელმა აქ თითქოს სიტყვა-სიტყვით მისდია დედანს, ე. ი. გადაიხარა ემპირიზმისაკენ, და ამით გააუარესა საქმე, ვინაიდან რუსული ენისათვის ჩვეულებრივია ასეთი გამოთქმა: „Этот пример наука мне“, „этот пример пошел ему в науку“ და სხვა ამის მსგავსი. მაგრამ ქართული ენისათვის ასევე ჩვეულებრივი არ არის გამოთქმა: „ეს მაგალითი ამ კაცის მწვრთნელია“. უფრო მოხერხებული და მარჯვე გამოთქმაა: „ეს მაგალითი ამ კაცისათვის ჭკუის მასწავლებელია“.

გადავიდეთ ეხლა შემდეგ ოთხ პწკარზე, რომელიც მოსდევს უკვე გარჩეულ სტრიქონებს:

„ეს მაგალითი სხვათა მწრთუნელია.
მაგრამ, ო, ღმერთო, რა რიგ ძნელია
ავადმყოფს უჯდო დღითა და ღამით,
ვერ სცილდებოდე ვერც ერთი წამით“.



გერმანული
გინზლიმუსი

თუ არ მივიღეთ მხედველობაში ის, რაც ითქვა უკვე ამ ნაწყვეტის პირველი პწკარის შესახებ, მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ ეს ნაწყვეტი სრულიად შეესატყვისება დედანს და არ ჩამოუვარდება მას გამოთქმის ძალაში. აი რუსული დედანიც:

„Его пример другим наука.
Но, боже мой, какая скука
С больным сидеть и день, и ночь,
Не отходя ни шагу прочь“.

შემდეგი ნაწყვეტია:

„ცბიერებაა, რა რიგ მდაბალი:
მომაკვდავისა იყო შემქცევი,
როცა აღურსით თითქოს ექცევი,
მწუხარებითაც მიგაქვს წამალი.
მოხეზრებული გულში ფიქრობ კი:
როდის წავიღებს ნეტა ეშმაკი“.

ამ ნაწყვეტში დედანი უკვე ჩამოქვეითებულია. პირველ პწკარში, მაგალითად, თარგმანის სიტყვათა წყობას აკლია დედნის ბუნებრივობა და თავისუფლება. ფრაზა

„Какое низкое коварство“

სრულიად ბუნებრივი რუსული ფრაზაა. მაგრამ ქართული ენისათვის უჩვეულო და ხელოვნურია ასეთი ფრაზა: „ცბიერებაა რა რიგ მდაბალი“. უფრო მოჭილი იქნებოდა სიტყვების ასეთი წყობა: „რა რიგ მდაბალი ცბიერებაა“. აგრეთვე აკლია ბუნებრივობა ფრაზას: „მომაკვდავისა იყო შემქცევი“ და „მწუხარებითაც მიგაქვს წამალი“. დედანში აქ მეტი სიმარტივე და თავისუფლებაა.

რაც შეეხება შემომოყვანილი ნაწყვეტის უკანასკნელ ორ პწკარს, იქ დაზიანებულია რითმა. დედანში მოცემულია „себя — тебя“, ე. ი. ზუსტი ვაჟური რითმა. თავისი წესის თანახმად, მთარგმნელს უნდა მოეცა აქ დაქტილური რითმა. მაგრამ კომპლექსი „ფიქრობ კი“ საკმაოდ არ შეესატყვისება სიტყვას „ეშმაკი“: შესატყვისობა ეხება მხოლოდ ერთს მარცვალს და არა სამ მარცვალს. ეს ერთი მარცვალი კი არ ჰქმნის რითმას, რადგან მას მახვილი არ ხვდება. კითხვის დროსაც გრძნობთ აქ უხერხულობას, რომელსაც დედანში არ ამჩნევთ. დედანში ასეთი პწკარებია:

„Вдыхать и думать про себя:
Когда же черт возьмет тебя“.

თარგმანში კი ეს ადგილი ასე ისმის:

„მობეზრებული გულში ფიქრობ კი:
როდის წაგიღებს ნეტა ეშმაკი“.



ქართული
ზიგლიპოსეკა

რათა იგრძნოთ აქ რითმა, სიტყვა „ეშმაკი“ უნდა გააპოთ და მოსწყვიტოთ მას ნაწილაკი „კი“, რაც დაარღვევს დედანში მოცემულ ბუნებრივობას. გარდა ამისა, დედნის ერთი სახე, რომელიც მოცემულია სიტყვით „ВЗДЫХАТЬ“ და რომელიც აძლევს მთელს სურათს მხატვრულ სიციხველეს, თარგმანში გამოტოვებულია, რადგან სიტყვა „ВЗДЫХАТЬ“ გადმოთარგმნილია ნაკლებად კონკრეტული შინაარსის მქონე სიტყვით „მობეზრებული“. სხვა მხრივ კი ეს უკანასკნელი ორი პწკარი თარგმანში კარგია.

საერთო შთაბეჭდილება თარგმანის პირველი სტროფისაგან ასეთია: ამ სტროფში პუშკინის ოსტატობა ცოტათი ჩამოქვეითებულია და თარგმანის დანარჩენ სტროფებსაც ის ჩამოუვარდება. — გადავიდეთ ეხლა მეორე სტროფზე, რომელიც ასე იწყება:

„ასე ფიქრობდა უმაწვილურ ვნებით,
ეტლი სიჩქარით მიჰქროდა ვიდრე“.

ამ პწკარების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: სიტყვების კონსტრუქცია უწინააღმდეგება ქართული ენის ბუნებას და მოკლებულია დედნის სიმსუბუქესა და გრაციას. დედანში სწერია:

„Так думал молодой повеса,
В пыли несаясь на ночтовых“.

ეს სრულიად ბუნებრივი, სრულიად თავისუფალი და ამავე დროს სახიერი გამოთქმაა. ქართულ თარგმანში კი, ჯერ ერთი, დამცირებულია დედნის საბიერობა, რადგან დატოვებულია გადაუთარგმნელად გამოთქმა „В ПЫЛИ“, რომელსაც სიციხველე შეაქვს სურათში, ხოლო „повеса“ სიტყვის შინაარსი გადმოცემულია სიტყვით „უმაწვილური“, რაც აღარბებს „повеса“ სიტყვის მხატვრულ ფუნქციას. შეიძლება ამას თვითონ მთარგმნელიც ამჩნევდა და ამიტომ, რათა გათანაბრობოდა დედანს, „მიჰქროდა“ — სიტყვას დაუმატა სიტყვა „სიჩქარით“. მაგრამ „სიჩქარით მიჰქროდა“ მძიმე გამოთქმაა. უფრო ბუნებრივი იქნებოდა „ჩქარა მიჰქროდა“. ან რა საჭიროა „მიჰქროდა“-ს დაემატოს „სიჩქარით“? ამ უკანასკნელი სიტყვის დამატება მხოლოდ ასუსტებს „მიჰქროდა“ სიტყვის ძალას და ერთგვარი დისონანსი შემოაქვს, ვინაიდან აფიქრებინებს მკითხველს, რომ შეიძლება არა ჩქარა ან ნელა მიჰქროდეს.

თარგმანის მესამე და მეოთხე პწკარში:

„დიდი ზევსისა უმაღლეს ნებით
თვის წინაპართა პირშო მეგვიდრე“ —

თუ არ დაიკარგა, ოდნავ მაინც შესუსტდა ის კუმორი, რომელსაც გრძნობთ პუშკინის სიტყვებში:

„Всеышней волею Зевеса
Наследник всех своих родных“.

ერყენულნი
ზნეზნიძეთესა

თარგმანი აქ თითქო ზუსტია, თითქო სიტყვა-სიტყვით გადმოგვცემს დედანს, მაგრამ რაღაცა მაინც აკლია. რა უნდა გაეკეთებია მთარგმნელს, რომ გასწორებოდა ორიგინალს, — ძნელი სათქმელია. მაგრამ, ცხადია, რაღაც უნდა გაეკეთებია, რათა არ გაელარიბებია პუშკინის სტილი. შეიძლება „თვის წინაპართა“ აქ უხერხული იყოს, რამდენადაც ასეთ გამოთქმას შემოაქვს არქაიზმი, რომელიც დედანში არ არის. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი მომენტი, რომელსაც უკვე მეტი წონა აქვს. პუშკინი სწორს ონეგინის შესახებ, რომ ის იყო „наследник всех своих родных“. აქ ევგენი ონეგინი დახასიათებულია, როგორც ერთად-ერთი მემკვიდრე ყველა თავისი ნათესავისა, და ამით ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ ონეგინის გვარი განიკდიდა დეგენერაციას და ამოწყვეტას, ვინაიდან ამ გვარის მთელი ახალგაზრდა თაობა წარმოდგენილი ყოფილა თურმე მხოლოდ ერთი კაციით. ასეთი დეგენერაცია და ამოწყვეტა ტიპური მოვლენა იყო რუსეთის თავადაზნაურობისათვის უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსეთის კაპიტალიზაციასთან დაკავშირებით თავადაზნაურობას უკვე ეკარგებოდა სოციალურ-ეკონომიური ფუნქცია და ის იმ ხარაბუხების გუნდად იქცევოდა, რომლებიც ან თვითონ წყდებიან ან მშრომელი ფუტკრების მიერ ისპობიან. შემდეგში თავადაზნაურობის ეს დეგენერაცია და ამოწყვეტა უფრო ფართო ხასიათს მიიღებს და თავის აღმწერლებს იპოვნის ლერმოვოვის, ტურგენევის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის და სხვების სახით. განსაკუთრებით საშინელი სურათი თავადაზნაურობის დეგენერაციისა მოცემული აქვს სალტიკოვ-შჩედრინს თავის რომანში „Господа Головлевы“, რომლის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის არის განვითარება პუშკინის ამ ერთი ფრაზისა — „наследник всех своих родных“.

მაგრამ ამ სოციალურ მომენტსაც რომ არ მიეჭკეს ყურადღება, თვითონ ონეგინის ხასიათის სწორი გაგებისათვისაც აქ მოცემულია მნიშვნელოვანი გარემოება. მთელი ყოფაქცევა ონეგინისა, რომელიც აღწერილია რომანში, თავის გასაღებს პოულობს იმ ფაქტში, რომ ის არის დეგენერანტი წრის შვილი. ონეგინი, პუშკინის წარმოდგენით, არის ბედისწერის მსხვერპლი, რომლის თავზე დაკიდებულია დამოკლეს მახვილი, და ეს მახვილიც, დღეს თუ არა, ხვალ ჩამოვარდება, დაეცემა ონეგინის კისერს და წასჭრის მას თავს. სწორედ ამიტომ ეცოდება პუშკინს თავისი გმირი და ამით აიხსნება ის სიმპათია ონეგინის მიმართ, რომელიც განსაკუთრებით კარგად მოჩანს რომანის ბოლო ნაწილებში.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი მთელი რომანისა ქართულ თარგმანში დაიკარგა, ვინაიდან, თარგმანის მიხედვით, ევგენი ონეგინი არის არა ყველა თავისი ნათესავის ერთად-ერთი მემკვიდრე, არამედ მხოლოდ **მემკვიდრე**.
„თვის წინაპართა პირმო მემკვიდრე“.

სიტყვა „პირმო“ აფიქრებინებს მკითხველს, რომ ონეგინების გვარს ჰყოლია კიდევ სხვა, უკვე არა-პირმო, მემკვიდრე, და ამრიგად თარგმანის მკითხველი აცდება პუშკინის რომანის ფრიად საყურადღებო აზრს, რომელიც ზევით იყო განმარტებული.

დანარჩენი ნაწილები ამ მეორე სტროფისა არ იწვევენ შენიშვნას, თუ არ მივაქციეთ ყურადღება ბოლოში მოქცეულ პწკარებს:

„მეც იქ ვცხოვრობდი, იყო დრო ერთი.
მაგრამ ძლიერ მწყენს მე ჩრდილოეთი“.

ამ პწკარებში კარგად არის გადმოცემული პუშკინის ირონია. როგორც ცნობილია, პუშკინი 1820 წელს გააძევა პეტერბურგიდან თვითმპყრობე-ლური მთავრობის ადმინისტრაციამ, რომელსაც არ მოსწონდა, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ პუშკინი ძალიან თამამ ეპიგრამებს სწერდა მთავრობასთან დაახლოებულ პირებზე: არაჩვევს უწოდა „фрунтовой солдат“, არქიმანდრიტ ფოტიუსს — „полу-фанатик, полу-плут“, და ბევრი კიდევ სხვა გავლენიანი პირი გადაიმტერა. ცხადია, თვითმპყრობე-ლური მთავრობა ამას არ მოუთმენდა პოეტს, და პუშკინსაც დაუპირეს სადმე შორს გადაკარგვა. მაგრამ **ე უ კ ვ ს კ ი ს**, **ენ გ ე ლ გ ა რ ტ ი ს** და სხვების ჩარევამ ააციდინა პუშკინს ასეთი მძიმე სასჯელი, და პოეტი გადაიყვანეს სამსახურში ეკატერინოსლავს და დაუნიშნეს ფარული პოლიტიკური პოლიციის მეთვალყურეობა. სწორედ ეს გარემოება აქვს პუშკინს მხედველობაში, როდესაც იგი ირონიულად ამბობს, რომ მას „ძლიერ მწყენს ჩრდილოეთი“. ეს ირონიული კილო კარგად არის დაცული თარგმანში. სამაგიეროდ, ნაკლებად არის დაცული მეორე მომენტი. პუშკინი ამბობს: „Там некогда гулял и я“. „Гулял“ სიტყვით პუშკინი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდობის წლებში ის პეტერბურგში მზიარულად იტარებდა დროს. თარგმანში ეს ნიუანსი დაიკარგა, რადგან აღნიშნული ფრაზა თარგმანში გადმოცემულია ასე: „მეც იქ ვცხოვრობდი, იყო დრო ერთი“. სიტყვა „ვცხოვრობდი“ არ გვაძლევს იმ წარმოდგენას, რომელიც მოცემულია რუსულ სიტყვაში „гулял“; ქართული „ვცხოვრობდი“ უფრო აბსტრაქტული და უფრო უფერული სიტყვაა, ვიდრე რუსული „гулял“. ამ უკანასკნელს მეტი საბიეროება ახასიათებს. რა თქმა უნდა, დიდი ნაკლი აქ თარგმანს არ აქვს, და თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ამაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ცხადვეყოთ ის გარემოება, თუ რამდენად ძნელია თარგმანმა დედნის ნიუანსები გადმოგვცეს და მისი სტილი შეინარჩუნოს.

გადავიდეთ თარგმანის მესამე სტროფზე. უნდა ითქვას, რომ საერთოდ ეს სტროფი კარგად არის გაკეთებული. ოღონდ, როგორც რიტმის, ისე ლოგიკის თვალსაზრისით, უკეთესი იქნებოდა, თუ ამ სტროფის მეორე პწკარში („მსახურობდა — და ცხოვრობდა ვალდებულად“): ცხოვრობდა გადავიტანდით „და“ სიტყვის შემდეგ: თარგმანში ტირე მოთავსებულა ამ სიტყვის წინ და შექმნილია თავისებური enjambement, რომელსაც დედანი არ მოითხოვს. თუ ტირე იქნება მოთავსებული „და“ სიტყვის შემდეგ, მაშინ ხაზი გაესმება კონტრასტს „კეთილშობილად მსახურობდა“ — ფრაზასა და „ცხოვრობდა ვალით“ ფრაზას შორის. ასეთი კონტრასტი არ არის უცხო დედნისათვისაც, სადაც იგი აღნიშნულია წინადადების გრამატიკული გრებილის საშუალებით. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსის რიტმმა დაამახინჯა თარგმანში ორი ფრანგული სიტყვა — *madame* და *monsieur*. რუსულ დედანში ეს ფრანგული სიტყვები ინარჩუნებენ მახვილს თავის ბუნებრივ ადგილზე, ე. ი. სიტყვის ბოლოში, როგორც ეს ფრანგულ სიტყვებს სჩვევიათ საზოგადოდ. ქართულ თარგმანში კი ორივე შემთხვევაში მახვილი გადატანილია პირველ მარცვალზე და ამით სიტყვებს ეკარგება ფრანგული იერი: ნაცვლად *madame* გამოთქმისა ქართული თარგმანის კითხვის დროს უნდა გამოითქვას *mádam* და ნაცვლად *monsieur*-ისა უნდა გამოითქვას *mónsieur*: წინააღმდეგ შემთხვევაში ირღევეა რიტმი. რუსულ დედანში კი ასეთი დამახინჯება ამ ფრანგული სიტყვების ფონეტიკური ბუნებისა აცილებულია თავიდან, რადგან იქ სიტყვა *monsieur* მოცემულია მეორე იამბიკურ ტერფში. რაც დედნის იამბიკურ ლექსში მოცემულია მეორე ტერფში, ის მთარგმნელმა მოგვცა თავისი ქორეული ლექსის აგრეთვე მეორე ტერფში და ამან გააუარესა თარგმანი, ე. ი. მთარგმნელი გადაიხარა ემპირიზმისაკენ და მეტის-მეტად ზუსტად მისდია დედანს დეტალებში, ამის გამო კი დასცილდა დედანს მთავარში. თუ რუსული იამბიკური ლექსისათვის კარგია, როდესაც პწკარი იწყება სიტყვებით: „*потом monsieur*“, ქართული ქორეული ლექსისათვის უკვე არ ვარგა, როდესაც ის იწყება სიტყვებით „შემდეგ *mónsieur*“. ეს არ არის დიდი შეცდომა, და მისი გამოსწორება ადვილია. მაგრამ თარგმანის ამ პატარა შეცდომაზე იმიტომ შევჩერდით, რათა გამოვიყვანოთ აქედან ზოგადი დასკვნა: როდესაც ლექსში ეხმარობთ უცხო სიტყვას, უნდა ვეცადოთ ვიხმაროთ ეს სიტყვა ისეთს კონტექსტში, რომ არ დაირღვეს ამ სიტყვის საკუთარი ფონეტიკური ბუნება, ე. ი. ვიხმაროთ ისე, როგორც ხმარობდა უცხო სიტყვებს დიდი ოსტატი პუშკინი და როგორც ხმარობს მათ თვითონ გრ. ცეცხლაძეც სხვა შემთხვევებში. მაგალითად, კარგად არის მის თარგმანში ნახმარი იგივე სიტყვა *monsieur* ამავე სტროფის მეცხრე პწკარში: „*Monsieur l'Abbé*, ფრანგი საწყალი“.

გადავიდეთ მეოთხე სტროფის გარჩევასზე. ამ სტროფში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ორ ადგილს. პირველია ეს ორი პწკარი:

„გაუჭირებლად ფრანგულ ენაზე
ვეგენი წერდა და საუბრობდა“.



ჩემი შეხედულებით, სიტყვა „გაუჭირებლად“ დედნიკებზე, უმეტად არ გადმოგვეცემს. დედანში ის აზრია გატარებული, უფრო-რეგულარული, ზედმიწევნით იცოდა ფრანგული ენა: იცოდა გაცილებით უკეთესად, ვიდრე რუსული ენა, რადგან ეს იყო შედეგი მისი ფრანგული აღზრდისა. ამ გირემოებაში, რომ ონეგინი ზედმიწევნით ლაპარაკობდა ფრანგულად, პუშკინი ზედავდა იმ საზოგადოებრივ ნაკლს, რომლის შესახებაც წუწუნებდა მთელი რუსული ლიტერატურა, ფონვიზინი და კრილოვი და ნაწილობრივ დაწვებული, ვიდრე გრიბოედოვიამდე, რომელმაც ჩაქვის პირით გაამათრახა რუსეთის უმაღლესი საზოგადოება იმისათვის, რომ ის ფრანგულად ლაპარაკობდა, ხოლო თავისი დედა-ენა დავიწყებული ჰქონდა და ამის გამო მოწყვეტილი იყო მასას და გადაგვარების გზაზე იყო დამდგარი. მთელ ამ ისტორიულ ამბავს პუშკინი უკეთებს კონდენსაციას ერთს მოკლე წინადადებაში: „Он по-французски совершенно мог из'ясняться“. თარგმანში კი ეს ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი რუსეთის საზოგადოებრივი განვითარებისა ამოვარდნილია, რადგან ონეგინის შესახებ ნათქვამია, რომ ის მხოლოდ „გაუჭირებლად“ საუბრობდა და წერდა ფრანგულ ენაზე. მაგალითად, გაუჭირებლად ლაპარაკი ფრანგულ ენაზე შეუძლია ბევრ ქართველს, რომელსაც ეს ენა მაინც არ ეხერხება ისე, როგორც ქართული. სიტყვა „გაუჭირებლად“ არ გადმოგვეცემს იმ ნიუანსს, რომელიც ჩადებულია დედნის სიტყვაში „совершенно“. პირიქით, ის ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელი სიტყვის აზრს, რადგან აფიჭრებინებს მკითხველს, რომ ფრანგულ ენას შეეძლო გაჭირების საკითხად ქცეულიყო ონეგინისათვის.

ამავე მეოთხე სტროფში აღსანიშნავია უკანასკნელი ორი პწკარიც, რომელიც არა თუ მოკლებულია რუსული დედნის სიმსუბუქესა და გრაცობას, არამედ გაუგებარიც კი არის. აი ეს პწკარები:

„სხვა რაღა ვინდათ? გონებამჭრელი —
სოჭვის — ჭკუიანი და საყვარელი“.

რას ნიშნავს ეს „გონებამჭრელი“ ამ კონტექსტში? რომ ეს გაიგოთ, უნდა რუსულ დედანს მიმართოთ, რადგან თარგმანი ვერ გშველით, რამდენჯერმე ძალიან დაკვირვებულადაც რომ გადაიკითხოთ იგი. რუსულ დედანში კი აქ სრული სინათლეა:

“Чтого-ж вам больше? Свет решил,
Что он умн и очень мил”

კარგი იქნებოდა რომ თარგმანში გადმოცემული ყოფილიყო სიტყვა „свет“, რომელიც შეიცავს ირონიას ბრწყინვალე საზოგადოების წინააღმდეგ, სადაც დიდი ჭკუა და სწავლა-განათლება არ იყო საჭირო ჭკუიანი და ნასწავლი კაცის სახელის დამსახურებისათვის, ვინაიდან თვითონ ეს სა-

ზოგადობა ქარაფშუტა და უმეცარ პირებისაგან შესდგებოდა. მაგრამ მთარგმნელმა გამოსტოვა ეს სიტყვა „CBET“, და, მართლაც, ის ძალიან ძნელი გადმოსაცემია.

ეტიმოლოგია

გავათავოთ ამით რომანის დასაწყისის გარჩევა. ჩვენს შემთხვევაში ზოგადად მთარგმნელის მეთოდს, აღვნიშნეთ მთარგმნელის ოსტატობა და აგრეთვე ზოგიერთი ნაკლი, რომელიც შეიძლება დახასიათებულ იქნას, როგორც ემპირიზმისაკენ გადახრა. გავარჩიოთ ეხლა, თუ როგორ გადათარგმნა გრ. ცეცხლაძემ პუშკინის რომანის ცენტრალური ადგილი. ეს ადგილია წერილი, რომელიც ტატიანამ მისწერა ევგენი ონეგინს. მრავალმხრივ არის ეს წერილი საინტერესო, ვინაიდან ამ წერილში გარკვეულად მოჩანს ტატიანას ხასიათი, როგორც წარმოდგენილი ჰქონდა იგი პუშკინს. წერილი საშუალებას გვაძლევს ჩავიხედოთ ტატიანას არსებაში და გავიგოთ ის, რაც ტატიანას შესახებ პოეტის მიერ სხვა ადგილებში ნათქვამიდან არა სჩანს. ნუ დავგვიწყდება სამი გარემოება: 1. ტატიანა არის მთავარი მომქმედი პირი რომანისა; 2. ტატიანა არის მე-19 საუკუნის რუსი ქალი; 3. ტატიანა არის იმ ქალის იდეალური ტიპი, რომელსაც შემდეგ ანეითარებდა პუშკინიდან ამოსული მთელი რუსული ლიტერატურა და რომლის ვარიანტები ვანსაკუთრებით კარგად მოგვცეს ტურგენევი და ლევ ტოლსტოი. ამიტომაც ტატიანას წერილი რომ კარგად იქნას გადათარგმნილი, საჭიროა არა მხოლოდ ის, რომ მთარგმნელი კარგად იცნობდეს პუშკინის „ევგენი ონეგინს“ და საზოგადოდ მთელს პუშკინს, არამედ საჭიროა ისიც, რომ მთარგმნელი იცნობდეს მთელს თავად აზნაურულ ლიტერატურას და აგრეთვე იმ ეპოქის საზოგადოებრივ ყოფას, რომელსაც ეკუთვნის პუშკინის რომანი. წინააღმდეგ შემთხვევაში მთარგმნელი არ იქნება დაზღვეული შეცდომებისაგან.

ჩემი აზრით, ტატიანას წერილის თარგმანით გრ. ცეცხლაძემ ცხად-პყო, რომ ეს აკმაყოფილებს ზემოთხსენებულ პირობებს, ე. ი. იცნობს, როგორც პუშკინს და მის შემოქმედებას, ისე მის ეპოქას და საზოგადოდ რუსული ლიტერატურის ისტორიულ ბედს. ამ წერილს თარგმანით გრ. ცეცხლაძემ მოგვცა თავისი პოეტური ოსტატობის შედეგი. საერთო ტონი ტატიანას წერილისა მთარგმნელის მიერ კარგადაა დაქვერილი. მაგრამ არის მაინც თარგმანში ზოგიერთი ადგილი, რომელიც შენიშვნას იწვევს.

ვინ არის ტატიანა, პუშკინის გაგებით? ტატიანა არის ონეგინის ანტიპოდი, და მას, როგორც ასეთს, ახასიათებს ის, რაც ონეგინს აკლია. ონეგინი არის არისტოკრატიის მაღალი ფენის შვილი, ის აღზრდილია დიდი ქალაქის ატმოსფეროში მისი აღმზრდელები იყვნენ დაქირავებული ფრანგი გუვერნიორები, რომელნიც უფრო აფუჭებდნენ ბავშვის ბუნებას, ვიდრე წრთვნიდნენ და ანეითარებდნენ მას. დედამამის სიყვარული და ოჯახური ყოფის სიბოძო ონეგინს არ განუცდია, და ამან დააჩნია ონეგინის ხასიათს

თავისი დალი და ვადააქცია იგი მშრალ ეგოისტად, სუბკულტურულად, თითქმის ცინიკოსად, რომელიც ირონიულად ეკიდება ცხოვრებას.

წინააღმდეგ ამისა, ტატიანა პროვინციელი აზნაურის ქალიშვილია. ის აღიზარდა სოფლად, ბუნების წილში. ფრანგ გუვერნორების ტატიანა არ უწვალეზბიათ, და უცხოურ სწავლა-განათლებას ჯანსაღი ნებისყოფისა და სალი მსჯელობის ნიშნები ტატიანაში არ წაუშლია. დაჭირებულნი გუვერნიორების ნაცვლად, ტატიანას აღმზრდელები იყვნენ დედა და გულუბრყვილო გამდეგი ქალი. ცოდნას ამათგან ტატიანა ვერ შეიძენდა, და სწავლა-განათლების მზრივ იგი ჩამოუვარდებოდა ონეგინს. ტატიანა არ არის თავისუფალი ცრუმორწმუნეობისაგანაც კი. მას სჯერა სიზმრები. მისი საყვარელი წიგნია ვილაც მარტინ ზადეკას თხზულება, სადაც სიზმრები იყო ახსნილი. ნაცვლად საფრანგეთის განმანათლებელთა ნაწერებისა, რომლებსაც კითხულობდა ონეგინი, ტატიანა გატაცებული იყო ინგლისის სენტიმენტალური რომანებით, რომლებიც უფრო "ეფერებოდენ მის გულუბრყვილო არსებას. ოჯახური სიყვარულის ატმოსფერომ შეუნარჩუნა ტატიანას ადამიანისადმი რწმენა და ნდობა, სოფლის უპრეტენზიო გარემომ კი შეუნარჩუნა მას რელიგიასზე დამყარებული ზნეობა. ტატიანა მორწმუნე ქალი იყო. ის ეზმარებოდა ღარიბ-ღატაკებს და საწყლებს, როგორც ამას ჩაიოდენ შემდეგ ტურგენევისა და ლევ ტოლსტოის ქალები. ონეგინისაგან განსხვავებით, ტატიანასათვის უცხოა იქვი, გაორება, მერყეობა, მისი ნებისყოფა მტკიცეა. არც სიყვარულში იცის მან გაორება და ყოყმანი: თუ შეუყვარდება ვინმე, მზად არის გადადგას ძალიან გაბედული ნაბიჯი, დაარღვიოს ეტიკეტი და პირველად მისწეროს საყვარელ ვაჟს ბარათი. ონეგინი კი ვერასოდეს ვერ გაბედავდა ეტიკეტის ასე თამამად დარღვევას. თუ ონეგინი მისმა განათლებულმა საზოგადოებრივმა წრემ მონად აქცია, ტატიანას მისმა უსწავლეულმა პროვინციულურმა წრემ ხასიათის მეტი თავისუფლება შეუნარჩუნა. ასეთია ტატიანა პუშკინის წარმოდგენით: მორწმუნე, სათნო, ადამიანისადმი ნდობით აღჭურვილი და მტკიცე ნებისყოფის მქონე არსება.

ტატიანას ასეთ ხასიათს ეწინააღმდეგება, ჩემის აზრით, ზოგიერთი ადგილი ტატიანას წერილის თარგმანში. ერთი ასეთი ადგილია შემდეგი ტატიანა სწერს ონეგინს:

„...ჰქვენ ჩვენთან რატომ შემოიარეთ?..
 ამ დავიწყებულ და ყრუ სოფელში
 ვერ დამტანჯავდენ გრძნობები მწარედ,
 ვერ გაგიცნობდით მე თქვენ ჩემს დღეში.
 გამოუცდელი სული მღელვარე
 დაწინარდებოდა, ვთქვათ, როგორმე და
 გამიჩინდებოდა მე გულის ტოლი,
 შევიქნებოდი ერთგული ცოლი
 და სათნოებით აღსავსე დედა“.

საერთოდ, თარგმანი აქ კარგია. მაგრამ ზოგი რამ მაინც სარდა. მაგალითად, ტატიანა ვერ იტყოდა თავის თავზე, რომ ის შეიქმნებოდა „სათნოებით აღსავსე დედა“. დედანში აქ უფრო სადა და უპრეტენზიო გამოთქმაა: „добродетельная мать“, რაც უდრის ქართულს „საინათესაო სწავლებელი კარგი დედა“. მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია მეორე მომენტები: დედის „смирив души волнения“, რომელიც ტატიანას აქტიურ ბუნებას გამოხატავს, თარგმანში გადმოცემულია ფრაზით: „მღელვარე სული დაწყნარდებოდა“. ისე გამოდის თარგმანის მიხედვით, თითქოს ტატიანას იმის იმედი კი არ ჰქონდა, რომ თავისი ნებისყოფის ენერჯით თვითონ დააწყნარებდა თავის ვნებას, არამედ ის იმედს ამყარებდა იმაზე, რომ მისი აღელვებული გრძობა, შესაძლებელია, თავისით დაწყნარებულიყო. ამრიგად, თარგმანში ტატიანა გვევლინება ფატალისტად, რომელიც თავის იმედებს ამყარებს ბრმა ბედზე და არა საკუთარ აქტივობაზე. ასეთსავე ფატალისტურ ხასიათს აძლევს ტატიანას თარგმანის შემდეგი ფრაზა: „გამიჩნდებოდა მე გულის ტოლი“. დედანში კი ამის ნაცვლად სწერია: „по сердцу я нашла бы друга“. უკანასკნელ ფრაზაში წამოწეულია წინ ტატიანას აქტივობა, მისი ენერჯიული ნებისყოფა, რომელიც ფატალისტურად კი არ უცდის, რომ მოწყალე ბედი გულის ტოლს გამოუგზავნის, არამედ თვითონ ეძებს აქტიურად ამ გულის ტოლს. თარგმანში კი ტატიანას ეს აქტივობა წაშლილია, და ტატიანა წარმოდგენილია, როგორც „მე“-ს მოკლებული პასიური არსება, რომელიც თვითონ კი არ განაგებს თავის ბედს, არამედ ამ ბედის მონა-მორჩილია. ქართული წინადადება „გამიჩნდებოდა მე გულის ტოლი“ იმდენად განსხვავდება რუსული წინადადებისაგან „по сердцу я нашла бы друга“, რამდენადაც, მაგალითად, ფრაზა „მე დაეხარჯე ფული“ განსხვავდება ფრაზისაგან „მე შემომეხარჯა ფული“: ისე გამოდის, თითქოს მე კი არ ვიყო ინიციატორი და პასუხისმგებელი იმისათვის, რომ ფული დაეხარჯე, არამედ ფული იყოს პასუხისმგებელი და დამნაშავე იმისათვის, რომ ის დაიხარჯა. ასეთი გამოთქმა ბევრი ქართულ ენაში და ისინი ფატალიზმისა და პიროვნების უპასუხისმგებლობის ნიშნებს ატარებენ. ეს ფატალიზმი ტატიანას ხასიათს არ შეეფერება. რუსი ქალი აქტიური არსებაა. — გვეუბნება პუშკინი შემომოყვანილი ფრაზით. რუსი ქალი ბედის შემყურე და პასიური არსებაა, — გვეუბნება მთარგმნელი თავისი ფრაზით „გამიჩნდებოდა მე გულის ტოლი“.

მესამე ადგილი, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს, არის შემდეგი: ტატიანა სწერს ონეგინს: „Я знаю, ты мне послан богом“. ამ უკანასკნელ სიტყვას („*БОГОМ*“) ტატიანა უეჭველად დიდი ასოთი სწერდა, რადგან იგი მორწმუნე ადამიანი იყო, და ამ ფრაზით პუშკინიც სწორედ ამ გარემოებას აღნიშნავს. თარგმანში კი ეს ღრმა რელიგიური გრძობით გაქვლინებული წინადადება ასეა გადმოცემული: „შენ გამოგზავნეს

ჩემთან ღმერთებმა“. ისე გამოდის, თითქოს ტატიანა ყოფილიყო ფრანგ პსევდო-კლასიკოსებზე აღზრდილი ქალიშვილი, რომელსაც ფრანგულად ეწოდება „precieuse“, და არა გულწრფელი, სადა და მარტოვე მძინობდა, და თითქოს მთელი მისი წერილი ყოფილიყო რიტორიკული ფორმებით აჭრელებული და წინასწარი განზრახვით სტილიზებული ნაწარმოები, და არა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ნაკადი. რა თქმა უნდა, რიტორიკა და აფექტაცია არ შეეფერება ტატიანას. და თუ ეს გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი იქნება, რომ „ღმერთების“ ხმარება თარგმანში, ნაცვლად „ღმერთისა“, უეჭველი შეცდომაა, რომელსაც დისონანსი შეაქვს ტატიანას წერილში და საზოგადოდ ტატიანას მთელს ხასიათში. მორწმუნე და გულუბრყვილო გამდელი ქალის ხელში აღზრდილი ტატიანა, რომელიც შემდეგ გატაცებული იყო რ ი ჩ ა რ დ ს ო ნ ი ს ა და ჟ ა ნ - ჟ ა კ რ უ - ს ო ს რომანებით, ვერ მისწერდა ონეგინს: „შენ გამოგვზავნეს ჩემთან ღმერთებმა“-ო.

გავითავოთ ამით გრიგოლ ცეცხლაძის თარგმანის ვარჩევა. ჩვენ აქ უფრო მეტი ვილაპარაკებთ თარგმანის ისეთ ადგილებზე, რომლებიც საგნოდ მიგვაჩნდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თარგმანში ასეთი საეჭვო ადგილი ბევრი იყოს. პირიქით, ასეთი ადგილები თარგმანში გამო-ნაკლისს შეადგენენ და სწორედ ამიტომ მიიქციეს მათ ჩემი ყურადღება.

3.

გადავიდეთ ეხლა პუშკინის მეორე მთარგმნელზე, პოეტ ვ ა რ ლ ა მ რ უ ხ ა ძ ე ზ ე, რომელმაც გადათარგმნა პუშკინის პოემები: „კავკასიის ტყვე“, „ბოშები“ და „აფაზაკი ძმები“. თუ გრიგოლ ცეცხლაძის თარგმანს ეტყობა ემპირიზმისაკენ გადახრის ნიშნები, ვარლამ რუხაძის თარგმნის მეთოდს ეტყობა იდეალიზმისაკენ გადახრის ნიშნები. გრიგოლ ცეცხლაძე დიდს ყურადღებას აქცევს სათარგმნელი ნაწარმოების სიტყვიერ სამოსელს და იმდენად მონდომებულია ეს სიტყვიერი სამოსელი ზუსტად გადმოგვცეს ქართულ ენაზე, რომ აქა-იქ მისი თარგმანი ვერ უსწორდება პუშკინის ლექსის გრაციას. პირიქით, ვარლამ რუხაძე მონდომებულია გადასცეს მკითხველს სათარგმნელი ნაწარმოების სიმსუბუქე და გრაცია, ხოლო დედნის სიტყვიერ სამოსელს ის ყოველთვის არ უწევს დიდს ანგარიშს და სიზუსტეს მის გადმოცემაში მაინც და მაინც არ მისდევს. ამიტომაც პოეტ ვარლამ რუხაძის თარგმანები ადვილად იკითხება, და ეს მათი დიდი ღირსებაა უეჭველად. მაგრამ ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ღირსება ვარლამ რუხაძის თარგმანებს შეძენილი აქვთ იმით, რომ ისინი თავისუფლად ეკიდებიან სათარგმნელ დედანს და ხშირად უბევეენ მას: ზოგ რამეს გამოაკლებენ, ზოგს ჩაამატებენ, ზოგს გადააკეთებენ. კარგი კი იქნებოდა, რომ თარგმანი არ დასცილებოდა ორიგინალს და ამ გზით ყოფილიყო მსუბუქი და ადვილად საკითხავი.

შეეხებოთ ჯერ „კავკასიის ტყვეს“. ეს პოემა პუშკინმა დაწერა 1821 წელს ინგლისელი პოეტის ბაირონის გავლენით, და პოეტის სტილიც ბაირონისეული რომანტიზმის ნიშნებს ატარებს. ბაირონისეული სტილი პოემისა მკლავნდება ენაში, პეიზაჟში, გმირების დაქვემდებარებას კი უფროს გაშლაში და სხვ. თარგმანი მაშინაა კარგი, როდესაც ის დაიქვრს დედნის ამ ბაირონისეულ სტილს და გადასცემს მას მკითხველს.

ამ მხრივ ვარლამ რუხაძის თარგმანი საზოგადოდ კარგია, მაგრამ არის მაინც ზოგიერთი ფაქტი, რომელიც უნდა აღინიშნოს. წვრილმანებზე ნუ შევჩერდებით და ვილაპარაკოთ მხოლოდ მთავარზე.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ თარგმანში გამოტოვებულია პუშკინის პოემის მიძღვნა და ეპილოგი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ ნაწარმოების ისტორიულ-ლიტერატურული გაგებისათვის. მიძღვნა საინტერესოა პუშკინის სულიერი განცდის გასაცნობად, ხოლო ეპილოგი გვაძლევს საშუალებას შევფასოთ, რამდენად ღრმა და წინააღმდეგობისაგან თავისუფალი იყო პუშკინის ბაირონიზმი. ამ ეპილოგში პუშკინი, პსევდო-კლასიკური ოდების მწერალთა მსგავსად, გამოდის რუსეთის იმპერიალისტური ექსპანსიის მებოტბედ და ქება-დიდებათ იხსენიებს მეფის გენერლებს, რომელნიც მუსრს ავლებდენ კავკასიის თავისუფალ მთიელებს. ასეთი ქცევა ბაირონს არ შეეფერებოდა, და პუშკინი თავისი პოემის ეპილოგით ამტკიცებს, რომ ბაირონიზმი მისთვის იყო მხოლოდ და მხოლოდ სამოსელი. მართალია, ეპილოგის შინაარსი არ შეეფერება ჩვენი დროის მსოფლმხედველობას, მაგრამ, ვისაც სურს „კავკასიის ტყვე“ ისტორიულ-ლიტერატურულად შეისწავლოს, ის ამ ეპილოგს გვერდს ვერ აუხვევს. და თუ მთარგმნელმა გამოსტოვა ეპილოგი, ეს შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ პუშკინის პოპულარიზაციის სურვილით და არა პუშკინის სახის ზუსტი გადმოცემის მოტივით.

თარგმანი შესრულებულია ათ მარცვლოვანი ქორეული ლექსით. ეს შეეფერება ორიგინალს, რომელიც ოთხ ტერფიანი იამბით არის დაწერილი. მაგრამ შეეფერება მხოლოდ დაახლოებით, ვინაიდან თარგმანში დაცულია სრული იზომეტრია, ორიგინალში კი რვა მარცვლიანი პწკარები მორიგეობით ცვლიან ცხრა მარცვლიან პწკარებს. გარდა ამისა, რითმების მხრივაც თარგმანი უხვევს ორიგინალს. პუშკინს არც ერთი პწკარი არ აქვს ურითმოდ დატოვებული. თარგმანში კი მხოლოდ მეორე პწკარი ერთმება მეოთხეს, პირველი და მესამე პწკარები კი ურითმოდ არის დატოვებული. ეს აადვილებს თარგმანზე მუშაობას და მეტ თავისუფლებას აძლევს მთარგმნელს სიტყვების შესარჩევად. მაგრამ ამავე დროს ეს აშორებს თარგმანს დედნისაგან და აღარბებს ამ უკანააქნელის ფონტიკურ ფორმას.

პუშკინი თავის პოემაში ხმარობს enjambement-ებს, და ეს ძალიან საყურადღებოა ამ ნაწარმოების ლიტერატურულ-ისტორიული შესწავლის

თვალსაზრისით. მაგრამ მთარგმნელი არ უწყევს ამ ლიტერატურულ-ისტორიულ ფაქტს ანგარიშს და დედნის enjambement-ებს არ იცვს. მაგალითად, ეს სამი პწყარი:

„И вдруг перед ними на коне
Червец. Он быстро на аркаве
Младого пленника влечит“

ენკონსენსი
გენკონსენსი

მთარგმნელს შემდეგი ორი პწყარით აქვს გადმოცემული:

„უცებ ჩერქეზმა მოაგლო ცხენი,
ოხი ვარსკვლავი აანთო ჰალად“.

Enjambement არ არის თარგმანში დაცული, თუმცა კარგი იქნებოდა მისი დატოვება თუნდაც იმიტომ, რომ იგი ამ შემთხვევაში გადმოგვცემს, რა უეცრად დაარღვია თავისი გამოჩენით ჩერქეზმა მკუდრო ბაასის მიმდინარეობა.

თარგმანში ზოგიერთი სიტყვა და მთელი წინადადებაც არ არის სწორად გადმოცემული. მაგალითად, სიტყვა „хищник“, რომელსაც ამ პოემაში ხშირად ხმარობს პუშკინი, როგორც ჩერქეზების ეპითეტს, თარგმანში გადმოცემულია სიტყვით „მხეცი“ (44). მაგრამ „хищник“ საზოგადოდ არ არის მხეცი. განსაკუთრებით კი „хищник“ არ არის მხეცი პუშკინის პოემის კონტექსტში, ვინაიდან პუშკინი, როგორც ბაირონისეული ყალიბის რომანტიკოსი, თავის პოემაში ეწევა ჩერქეზების იდეალიზაციას და ის მათ „მხეცებს“ ვერ უწოდებდა. არ შეეფერება დედნის სტილს თარგმანის ასეთი გამოთქმაც ჩერქეზებზე: „ბ რ ბ ო მ ძ ვ ი ნ ვ ა რ ე და უ ძ ლ ე ბ ი ს ი ს ლ ი თ“. თარგმანში აქ მართლაც რალაც მხეცებია მოცემული და არა ის აღამიანები, რომლების ბუნებრივ ყოფას რომანტიკოსი პუშკინი შეჰხაროდა. დედანში ამ ფრაზის ნაცვლად სწერია:

„Аул на крик его обжался
Ожесточенной толпой“.

ეს „ожесточенной“ კარგად შეეფერება იმ ფსიქოლოგიურ გრძნობას, რომელსაც შევიწროვებელი ჩერქეზები განიცდიდნენ დამპყრობელი რუსების მიმართ, მაგრამ „ожесточенная“ არ უდრის „სისძლით უძღებს“. და ასეთი გამოთქმით თარგმანი მარტო პუშკინის რომანტიკულ სტილს კი არ არღვევს, არამედ რეალურ სინამდვილესაც დალატობს. „Обманы хитрых узденей“ თარგმანში გამოტოვებულია. სამაგიეროდ ჩამატებულია ფრაზა (43): „ლაგმის ოსტატურ ხერხებს“. Уздень ნიშნავს თავადს, და პუშკინიც ამ ფრაზით ახასიათებს იმ დაუსრულებელ დავასა და შუღლს, რომელიც მთაში იყო გამეფებული და რომელიც შემდეგ უფრო ვრცლად აგვიწერა ლევ ტოლსტოიმ თავის რომანში „ხაჯი მურატი“. თარგმანში კი ეს ფრაზად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მთიელთა

სოციალური ყოფის დახასიათებას გვაძლევს, გამოტოვებულა და მის მაგიერ მოცემულია „ლაგამის ოსტატური ხერხები“, რომელიც არაფერს ღირსშესანიშნავს არ შეიცავს.

გაუგებრად არის გადმოცემული ის მშვენიერი დახასიათება, რომელიც მარქსის მიერ აღწერილია საც აძლევს პუშკინი ჩერქეზულ ცხენს.

„Гроза беспечных казаков,
Его товарищ — конь ретивый.
Пятомец горских табунов.
Товарищ верный, терпеливый.
В пещере или в траве глухой
Коварный хищник: с ним тавится
И вдруг, внезапною стрелой,
Завида путника, стремится“.

ამ ნაწყვეტის უკანასკნელ ოთხ პუკარში პუშკინი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ იმალება ჩერქეზი თავის ცხენიანად სადმე უჩინარ ადგილას და უცდის იქ მსხვერპლს, რათა თავს დაესხას ამ უკანასკნელს. სიტყვები „коварный хищник“ აქ ჩერქეზს აღნიშნავენ და არა მის ცხენს. თარგმანში კი ამ „коварный хищник“-ად, რამდენადაც შესაძლებელია, ნაგულისხმევია ცხენი და ამით გაუგებარი ხდება მთელი ნაწყვეტი. აი ეს ადგილი (53):

„მტკიცე, უზრუნველ ყაზახთა მესი,
მისი სიმდიდრე ფიცხი ცხენია,
ჯოჯში გაზრდილი, მარჯვე, ამტანი,
მისი ერთგული და ამზანაგი,
„ოვლის მომომენი, ყველგან გამტანი,
მღვიმეში, ველზე, ყველგან, ყოველთვის
განაბულია მხეცი მის გულში,
და როს შენიშნავს, ფერატი, მსხვერპლსა
მის ეკვთება ჯიქურ, პირქვში“.

ამ ნაწყვეტის პირველი 5 პუკარი თავისი სიმსუბუქით არ ჩამოუვარდება ორიგინალს, მაგრამ უკანასკნელი ოთხი პუკარი გაუგებარია. რას ნიშნავს „განაბულია მხეცი მის გულში?“ ვის გულშია ეს მხეცი განაბული? რაკი ზევით ცხენზე იყო ლაპარაკი, მკითხველი იფიქრებს, რომ მხეცი ცხენის გულში ყოფილა განაბულიო. ეს ძალიან ძნელი ასათვისებელია და არც დედანს შეეფერება.

მსგავს გაუგებრობას აქვს ადგილი აგრეთვე იქ, სადაც აღწერილია, თუ როგორ კვდება ყაზახი ჩერქეზის ისრისაგან. მომაკვდავი ყაზახი დედანში ამბობს: „Простите, вольные станицы“. „Простите“ აქ ნიშნავს არა „მბატივით“, არამედ „მშვიდობით“. თარგმანში კი ეს ფრაზა ასეა გადმოთარგმნილი: „შემინდე, მზარვე თავისუფალო“. ეს „შემინდე“ არ შეეფერება არც „простите“-ს და არც რელიგიისაგან დაშორებულ

ბაირონისეულ სტილს, რომლითაც დაწერილია „კავკასიის ტყვე“ (ნუ დაგვაფიწყებდა, რომ პუშკინი ამ წლებში „ათეისტობის გაცვეთილებს იღებდა“).

მარკუნული

არა ზუსტად გადათარგმნილ ადგილებს შორის უნდა აღვნიშნავთ კიდევ ორი ადგილი, რომელიც ტყვეს დახასიათებას შეიცავს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ პუშკინის ტყვე პოემაში მკრთალად არის წარმოდგენილი, რადგან ის თავის მოქმედებაში კი არ არის ნაჩვენები, არამედ ავტორის რემარკებით არის დახასიათებული. ამ რემარკების რიცხვი მცირეა პოემაში. ამიტომ, რათა არ წაიშალოს გმირის ბაირონისეული ხასიათი და პოემასაც შერჩეს ბაირონისეული სტილი, საჭიროა ამ რემარკების ისეთი ზუსტი გადმოცემა, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი სიტყვა არ დარჩეს გადაუთარგმნელი და არც ერთი ყალბი „отсебятина“ არ იქნას ჩამატებული. პუშკინი სწერს ტყვეს შესახებ:

„В Россию дальний путь ведет,
В страну, где пламенную младость
Он гордо начал без забот,
Где первую познал он радость,
Где много милого любил,
Где обнял грозное страданье,
Где бурной жизни погубил
Надежду, радость и желание
И лучших дней воспоминание
В увядшем сердце заключил“.

დედნის ეს ათი პწკარი, სადაც მოცემულია ბაირონისეული გმირის სქემა, თარგმანში გადმოცემულია 12 პწკარში და ამით დარღვეულია პუშკინის ლაკონიურობა.

„ამ შორეულ გზას მიჰყავს რუსეთში,
შხარეთში, სადაც ცეცხლებს პრიალა
აინთო მისი ახალგაზრდობა
და სიხარულის შესვა ფილა.
სადაც უყვარდა ბევრი ძვირფასი
სახე უნაზეს, ღრმა სიყვარულით,
სადაც დაღუპა გარიშხლით სავსე
ბევრი იმედი და სიხარული,
სადაც მრავალჯერ გადაეხედა
ღრმა მწუხარება, მრისხანე ქუში...
და ბევრი, ბევრი სხვა მოგონებაც
უკეთეს დღეთა ჩაიკლა გულში“ (45 — 46).

თარგმანში გამოტოვებულია სიტყვები „гордо“ და „грозное страданье“, რომელთა დანიშნულებაა მისცეს გმირს ბაირონისეული ტრავიზმის იერი. სამაგიეროდ, ჩამატებულია სიტყვები „პრიალა ახალგაზრდობა“, „პრიალა ახალგაზრდობა“ („блестящая молодость“), პუშ-

კინის წარმოდგენით, შეიძლებაოდა ჰქონოდა მხოლოდ გამოდრეკილი არისტოკრატიის ბრწყინვალე ბომონდს, რომელსაც ვერ შეეგება ტყვე და სწორედ იმიტომ გამოიქცა კავკასიაში, რომ შესძლებულიყო ნაღვრულად პრიალა, მაგრამ შინაარსებულად ღარიბი ყოფა. რატომ შეეცადა ტყვეთონ ტყვეს, მას, დედნის სიტყვებით, ჰქონდა ირა „პრიალა ახალგაზრდობა“, არა „блестящая молодость“, არამედ „пламенная молодость“, და ეს „пламя“ (ცეცხლი) შოგნით იყო დაფარული და გარედ არ ჩანდა, არ პრიალებდა.

ცოტა უფრო ჭკვევით გამოტოვებულია დედნის „презренная суета“, რომელიც საჭიროა ბრწყინვალე წრის მიმართ ბაირონისეული დამოკიდებულების დასახასიათებლად, აგრეთვე „пустынный мир“, რომელიც ახასიათებს გმირის ბაირონისეულ განშარტობას, პირველი ორი სიტყვის მაგიერ თარგმანში მოცემულია „მშხამავი წუთები“, ხოლო მეორე ორი სიტყვის მაგიერ — უმნიშვნელო წინადადება „მთვარით დაფერილ ჭკვეუნის მინაზე“, რომელიც არაფერს არ აშუქებს და მხოლოდ ასუსტებს პუშკინის სიტყვის ძალას.

როგორც ბაირონის ტიპიურ გმირს, კავკასიის ტყვესაც სწამს მხოლოდ ერთი ღმერთი: ეს ღმერთია თავისუფლება. დედანში ეს ასეა აღწერილი:

„Охолодев к мечтам и дню,
С волненьем песни он вынул,
Одушевленные тобою“.

ეს სამი პწკარი დიდი შინაარსით არის დატვირთული, აქ ტყვეს ეძლევა ისეთი დახასიათება, რომელსაც ავტობიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს თვითონ პუშკინისათვისაც და რომელიც აწვდის შკითხველს საშუალებას ტყვეში პოეტის ავტობიოგრაფიის ნიშნები დაინახოს. „Охолодев к дню“ ნიშნავს იმას, რომ ტყვეს, ისე როგორც პუშკინსაც, მობეზრდა პევსდო-კლასიკური პოეზია, რომლის აუცილებელი ატრიბუტი იყო „ლირა“. „Охолодев к мечтам“ ნიშნავს იმას, რომ ტყვეს, ისე როგორც პუშკინსაც, მობეზრდა ეუკოვსკის სენტიმენტალური და მეოცნებე პოეზია, სამაგიეროდ ტყვეს აღელვებდა „песни, одушевленные тобою“ (т. е. свободою). ამ უკანასკნელთა ჭვეშ ნაგულისხმევია დედანში, უწინარეს ყოვლისა, ბაირონის რომანტიკული პოეზია, რომელიც თავისუფლებით იყო გაცოცხლებული, რადგან ეს თავისუფლება შეადგენდა, როგორც მის შინაარსს, ისე მის ფორმასაც: თავისუფლება შეადგენდა ბაირონის პოეზიის შინაარსს იმიტომ, რომ ის ებრძოდა ადამიანის დამონებას: თავისუფლება შეადგენდა ბაირონის პოეზიის ფორმას იმიტომ, რომ ბაირონმა, როგორც ინგლისური რომანტიზმის უდიდესმა წარმომადგენელმა, უკუაგდო პევსდო-კლასიკური პოეტიკის ბორკილები და ამ პოეტიკით დაკანონებული ლიტერატურული თანრების ნაცვლად შექმნა ახა-

ლი ლიტერატურული ჯანრები. ყველაფერი ეს თარგმანში არ სრულიად წაიშალა, ან დაბნელდა. აი რას ვკითხულობთ თარგმანში:

„და გაუგრილდა გული ღირსზე, მარკინეზში
 მძლე მღელვარებათ უგდებდა ყურსა მეხელომისა
 შენზე გალობას აღტაცებითა“.

ტყვე უგდებდა ყურს „შენზე“, ე. ი. თავისუფლებაზე, გალობას, — ასეთია თარგმანის ამ ნაწყვეტის აზრი. გამოტოვებულია აქ დედნის მითითება სენტიმენტალიზმზე, გამოტოვებულია აგრეთვე მითითება რომანტიზმზე, ვინაიდან თავისუფლებაზე გალობა შეეძლო პსევდო-კლასიკოსსაც. მაგალითად, რადიშჩევი იყო პსევდო-კლასიკოსი, მაგრამ მან დასწერა ოდნე „თავისუფლება“.

ამრიგად, თარგმანში დარღვეულია დედნის ბაირონიული სტილი: გამოტოვებულია ამ სტილის დამახასიათებელი სიტყვები და შეტანილია ამ სტილისათვის შეუფერებელი სიტყვები. ამის შედეგი კი ის არის, რომ პუშკინის პოემის გმირი, რომელიც დედანშიაც მკრთალად არის დახასიათებული, თარგმანში კიდევ უფრო გაურკვეველად გამოიყურება.

პოემის მეორე გმირის, ჩერქეზის ქალის, დახასიათებაშიც თარგმანი უხვევს ორიგინალს და არღვევს პოემის რომანტიკულ სტილს. პუშკინის რომანტიკული წარმოდგენით, ჩერქეზის ქალს, როგორც ბუნების შეიღს, რომელსაც არ შეხებია კულტურის შხამიანი სუნთქვა, ახასიათებს „людишь младенческая, открытая“. მთარგმნელმა კი ეს მნიშვნელოვანი სიტყვები „младенческая, открытая“ გამოსტოვა და მოგვცა ასეთი წინადადება: ტყვეს არ შეეძლო, „რომ ეპასუხნა ტრფობისათვის ტრფობით“ (50).

ამ შენიშვნებით მე ის კი არ მინდა ვთქვა, რომ „კავკასიის ტყვე“ არ არის კარგი ოსტატის მიერ გადათარგმნილი. პირიქით, თარგმანს აქვს მრავალი ღირსება. მისი დიდი ღირსებაა უკვე ის, რომ იგი ძალიან თავისუფლად იკითხება, მისი ლექსი კეთილზმოვანი და სასიამოვნოა. განსაკუთრებით კარგად ეხერხება მთარგმნელს პეიზაჟის ვადმოცემა. მაგალითად, ის ადვილი, რომელიც იწყება პწყარით:

„რა დიდებული სურათი იყო“

და თავდება სიტყვებით:

„და სიბარულის თრთოლვით უსმენდა
 ეშვილს, მოვირდნილს ქარიშხალიდან“ (51 — 52).

დედნის არ ჩამოუვარდება და ისე მშვენიერად არის დაწერილი, რომ ქრესტომათიებში უნდა იქნას შეტანილი, როგორც სანიმუშო ნაწყვეტი. ასეთივე მეთოდით არის გადათარგმნილი ვარლამ რუხაძის მიერ პუშკინის პოემა „ბოშები“ და პოემა „ავაზაკი ძმები“. ეს თარგმანებიც თავისუფლად იკითხება, მათაც მრავალი ღირსება აქვთ. მაგრამ აქაც არ

არის დაცული სიზუსტე, და ამიტომ პუშკინის სახე, მისი შემოქმედებითი ხერხები და მსრფლმხედველობა თარგმანში მკრთალად მოჩანს.

4

მარკინული

შევეხოთ ახლა პუშკინის მესამე მთარგმნელს, პეტრე სპსკინს ი აშვილს. მე გავარჩიე პუშკინის მხოლოდ ხუთი ლექსის ის თარგმანები, რომლებიც პაოლო იაშვილმა მოათავსა გაზ. „კომუნისტში“ (1934 წ., 6 აგვისტო). ეს ლექსებია: „კავკასიონი“, „ნუ იმღერ ჩემთან, ლამაზო ქალო“, „ზვავი“, „მოლხენით სტირის“ და „ანჩარი“. ამ ლექსების თარგმანში მოჩანს პაოლო იაშვილის ორიგინალური მეთოდი თარგმნისა და ამდენად შეიძლება ითქვას, რომ პაოლო იაშვილს აქვს თავისი სტილი თარგმნის საქმეში.

რათა ამ სტილზე წარმოდგენა ვიქონიოთ, უნდა გავარჩიოთ პაოლო იაშვილის თარგმანები კონკრეტულად. ავიღოთ, მაგალითად, ლექსი „ზვავი“, რომელიც პუშკინის „Орвал“-ს შეეფერება. დედანი 5 ნაწილისაგან შედგება. ეს ნაწილები სიმეტრიულად არის აშენებული. თითო ნაწილი რ სტრიქონს შეიცავს: პირველი სამი სტრიქონი და მეხუთე სტრიქონი წარმოადგენენ ოთხტერფიან იამბებს, სადაც წესიერად განაწილებულია პირიბიები, ხოლო მეოთხე და მეექვსე სტრიქონი ორტერფიანი იამბია. საერთო შთაბეჭდილება ასე აშენებულ ლექსისაგან შემდგვია: მეოთხე სტრიქონი უეცრად იჭრება ლექსში და მოულოდნელად არღვევს ოთხმახვილიან სამი წინამორბედი სტრიქონის რიტმს. ეს რიტმი კვლავ აღსდგება მეხუთე სტრიქონში. მაგრამ მეექვსე სტრიქონი ისევ მოუღებს მას ბოლოს და ამით იქმნება შთაბეჭდილება, რომ წესრიგი, ზომა, პარმონია დამარცხდა, და მხოლოდ ლექსის ნაწილების სიმეტრია (რომელიც ამტკიცებს, რომ ისინი ერთი მთლიანობის წევრები არიან) კვლავ გაამარჯვებინებს საბოლოო ანგარიშში უეცრად დარღვეულ პარმონიასა და წესრიგს. ლექსის ასეთი რიტმი, რომელიც წარმოადგენს ბრძოლას წესრიგსა და მის საწინააღმდეგო ელემენტებს შორის, კარგად შეეფერება ბუნების ორმალურ მსვლელობაში ზვავის იმ უეცარ ჩარევას, რომლის აღწერაც პუშკინის ლექსის შინაარსს შეადგენს. ამრიგად, პუშკინის ლექსში შინაარსი და ფორმა პარმონიულ მთლიანობაში იმყოფებიან, და ეს ლექსიც ამიტომ ესთეტიკის მწვერვალს აღწევს.

თარგმანში დაცულია პუშკინის ლექსის რიტმი და ეს მიღწეულია ასეთი საშუალებით: მთარგმნელი პირველ სამ პწკარს და აგრეთვე მეხუთე პწკარს ათი მარცვლისაგან აკეთებს, ხოლო მეოთხე და მეექვსე პწკარებს აკეთებს ხუთ-ხუთი მარცვლისაგან. როგორც ვხედავთ, მთარგმნელს მიუშართავს აქ ადვილი საშუალებისათვის, მაგრამ ეფექტი აქედან მაინც ძლიერია, და ეს მთარგმნელის დამსახურებას შეადგენს, ვინაიდან მარტივი საშუალებებით დიდი ეფექტის შექმნა უძველესად ოსტატობას მოითხოვს.

ამ ოსტატობის მაჩვენებელია აგრეთვე ის, რომ მთარგმნელი ლექსის იმ ადგილას, რომლის ბგერა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს (ასეთი კი არის პეჭარის ბოლოში მოქცეული სიტყვა), ვთავსებ, ისეთ ქართულ სიტყვას, რომელიც ფონეტიკურად (არა აზრით) ემსგავსება დედანში პეჭარის ბოლოს მოქცეულ რუსულ სიტყვას. მაგალითად, დედნის პირველ პეჭარს

„Дробясь о яичные скалы“

შეეფერება თარგმანის ასეთი პეჭარი:

„სადაც კლდე არის ჯშუხი და სალი“.

დედნის მესამე პეჭარს:

„И надо явной кричат орлы“

შეეფერება თარგმანის ასეთი პეჭარი:

„ტყეც ოხრავს, ცაში ისმის ზრიალი“.

დედნის მეექვსე პეჭარს:

„Вершины гор“

შეეფერება თარგმანის ასეთი პეჭარი:

„მრავალი ქორის“.

დედნის პეჭარს:

„О, Терек, ты прервал свой река“,

შეეფერება თარგმანის ასეთი პეჭარი:

„თერგი ღრიალა, ტალღების მრეცი“.

ამრიგად, თარგმანის სიტყვათა ფონეტიკურ რაობაში მოცემულია დედნის სიტყვების ფონეტიკური რაობა. რა თქმა უნდა, თავისთავად დავანუზრახველად ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო: მთარგმნელი, როგორც ჩანს, შეგნებულად ცდილობდა დაეკირა ქართულ სიტყვებში რუსული სიტყვების ბგერა, და ამ მხარეს მერ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე დედნის სიტყვათა აზრის და ემოციონალური შინაარსის ზუსტს შენარჩუნებას, ვინაიდან მთარგმნელი, როგორც დავინახავთ, თავისუფლად ეკიდება დედნის აზრს და მის ემოციონალურ შინაარსს. თარგმანის ასეთი შეთოდის გასამართლებელ საბუთად შეიძლებოდა მხოლოდ იმ მოსაზრების მოყვანა, რომ ლექსში მთავარია არა აზრი, არამედ ბგერა. როგორც თავში აღვნიშნეთ, ასეთი შეხედულება ჰქონდა პოეზიაზე ფორმალიზმს, და პაოლო იაშვილია თარგმანში მოჩანს ფორმალიზმისაკენ გადახრის ნიშნები.

ჩვენ ვთქვით, რომ მთარგმნელი თავისუფლად ეკიდება დედნის აზრს და ემოციონალურ შინაარსს. ამას ამტკიცებს უკვე ის გარემოება, რომ თარგმანი არ იძლევა ზუსტად არც დედნის აზრს, არც ემოციონალურ შინაარსს. მაგალითად, დედანში სწერია, რომ *„неожиданно из-за мигучий вая остан...“*. თარგმანში კი ეს ფრაზა გადმოცემულია ასე: ზევაშა „თერგის წყალთა ძლიერი დენა გააპო ორად“. ეს „გააპო ორად“ ზუსტად არ შეეფერება დედნის სიტყვას „остановил“ და შეიძლება აფიქრებინოს მკითხველს, რომ თერგის წყალი უფლიდა ჩამოვარდნილ ზეავს ორი მზრიდან. აქედან კი გაუგებარი გახდება ყველაფერი, რაც ამის ქვევით არის თქმული კალაპოტიდან თერგის გამოსვლის შესახებ. მთარგმნელს შეეძლო, რა თქმა უნდა, უფრო ზუსტად გადმოეცა პუშკინის ლექსის აზრი, რომ მისი წარმოდგენით აზრი ყოფილიყო ლექსის მთავარი მომენტი.

თარგმანში გალარიბდა არა მხოლოდ დედნის აზრისეული მომენტი, არამედ დედნის ემოციონალური ელემენტიც. მაგალითად, დედანში თერგი წარმოდგენილია ცოცხალი არსების სახით: „присмирев“, „истощась“, „прервал свой рева“, „упорный гнев“, „освирепев“—ყველა ეს სიტყვა წარმოადგენს თერგს, როგორც ცოცხალ არსებას. მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდება პუშკინი. თავის ლექსში ის მიმართავს თერგს, როგორც ცოცხალ არსებას, და ეუბნება: „О, Терек, ты прервал свой рева“. თარგმანში ეს მიმართვის ფიგურა სრულიად გამოტოვებულია და, გარდა ამისა, გადაუთარგმნელია ზემოაღნიშნული სიტყვებიც. ამრიგად, თარგმანში თერგი დაემსგავსა უსულო სტიქიონს. თუ პუშკინმა მოგვცა ცოცხალი თერგი, თერგი ვეფხვი, რომელიც გრიგოლ ორბელიანის თერგის მზგავსად „ბტის და ღრიალებს“, თარგმანი გვაძლევს ისეთ თერგს, რომელსაც მხოლოდ დიდი მექანიკური ძალა აქვს. ასეთს თერგზე შეიძლებოდა კარგი ელსადგურის აშენება. მაგრამ პუშკინი ხომ შორს იყო ელსადგურებზე წარმოდგენისაგან. ამიტომ, ნებისთ თუ უნებლიეთ, პაოლო იაშვილს შეაქვს პუშკინის ლექსში რაღაც პუშკინისათვის შეუფერებელი ხდება კი ეს, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ პაოლო იაშვილი ლოგიკურსა და ემოციონალურ შინაარსს არ სთვლის ლექსის მნიშვნელოვან მომენტად და იგი ინდიფერენტულად არის განწყობილი იმის მიმართ, თუ რა გრძნობა ჩასდო ავტორმა თავის ლექსში და რა აზრები მიანდო მან თავის სიტყვებს. ავტორის გრძნობისა და ავტორის აზრების ნაცვლად მთარგმნელს აინტერესებს უფრო ავტორის სიტყვების ფონეტიკური ფორმა, და ამ ფორმის გადმოცემაში მთარგმნელი მართლაც დიდ ვირტუოზობას იჩენს.

ასეთსავე შედეგს გვაძლევს მეორე ლექსის ანალიზი. ეს ლექსია „მოლბნით სტირის“, რომელიც თარგმანია პუშკინის მიერ 1824 წელს დაწერილი ლექსისა „Ночной зефир струит эфир“. ამ თარგმანშიც არ არის ზუსტად დაცული დედნის აზრისეული და ემოციონალური შინა-

არსი. მაგალითად, სიტყვა „МАНТИЛЬЯ“, რომელიც დედანში შეტანილია ადგილობრივი კოლორიტის დასაცავად, თარგმანში შეცვლილია სიტყვით „სამოსელი“. დედანში სწერია:

„Скинь мантилью, ангел мой,
И явись, как аркий день“.

ვერცხულის
განხილვისათვის

აქ პოეტი ალერსიანად სთხოვს ქალს, რომ მან გადაადგოს „მანტილია“, რომელიც ქალს მოუსხამს იმის გამო, რომ ღამით კონტინენტალურ ისპანიაში სიცივეა (მოქმედება ალბათ სწარმოებს ან კორდოვაში, ან სევილიაში და არა კადიქსში, რომელიც გვადალკევირის შესართავთან მდებარეობს). თარგმანში კი ნათქვამია:

„სამოსელი, ქალო, გიშლის,
ნათელ დღეს გავს შენი სახე“.

ამის წამკითხველი იფიქრებს, რომ სამოსელი ფარავდა ქალის სახეს. შეიძლება ამან ისიც აფიქრებინოს, რომ ლექსში ლაპარაკია ჩადრში გახვეულ მაჰმადიან ქალზე. გარდა ამისა, თარგმანში გამოტოვებულია „ангел мой“, რომელიც პოეტის ემოციას გამოხატავს, და ამრიგად თარგმანი აშორებს მკითხველს დედნის ლოგიკური და ემოციონალური შინაარსისაგან. სამაგიეროდ თარგმანში შენარჩუნებულია დედნის რიტმი, რომელიც ცელქი გვადალკევირის ხტომას მოგვაგონებს. შენარჩუნებულია აგრეთვე ზოგიერთი სიტყვის ფონეტიკა. რიტმის შენარჩუნება ან ექვირიტმიის დაცვა არ იყო აქ ძნელი: ლექსის პწკარებისა და თითოეულ პწკარში მოქცეულ სიტყვათა სიგრძემ გადასწყვიტა აქ ექვირიტმიის საკითხი. უფრო ძნელი იყო დედნის ფონეტიკური ერთეულების შენარჩუნება. მაგრამ ამ დაბრკოლებასაც ერევა მთარგმნელი და რუსული სიტყვებისათვის პოელობს ფონეტიკურად ანალოგიურ ქართულ სიტყვებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აზრისა და ემოციონალური ნიუანსების მხრივ ისინი არ ფარავენ ერთმანეთს. მაგალითად, დედანში სწერია:

„Ночной эфир
Струит эфир,
Шумит,
Бежит
Гвадалquivир“.

თარგმანში კი ეს ადგილი ასე არის გადმოცემული:

„მოღბენით სტირის
ეთერის სტვირი,
შორბის
და მოქპრის
გვადალკევირი“.

რუსული დედნის შემომოყვანილ ნაწყვეტსა და ქართული თარგმანის ნაწყვეტს შორის დიდი ფონეტიკური მსგავსებაა: СТРУИТ – სტირის, სტვი-

რი; ჰეფირ — ეთერი; გვადალკვივირ — გვადალკვივირი. მაგრამ ამ ფონეტიკურ მსგავსებას თარგმანი იმით აღწევს, რომ ლალატობს დედნის აზრს და აღარიბებს მას. დედანი ამბობს გვადალკვივირზე: „шумит, бежит“, ე. ი. იძლევა როგორც აკუსტიკურს, ისე ოპტიკურს შთაბეჭდილებას. ამის მაგიერ თარგმანის „მორბის და მოჰქრის“ იძლევა მხოლოდ ოპტიკურ შთაბეჭდილებას და ისიც ისეთი ჰიპერბოლით, როგორც დედანს არ შეეფერება (დედანში სწერია უბრალოდ და სადად: „шумит, бежит“ და არა „მორბის და მოჰქრის“).

თუ დედანში არც ერთი სიტყვა არ ატანს ძალას მკითხველის გონებას, თარგმანში ისეთი სიტყვებია მოცემული, რომ მკითხველს დიდი ენერჯიის დაჭიმვა სჭირდება მათ გასაგებად. რას ნიშნავს, მაგალითად, „მოლხენით სტირის“? მართალია, ილია ჭავჭავაძეს აქვს ნათქვამი ვაზის შესახებ, რომ ის გაზაფხულზე „ლხენითა სტირის“. მაგრამ ერთია „ლხენით“ ტირილი ვაზისა და მეორეა „მოლხენით“ ტირილი ეთერისა. გარდა ამისა, რას ნიშნავს „ეთერის სტირი“? შეიძლება ამას თავისი შინაარსი აქვს. მაგრამ მკითხველს სჭირია დიდი დაფიქრება, რომ გაიგოს ეს შინაარსი. დედანი კი ასეთ მოთხოვნებს არ უყენებს მკითხველს და ამიტომ ის უფრო მსუბუქად აითვისება, და სწორედ ეს მსუბუქი ათვისებაა ესთეტიკური შთაბეჭდილების ერთ-ერთი პირობა.

ამრიგად, თარგმანი არღვევს დედნის აზრს და ემოციონალურ იერს, ე. ი. არღვევს დედნის სტილის მთავარ ელემენტებს, რათა დაიჭიროს დედნის რიტმი და სიტყვების ბგერა. ეს კი დასაშვებია იქნებოდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ბგერას მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ლექსისათვის, ვიდრე აზრსა და ემოციებს, და რომ მხოლოდ ფორმა ყოფილიყო პოეზიის არსება. მართალია, თვითონ პუშკინი დიდ ყურადღებას აქცევდა ფორმას. თავისი შემოქმედების ღირსებას იგი ხედავდა ფორმაში და იმ მკითხველებს, რომლებიც მოითხოვდნენ პოეზიისაგან სასარგებლო შინაარსს, ამაყად ეუბნებოდა:

„Подите прочь, какое дело
Поэту мирному до вас“.

მაგრამ პუშკინი თავისი შემოქმედების პრაქტიკაში მეტის მზრუნველობით ეკიდებოდა შინც მკითხველთა მასას, ვიდრე ამას ვხედავთ პოლო იაშვილის თარგმანებში, რომლებიც დანიშნულია არა ჩვეულებრივი მკითხველებისათვის, არამედ პოეზიის გურმანებისათვის.

განსაკუთრებით კარგად მოჩანს ეს უკანასკნელი გარემოება იმაში, თუ როგორ გადათარგმნა პოლო იაშვილმა პუშკინის ლექსი „ანჩარი“. ეს ლექსი დიდი სოციალური შინაარსით არის დატვირთული. მასში მოცემულია ძლიერი პროტესტი მონობის წინააღმდეგ, პოლო იაშვილის თარგმანში კი დედანში მოცემული პროტესტანტული მოტივები ძალზე შენელებულია.

დედა-აზრი პუშკინის ლექსისა ასეთია: ბატონმა გაგზავნა თავისი მონა უდაბნოში შხამიანი ანჩარის მოსაწყვეტად, რათა ამ მცენარის შხამით მოეწამლა ჯარისკაცთა ისრები და გაეწყვიტა მტრის ჯარისკაცთა მონამ იცის, რომ ანჩარის მიკარება სასიკვდილოა, მაგრამ დედა-აზრით დაემორჩილება ბატონის ბრძანებას, მოუტანს ბატონს მოწყვეტილ ანჩარს და მაშინათვე მოკვდება. ეს ამბავი ისეთი სტილით არის დედანში მოთხრობილი, რომ მკითხველმა იგრძნოს მონათმფლობელური სისტემის სისაძაგლე. ჯერ აღწერილია ანჩარის შხამის საშინელი ძალა, შემდეგ ის, თუ როგორ გზავნის ბატონი თავის მონას უდაბნოში, ბოლოს კი მოცემულია დაბრუნებული მონის სიკვდილის სურათი. სოციალური ტონი ლექსისა ამ უკანასკნელ ორ ნაწილშია მოცემული და ამ ნაწილებს სჭიროდა სწორედ განსაკუთრებული ყურადღებით და სიზუსტით გადათარგმნა, რათა ლექსის სოციალური პოტენცია კარგად ეგრძნო მკითხველს. მაგრამ თარგმანში ამას არ ვხედავთ. პირიქით, სოციალური პროტესტის ძალა თარგმანში შესუსტებულია.

მაგალითად, დედანში სწერია:

„Но человека человек
Послал к анчару властным взглядом:
И тот послушно в путь потек
И к утру возвратился с адом“.

ამ ნაწყვეტისა და, საზოგადოდ მთელი ლექსის ცენტრალური აზრი გამოხატულია სიტყვებში „ПОСЛАЛ ВЛАСТНЫМ ВЗГЛЯДОМ“ და „ТОТ ПОСЛУШНО В ПУТЬ ПОТЕК“. თუ ეს სიტყვები ზუსტად არ გადაითარგმნა, მაშინ მთელ ლექსს ეკარგება სოციალური შინაარსი. თარგმანში კი ზემო-მოყვანილი პწყარები ასეა გადმოთარგმნილი:

„ადამიანს კი ადამიანი
ანჩართან წასვლას მრისხანედ ანდობს.
მონა წაეიდა თავაზიანი
და დღით შხამი მიართვა ბატონს“.

როგორც ვხედავთ, დედნის „ВЛАСТНЫМ ВЗГЛЯДОМ“ თარგმანში გადმოცემულია სიტყვით „მრისხანედ“, ხოლო დედნის „ПОСЛУШНО“ გადმოცემულია სიტყვით „თავაზიანი“. ორივე შემთხვევაში დარღვეულია აზრთა ეკვივალენტობა. თუ ბატონის განრისხება იყო საჭირო, რომ მონა გაეგზავნათ ანჩართან, მაშინ ეს ინდივიდუალური განრისხება ყოფილა მიზეზი მონის სიკვდილისა და არა მონათმფლობელური სისტემისა. დედანში ამ განრისხებაზე არაფერია ნათქვამი. იქ ლაპარაკია იმაზე, რომ ბატონმა მხოლოდ თვალთ ანიშნა მონას წასულიყო უდაბნოში, ე. ი. სიტყვაც კი არ დაუხარჯავს. და აქ დედანში ზედმიწევნით კარგად არის დახასიათებული მთელი საშინელება მონათმფლობელური სისტემისა, სა-

დაც ბატონი ასე იოლად გზავნიდა კაცს სასიკვდილოდ, თითქოს იგი ადამიანიც კი არ ყოფილიყო. თუ კაცის განსაწირავად განრიხებდა არის სპირო, როგორც ეს თარგმანში სწერია, მაშინ საზოგადოებრივი სისტემა არ ყოფილა ისეთი სასტიკი, როგორც არის იგი მამბი: ჩვენსავე კაცს გზავნიან სასიკვდილოდ ყოველი განრიხების გარეშე — აი ისე, როგორც გზავნიან დასაკლავად ცხვარს ან ხბოს. ამრიგად, სიტყვა „მრისხანედ“, რომელიც ნახშირია თარგმანში, ჯერ ერთი, არ შეეფერება დედნის სიტყვებს „властным взглядом“ და, გარდა ამისა, ანელეებს მონათმფლობელური სისტემის საშინელებას.

შეიძლება ეს მთარგმნელს მოუვიდა უცაბედად. მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება მეორე სიტყვა „თავაზიანი“; რომელიც ნახშირია თარგმანში. პუშკინი სწერს: „И тот (т. е. раб) послушно в путь потек“. თარგმანში სწერია: „მონა წავიდა თავაზიანი“. ასე გამოდის თარგმანის მიხედვით, თითქოს თავაზიანობა და არა შიში იყო ის გრძნობა, რომელიც აიძულებდა მონებს დამორჩილებოდნენ ბატონთა ბრძანებას. ასეთი შეხედულება ჩვენთვის პირდაპირ საკვირველია, ვინაიდან ამგვარ შეხედულებას ყმებზე ავრცელებდნენ ძველად ამ ყმების ექსპლოატატორი მებატონეები, რომლებიც თავიანთ იდეოლოგიების პირობით ამტკიცებდნენ, რომ ბატონი არის ყმების მფარველ-პატრონი, ხოლო ყმა იგივეა, რაც „ყრმა“, რომელიც მხოლოდ თავისი გონებრივი მოუშვიფებლობის გამო არის ვალდებული თავაზიანად დაემორჩილოს თავის მყვლეფელ თავად-აზნაურებს. დედანში მონის „თავაზიანობაზე“ არაფერია ნათქვამი, და პირდაპირ ყურისმომკრელ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ იქ „послушно“ სიტყვის ნაცვლად, პუშკინს ჩაესვა „любезно“, რომელიც ქართული „თავაზიანის“ რუსული ეკვივალენტია. განა შეეძლო პუშკინს ეთქვა: „раб любезно в путь потек“? ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, ნათელია, რომ პუშკინი ამას აქ ვერ იტყოდა. — პუშკინის ლექსის დედა-აზრი ასეთია: ბატონმა ბრძანა, და მონა ძალაუვნებურად დაემორჩილა ბატონს, მოსწყვიტა ანჩარი და თვითონაც მოკვდა. აქედან მკითხველი ასეთ დასკვნას გამოიტანს: „რა საშინელი ყოფილა მონათმფლობელური სისტემა!“ პაოლო იაშვილის თარგმანის დედა-აზრი კი ასეთია: ბატონი განრიხებდა თავის მონაზე და უბრძანა ანჩარის მოწყვეტა-თავაზიანმა მონამ არ გაუტეხა ბატონს ხათრი და წავიდა ანჩარის მოსაწყვეტად და თითონაც გადაჰყვა ამას. აქედან მკითხველს არ შეუძლია ასეთი დასკვნა არ გამოიტანოს: „რა ბოროტი ყოფილა ეს ვიღაც ბატონი და რა რეგენი ყოფილა ეს ვიღაც მონა!“

ამრიგად, დედნის სოციალური პროტესტი თარგმანში გაჰკრა და მორალური პროტესტით შეიცვალა. სოციალური პროტესტის ტონი დედანში გაძლიერებულია მონის სიკვდილის აღწერით:

Пришел, ослабел и лег
Под сводом шалаша на лыжи
И умер бедный раб у ног
Непобедимого владыки”.



თარგმანში ეს ადგილი ასეა გადმოცემული:

„წაიქცა, თვალებს მოედო რული,
ველარ შეასწრო თავის ბინაში,
და განუტევა საბრალომ სული
დაუმარცხებელ სარდლის წინაშე“.

სად არის ამ თარგმანში, რომ მონა, რომლის თავგანწირვაზე ყოფილა თურმე აშენებული მთელი მონათმფლობელური საზოგადოების უზრუნველყოფა გარეშე მტრისაგან და, მაშასადამე, მთელი ამ საზოგადოების სიმდიდრე და ბრწყინვალება, თვითონ ცხოვრობდა, პუშკინის სიტყვით, ფაცხაში, ხოლო ლოგინის ნაცვლად ეძინა ხის ქერქზე? სად დაიკარგა დედნის „шалаш“ და „лыжи“? პუშკინი სწერს: „лег под сводом шалаша на лыжи“. პ. იაშვილი კი სთარგმნის: „ველარ შეასწრო თავის ბინაში“. ასე ეგონება მკითხველს, რომ ეს საცოდავი მონა მართლაც ბინაში ცხოვრობდა ადამიანურად და არა ჩიტის ბუდის მსგავს ფაცხაში...

პაოლო იაშვილი სთარგმნის პუშკინს თავისუფლად. საფიქრებელი იყო, რომ ამ თავისუფლებას იმ გამოიყენებდა იმისათვის, რათა გაეძლიერებია პუშკინის ლექსში მოცემული პროტესტი სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მაგრამ პაოლო იაშვილმა ეს თავისუფლება გამოიყენა იმისათვის, რომ შეესუსტებია სოციალური პროტესტის ის ძალაც, რომელიც მოცემულია პუშკინის ლექსში. რატომ მოხდა ასე? მკითხველს შეუძლია ეს სხვადასხვანაირად ახსნას. მაგრამ პირადად მე ვხედავ აქ მხოლოდ ერთ მიზეზს: პაოლო იაშვილს პოეზიის მნიშვნელოვან მომენტად არ ჩათვლია სოციალური შინაარსი. ამიტომ მას თარგმნის დროს არ მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება პუშკინის ლექსის სოციალური შინაარსისათვის.

ამით გავათავოთ. ჩემს წერილში მე მომიხდა უფრო მეტი მელაპარაკა ნაკლულოვანებებზე, ვიდრე ღირსებებზე. მაგრამ გამოწვეულია ეს იმ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეგნებით, რომელიც აქვს თარგმნის საქმეს საბჭოთა საქართველოში.



ავტორი თავის რომანში გვისახავს იმ საზოგადოებრივ მოძრაობას, რა ძვრებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში 1922-23 წლების მანძილზე.

რომანის კითხვის დროს მკითხველს თვალში ეცემა მოქმედ ქვეყნის კულტურული გაქინების დაბალი დონე, ძვრებისა და მოძრაობის ტატიო გვერდითადად. მაგრამ ყოველივე ამას რამდენადმე ამართლებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ებრაელთა მაშინდელი ცხოვრების პირობები.

რომანში ამბები ვითარდება უმთავრესად სამი მაგისტრალური ხაზით. ერთ მხარეზე დგას ნათან ჯანაშვილი და მისი ჯგუფი, მეორე მხარეზე — ბენიამინ ბერბე თაყისი ხალხით, ხოლო მესამე მხარეზე — შაულ ათენაშვილი. პირველის გარშემო შემოკრებილია წერილობრივადი ინტელიგენცია კულტურული მუშაობის პროგრამით, მეორის გარშემო — მდიდარი ეპქრები და სასულიერო პირები, მესამის გარშემო — მუშა ხალხი და ლარბები.

ავტორმა ძირითადად უმკველად სწორი ხაზი იღო საბოლოო გამარჯვება მას საზოგადოების უფრო ჯანსაღ ელემენტებს მიანიჭა, მაგრამ ნაწარმოების მსვლელობაში მათდამი მიდგომა მაინც სასუსებით სწორი არ არის. მაგალითად, ნათანის ჯგუფი ავტორის დიდი მზრუნველობითა და სიყვარულით სარგებლობს. ეს ჯგუფი, ყოველად უმნიშვნელო და კულტურულ მუშაობაზე მოლაყებ ჯგუფი, ჯგუფი, რომელიც მთელი ნაწარმოების მანძილზე ერთი უფერული საღამოს მოწყობის მეტს ვერაფერს ახერხებს. რატომღაც ავტორს მეტის-მეტად გაუყვითლშობილებია და იალბუხის მწვერვალზე აუყვანია. მართალია, ნაწარმოების მსვლელობაში ეს ჯგუფი კოტრდება, ჯგუფის 7 წევრიდან მხოლოდ ერთი და რჩება, ჯგუფი ფაქტიურად იშლება კადეტ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორი ჯგუფის წევრებს ვერ იშვებებს და ხშირად მათ დამაჯერებელი ოქროპირობით ამეტყველებს.

თუმცა ნათანი ლარბი მეწერილმანის შვილია, მაგრამ იგი მაინც ინტელიგენცია. ნათანი გველენითლია ინტელიგენტური ფსიქოლოგიით. ეს ფსიქოლოგია ხელფებს უბორკავს, მოქმედების ვიწრო რკალში ამწყვედევს მას. ავტორის მარცხი იმაშია, რომ ნაწარმოებში ეს მომენტები თვალსაჩინო არ არის, ყოველ შემთხვევაში მკითხველი ვერა გრძნობს ავტორის ასეთ განზრახვას.

ავტორი ნათანს ისე გვიხატავს, რომ შეუძლებელია მკითხველი მას თანაგრძნობით არ მოუყრას. ნათანის უმწეობას მკითხველი სრულებით ვერ ხედავს. მკვერე სიტყვები მას გვირის სამოსელში ხევეს. ნათანი გვირის ხაზეშია მოცემული, დადებითი გვირის ხაზეში. გვირული ხასითი და მოქმედება ნათანს ბოლომდე რჩება.

მაგრამ ნამდვილად ასე არ არის და ამ ნაწარმოების ღირსება და დამსახურება სულ სხვა გვირის ჩვენებაშია. უფრო ჯანმრთელი და საღი საწყისი ებრაელთა ცხოვრებისა შაულიდან მოდის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორსაც სწამს ეს, მაგრამ ასე არ გამოუვიდა. ნაწარმოების მიხედვით გვირი უფრო ნათანია, ვიდრე შაული, ნათანი უფრო სრულად არის გამოქანდაკებული, ვიდრე შაული, ნათანს ავტორი უფრო მშობლიური სიყვარულით ეპყრება, ვიდრე შაულს, და ეს იმიტომ, რომ იგი ნათანის საქმიანობაში უფრო ერკვევა, ვიდრე შაულს.

ნაწარმოების მთელ მანძილზე პირველ რიგში ნათანი დგას და არა შაული. მხოლოდ აპოთეოზში გამოდის შაული გამარჯვებული. თუმცა ავტორმა ნათანისადმი სათანაგრძნობოდ მოამზადა მკითხველი, მაგრამ იმედი არ გაუშართლა და, როგორც იტყვიან, ნათანი გატეხილი გობის წინაშე დასვა. ცხადია, ავტორს უნდოდა ეჩვენებინა ნათანის თანდათან განვითარება; ვფიქრობთ, ნათანი რომანის მეორე წიგნში დადებითი გვირი იქნება, მასში განვითარების დუღილი დასრულდება და ის შაულს ამოუდგება გვერდში; მაგრამ სანამ ნათანი ასეთი არ არის, სანამ ნათანი წერილობრივადი მუშაობის მოლაყებ მუშაკის ტიპია, რატომ უწევს მას ავტორი მუშაობას, რა-

ტომ არ უდგება მას კრიტიკულად, რატომ უცხადებს წინასწარ, აქამდე უნდობას? —
 აი კითხვები, რომლებიც სამართლიანად ებადება მკითხველს.

ეს მარცხი, ეს სისუსტე მოდის მასალის მხატვრულად აუთვისებლობიდან, ამ მი-
 ზეზით არ გამოუვიდა ავტორს ის, რაც უნდა. პირიქით, წინასწარ შედეგს მი-
 აღწია. ავტორს ეს არ დაემართებოდა, იგი რომ კრიტიკულად შეფასებდა ნათანს
 იმ დრომდე, სანამ ის არ გამოფხიზლდებოდა და განახლებული ცხოვრების ნამდვილ
 მებრძოლთა რიგებში არ ჩადგებოდა. ავტორი აჩქარდა ნდობის გამოცხადებაში და ამას
 შედეგად მოჰყვა უარყოფითი მომჭვდი პირის შეიარაღება დადებითი მომჭვდი პი-
 რის თვისებებით. ამავე მიზეზით ნაწარმოები მეტის-მეტად გაჭიანურებულია, ნათანის
 ცხოვრებისა და მუშაობის უწინშენლო მომენტები ავტორმა გაზვიადებულად და გა-
 ჭიანურებულად მოგვცა. ჯგუფის კრებები, ჯგუფის მიერ გამართული საღამო, ჯგუ-
 ფის წევრთა სიტყვები და საერთოდ ჯგუფის მთელი მოქმედება ძალზე გაზვიადებულ-
 გაჭიანურებულია.

შაულ ათენაშვილი და მის გარშემო შემოკრებილი ლარიბი ებრაელობა, რომელ-
 ნიც ავტორს პირველ პლანზე უნდა დაეყენებია, ჩრდილში იმყოფებიან, ყოველ შე-
 მოხვევაში მკითხველი მათ სიტყვასა და საქმეს ისე კარგად ვერ ზედავს, როგორც
 ნათანისას. ავტორი იცნობს ნათანს და მისი ცხოვრების პირობებს, ავტორისათვის ნა-
 თანი მახლობელი და გასაგებია. როგორც ჩანს, ასევე კარგად ვერ იცნობს იგი შაულ
 ათენაშვილს და მის ცხოვრებას. ამიტომ ნაწარმოებში შაული მხატვრული ოსტატო-
 ბის სისრულით არ არის ასახული. მკითხველისათვის ბევრად უფრო საინტერესო იქნე-
 ბოდა და ნაწარმოებიც უფრო მოიგებდა, ავტორს რომ შაულის ამბები, მისი ცხოვ-
 რება და ბრძოლა უფრო დაწვრილებით და სრულად მიეცა, ხოლო ნათანის ცხოვ-
 რების ამბები სათანადოდ შეეცვია.

მესამე ჯგუფის — ბენიაშინ ბერიძისა და მისი მომხრეების ასახვაში ავტორს შე-
 ცდომები აქვს. ჩვენ ეჭვი არ შეგვედის, რომ მათდამი ავტორი მტრულად არის გან-
 წყობილი. ისიც გვეჯერა, რომ ავტორს სურვილი აქვს და დიდი სურვილიც, რომ ეს
 ხალხი თავის ნაწარმოებში გააშაოს, მკითხველს შეაძულოს, შეაზიზლოს, მაგრამ მი-
 ზანს ვერ აღწევს და აი რატომ. მას უარყოფითი ტიპების დახატვაში სწორი გზა არა
 აქვს. ეს ენახეთ ნათანისადმი მიდგომაში. უფრო რელიგიურად სჩანს ეს, როცა ბენია-
 შინის ჯგუფის ხალხს გვიხატავს. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს ავტორი ისე აღაპა-
 რაკებს, რომ ისინი მკითხველების თვალში სრულებითაც არ არიან გაპაპულელებული,
 როგორც ეს ავტორს უნდა. მათ სიტყვებს, გრძელ და გაჭიანურებულ სიტყვებს, მე-
 ტადრე სარწმუნოებრივი შინაარსის სიტყვებს არ აკლავ დამაჯერებლობით
 ავსებს. ავტორს უნდადა სასულიერო პირთა ქადაგი გამოეყენებია მათსავე გასაშა-
 ებლად, მაგრამ ამ ქადაგმა, მისი გადმოცემის ფორმამ თვითონ ავტორი გამოიყენა
 და გაიხადა თავისი აზრების გავრცელების აგენტად.

ებრაელთა ცხოვრების არავითარი ჩამორჩენილობით და სპეციფური პირობებით
 არ შეიძლება გამართლებულ იქნას სასულიერო წიგნებიდან ადგილების ასე ქარზად
 მოყვანა, სასულიერო ეარგონის ისე წამბაუწუმ ხმაურება. ებრაელთა ცხოვრების სპე-
 ციფური პირობების ასახვაზე და ებრაული საღამოების ენის კოლორიტის დასაცა-
 ვად სრულებითაც არ არის საჭირო ებრაულ ეარგონზე კურსის იღება და ნაწარმოე-
 ბის ენის ამ ეარგონამდის დაქვეითება. დიალოგები საესეა ებრაული სიტყვებით და
 მხოლოდ სხოლონშია იხსნილი ეს სიტყვები ქართულად. ავტორი ებრაული საღამოების
 ენის კოლორიტის დაცვის ზომაზე მეტად გაუტაცნია.

„ფეთხანი“ მთლიანად მოცემულია ეპიური თხრობის ფარგლებში. ეს, რასაკვირ-
 ველია, ნაწარმოების ღირსებაა და არა ნაკლი. მაგრამ საქმე ეპიური თხრობის შინა-

არსია. ეპიური თხრობა სარტეცნზიო ნაწარმოებში მრავალ შემთხვევაში „მხოხავი“ ემპირიზმით არის შესრულებული.

სარტეცნზიო ნაწარმოებს აქვია საგნებისა და მოვლენების კონკრეტული ჩახედვა. ავიღოთ თუნდაც ადამიანში ახალი შეგნების დაბადება. ეს კონკრეტული ფსიქოლოგიური პროცესი ნაწარმოებში ძალიან ოთლად არის მოცემული. ცხოვრების შწარე გამოცდილება, საწარმოო ურთიერთობის დონე, ეკონომიური მდგომარეობა თუ პირობები ძგულვებელყოფილია. ირაკლი ახალ ცხოვრების გზაზე შედგა, ახალ ცხოვრებას დაეწაფა, მ ა რ ქ ს - ე ნ გ ე ლ ს - ლ ე ნ ი ნ - ს ტ ა ლ ი ნ ი ს იდეებს დაეფელა მხოლოდ იუღიას სიყვარულის ზეგავლენით. იუღიას და ირაკლის სიყვარული შემთხვევითი მოვლენაა. შემთხვევითი ფაქტორი აქ აყვანილია ადამიანის მოქმედების განმსაზღვრელი უმალესი კანონის დონემდის.

იუღია ირაკლის ესაუბრებზე ლენინის შესახებ და ამ საუბრის შემდეგ ირაკლი, გარდაქმნილი, ნაწარმოების მიხედვით, ასე გამოიყურება: „შერცხვა თავის თავისა, რომ იგი ამდენხანს არ იცნობდა ლენინს და თავის სორცხვილს იკლავდა იუღიას კალთებში. იზრდებოდა დღითი დღე გრძობა, ლენინმა მასწავლებელს შეაყვარა მოწადე (იუღიას შეაყვარა ირაკლი), მოწადეს — მასწავლებელი. მათ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, მაგრამ რა საჭირო იყო სიტყვა იქ, სადაც ჩინისა უდიდესი გრძობა გენიოსის დროშის ქვეშ“.

ჩვენ სანიმუშოდ მოვიყვანეთ ეს ადგილი. ასეთი ადგილი ნაწარმოებში ბევრია. მოვიყვანეთ ის, როგორც ნიმუში იმისა, თუ როგორ ასახავს ავტორი საგანს, მოვლენას. მასში ბევრია ცარიელი სიტყვების კორიანტელი და ცოტა კონკრეტული შინაარსი. ესეც არ იყვეს, რა შუაშია ლენინი, მისი იდეები და ირაკლისა და იუღიას სექსუალური სიყვარული და მათი გრძობები?

ავტორი ზოგჯერ ვერ ერკვევა თანამედროვე ცხოვრების წერილმანებში, რის გამოც ნაწარმოების ზოგიერთი ეპიზოდი დამაჯერებელი არ არის. მკითხველს არა სჯერა ნათანის მამის ისხაკის პირველად ქალაქში ჩასვლის ამბები და თავგადასავალი, ნათანის საქციელი სალოცავში, მისი მამა ისხაკის გარდაცვალება, ნათანის ჯგუფის მუშაობა და სხვ.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, „ფეთხინი“ მინც გერკელ ბაზოვის მხატვრულ შემოქმედებაში წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია. ავტორი საგრძობლად გაიზარდა როგორც მწერალი. „გელათის ქუჩის დასასრული“ და „შემარისა უკანასკნელი სიტყვა“ უკან არის ჩამოტოვებული.





ეროვნული

ბიბლიოთეკა

აღ. ტოლსტოი — „პეტრე პირველი“, წიგნი 1. ტფილისი, 1917 წელს, თარგმანი იმ. მაჭავარიანისა

აღ. ტოლსტოის ისტორიული რომანი „პეტრე პირველი“ თანამედროვე საბჭოთა რუსული ლიტერატურის დიდი მოვლენაა. იგი შესანიშნავია არა მარტო როგორც ლიტერატურული ფაქტი, არამედ როგორც საინტერესო ეტაპი დიდი მხატვრის განვითარებისა, რომელიც მავალითად უნდა გადაიჭყეს საბჭოთა მწერლისათვის.

მრავალი წლის განმავლობაში ამუშავებს აღ. ტოლსტოი „პეტრე პირველის“ თემას. პეტრეს სახის მხატვრული ასახვა, მისი როლის გამოჩვენება რუსეთის ისტორიის განვითარებაში, მისი ეპოქის გადმოცემა ტოლსტოის აინტერესებდა ჯერ კიდევ 1917 წელს, როდესაც მან დასწერა ისტორიული მოთხრობები „День Петра“ და „Новождение“. ამ მოთხრობებში უკვე გამოკრთის სახეები მომავალი ფართო ტილოსი პეტრეს ეპოქის შესახებ. მაგრამ ეს მოთხრობები მოკლებულია ისტორიის იმ კვლევით რეალისტურ სიმართლებიდან ზედმეტს, რომელსაც მხატვარი დაეფლავა შემდეგში და რომელიც მან საესეებით გამოიყენა „პეტრე პირველის“ დაწერისას.

აღსანიშნავია, რომ მოთხრობა „День Петра“ და ამავე პერიოდის ისტორიული ტრაგედია „На дыбе“, რომელიც იგროვებდა პეტრეს ეპოქას ეხება, დაწერილია დ. მერეტკოვსკის გავლენით (რომანი „Христос и Антихрист“). მერეტკოვსკის რომანიდან ამოღებულია და გადატანილი მოთხრობასა და ტრაგედიაში შთელი სიტუაციები: პეტრე პირველის ფიგურა არაჩვეულებრივად გაზვიადებულია, ჰიპერტროფირებულია, მის დაკარგული აქვს ყოველი ადამიანური თვისება. პეტრეს საესეებით ემორჩილება სიცივისაგან დამძრალი და გაუნათლებელი მოსახლეობა. ყოველი მისი სიტყვა, თუნდაც ამ სიტყვას ათასი მსხვერპლი მოჰყვებოდეს, კანონია.

ამავე დროს „День Петра“-ში ჩანს ეპოქისადმი კრიტიკული მიდგომის ცდა, მაგრამ საკმაოდ გაუმართლებელი, ვინაიდან აღ. ტოლსტოი სცდილობდა ეჩვენებინა, რომ ისტორიის კვლევის პეტრე-ლოთი და ჰელიდან შემოღობი მონარქი — ბატყებული გაუტყვეველი სურვილებით. მაგრამ, როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ ტოლსტოიმ კვლავ მოჰკადა ზელი ამავე თემას, იგი უკვე სხვა თვალსაზრისით და მსოფლმხედველობით მიუდგა მას. „რომანში კვლიც კი არა ჩანება ტრაგიკულად განმარტებული გმირ-ტიტანისა, რომელიც იღუნება დაუძლეველი საქმის სიმძიმისაგან. პეტრეს საქმე ისტორიულად განსაზღვრულია. პირველ წიგნში პეტრე, პირველ ყოვლისა, ნაჩვენებია როგორც ისტორიის იარაღი“ (ა. სტარჩაკოვი).

„პეტრე პირველში“ აღ. ტოლსტოის მიერ ისტორია პირველადია განხილული არა როგორც ირაციონალური, უაზრო პროცესი: მხატვარი სცდილობს გაადეფნოს თვალი იმას, თუ როგორ სცვლის ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია მეორეს გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის გარემოცვაში.

აქედან — იცვლება, რასაკვირველია, კოლორიტიც და რომანის შთელი სულიც. მწერალი ხატავს პეტრეს დროინდელი რუსეთის სურათებს ისეთი საკვირველი მხატვრობით და დამაჯერებელი ძალით, რომ მკითხველს თვალწინ უდგება გმირები და სურათები. მათი მოქმედება ყოველთვის დასაბუთებულია და გასაგები ღანამედროვე მკითხველისათვის. და, რაც მთავარია, მკითხველისთვის გასაგები ხდება ეპოქის მემორიალებელი ძალები, ის ძალები, რომლებიც წარმართავენ რომანის გმირების მოქმედებას, ის ძალები, რომელთა მოზერებშითაც ივაშკა ბრაუციანი — ბოგანო გლეხი — ხდება მეფის მახლობელ „ნიგოციანტად“, ხოლო თავადი ბუინოსოვი იქცევა კარის ტაყმასხარად. ცალკეულ პირობა მოქმედებაში მხატვარი გვიხატავს

კოასთა ინტერესებს; ეპოქის წამყვან ტენდენციებს იგი გვიხატავს არა მხოლოდ ადრეულ გმირთა, არამედ ამ ტენდენციათა ტიპური გამოშახებულები მოქმედებით.

ყოველივე ამასთან ერთად თბრობა და მთელი სტილი რომანის ქალღმერთი განსხვავდება ტოლსტოის სხვა, ამავე თემაზე დაწერილ თხზულებებში „ფრანკი“ და „სტილისაგან“. „პეტრე პირველში“ სტილი დახვეწილია — სურათების გაოცებულობა მიყვანილია ფრესკის სიძლიერემდე (ეს უფრო პირველ წიგნს ეხება).

რომანში გმირთა ენა საესეა ხალხური გამოთქმებით. გამოყენებულია ფოლკლორი, მაგრამ გადაუქირბებლად და ზომიერად, იმდენად, რომ მკითხველს შეეძქნას ენის სტილიზაციის შთანქმედილება. ასეთი „გაყვრილი სტილიზაცია“, ცხადია, ბევრად უფრო მისაღები და მოსაწონია, ვიდრე ზოგიერთი ავტორის ღრმა სტილიზაცია, როდესაც მკითხველს უჭირდება ზოგიერთი გმირის ნაღაპარაყვეის გაგებაც კი.

რუს კრიტიკოსებს შორის კამათი გამოიწვია საკითხმა — არის თუ არა „პეტრე“ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით დაწერილი რომანი? ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, რადგან რომანში გაგებულია და გადმოცემული ეპოქის კლასობრივი წინააღმდეგობანი, იგი სტილით სოციალისტურ რეალიზმს ეკუთვნის, მაგრამ ვინაიდან გლეხურმა რევოლუციამ ვერ ჰპოვა ამ ნაწარმოებში სათანადო ასახვა, ამიტომ რომანში ბურჟუაზიული რეალიზმის ნარჩენებია.

ეს, ცხადია, სწორი არ არის. გლეხური მოძრაობა რომანში საკმაო სიძლიერითაა მოცემული, ხოლო სოციალისტური რეალიზმის მეთოდისათვის მთავარია მოვლენათა კლასობრივი ბუნების სწორი ასახვა, საიდანაც გამომდინარეობს თხზულების ყოველივე სხვა კომპონენტი (სტილი, ენა, კოლორიტი). „პეტრე პირველში“ კი უდავოდ სწორად გაგებული კლასობრივი წინააღმდეგობებია მოცემული და მათ საფუძველზეა გაშლილი რომანის ტილო.

აღ. ტოლსტოის ბრალად სდებენ იმას, რომ, ისტორიული რომანის ტრადიციის მიხედვით, ხალხი მოცემულია დეტალში ან უჩაღათა ბრბოში. ეს ნაწილობრივ სწორია. რომანის „ხალხურ“ გმირებს (ვემოვი, ფედაკა, იუდა) უმნიშვნელო როლი აქვია დაკისრებული. ისინი უფრო მასის დასახასიათებლად არიან რომანში შეტანილი. მიუხედავად ამისა, რომანი მიიწე არ კარგავს თავის მთლიანობას, მონოლითობას.

უჩანასკნელ წლებში გამოსულ რამდენიმე ისტორიულ რომანიდან „პეტრე პირველი“ გამოირჩევა, როგორც უდავოდ ძლიერი, სოციალისტური რეალიზმის მეთოდით დაწერილი მხატვრული ისტორიული რომანი.

თუმცა ტოლსტოი არ მიმართავს მთლიან სტილიზაციას, რომანის ენა მიიწე ღრმად ხალხურია, უფრო სწორედ — „ღრმად რუსულია“, რაც ძალზე აძნელებს მის თარგმნას. რა უნდა ექნა ამ შემთხვევაში მთარგმნელს?

ცხადია, რომანი ბევრს ჰკარგავს: ენა, სტილი რომანის მხატვრული სახის ერთ-ერთი კომპონენტია და მისი ჩამოჭეითება უკარგავს რომანს ღრმობას. ამავე დროს იკარგება ერთი მოცემული თავისებური ელფერი, სურნელი ეპოქისა. თუმცა ამას უნდა შეეფეროდეთ, რადგან ქართული ენის ბუნება არ გვაძლევს ყოველივე ამის შესაძლებლობას (არა მარტო ქართული — ეს აუცილებელია ყოველი სხვა ენიდან თარგმნის დროს).

მთარგმნელი ი. ვ. მაქავეარიანიც არ გამოსდგომია სტილს. მან ლიტერატურული და საესეებით გამართული ქართულით გადმოგვცა ა. ტოლსტოის ტექსტი. მთარგმნელს მხოლოდ ენისადმი გადაჭარბებულად პედანტური მიდგომა თუ შეიძლება ვუსაყვიდებოთ. ბევრს ადგილას არის შესაძლებლობა ხალხური გამოთქმა გადმოიყვას ქართული შესატყვისი გამოთქმით (მაგრამ არა საესეებით ზუსტად). ამას მთარგმნელი ერიდება. მაგრამ ეს, რასაკვირველია, პირადი გამოყენების საქმეა.

წიგნი მხატვრულად არის გაფორმებული და ტექნიკურადაც კარგად არის გამოცემული.

შინაარსი

83.

მხატვრული ლიტერატურა

ალექსანდრე ქუთათელი — ბელორუსია (ლექსები)	3
პანტელეიმონ ჩხოკვაძე — მურზაყან დადუშქელიანი (რომანი)	10
გიორგი ლეონიძე — ორი ლექსი.	46
ალ. გომიაშვილი — ლექსები სნაიპერზე	48
კონსტანტინე გამსახურდია — მთვარის მოტაცება (რომანი — გაგრძელება).	52
ვ. რუხაძე — კოლხეთს (ლექსი)	83
რ. გვეტაძე — ლაშაური საღამოები (რომანი — გაგრძელება)	85
გრ. აბაშიძე — გურამიშვილის სამყოფელში (ლექსი)	101
ი. ტატიშვილი — დები (რომანი — დასასრული)	103

უცხოეთის ლიტერატურა

აგნეს სმედლი — მოთხრობები ჩინეთის წითელ არმიაზე	134
---	-----

რევოლუციური მოძრაობა

დ. სულიაშვილი — მოგონება სტალინზე.	152
--	-----

კრიტიკა და კუბლიცისტიკა

ალ. ჭეიშვილი — ანრი ბარბიუსი	180
ს. დანელია — თარგმანის მაღალი კულტურისათვის	190

ბიბლიოგრაფია

გ. მ. — გ. ბააშოვი — „ფეთხანი“	224
კ. ჯავრიშვილი — ალ. ტოლსტოი — პეტრე პირველი.	228



შვიდობის გასწორება

წერია 169 გვერდზე:

— რა უნდა გამოკეთებინა, როცა მენშევიკებმა ჩაიგდეს ყველაფერი ხელში?

უნდა იყოს:

— რა უნდა გამოკეთებინა, როცა მენშევიკებმა ჩაიგდეს ხაშურში ყველაფერი ხელში?